ბიზნესი და კანონმდებლობა

ივლისი 2012

სამეცნიერო,
ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი

referirebadia 2008 wlidan

WWW.B-K.GE

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას. შემოსული სტატიების შინაარსზე და მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. №22.
ტელ: 2-10-26-28; 2-98-71-25.
ტელ./ფაქსი: 2-98-39-30; 5(99)79-00-34.
ვებ გვერდი: www.b-k.ge
e-mail: inovacia@caucasus.net

მამომცემელი:
საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“

მთავარი რედაქტორი:
ზაურ ნაჭყებია

სამეცნიერო რედაქტორი:
იური პაპასქარა, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

რედაქტორი:
ეკა ჯიმშელაძე

სამეცნიერო საბჭო:
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:
იაშა მესხია, ნოდარ ჭითანავა,
ელგუჯა მეძვაბიშვილი, ნოდარ ხადური, პაატა ყოლუაშვილი,
ღამარა ქოქიანური, ანზორ აბრალავა,
ნატო ტაბაშვილი, ნანა შონია, დავით ჯაღაღონია,
თემურ ხომერიკი, ყოტე აბულაძე, ნიკოლოზ ჩიხლაძე,
თამაზ აქუბარდია, ღარისა თაბაღანძე, ბიორბი ჭილაძე,
ბიორბი ღავთაძე, ღავრილენტი ჩიბუხდანიძე, მერაბ ვანიშვილი.
დავით ჭიოტაშვილი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ავთანდილ სილაგაძე.
სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
ჯემალ გახოკიძე.
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გურამ ნაჭყებია,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
მამუკა თავხელიძე.
ბერნარდ ზიბლერი (ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი),
იოჰან ფიშერი (ბონის უნივერსიტეტის პროფესორი),
ადიბ გებოიანი (ერევნის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი),
ალი ალიეზევი (ბაქოს სახ. უნივერსიტეტის პროფესორი).

კონსულტანტები:
თამაზ იაშვილი, სულიკო ფუტკარაძე, ანზორ მესხიშვილი,
დავით ძამუკაშვილი, ირინე ღლონტი

PR და მარკეტინგის სამსახური
მაკა პარპარამია,
მზია ნაჭყებია

საბანკო რეквიზიტები:
საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი;
ა/ა: №GE43BG0000000878404100;
კოდი: BAGAGE22.
რეგისტრირებულია სასამართლოში;
რეგისტრაციის №06/4-1521ბ

ფასი 10 ლარი

შინაარსი

გვეკითხებიან, ვპასუხობთ
კითხვები კომენტარით 4

იურიდიული კონსულტაცია
ირინა ღლონტი
უარი სამკვიდროს მიღებაზე, სამკვიდროს გაყოფა,
დაცვა და კრედიტორთა დაკმაყოფილება მემკვიდრეთა მიერ 10

სოციალური სფერო
მარიამ მატიაშვილი
უმუშევრობისა და დასაქმების პრობლემები საქართველოში 15

აგრარული სექტორი
პაატა კოლუაშვილი
რა ემართება და რა ჰმართებს ქართულ სოფელს 20

საფინანსო პოლიტიკა
ნინო აბესაძე
სამომხმარებლო ფასების ინდექსი საქართველოში:
მისი გაანგარიშება და პროგნოზირება 27

ეკონომიკური ანალიზი
თამარ გოგილაშვილი
ფასების ზრდა და ინფლაცია 32

მარკეტინგული სტრატეგია
მაია თმითრუაშვილი
პარტნიორული ურთიერთობების მარკეტინგის ნიუანსები 36

ინტერნეტ-ცენზურა
რატი აბულაძე
ინტერნეტ-სივრცის რეგულირება და შეზღუდვები 40

ნოვაციები
ოლღა ფაჩულია
ინოვაციათა მარკეტინგული მართვის ძირითადი მიმართულებები 47

სამშენებლო ბიზნესი
რუსუდან პაპასკირი
საქართველოს სამშენებლო კომპანიების ფინანსური რეგულირების ზოგიერთი პრობლემა 51

ტურიზმი
ნანა კაციტაძე
საქართველო საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე 55

დაზღვევა
ასიე ციინცაძე,
ლილით მელოანი-ფუტკარაძე
სოციალური დაზღვევის სოციალურ - ეკონომიკური
ეფექტიანობის შეფასება 60

ეკონომიკური ბაზარი
თეონა გოგილაშვილი
საბაზრო სტრუქტურის ტიპები 65

„ბიზნეს-მაცნე“ – ჟურნალი ჟურნალში 66

kiTxvebi komentariT

რედაქციაში შემოსულ კითხვებზე პასუხი მომზადებულია აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის წევრი კომპანიის შპს ,,აუდიტი და ფინანსური კონსალტინგის"ექსპერტების მიერ

კითხვა: სიტუაცია ასეთია:

ორგანიზაციამ კონსიგნაციით შეისყიდა ცოცხალი საქონელი საქართველოში, შემდგომ მოხდა მათი რეალიზაცია აზერბაიჯანში.

მაგალითისთვის, რეალიზაციის შედეგად 50 000 ლარი შემოვიდა სალაროში.

აღნიშნული თანხა (ნაღდი ფული) შემოიტანა ერთმა პირმა, რომლის დეკლარირება არ მოხდა საბაჟოზე.

შემოსული თანხა იმ დღესვე დაურიგდათ პირებს, ვისგანაც შესყიდვა მოხდა ცოცხალი საქონლის.

კითხვა მდგომარეობს შემდეგში:

ამ მომენტისთვის რა რისკი შეიძლება ჰქონდეს ორგანიზაციას, რომელმაც არ მოახდენა თანხის დეკლარირება?

არის თუ არა რაიმე ადმინისტრაციული ჯარიმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ან სხვა რაიმე სახის ჯარიმა?

ჩემთვის ცნობილია, რომ თუ საბაჟომ დეკლარირების გარეშე მოახდინა 30 000 ლარზე ზემოთ არსებული თანხის საბაჟოზევე ამოღება, მაშინ ექვემდებარება კონფისკაციას.

ამ წუთისთვის მაინტერესებს ზემოთ ხსენებულ მაგალითზე რა რისკი შეიძლება ჰქონდეს ორგანიზაციას "პოსფაქტუმ" თუ არსებობს ასეთი შემთხვევის დასჯის მექანიზმი გამყარებული კანონმდებლობთ?

პასუხი: „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა „დებულება შემოსავლის სამსახურის მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ", რომლის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად შემოსავლების სამსახურის მონიტორინგს ექვემდებარება ნაღდი ფულის და უცხოური ვალუტის, ჩეკების და სხვა ფასიანი ქაღალდების საქართველოში შემოტანა და გატანა, თუ ჯამური ნომინალური ღირებულება აღემატება 30 000 ლარს, ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში". საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №993 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ" ინსტრუქციის 38-ე მუხლში მოყვანილია ფიზიკური პირის დეკლარაცია, რომლის მე-2 გვერდზე ფიქსირდება შემოსავლების სამსახურის გაფრთხილება, რომ 30 000 ლარზე (ან მისი ექვივალენტი) მეტი ნაღდი ფულით და/ან ფასიანი ქაღალდებით საზღვრის გადაკვეთისას აუცილებელი დეკლარირების ვალდებულებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დადგომის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში ვალდებული პირის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-12 / მე-13 ნაწილებით, კერძოდ:

„12. საქართველოს საბაჟო საზღვარზე 30 000 ლარიდან (ან სხვა ვალუტაში მისი ეკვივალენტიდან) 50 000 ლარამდე ოდენობის ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად - წვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ან ამ საქონლის ჩამორთმევას.

13. საქართველოს საბაჟო საზღვარზე 50 000 ლარზე (ან სხვა ვალუტაში მის ეკვივალენტზე) მეტი ოდენობის ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად - იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით, ან ამ საქონლის ჩამ-

ორთმევას“.

ამ მუხლის გარშემო გვაქვს შემდეგი მოსაზრებები:

1. ვალდებულ პირად შესაძლოა მიჩნეულ იქნას:

- ფიზიკური პირი, თუ ის თავისი სახელით გადაადგილებს თანხას, რადგან დეკლარირების აუცილებლობა ეკისრება მას;

ან

- იურიდიული პირი, თუ ფიზიკური პირი მოქმედებდა ამ იურიდიული პირის ინტერესებიდან გამომდინარე.

გაშვების შემდგომი შემოწმების წესი რეგულირდება საგადასახადო კოდექსის 266-ე მუხლით:

„1. საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმება გამოიყენება დეკლარანტის ან/და სხვა ვალდებული პირის მიმართ.

3. ამ მუხლის მიზნებისათვის სხვა ვალდებული პირი არის საქართველოს საგადასახადო ორგანოში დეკლარირებული საქონლის შემოტანის ან/და გატანის ოპერაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი პირი (იმპორტიორის ან ექსპორტიორის წარმომადგენელი, გადამზიდველი, საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელი და სხვა პირი), რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირაა დაკავშირებული საქონლის შემოტანის ან/და გატანის ოპერაციებთან (მათ შორის, საქონლის ტრანსპორტირებასთან, გადატვირთვასთან, შენახვასთან, სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრასთან, საგადასახადო ვალდებულების ოდენობის განსაზღვრასთან, განსაზღვრული სასაქონლო ოპერაციის დასრულებასთან და საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან) - გადასახადის გადამხდელი“.

- გაშვების შემდგომი შემოწმების შედეგები ფიქსირდება საგადასახადო აქტით (საგადასახადო კოდექსის 227-ე მუხლი).

2. მუხლში გამოყენებული ტერმინი - „ამ საქონლის“ - შესაძლოა განხილულ იქნას ფულის (ფასიანი ქაღალდების) მიმართაც, რადგან საგადასახადო კოდექსის მე-13 მუხლის შესაბამისად

„1. საქონელი არის მატერიალური ან არამატერიალური ქონება, მათ შორის, ელექტრო- და თბოენერგია, გაზი და წყალი.

2. დამატებული ღირებულების გადასახადის მიზნებისათვის საქონელს არ მიეკუთვნება ფული“.

ანუ, ფული საქონლად არ ითვლება მხოლოდ დღგ-ის მიზნებისთვის, ჩვენ კი განვიხილავთ საბაჟო ვალდებულებებს.

3. საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო შემოწმების ვადა განისაზღვრება ფაქტის დადგომის წლის დასასრულიდან 6 წლით, რამეთუ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად:

„1. გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო მოთხოვნისა და საგადასახადო ორგანოსთვის გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის, აგრეთვე გადასახადის თანხის დამატებით დარიცხვისა და საგადასახადო სანქციის (გარდა საურავისა) დაკისრების ხანდაზმულობის ვადაა 6 წელი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. (ეხება სხვა შემთხვევებს)

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადა აითვლება შესაბამისი ვალდებულების წარმოშობის/საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის კალენდარული წლის დასრულებიდან“.

თუ შევაჯამებთ ჩვენს მიერ განხილული ნორმატიული აქტების მოთხოვნებს, მივიღებთ შემდეგს:

1. 30 000 ლარზე მეტი თანხით ფიზიკური პირი საზღვრის გადაკვეთისას ექვემდებარება დეკლარირებას;

2. ზემოაღნიშნულის დარღვევა გამოიწვევს ფიზიკური პირის ან მისი მარწმუნებელი იურიდიული პირის სანქცირებას;

3. ზემოაღნიშნული დარღვევის გადამოწმების ხანდაზმულობა არის ამ ფაქტის მოხდენის წლის დასრულებიდან შემდგომი 6 წელი;

4. სანქციის ოდენობა შესაძლოა იყოს:

30 000 ლარიდან 50 000 ლარამდე - 1 000 ლარი ან თანხის ჩამორთმევა;

50 000 ლარიდან ზევით - 3 000 ლარი ან თანხის ჩამორთმევა;

(სანქციის ოდენობა განისაზღვრება ადმინისტრაციული საქმის წარმოების პროცესში, შემსავლების სამსახურის მიერ)

5. თუ სანქცია კონკრეტულ ფაქტზე უკვე გამოყენებულია და ეს დოკუმენტურად დასტურდება — საქმის შემდგომი წარმოების განახლება შესაძლებელია მხოლოდ გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის საფუძველზე - კანონსაწინააღმდეგოდ გადახდევინებული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით.

კითხვა:

შპს „ბალანსზე“ არსებული ტექნიკა - დგუში (პომპა) აღრიცხვიდან მოვხსენით ექსპორტის რეჟიმში გაყიდვის მიზნით, შპს „ბალანსი“-ს დირექტორის

სახელზე.

ამჟამად მყიდველი ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე, იმყოფება საქართველოში. გვინდა გავასხვისოთ აღნიშნული ტექნიკა ექსპორტის რეჟიმით (ტრანზიტი თურქეთის გავლით).

გთხოვთ განგვიმარტოთ:

მოგვიწევს თუ არა დღგ-ს გადახდა.

რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს დირექტორმა ბუღალტერიაში?

პასუხი: კითხვის პრეამბულის თანახმად: შპს „ბალანსზე" არსებული ტექნიკა - დგუში (პომპა) აღრიცხვიდან მოვხსენით ექსპორტის რეჟიმში გაყიდვის მიზნით, შპს „ბალანსი"-ს დირექტორის სახელზე":

1. თუ ეს ფრაზა ნიშნავს, რომ მოხდა დგუშის დირექტორისთვის მიწოდება (აღრიცხვიდან მოხსნა დირექტორის სახელზე) მაშინ ეს ოპერაცია დასრულებულია, განხორციელდა საგადასახადო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღრული „საქონლის მიწოდება" (საქონელზე საკუთრების უფლების მეორე პირზე გადასვლა) და უნდა დაიბეგროს საქართველოს ტერიტორიაზე ამ ოპერაციისთვის დადგენილი რეჟიმით, მათ შორის საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის თანახმად დაიბეგრება დღგ-ით, ხოლო ექსპორტის რეჟიმში მოქცევა უნდა აწარმოოს ახალმა მესაკუთრემ - „დირექტორმა".

2. თუ ფრაზა გულისხმობს: დგუში ამოღებულია ჯგუფიდან და მოხდა (მოხდება) მისი მიწოდება ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქისთვის საქართველოს ტერიტორიაზე, მაშინ მიუხედავად მყიდველის რეზიდენტობისა, პომპის მიწოდება განხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, ექსპორტის რეჟიმში მოუქცევლად (ამის შესახებ ქვემოთ), რაც საგადასახადო კოდექსის იგივე მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის და 161-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის თანახმად დასაბეგრია დღგ-ით.

3. მაგრამ, თუ ადგილი აქვს ოპერაციას: დგუში ამოღებულ იქნა ჯგუფიდან და დირექტორს დაევალა მისი ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევის პროცედურის ორგანიზება, მაშინ საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, მიწოდება ჩათვლის უფლებით განთავისუფლებული იქნება დღგ-ისაგან, ხოლო ოპერაციის ამ კონტექსტში განსახილველად დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

რადგან საგადასახადო კოდექსის 229-ე მუხლის 1-ლი ნაწილში („ექსპორტის სასაქონლო ოპერაცია საშუალებას იძლევა, საქართველოს საქონელი გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ") აღწერილ განზრახვას აქვს საქმე, ამიტომ გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ საგადასახადო კოდექსის 215-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად საქონლის საბაჟო ტერიტორაიზე „საქონლის წარდგენისა და გაფორმების ვალდებულება ეკისრება დეკლარანტს ან/და საქონლის მფლობელს". საგადასახადო კოდექსის 207-ე მუხლის „გ" პუნქტით განმარტებულია „დეკლარანტი - პირი, რომელიც საქონლის დეკლარირებას ახორციელებს თავისი სახელით ან რომლის სახელითაც ხორციელდება დეკლარირება ამ კარით დადგენილი წესით", ხოლო „მ" პუნქტით „საქონლის მფლობელი - პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებულ ოპერაციებში არის საქონლის მესაკუთრე,

ან რომელსაც აქვს საქონლის განკარგვის მსგავსი უფლება, ან რომლის ფიზიკური კონტროლის ქვეშაც არის საქონელი".

ანუ ექსპორტის საბაჟო რეჟიმში საქონლის (დგუშის) მოქცევის ვალდებულება ეკისრება შპს „ბალანსს" (წარმოდგენილს მისი დირექტორის სახით), რომელმაც უნდა მოახდინოს საქონლის დეკლარირება („ქმედება, რომლითაც პირი აცხადებს საქონლის მიმართ სასაქონლო ოპერაციის გამოყენების განზრახვას" , საგადასახადო კოდექსი, 207-ე მუხლის

„ჟ“ პუნქტი) და შეავსოს საბაჟო დეკლარაცია („დოკუმენტი, რომლითაც პირი აცხადებს საქონლის მიმართ სასაქონლო ოპერაციის გამოყენების განზრახვას“, საგადასახადო კოდექსი, 207-ე მუხლის „კ“ პუნქტი).

საგადასახადო კოდექსის 218-ე



მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „რეგისტრაციის დღიდან საბაჟო დეკლარაცია არის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტი“, ხოლო 222-ე მუხლის 1-ლი ნაწილის პირობის საფუძველზე „სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დროდ ითვლება საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღე“.

ანუ, შპს „ბალანსი“ ვალდებულია განაცხადოს დგუშის ექსპორტის რეჟიმში მოქცევის შესახებ, შემოსავლების სამსახურის საბაჟო ორგანოებს წარუდგინოს საქონელი, შეავსოს საბაჟო დეკლარაცია და მიიღოს დასტური საქონლის გაშვების შესახებ („საქონლის გაშვება - დეკლარანტისთვის საქონლის განკარგვის ან/და საქონლით სარგებლობის უფლების მინიჭება საქონლის მიმართ გამოყენებული სასაქონლო ოპერაციის პირობების შესაბამისად“, საგადასახადო კოდექსი, მუხლი 207-ე მუხლის „ო“ პუნქტი), რის შემდეგ ჩაითვლება რომ განხორციელდა ექსპორტი და გამოყენებულ იქნება საგადასახადო კოდექსის 168 მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მონიჭებული შეღავათი: ჩათვლის უფლებით დღგ-ისაგან განთავისუფლება.

შესაბამისად, ექსპორტის ოპერაციის განხორციელების დროს დირექტორმა ბუღალტერიას უნდა წარუდგინოს საბაჟო პროცედურების გავლის დროს მესამე პირთა მიერ შედგენილი ყველა საბუთი, მათ შორის შევსებული საბაჟო დეკლარაცია (დამღით: „გაშვება ნებადართულია“).

ამასთან, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №993 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის შესაბამისად, საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად ასევე წარსადგენია შემდეგი დოკუმენტაცია:

1. პირის მიერ სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისას, სასაქონლო დეკლარაციასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება ან ანგარიშ-ფაქტურა ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი ან/და საქონლის დათვალიერების/ექსპერტიზის დოკუმენტი;

ბ) სატრანსპორტო დოკუმენტი:

ბ.ა) საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს - სატრანსპორტო ზედნადები ან TIR-წიგნაკი;

ბ.ბ) საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს - კონოსამენტი;

ბ.გ) საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს - ავიაზედდებული;

ბ.დ) სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს - სარკინიგზო ზედნადები.

2. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად, დეკლარაციას თან ერთვის:

ა) თუ დეკლარირება ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით - წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) თუ დეკლარირებული საქონლის სატრანსპორტო საშუალების მიმართ ადგილი ჰქონდა საგადასახადო ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტს - საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და შესაბამისი ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

***

ე) წინმსწრები დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში) - დეკლარაცია, მოწმობა, განაცხადი“.

რაც შეეხება კითხვაში გამოყენებულ ტერმინს „დგუში (პომპა) აღრიცხვიდან მოვხსენით“ - საქონელზე (დგუშზე) საკუთრების უფლების გადასვლა მყიდველზე უნდა დაფიქსირდეს საქონლის მიწოდების მხარე-

თა შორის შეთანხმებული პირობის შესრულების შემდეგ (ინკოტერმსით: FOB, CIF, FAS, DDU, DDP და ა.შ.), ამ მომენტამდე საქონელი ითვლება შპს „ბალანსის“ საკუთრებად (მაგალითად აღრიცხული საბალანსო მუხლით „გზაში მყოფი“).

კითხვა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა პირმა რომ გვასესხოს ფული, რამდენი უნდა იყოს საპროცენტო განაკვეთი და გადახდის მომენტში, რა უნდა დაუკავდეს მისაღები პროცენტიდან?

პასუხი: 1. საპროცენტო განაკვეთი არარეზიდენტი ფიზიკური პირისგან მიღებულ სესხზე:

მხარეთა შეთანხმების საფუძველზე სესხზე სარგებლის (პროცენტის) დადგენის ოდენობას საქართველოს საგადასახადო კოდექსი არ ზღუდავს და ითვალისწინებს დაბეგვრის მიზნებისთვის სხვადასხვა რეჟიმის გამოყენებას:

ა) თუ გარიგება ხდება ურთიერთდამოუკიდებელ პირთა შორის, სესხის გამცემი მხარის რეზიდენტობის ქვეყანაში არსებული ღია საბაზრო ურთიერთობის ფარგლებში, ე.წ. „გაშლილი ხელის“ წესით, სარგებლის პროცენტი შეიძლება იყოს ნებისმიერი. საგადასახადო შეზღუდვა დაწესებულია ერთობლივი შემოსავლიდან ხარჯის გამოქვითვის ოდენობაში:

საგადასახადო კოდექსის 107-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

„1. . . . კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი ან/და გადასახდელი (დარიცხვის მეთოდის გამოყენების მიხედვით) პროცენტები გამოიქვითება არა უმეტეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის ფარგლებში, შესაბამისი პერიოდის პროპორციულად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 იანვრის ბრძანება №34.

3. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისათვის კრედიტზე (სესხზე) გადახდილი ან/და გადასახდელი (დარიცხვის მეთოდის გამოყენების მიხედვით) პროცენტები ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითოს:

ბ) სხვა დანარჩენ შემთხვევაში არა უმეტეს წლიური 24 პროცენტისა, შესაბამისი პერიოდის პროპორციულად“.

ანუ, გარიგება შესაძლოა დაიდოს ნებისმიერი ოდენობის სარგებლის (პროცენტის) გათვალისწინებით, ხოლო ერთობლივი შემოსავლიდან (ე.წ. ხარჯში) გამოიქვითება მხოლოდ 24% (დანარჩენი ე.წ. „საკუთარი მოგებიდან“). მაგრამ, თუ გარიგების (ხელშეკრულების) მხარეებს წარმოადგენენ საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლში აღწერილი პირები.

„2. განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნება ურთიერთობები, რომელთა დროსაც:

ა) პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია;

ბ) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირ საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია;

გ) პირი ახორციელებს საწარმოს კონტროლს;

დ) ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს;

ე) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს;

ვ) პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი;

ზ) პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს;

თ) პირები ნათესავები არიან;

ი) პირები ამხანაგობის წევრები არიან.

3. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიზნებისათვის ფიზიკური პირის ნათესავებად ითვლებიან:

ა) ნათესავების პირველი შტო: მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა;

ბ) ნათესავების მეორე შტო: პირველი შტოს თითოეული ნათესავის მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა, გარდა იმ ფიზიკური პირისა, რომელიც უკვე მიეკუთვნა პირველ შტოს;

გ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი მეურვეობის შედეგად ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, როგორც მშობლები და შვილები“.

მაშინ, გარიგების დროს სარგებლის (პროცენტის) განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქვემორე მოყვანილი ნორმატიული აქტების მოთხოვნები:

საგადასახადო კოდექსის მე-18 მუხლის მე-11 ნაწილი:

„11. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისათვის გამოიყენოს საბაზრო ფასი შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ გარიგება განხორციელდა ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი ურთიერთ-

დამოკიდებულება გავლენას არ ახდენს ასეთი გარიგების შედეგებზე“.

საგადასახადო კოდექსის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილი

2. პირის მიერ სხვა პირისაგან ქონების ან სარგებლის მიღების შემთხვევაში ერთობლივ შემოსავალში შესატანი ქონების ან სარგებლის ღირებულება განისაზღვრება ამ კოდექსის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით

საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი

ბ) დამქირავებლის (ანუ პირის) მიერ დაქირავებულისათვის (ანუ მეორე პირისათვის) საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის გაცემისას - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთით გადასახდელი პროცენტის შესაბამისი თანხა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 იანვრის ბრძანება №34

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის წლიური საპროცენტო განაკვეთი დამტკიცდეს 20 პროცენტის ოდენობით.

ანუ, ნომინალურად, გარიგების დადებისას უპრიანია გამოყენებულ იქნეს სარგებლის (პროცენტის) 20%-იანი მაჩვენებელი, რომლის გამოქვითვა დასაშვებია სრულად, ხოლო ვირტუალური სარგებელი არ წარმოიქმნება.

2. არარეზიდენტი ფიზიკური პირის სესხზე დარიცხული პროცენტის დაბეგვრა გადახდის მომენტში საქართველოს საგადასახადო კოდექსი ადგენს დაბეგვრის აუცილებლობას არარეზიდენტი ფიზიკური პირისაგან მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტის ფაქტობრივად გადახდის დროს:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად,

1. არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას საქართველოში, იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე, შემდეგი განაკვეთებით:

ბ) პროცენტები - ამ კოდექსის 131-ე მუხლის მიხედვით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლის საფუძველზე:

1. არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ან რეზიდენტის მიერ ან მათი სახელით გადახდილი პროცენტები იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 0-პროცენტიანი განაკვეთით.

ხოლო, 309-ე მუხლის

3. ამ მუხლის 3’-3’’’ ნაწილების (ვრცელდება ფირმის პარტნიორებზე: თუ წარმოებს დარიცხული პროცენტის საწესდებო კაპიტალში შეტანა) დებულებების გათვალისწინებით, ამ კოდექსის 131-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ან რეზიდენტის მიერ ან მათი სახელით გადახდილი პროცენტები (მათ შორის, ამავე კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის “ბ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში), თუ შემოსავლის წყარო საქართველოშია, იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 5-პროცენტიანი განაკვეთით 2011 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე.

ანუ, დადგენილია, რომ არარეზიდენტი ფიზიკური პირისგან მიღებულ სესხზე გადახდილი სარგებელი (პროცენტი) საქართველოში არსებული წყაროს (საქართველოს რეზიდენტის ან არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების, მაგ.: ფილიალი, წარმომადგენლობა და ა.შ.) მიერ 2014 წლის 1 იანვრამდე უნდა დაიბეგროს 5%-იანი საშემოსავლო განაკვეთით, რაც გულისხმობს, რომ გასაცემი თანხიდან დაკავებულ და ბიუჯეტში გადახდილ უნდა იქნეს 5%, ხოლო დარჩენილი 95% ეკუთვნის მსესხებელს.

ამავე დროს, თუ არარეზიდენტი ფიზიკური პირი წარმოადგენს საქართველოს მონაწილეობით დადებული „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ საერთაშორისო ხელშეკრულების მეორე სახელმწიფოს რეზიდენტს და ამის შესახებ გამსესხებელი წარმოადგენს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემულ ცნობას, მაშინ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №633 ბრძანებით დამტკიცებული წესის თანახმად, საქართველოს საწარმო განთავისუფლდება საშემოსავლო გადასახადის (5%) დაკავების ვალდებულებისგან, ამასთან საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე შემოსავლების სამსახურში წარსადგენი ექნება რეზიდენტობის დამადასტურებელი ცნობის ნოტარიალურად დამტკიცებული თარგმანი და წესით დადგენილი ე.წ. ფორმა 1.

რუბრიკას უძღვება „ბიზნესი და კანონმდებლობის" იურიდიული კონსულტანტი, ქალბატონი ირინა ღლონტი

უარი სამკვიდროს მიღებაზე, სამკვიდროს გაყოფა, დაცვა და კრედიტორთა დაკმაყოფილება მემკვიდრეთა მიერ

ჩვენი ჟურნალის 2011 წლის ერთ-ერთ ნომერში მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე გვქონდა საუბარი. სტატიას მრავალი დაინტერესებული მკითხველი გამოეხმაურა. ამჯერად, მათი უმრავლესობა სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმასთან, სამკვიდროს გაყოფასა და დაცვასთან, მემკვიდრეთა მიერ კრედიტორთა დაკმაყოფილებასა და სამკვიდრო მოწმობის მიღებასთან დაკავშირებული საკითხების განმარტებას გვთხოვს.

სიამოვნებით ვასრულებთ ჟურნალის ერთგულ მკითხველთა თხოვნას და განვმარტავთ, რომ როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მან შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი მოწვევის შესახებ სამკვიდროს მისაღებად. საპატიო მიზეზის არსებობისას, ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა. უარის თქმა უნდა გააფორმოს ნოტარიუსმა, ამიტომ ბუნებრივია კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ მემკვიდრემ აუცილებლად უნდა მიმართოს განცხადებით სამკვიდროს გახსნის ადგილზე სანოტარო ორგანოს.

მემკვიდრემ მთლიანად უნდა მიიღოს სამკვიდრო ან მთლიანად უნდა თქვას უარი მასზე. არ შეიძლება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ნაწილობრივ, რაიმე დათქმით ან ვადით. თუ მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროს ნაწილზე ან დათქვამს რაიმე პირობას, ითვლება, რომ ის უარს ამბობს სამკვიდროზე. მაგალითად, არ შეიძლება უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე იმ პირობით, რომ დანარჩენმა მემკვიდრეებმა გადაუხადონ მას განსაზღვრული თანხა. ასევე, არ დაიშვება უარი ანდერძით მემკვიდრეობაზე და თანხმობა იმავე ქონების მიღებაზე კანონით.

კანონით გათვალისწინებული იმ მითითებიდან გამომდინარე, რომ არ დაიშვება სამკვიდროს ნაწილის მიღება და ნაწილზე უარის თქმა, დაუშვებელია ყველა შემთხვევაში გაკეთდეს დასკვნა, რომ განცხადება სამკვიდროს ნაწილის მიღებაზე ბათილია. მაგალითად, თუ მამკვიდრებელს, რომელსაც ანდერძი არ შეუდგენია, გარდაცვალების შემდეგ ორი პირველი რიგის მემკვიდრე დარჩა და ერთ-ერთმა შეიტანა განცხადება სამკვიდროს ნახევრის მიღებაზე, არ უნდა ჩაითვალოს, თითქოს ის უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე.

კითხვა: არის თუ არა კანონით გათვალისწინებული რაიმე გამონაკლისი იმ საერთო წესიდან, რომ სამკვიდროს მიღებაზე ან მის ნაწილზე უარის თქმა არ დაიშვება?

პასუხი: დიახ, ასეთი შემთხვევაში კანონი უშვებს ზოგიერთ გამონაკლისს:

ა) მემკვიდრეს, რომელიც არ მისდევს სოფლის მეურნეობას, შეუძლია უარი თქვას სასოფლო-სამეურნეო მიწის, მოწყობილობის, შრომის იარაღებისა და პირუტყვის მიღებაზე, მაგრამ ეს არ ჩაითვლება სამკვიდროს მიღებაზე საერთოდ უარის თქმად;

ბ) თუ მემკვიდრეს სხვადასხვა საფუძვლით სამკვიდროდან რამდენიმე წილი ეკუთვნის, მას შეუძლია მიიღოს ერთი წილი და უარი თქვას მეორეზე, ან უარი თქვას ყველაზე. მაგალითად, თუ ანდერძით მემკვიდრეს ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონებიდან ეკუთვნის წილი, როგორც კანონით მემკვიდრეს, მას შეუძლია მიიღოს ერთი და უარი თქვას მეორეზე, მაგრამ ეს უარი არ ჩაითვლება სამკვიდროს მიღებაზე საერთოდ უარის თქმად;

გ) მემკვიდრეს უფლება აქვს უარი თქვას სამკვიდროს იმ ნაწილზე, რომელიც ეკუთვნის შემატების უფლებით, სამკვიდროს დანარჩენი ნაწილის მიუხედავად.

მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სხვა პირთა სასარგებლოდ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეთა რიცხვიდან. მაშასადამე, მემკვიდრეს უფლება არ აქვს უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე იმ პირთა სასარგებლოდ, რომ-

ლებიც არ მიეკუთვნებიან მემკვიდრეთა რიცხვს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ არ დაიშვება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც ცნობილი არიან ულირს მემკვიდრეებად ან ანდერძის პირდაპირი მითითებით ჩამოერთვათ მემკვიდრეობის უფლება. თუ მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე ასეთ პირთა სასარგებლოდ, მაშინ უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში სხვა მემკვიდრეების მიერ.

კითხვა: როგორ გადაწყდება საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრემ უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე, მაგრამ არ განუცხადებია, თუ ვის სასარგებლოდ ამბობს უარს?

პასუხი: მსგავს შემთხვევაში მისი წილი შეემატება მემკვიდრეებად მოწვეულ კანონით მემკვიდრეთა წილს, ხოლო თუ მთელი სამკვიდრო ანდერძით იყო განაწილებული, მაშინ ანდერძით მემკვიდრეთა წილს და იგი განაწილდება მათ შორის, მათი წილის პროპორციულად, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

შესაძლებელია, მემკვიდრე, რომელმაც უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე, ერთადერთი იყოს მოცემული რიგის მემკვიდრეთა შორის. ასეთ შემთხვევაში, სამკვიდრო გადავა მომდევნო რიგის მემკვიდრეებზე.

სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა დასაშვებია არა მხოლოდ ერთ, არამედ რამდენიმე მემკვიდრის სასარგებლოდ. მემკვიდრემ, რომელიც უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე რამდენიმე მემკვიდრის სასარგებლოდ, შეუძლია მიუთითოს თითოეულის წილზე. ასეთი მითითების არარსებობისას, მისი წილი თანაბრად გადანაწილდება იმ მემკვიდრეებზე, რომელთა სასარგებლოდაც სამკვიდროს მიღებაზე უარი იყო ნათქვამი.

როგორც აღვნიშნეთ, მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სხვა პირების სასარგებლოდ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეთა რიცხვიდან. ისმის კითხვა — კანონი ამ შემთხვევაში გულისხმობს უარის თქმას იმ რიგის მემკვიდრეთა სასარგებლოდ, რომელთაც ეს მემკვიდრე ეკუთვნის, რომელმაც უარი განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე, თუ საერთოდ ყველა მემკვიდრის სასარგებლოდი, მიუხედავად იმისა, თუ კანონით მემკვიდრეთა რომელ რიგს მიეკუთვნებიან ისინი. კანონის მითითებიდან გამომდინარე, უნდა ჩავთვალოთ, რომ იგულისხმება ყველა კანონით მემკვიდრე, მიუხედავად იმისა, თუ რომელი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენენ ისინი.

გამომდინარე იქიდან, რომ მემკვიდრეს არ აქვს უფლება უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან მემკვიდრეთა რიცხვს, ისმება საკითხი სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ შვილიშვილების სასარგებლოდ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან კანონით მემკვიდრეთა დამოუკიდებელ კატეგორიას და სამკვიდროს იღებენ წარმომადგენლობის უფლებით. სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა შვილიშვილების სასარგებლოდ დასაშვებია, თუ ისინი წარმოადგენენ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეებს. შვილიშვილები კი კანონით მემკვიდრეებად მხოლოდ მაშინ ჩაითვლებიან, როცა სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მისი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, ან თუ შვილიშვილი ანდერძით მემკვიდრეა.

როგორც ცნობილია, თუ მემკვიდრეები არ არიან ან მათ უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე, სამკვიდრო ხაზინის საკუთრებაში გადადის. ხაზინას არ აქვს უფლება უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რომელიც მასზე გადავიდა.

კითხვა: შეუძლია თუ არა მემკვიდრეს უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე მას შემდეგ, რაც მან სანოტარო ორგანოში შეიტანა განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ?

პასუხი: არა, ვინაიდან კანონის თანახმად არ დაიშვება უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე მას შემდეგ, რაც მემკვიდრემ სამკვიდროს გახსნის

ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანა განცხადება სამკვიდროს მიღების ან სამკვიდრო მოწმობის მიღების შესახებ.

რაც შეეხება მემკვიდრეს, რომელიც ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი დროის განმავლობაში შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რის შესახებაც განცხადებით უნდა მიმართოს სანოტარო ორგანოს. მაგალითად, როცა მემკვიდრე მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრობდა და განაგრძობს მისი ქონებით სარგებლობას მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, ითვლება, რომ სამკვიდრო მიიღო, მაგრამ მას უფლება აქვს დადგენილ ვადაში უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, ამის შესახებ სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანის გზით. ასეთ შემთხვევაში, ადგილი აქვს სამკვიდროს მიღების პრეზუმფციას, რომელიც შეიძლება უარყოფილი იქნეს სამკვიდროზე უარის თქმის შესახებ.

სამკვიდროზე უარის თქმა წარმომადგენლის მეშვეობით შესაძლებელია, თუ დავალებაში (მინდობილობაში) სპეციალურად არის გათვალისწინებული უფლებამოსილება უარის თქმის შესახებ.

სამკვიდროს მიღებისა და უარის თქმის სამართლებრივი შედეგები დადგება სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. ამდენად, სამკვიდროს გახსნის მომენტიდან მემკვიდრე, რომელიც სამკვიდროს მიიღებს, ითვლება ქონების მესაკუთრედ, მას წარმოეშობა უფლება ქონებიდან მიღებულ შემოსავალზე, ასევე ქონებაზე ხარჯების გაწევის მოვალეობა და ა.შ., ხოლო მემკვიდრეს, რომელმაც უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე, ასეთი უფლებები და მოვალეობები არ აქვს სამკვიდროს გახსნის მომენტიდანვე.

ზემოთ განხილული საკითხებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მემკვიდრეობის სამართალს არა მარტო სამოქალაქო სამართალში, არამედ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც უაღრესად დიდი ადგილი უკავია. შესაბამისად, როგორც სამკვიდროს მიღება, ისე უარი მის მიღებაზე, სამართლის აღნიშნული დარგის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია და ერთნაირად წყდება როგორც



კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეობის დროს.

რამდენიმე მემკვიდრის არსებობისას, სამკვიდრო უნდა გაიყოს. სამკვიდროს გაყოფა ხდება სამკვიდროს მიმღები მემკვიდრეების შეთანხმებით იმ წილის კვალობაზე, რაც თითოეულ მათგანს კანონით ან ანდერძით ერგებათ: თუ მემკვიდრეებს შორის სამკვიდროს გაყოფის თაობაზე შეთანხმება მიღწეული ვერ იქნება, მაშინ გაყოფა მოხდება სასამართლო წესით. სასამართლომ, ქონების გაყოფისას, მხედველობაში უნდა მიიღოს გასაყოფი ქონების ხასიათი, თითოეული თანამემკვიდრის საქმიანობა და სხვა კონკრეტული გარემოებანი. მაგალითად, თუ ერთ-ერთი მემკვიდრე მუსიკოსია და სამკვიდროში შედის როიალი, ბუნებრივი იქნება, ეს ინსტრუმენტი მას ერგოს. სასამართლოში სამკვიდროს გაყოფის საქმის განხილვისას, პროცესის ყველა სტადიაზე დასაშვებია მხარეთა შეთანხმება (მორიგება), რაც სასამართლოს მიერ უნდა დადასტურდეს.

სამკვიდროს გაყოფისას, ქონება, როგორც წესი, ნატურით იყოფა. თითოეულ მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს თავისი წილის გამოყოფა ნატურით, როგორც მოძრავი, ასე უძრავი ქონებიდან, თუ ასეთი გამოყოფა შესაძლებელია ან აკრძალული არ არის კანონით. მაგალითად, როცა სამკვიდრო საგანი გაუყოფადი, ე.ი. ისეთი ნივთია, რომლის ნატურის სახით გაყოფა გამოიწვევს მისი სამეურნეო დანიშნულების მოშლას ან შესუსტებას, მაშინ, თუ სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგე-

ნილი, ასეთი ქონება გაყოფას არ ექვემდებარება და ხდება მემკვიდრეთა საერთო საკუთრება მათი წილის მიხედვით.

სამკვიდროს გაყოფისას მხედველობაში მიიღება ქონება, რომელიც მამკვიდრებელმა სიცოცხლეში აჩუქა მემკვიდრეს. თითოეული მემკვიდრის წილში ჩაითვლება იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან საჩუქრად მიიღო მამკვიდრებლისგან სამკვიდროს გახსნამდე 5 წლის განმავლობაში.

კითხვა: ქონების გაყოფისას მემკვიდრეებს რა შემთხვევაში აქვთ უპირატესი უფლება?

პასუხი: მემკვიდრეებს, რომლებსაც მამკვიდრებელთან ერთად აქვთ საერთო საკუთრების უფლება ქონებაზე, უპირატესი უფლება ენიჭებათ იმ ქონების მემკვიდრეობაზე, რომელიც საერთო საკუთრებაში შედის. მაგალითად, თუ მამკვიდრებელსა და მემკვიდრეს, დავუშვათ, მამას და შვილს, აქვთ საერთო საკუთრება რაიმე ქონებაზე, მაშინ მამის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი წილი ამ საერთო ქონებაში შევა. სწორედ ამ წილის მემკვიდრეობის უპირატესი უფლება აქვს შვილს, რომელიც თანამესაკუთრე იყო.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ საცხოვრებელი სახლის, ბინის ან სხვა საცხოვრებელი სადგომის, ასევე საოჯახო მოხმარების საგნების მემკვიდრეობით მიღების უპირატესი უფლება აქვს მემკვიდრეს, რომელიც სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ ერთი წლის მანძილზე ცხოვრობდა მამკვიდრებელთან ერთად.

უპირატესი უფლების განხორციელება ისე უნდა მოხდეს, რომ გათვალისწინებული იქნეს სამკვიდროს გაყოფაში მონაწილე სხვა მემკვიდრეების ქონებრივი ინტერესები. უპირატესი უფლების განხორციელებისას, თუ დანარჩენი ქონება სხვა მემკვიდრეების წილის მისაღებად საკმარისი არ იქნება, მემკვიდრეებმა, რომლებიც უპირატეს უფლებას ახორციელებენ, უნდა მისცენ მათ შესაბამისი ფულადი ან ქონებრივი კომპენსაცია. საკომპენსაციო თანხა შეიძლება იმდენად მნიშვნელოვანი იყოს, რომ მემკვიდრეს, რომელმაც ისარგებლა უპირატესი უფლებით, მისი ერთდროულად გადახდა არ შეეძლოს. ასეთ შემთხვევაში, მას შეიძლება მიეცეს სათანადო დრო, რასაც სასამართლო განსაზღვრავს, მაგრამ ეს დრო არ შეიძლება იყოს 10 წელზე მეტი.

მემკვიდრე მამკვიდრებელის არა მხოლოდ უფლების, არამედ მოვალეობის მონაცვლეა. მემკვიდრეები, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს, ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად. ასეთივე მოვალეობა ეკისრება ხაზინასაც, თუ უმკვიდრო ქონება მასზე გადავიდა.

როდესაც რამდენიმე მემკვიდრეა, თითოეული მათგანი პასუხისმგებელია მამკვიდრებლის ვალებზე მიღებული წილის პროპორციულად, მიუხედავად იმისა, კანონით მემკვიდრეები არიან, თუ ანდერძით. შესაძლებელია მათი სოლიდარული პასუხისმგებლობაც.

კანონი გამონაკლისს არ უშვებს არც იმ მემკვიდრეთა მიმართ, რომლებმაც სავალდებულო წილი მიიღეს. ისინი პასუხისმგებელნი არიან მამკვიდრებლის ვალებისათვის.

კითხვა: შეუძლია თუ არა მოანდერძეს, მთელი ვალის ან მისი ნაწილის გადახდა დააკისროს ერთ, ან რამდენიმე მემკვიდრეს?

პასუხი: დიახ, შეუძლია. ამ შემთხვევაში, დანარჩენი მემკვიდრეები, შესაბამისად, მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდებიან ვალის გადახდის მოვალეობისაგან. ამასთან, ცხადია, მოანდერძე ვერ დააკისრებს მემკვიდრეს ისეთი ვალის გადახდას, რომელიც აღემატება სამკვიდროს ოდენობას. თუ მამკვიდრებელმა ვალების გადახდა ერთ-ერთ მემკვიდრეს დაავალა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ მემკვიდრის მიერ მიღებული სამკვიდრო საკმარისი არ არის ვალების გასასტუმრებლად, მაშინ, იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ მემკვიდრეები ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ კრედიტორთა მოთხოვნები, ვალების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა სხვა მემკვიდრეებს უნდა დაეკისროთ.

მამკვიდრებლის კრედიტორებმა იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, 6 თვის განმავლობაში უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს.

თუ მამკვიდრებელმა ქონება კრედიტორს უანდერძა, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს კრედიტორის მოთხოვნის უფლების გაქვითვად.

კრედიტორთა მოთხოვნები მემკვიდრეებმა უნდა დააკმაყოფილონ ერთჯერადი გადახდის გზით, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მაშასადამე, კრედიტორები და მემკვიდრეები შეიძლება შეთანხმდნენ ნაწილ-ნაწილ გადახდაზეც.

კრედიტორებს არ შეუძლიათ მოითხოვონ დაკმაყოფილება იმ ქონებიდან, რომელიც მამკვიდრებელს არ ეკუთვნოდა სიცოცხლეში.

სამკვიდროს გახსნის შემდეგ, ზოგჯერ მემკვიდრეები ადგილზე არ არიან ან არ იციან სამკვიდროს გახსნის შესახებ; ზუსტად არ არის ცნობილი სამკვიდროს შემადგენლობა, მემკვიდრეთა რაოდენობა და სხვა. ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება ზომების მიღება სამკვიდროს დასაცავად, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამკვიდროს დაღუპვა, გაფუჭება, დატაცება და ა.შ. აღნიშნულის გამო, კანონით დადგენილია, რომ ადგილზე არმყოფი მემკვიდრეების, საანდერძო დანაკისრის მიმღებთა და საჯარო ინტერესების დასაცავად სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსი დაინტერესებული პირების, ანდერძის აღმსრულებლის ან თავისი ინიციატივით იღებს სამკვიდროს დაცვისათვის აუცილებელ ზომებს, რაც გაგრძელდება ყველა მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებამდე, ან სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლამდე.

კითხვა: აქვს თუ არა უფლება განკარგოს სამკვიდრო იმ მემკვიდრემ, რომელიც სხვა მემკვიდრეების გამოცხადებამდე შეუდგა სამკვიდროს ფლობას და მართვას?

პასუხი: სამოქალაქო სამართლის კოდქსის 1427-ე მუხლით დადგენილია, რომ მემკვიდრეს, რომელიც სხვა მემკვიდრეების გამოცხადებას არ დაელოდება და სამკვიდროს ფლობას ან მართვას შეუდგება, უფლება არ აქვს განკარგოს სამკვიდრო. სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის გასვლამდე ან სამკვიდრო მოწმობის მიღებამდე, მემკვიდრეს შეუძლია სამკვიდროდან გასწიოს ის აუცილებელი ხარჯები, რაც აღნიშნული მუხლითაა გათვალისწინებული.

სანოტარო ორგანო, ქონების დაცვის მიზნით, აღწერს სამკვიდროს და გადასცემს შესანახად მემკვიდრეს ან სხვა პირს, ამასთან, იღებს ზომებს იმ მემკვიდრეთა მოსაძებნად, რომლებიც სამკვიდროს გახსნის ადგილზე არ იმყოფებიან.

ზოგჯერ აუცილებელია სამკვიდროს მართვა. ასეთ შემთხვევაში, სანოტარო ორგანო ნიშნავს სამკვიდროს მმართველს. მმართველი დაინიშნება მაშინაც, როცა მამკვიდრებლის კრედიტორების მიერ წარდგენილია სარჩელი. მმართველი არ დაინიშნება, როცა თუნდაც ერთ-ერთმა მემკვიდრემ მიიღო სამკვიდრო, ან თუ დანიშნულია ანდერძის აღმასრულებელი. მმართველს უნდა მიეცეს უფლება, სამკვიდროდან გასწიოს ხარჯები მხოლოდ სამკვიდროს დაცვასა და მართვაზე.

მემკვიდრედ მოწვეულ პირებს შეუძლიათ სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოსგან მოითხოვონ სამკვიდრო მოწმობა. სამკვიდროზე უფლების მოწმობა არის დოკუმენტი, რომელიც ადგენს მასში მოხსენიებული პირის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტს და სამართლებრივ ძალას კარგავს იმ შემთხვევაში, თუ გაუქმდა სასამართლოს მიერ.

კითხვა: როდის შეიძლება მიეცეთ მემკვიდრეებს სამკვიდრო მოწმობა?

პასუხი: სამკვიდრო მოწმობა ეძლევათ მემკვიდრეებს სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის გასვლის შემდეგ ნებისმიერ დროს. კანონი ადგენს ვადას (ექვს თვეს), რომლის განმავლობაშიც არ დაიშვება მოწმობის გაცემა, მაგრამ არ ზღუდავს მოწმობის გაცემის ვადებს და მის გაცემას შესაძლებლად მიიჩნევს ყოველ დროს.

ზოგიერთი შემთხვევისათვის დაშვებულია სამკვიდრო მოწმობის გაცემა ექვს თვეზე ადრე. კერძოდ, ეს იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ სანოტარო ორგანოს მოეპოვება ცნობა, რომ მოწმობის მთხოვნელ პირთა გარდა, სხვა მემკვიდრეები არ არიან.

სამკვიდრო უფლების მოწმობა მიეცემათ მემკვიდრეებს, რომლემაც მიიღეს სამკვიდრო, ე.ი. მემკვიდრეებს, რომლებიც ფაქტობრივად ფლობენ და მართავენ სამკვიდროს ან შეიტანეს განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ. მოწმობის მისაღებად მემკვიდრეებმა უნდა წარადგინონ სამკვიდროზე უფლების დამადასტურებელი მტკიცებულებანი.

კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში სამკვიდრო მოწმობის გაცემისას, ნოტარიუსი ამოწმებს მამკვიდრებლის გარდაცვალების ფაქტს, სამკვიდროს გახსნის დროსა და ადგილს, მამკვიდრებელთან იმ პირების ნათესაურ ან სხვა ურთიერთობების არსებობას, რომლებმაც შეიტანეს განცხადება მოწმობის გაცემის თაობაზე, იმ ქონების შემადგენლობას, რომელზეც უნდა გაიცეს მოწმობა. ანდერძით მემკვიდრეობისას სამკვიდრო მოწმობის გაცემის დროს, გარდა მითითებულისა, ნოტარიუსი ამოწმებს ანდერძის არსებობას, არკვევს იმ პირთა წრეს, რომლებსაც უფლება აქვთ სავალდებულო წილზე და სხვა.

არასრულწლოვან და ქმედუუნარო მემკვიდრეთა სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ ნოტარიუსი ატყობინებს (უგზავნის მოწმობის ასლს) მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით.

სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებულ დავებს განიხილავს სასამართლო.

ბიზნესი და კანონმდებლობა

უმუშევრობისა და დასაქმების პრობლემები საქართველოში

უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის განუყოფელი მოვლენაა, რაც იმით აიხსნება, რომ დინამიურ საზოგადოებას ესაჭიროება სივრცე შრომის ბაზარზე. ასეთ სივრცედ, ეკონომისტები სამუშაო ძალის სიჭარბეს მიიჩნევდნენ და მიუთითებდნენ, რომ მისი გარკვეული დონით არსებობა სრულიად დასაშვებია სრული დასაქმების პირობებში. უმუშევრობა გლობალური ხასიათის პრობლემაა და აქტუალური თემაა საქართველოშიც. უმუშევრობა და დასაქმებიდან მიღებული მცირე შემოსავლები ქვეყანაში სიღარიბის განმაპირობებელი მთავარი ფაქტორებია. თანამედროვე საქართველოსთვის სიღარიბე ყველაზე დიდი სოციალური რისკი და მწვავე პრობლემაა.

საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების პირობებში სულ უფრო მეტად პრობლემატური ხდება უმუშევრობის ზრდა, დასაქმების სტრუქტურული და რეგიონული დისპროპორციების გაღრმავება, კვალიფიციური სამუშაო ძალის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადინება, მოსახლეობის რეალური შემოსავლების შემცირება. უმუშევრობის უარყოფითი შედეგი გამოიხატება წარმოების მასშტაბების შემცირებით, უმუშევრობის ფაქტობრივი დონის ერთი პროცენტით მატება იწვევს მშპ-ის 2.5%-ით შემცირებას. უმუშევრობის პირობებში თავს იჩენს ეკონომიკური არასტაბილურობის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ერთობლივი მოთხოვნის, დანაზოგების და ინვესტიციებზე მოთხოვნის შემცირება, ერთობლივი მიწოდების კლება, წარმოების დაცემა და სხვა. ასევე ქვეყანა კარგავს შემოსავალს, გადასახადის გადამხდელთა რიცხვის შემცირების გამო. განვითარებულ ქვეყნებში ხარჯი კიდევ უფრო იზრდება, ვინაიდან ხელისუფლებას მეტი უმუშევრობის კომპენსაციის გადახდა უწევს. უმუშევრობის შედეგების ანალიზისას არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი სოციალური შედეგები. უმუშევრობა საზოგადოებაში კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავებისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. სტატისტიკური მონაცემებით, ნარკომანიის, სხვადასხვა სახის კანონდარღვევების შემთხვევები, უმეტესად, სწორედ დაუსაქმებელ მოსახლეობაზე მოდის.

სოციალური უზრუნველყოფის პრობლემა საქართველოში უკვე ორი ათეული წელია, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნლოვანი საკითხია. წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევების მიხედვით ეს პრობლემა მუდამ შედიოდა საზოგადობისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხთა სამეულში. NDI-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით, ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ პრობლემად, ჩვენი მოქალაქეების 61%-ს დასაქმება, 39%-ს – ფასების ზრდა, 36%-ს – სიღარიბე მიაჩნია. (www.ndi.org)

ყოველი პოსტსაბჭოთა ქვეყნისადა, მათ შორის, საქართველოსთვის, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზე ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა სამუშაო ძალის ცენტრალიზებული განაწილების სისტემის გაუქმება და მისი შეცვლა სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილებით, უმუშევართა დახმარების ეფექტიანი სისტემის ფორმირება და დასაქმების აქტიური პოლიტიკის ღონისძიებების გატარება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახლადფორმირებული ქვეყნის ეკონომიკა, ფაქტობრივად პარალიზებული აღმოჩნდა, რადგან იგი პარტნიორებისა და გასაღების

ბაზრების გარეშე დარჩა. ჩვენი წარსული მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აწმყოს და შესაძლებელია განვიხილოთ მნიშვნელოვან არგუმენტად – თუ რატომ გვაქვს შედარებით მაღალი უმუშევრობა. მის განმაპირობებელ მთავარ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ, საბჭოთა დახურული სივრცე, სადაც არსებობდა პერსონალის ჭარბი დასაქმება, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ კი დასაქმებულთა დიდი ნაწილი უმუშევარი დატოვა.

საქსტატის მონაცემებით, ქვეყანაში უმუშევრობა 2010 წელს 16.3%-ს შეადგენდა. სხვადასხვა კვლევების, მათ შორის NDI-ის და IPI-ის მიერ ორგანიზებული კვლევების მონაცემებით კი დაახლოებით ორჯერ მეტია.



დიაგრამა№ 1

ამ განსხვავების მიზეზი აღრიცხვის მეთოდიკაა. თვითდასაქმებულებად, ითვლებიან პირები, რომლებიც საკვლევი კვირის განმავლობაში თუნდაც ერთი საათის განმავლობაში უსასყიდლოდ მუშაობდნენ საოჯახო მეურნეობაში.

უმუშევრობა თვითდასაქმებითაა შენიღბული, ხოლო თვითდასაქმებული ადამიანების რიცხვი იზრდება, დაქირავებულების კი მცირდება. ამის მიზეზი არასრულფასოვანი განათლებაა, ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, სადაც ფასეულობების გადასინჯვის შედეგად საბჭოთა განათლების მქონე სამუშაო ძალის უნარჩვევები "არასათანადო" აღმოჩნდა. ე.ი უმუშევრობის პრობლემა შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ ჩვენი შრომითი რესურსები არაკონკურენტუნარიანია.

საქართველოში მოსახლეობის ლტოლვა ზოგადად განათლებისა და, კერძოდ, უმაღლესი განათლებისაკენ ტრადიციულად მაღალია და, რიგ შემთხვევებში რაციონალურობის საზღვრებსაც სცილდება. თუმცა მოსახლეობის ლტოლვას უმაღლესი სასწავლებლებისაკენ საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ საქართველოში საზოგადოება კვლავ რჩება სოციალურ სტატუსზე ორიენტირებულად. შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი სკოლა, ფაქტობრივად, „დიპლომიან უმუშევრებს" ამზადებდა. სტუდენტების 2/3 დაუსწრებელი და საღამოს სწავლების ფორმით მზადდებოდა, შედეგად მივიღეთ განათლების ფალსიფიკაცია. საშუალო პროფესიული განათლება საქართველოში ძლიერ ჩამორჩა, არაპრესტიჟულია და გადაფარულია უმაღლესი განათლებით. 2010 წლის მონაცემებით, საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა სამუშაო ძალის განათლების დონის მიხედვით. ეს ნიშნავს, რომ განათლებული სამუშაო ძალა გამოუყენებელია და წვლილი ვერ შეაქვს მას ქვეყნის ეკონომიკაში.



დიაგრამა№ 2

უმუშევრობის დონემ 2004-2010 წლებში 4,3 %-ით მოიმატა. ამავე დროს, უმუშევრობის დონის მატება ძირითადად 2008 და 2010 წლებში მოხდა. ამის მიზეზი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და 2008 წლის აგვისტოს ომი იყო. ამის გამო, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მაჩვენებელი თუ 2004-2007 წლებში მაღალი იყო, 2008 წლიდან აღნიშნულმა მაჩვენებელმა რიგი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი კლება განიცადა. ინვესტიციების შემცირება კი ისეთ ქვეყანაში როგორიც საქართველოა, სადაც ეროვნული დანაზოგი თითქმის არ არსებობს კაპიტალდაბანდებათა განსახორციელებლად, მნიშვნელოვან უარყოფით შედეგებს იწვევს. უნდა ითქვას, რომ ინვესტიციების შემოდინება პირდაპირ კავშირშია უმუშევრობასთან. თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო ერთ სტაბილურ სამუშაო ადგილის შექმნაზე მინიმუმ 8772 ლარს ხარჯავს, ადვილად წარმოვიდგენთ უმუშევრობის პრობლემის მოგვარების სირთულეს.

უმუშევრობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, როგორც წესი მისი დონე ახალგაზრდებში მნიშვნელოვნად მაღალია, თუმცა, საქართველოს ამ მხრივ თავისი სპეციფიკა აქვს: 2003 წლის შემდეგ, ხელმძღვანელ თანამდებობებზე ახალგაზრდების მასობრივმა მოსვლამ გააჩინა ერთგვარი ეიჯიზმის სინდრომი – მკაფიოდ გამოხატული დისკრიმინაციული დამოკიდებულება საშუალო და უფროსი ასაკობრივი ჯგუფების მიმართ. ეს კარგად ჩანს დაქირავებით დასაქმებულთა ასაკობრივ დინამიკაში.



დიაგრამა№ 3

დღეს, როდესაც უმუშევრობა პიკს აღწევს, როდესაც ქვეყანას ჭირდება უფრო მეტი წარმოებული პროდუქტი და მომსახურება, როდესაც ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა საერთო ეროვნულ ამოცანად შეიძლება ჩაითვალოს — განსაკუთრებით მნიშვნლოვანი ხდება მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და განვითარება. მცირე ბიზნესი ადამიანების დასაქმების საუკეთესო საშუალებაა.

მცირე ბიზნესის წასახალისებლად საჭიროა, ყველასათვის ხელმისაწვდომი სესხების სახელმწიფო პროგრამების არსებობა. მცირე და საშუალო საწარმოებს უნდა შეეძლოს დაბალპროცენტიანი სესხის მიღება. მცირე ბიზნესისათვის, (თუნდაც საბანკო სექტორში) საპროცენტო განაკვეთები, რომელთაც პატარა მოცულობის სესხი ესაჭიროებათ უფრო ძვირია, ვიდრე მსხვილი სესხი. ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, პროდუქტის წარმოებაზე გაწეული ხარჯები მათთვის უფრო მაღალია, ვიდრე მსხვილი კომპანიისათვის, რაც აძნელებს კონკურენტულ ბაზარზე პოზიციის შენარჩუნებას. დღეს უამრავი მცირე მეწარმე ადვილად კოტრდება და კონკურენციას ვერ უწევს მსხვილ ბიზნესს ფინანსური, ტექნიკური თუ კვალიფიციური ადამიანური რესურსის დეფიციტის გამო. ეკონომისტები თანხმდებიან, რომ სამი მთავარი საკითხი ჭრის ბიზნესის განვითარების ამოცანას: მცირე მეწარმეობის წახალისება, სწავლება და დახმარება გაყიდვაში. თუ ხელისუფლება შეიმუშავებს მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ერთიან პროგრამას და ამ სამ კომპონენტზე ააგებს, მას შეუძლია უკვე 3-5 წელიწადში მიიღოს 200 000-მდე მცირე საწარმო, რომლებიც ერთობლივი პროდუქტის მინიმუმ 25-30%-ს შექმნის. ე.ი სახელმწიფომ ბიზნესის კეთების მარტივი გარემო და პირობები უნდა შექმნას, რომ ადამიანებმა საკუთარ შემოსავალზე დამოუკიდებლად იზრუნონ და გაზრდილი მაჩვენებლები მხოლოდ გაუმჯობესებულ სტატისტიკურ

მონაცემებად არ დარჩეს.

აღსანიშნავია, რომ პირველად, 2007 წლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის, სფეროში მშპ-ს რეალურმა ზრდამ 4,9% შეადგინა. მიუხედავად აღნიშნული ზრდის ტენდენციისა ქვეყანაში კვლავ მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა. ამიტომაც არის, რომ საქართველოს რეიტინგები საერთო ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მაჩვენებლით საკმაოდ ჩამორჩება სომხეთსა და აზერბაიჯანს.



დიაგრამა№ 4

როგორც ვხედავთ, სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მშპ-ში საკმაოდ მცირეა არადა, მოსახლეობის 53% სოფლად ცხოვრობს, ხოლო საქსტატის მონაცემებით სოფლის მეურნეობაში 48% დასაქმებულია. მოსახლეობის 35%-ის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც ქვეყანაში უნდა გატარდეს – სოფლის მეურნობის რეფორმაა.

უმუშევრობის დაძლევის ერთ-ერთი გზა სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდაა. ამ მიზანს ემსახურება ახალი ჯიშების შემოტანა, მექანიზაციის და ირიგაციის პროგრამები და სხვა. რეალურად, ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის დაბალი დონის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი მცირე მიწიანობაა. დღევანდელი მდგომარეობით, სოფლად მცხოვრებ ერთ ოჯახზე საშუალოდ 1 ჰექტარი მიწა მოდის. ასეთ მცირე ფართობზე მიღებული მოსავლის თვითღირებულება ბევრად უფრო მაღალია და კონკურენციას ვერ უძლებს არა მხოლოს საგარეო, არამედ შიდა ბაზარზეც.

საქართველოს არ აქვს საშუალება კონკურენცია გაუწიოს, მაგ: უკრაინას ხორბლის ან სიმინდის წარმოებაში, პოლონეთს — ვაშლის წარმოებაში და ა.შ. რადგან ამ ქვეყნებს დიდი მასშტაბები აძლევს საშუალებას, პროდუქტის თვითღირებულება მინიმუმამდე დაიყვანონ. თუმცა, საქართველოს, მისი უნიკალური ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, აქვს პერსპექტივა გახდეს ბიოპროდუქტის მწარმოებელი და კონკურენტუნარიანი ექსპორტიორი. ეკოპროდუქტის წარმოება თანამედროვე გამოწვევაა, მოთხოვნა ასეთ პროდუქტზე მსოფლიოს მასშტაბით სწრაფად იზრდება. განსაკუთრებით აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა გაცილებით მაღალია, ბიოპროდუქცია კი მაღალი თვითღირებულებით და მაღალი სარეალიზაციო ფასით გამოირჩევა. ექსპერტების აზრით, მცირე ქვეყნებს, ასევე საქართველოს განსაკუთრებული შესაძლებლობა აქვთ

ბიომეურნეობების განვითარებისა და კონკურენტუნარიანი პოზიციების დაკავებისა.

საგანგაშოა, ასევე, მიგრაციის პრობლემა, რომლის ძირითადი მიზეზი ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-

ეკონომიკური მდგომარეობა და პოლიტიკური არასტაბილურობა იყო. რაც ხელს უწყობს უმუშევართა რაოდენობის ზრდას და იწვევს შრომით მიგრაციას. მიგრაციის გააქტიურების ფონზე მნიშვნელოვანია ახალგაზრდების მონაწილეობის მაღალი მაჩვენებელი ამ პროცესში, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმდინარეობს ,,ტვინების გადინება". უკანასკნელი მონაცემებით, ქვეყნიდან გასულია მოსახლეობის 20%. ადამიანური კაპიტალის მასობრივმა გადინებამ, გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლოა სავალალო სოციალურ-ეკონომიკური შედეგი მოგვიტანოს. მცირე პერიოდში საქართველოს მოქალაქეები თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის შრომის ბაზარზე გამოჩნდნენ და იქ იღებენ მონაწილეობას ეროვნული სიმდიდრის შექმნაში.

თანამედროვე მსოფლიოში დასაქმების სფეროში მდგომარობის დასარეგულირებლად სახელმწიფოები გარკვეულ პოლიტიკას ატარებენ, რომლის მიზანია ისეთი საკითხების მოგვარება, როგორებიცაა: ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და მონაცემთა ბაზის შექმნა; პროფესიული გადამზადების სახელმწიფო პროგრამების განხორციელება და სხვა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ხელისუფლების მიერ 2008 წელს ინიცირებული დასაქმების პროგრამა. დასაქმების პროგრამის ფარგლებში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის გადამზადების ისეთი მექანიზმი, რომელიც მათ გრძელვადიანი დასაქმების საშუალებას მისცემს. აუცილებელია სწორად შეირჩეს სპეციალობები, რათა კურსდამთავრებულები ფლობდნენ შრომის ბაზრის მოთხოვნის ადეკვატურ უნარ-ჩვევებს. მართალია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის სრული შესაბამისობის მიღწევა ეკონომიკის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებთან, მაგრამ მიღებული განათლება შრომითი მოწყობისა და სრულფასოვანი ცხოვრების გარანტიას უნდა იძლეოდეს.

მარიამ მატიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
III კურსის სტუდენტი

ლიტერატურა:
თსუ-ს შრომის ეკონომიკის კათედრა შრომის ეკონომიკა თბილისი. 2009
მაკროეკონომიკა ლექციების კურსი თბილისი. 2011
www.geostat.ge; www.ndi.org; www.economy.ge

SUMMARY
Matiashvili Mariami
Students of the III course of the Faculty of Economy and Business
I.Javakhishvili Tbilisi State University
Head: Professor Manana Lobzhanidze
THE PROBLEMS OF EMPLOYMENT AND UNEMPOYMENT IN GEORGIA
The article briefly discusses Unemployment . It's an integral event of a market economy and certain level of it may be exist in full employment . unemployment is widely regarded as a major social and economic global problem. Unemployment and the low income are cause of poverty in the country it's substantial social risk for the modern Georgia .
Nowadays unemployment reached its peak , we need more manufactured products and services and It's especially important to support small business development. In a country where more than half of population lives in rural areas, the way to tackle unemployment is to Increase Agricultural Productivity.

რა ემართება და რა ჰმართებს ქართულ სოფელს

„ჯერითვეოლობის ძალა ძვეოლის-ძვეო ლხრომდე მიწის შემოშვება, მეურნეობაა, ხვენი ძალა იმთავითვე ცოთვეოლი იყო."

ილია ჭავჭავაძე

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა", თებერვალი 2012წ.)

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა ძირითადად ორი ფორმით ხდება. შევჩერდები მხოლოდ ერთზე – ფუნქციონალური ჩარევის ფორმაზე, რომელიც ფაქტობრივად გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ პრობლემის გადასაწყვეტად ხელსაყრელი პირობების შექმნას.

სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი იდეაა გლეხკაცის მიწასთან მარადიული ურთიერთობა, ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფა, სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-კულტურული განსხვავებების შემცირება.

სოფლის მეურნეობისადმი დიდი ყურადღება განვითარებულ ქვეყნებში რამდენიმე მოსაზრებითაა განპირობებული:

• სურსათით თვითუზრუნველყოფა უსაფრთხოებისა და მდგრადობის გარანტიაა

• მოსახლეობის ტრადიციული საქმიანობა სოფლად ქვეყნის რეკრეაციული და სოციალური ფასეულობების შენარჩუნებას ნიშნავს

• სასოფლო-სამეურნეო წარმოება ეროვნული იდენტურობისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ელემენტია

• განვითარებული სოფლის მეურნეობის მნიშვნელობას აძლიერებს სურსათზე ფასების ზრდის პერსპექტივა.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობასთან მჭიდროდ დაკავშირებული სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის განვითარების საჭიროება. ამიტომ, ერთიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან ერთად დასავლეთში მოქმედებს სოფლის განვითარების პოლიტიკა. სოფლის განვითარება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სოფლის მეურნეობის განვითარება. მისი მიზანია სოფლის მოსახლეობის სოციალური სტატუსის გათანაბრება ქალაქის მოსახლეობასთან, რასაც სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ეკონომიკურად დაწინაურებული ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს, რომ რთული სიტუაციის დასაძლევად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის იდეოლოგიურ (სიმართლის თქმა) უზრუნველყოფას, რაშიც სახელმწიფოსთან ერთად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ აკადემიურმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სასულიერო პირებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, ინფორმაციის მასობრივმა საშუალებებმა (სატელევიზიო პროექტები "იმედის გმირები" და „ჩვენი ფერმა", საკმარისი არ არის). საქართველოს მოსახლეობას ყოველდღიურად უნდა შთავაგონოთ, რომ მას სხვების დაუხმარებლად, საკუთარი შრომით შეუძლია მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის აშენება, ღირსეულად ცხოვრება.

უნდა ვაღიაროთ, რომ თანამედროვე ეტაპზე ყველაზე დიდი დეფიციტი, რაც საქართველოში შეინიშნება, ცოდნის დეფიციტია. მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ წვრილგლეხური მეურნეობების პირობებში სოფლად სწავლება – კონსულტირება, დანერგვის სისტემის ორგანიზება უპირატესად სახელმწიფოს ხელეწიფება და მისი მთლიანი კომერციალიზაცია დიდი შეცდომა იქნება. საქართველოს კვლევით სისტემას ევროპულისგან (და, საერთოდ, მსოფლიოსგან) ორი გარემოება ანსხვავებს: ა)სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ მონაწილეობს კვლევის დაგეგმვაში, დაფინანსებაში და შედეგების გამოყენებაში. მას არ გააჩნია არც ერთი კვლევითი ორგანიზაცია. ევროპული სტანდარტების თანახმად ეს სრულყოფილი სამინისტრო არაა — სამინისტრო კვლევაზე უნდა იყოს დაფუძნებული; ბ) კვლევითი სისტემა არ შედგება იურიდიული პირებისგან.

აგრარული მეცნიერება მისი არსებობა-არარსებობის საკითხი საქართველოში ერთი უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული (აგრეთვე, უნივერსიტეტის კერძო მფლობელზე). ეს უკანასკნელი გარემოება მას შემდეგ წარმოიქმნა, როცა 2010 წლის ბოლოს კვლევით ორგანიზაციებს

მთავრობამ ჩამოართვა იურიდიული პირების სტატუსი და განყოფილებების უფლებებით შეიყვანა უნივერსიტეტებში. სასოფლო-სამეურნეო კვლევითი სისტემის ამგვარი ორგანიზება ქვეყნის მიმართ დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. ევროპული (და მსოფლიო) პრაქტიკა ასეთ ვითარებას არ იცნობს, რადგან მათი აზრით: „სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დამყარებული ინდუსტრიაა."

კრედიტის ხელმისაწვდომობის აუცილებლობა სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობითაა განპირობებული. მისი მიღწევა შესაძლებელია აგროსაკრედიტო (ურთიერთდახმარების, კოოპერაციული ტიპის) სპეციალიზებული სისტემის შექმნით, რომლის საწესდებო კაპიტალის ფორმირებაში სახელმწიფოსთან ერთად კერძო სექტორიც მიიღებს მონაწილეობას. მიზანშეწონილია სოფლის მეურნეობის განვითარების, თემის სამეწარმეო მობილიზაციის, საგირავნო და საგარანტიო ფონდების შექმნა. ეფექტიანია სახელმწიფო ბიუჯეტში კრედიტის პროცენტის სუბსიდირებისთვის თანხის გათვალისწინება, რომელიც რომელიმე სახეობის პროდუქციის წარმოებაზე იქნება მიმართული. ასევე ხელსაყრელია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რესურსების გამოყენება, რომლის ჩამოყალიბებაში სახელმწიფომაც უნდა მიიღოს მონაწილეობა. მიკროკრედიტების გაცემისას მიზანშეწონილია გირაოს ნაცვლად კოლექტიური პასუხისმგებლობის გამოყენება.

სახელმწიფომ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სასოფლო– სამეურნეო დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებაში არა მარტო ფინანსური მონაწილეობით, არამედ, საწყის ეტაპზე, დასაზღვევი პროდუქციის სახეობისა და რაოდენობის განსაზღვრაში. ამ ტიპის დაზღვევა სავალდებულო უნდა იყოს.

რომელიმე სახეობის პროდუქციის წარმოებაზე დასპეციალიზების, შემოსავლების გაზრდისა და კორპორატიული საკუთრების განვითარების ყველაზე კარგ ფორმად მიჩნეული უნდა იქნეს თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი მცირე და საშუალო ზომის გადამმუშავებელი აგროწარმოებასთან ინტეგრირებული საწარმოების ჩამოყალიბება. გლეხებზე, მათ გაერთიანებებზე დანადგარ-მოწყობილობების მიწოდება უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხარდაჭერით ჩამოყალიბებული სალიზინგო კომპანიების მიერ.

საქართველოს უდავოდ შეუძლია, კოოპერაციულ საწყისებზე მოახდინოს სასოფლო მოსახლეობის სამეწარმეო აქტივობის მობილიზაცია და არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან ტექნიკურ-ტექნოლოგიურად დაკავშირებული დარგების სწრაფი რეაბილიტაციაც და შემდგომი განვითარება. სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას, ავტომატურად მოსდევს სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება და სოფლის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება. ესაა ცნების „ჯანსაღი საშუალო ფენა" რეალური შინაარსი.

სოფლად შემოსავლების ზრდისა და ქალაქთან გათანაბრებული ცხოვრების პირობების შესაქმნელად დემოკრატიული ეროვნული მთავრობები რამდენიმე დებულებით ხელმძღვანელობენ:

• გარემოს დაცვა/შენარჩუნება და მასთან დაკავშირებული ტურიზმის განვითარება სოფლად დასაქმებისა და შემოსავლის პოტენციალს შეიცავს;

• კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა ეროვნული იდენტურობის შენარჩუნებასა და ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს;

• სოფლად ტელეკომუნიკაციის, ტრანსპორტის, ენერგიითა და წყლით მომარაგება აუცილებელია სოფლად მოსახლეობის შესანარჩუნებლად და ტურიზმის გასავითარებლად

• ინფორმაციისა და განათლების ხელმისაწვდომობა და, ფართოდ, საინფორმაციო საზოგადოების განვითარება სოფლად, ქალაქთან გათანაბრების აუცილებელი პირობაა;

• სოფლად პროდუქციის სამრეწველო გადამუშავების გაზრდა და ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისება სამუშაო ადგილების ზრდას უზრუნველყოფს.

ჩამოთვლილი დებულებები სრულად პასუხობენ "ლისაბონის სტრატეგიისა" და "ევროპა - 2020-ს" 5 მოთხოვნას ეკონომიკური "ზრდისა და მეტი, უკეთესი, სამუშაო ადგილის შექმნის შესახებ".

სახელმწიფომ უნდა შეასრულოს წამყვანი

როლი თესლისა და ნერგის, სანაშენე პირუტყვის წარმოების საქმეში. კერძო სექტორი ამ სეგმენტში თანდათან, მკაცრი პირობების დაკმაყოფილების კვალობაზე უნდა ჩაერთოს.

საქართველოში გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ სახელმწიფო (საჯარო) აგრარული სერვისცენტრების ჩამოყალიბება, სადაც ტექნიკით მომსახურებასთან ერთად, გლეხებს საშუალება ექნებათ მიიღონ ინფორმაცია მათთვის საჭირო საკითხზე. მომსახურების დაბალი ტარიფების შესანარჩუნებლად სერვისცენტრებს უნდა გადაეცეთ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწის ფართობები პროდუქციის საწარმოებლად და საჩვენებელ მეურნეობათა მოსაწყობად. გადასახედია სახელმწიფო სტრატეგია სარწყავი და დამშრობი სისტემების განსახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საბაზრო მექანიზმების გამოყენებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა, რომელიც წარმოებისა და რეალიზაციის მთელ ჯაჭვში ინტეგრატორის

როლს შეასრულებს. გარანტირებული შესყიდვა უზრუნველყოფს პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებას, აგრარულ წარმოებაში მომსახურების სფეროს სრულ ჩართვას. ასევე აუცილებელია სახელმწიფო (ნახევრად კომერციული) მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახურების შექმნა, რადგან ისინი აწესრიგებენ სასურსათო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობას, რათა საბაზრო ფასები დროის ყველა მომენტში წონასწორობასთან ახლოს იყოს. საქართველომ უნდა შექმნას ერთი ან რამდენიმე მარეგულირებელი სამსახური – ამ ეტაპზე მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების სფეროში.[1]

სამრეწველო წარმოშობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების დარეგულირების, სურსათზე ფასების ზრდის ტენდენციის შეჩერების საუკეთესო საშუალებას საწვავისა და ძირითადი სასურსათო პროდუქტების მარაგების შექმნა წარმოადგენს, რომლის სასარგებლოდ მრავალი ქვეყნის გამოცდილება მეტყველებს.

მიუხედავად საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფისა, სოფლის მეურნეობისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ხარჯებისა და რისკების გამო, გადასახადები მაინც დარგის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად განიხილება. აქედან გამომდინარე, ახლადშექმნილი მცირე და საშუალო საწარმოები უნდა გათავისუფლდენ ყველა სახეობის გადასახადისაგან, გარდა საშემოსავლოსი.

რუსეთის მიერ გამოცხადებული ემბარგოს პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის ქვეყნების ბაზარზე პროდუქციის გატანას, მათ მიერ დადგენილი პირობების გათვალისწინებით. რამდენადაც ამ პირობების შესრულება ყველა მეწარმეს არ შეუძლია, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს გლეხური მეურნეობების იდენტიფიკაცია და ყველაზე სიცოცხლისუნარიან ჯგუფს აღმოუჩინოს დახმარება პროდუქციის წარმოების კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებაში. პრაქტიკაში თანდათანობით უნდა დაინერგოს საწარმოებისთვის ხარისხის საერთაშორისო სერთიფიკატის მინიჭების წესი.

ეროვნული ბაზრის დაცვის მიზნით, საქარათველომ უნდა გამოიყენოს ყველა ის ბერკეტი და მექანიზმი, რომელიც მას როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყანას გააჩნია (უპირველესად მხედველობაში მაქვს ე.წ. დამცავი ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება ისეთი სწრაფმზარდი იმპორტის მიმართ, რომელიც ზარალს აყენებს ადგილობრივ მწარმოებელს ან ქმნის ასეთი ზარალის მიყენების საფრთხეს, სეზონური ფასები და სხვა).[2] ასევე, მთელი ყურადღება გადატანილი უნდა იქნეს ადგილზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებაზე, პროდუქციის ვარგისიანობის სისტემურ შემოწმებასა და მიღებული შედეგების სისტემატურ გამოქვეყნებაზე.

---

1 იხილეთ პ. კოღუაშვილისა და თ. კუნჭულიას ნაშრომი „სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი აგრ-სასურსათო სექტორში," სსმმა „მოამბე," ტ. 29, 2011

2 იხილეთ პ. კოღუაშვილისა და გ. ზიბზიბაძის ნაშრომი – ვმო-ს „რაუნდები" და საქართველოს სატარიფო პოლიტიკა. **„ბიზნესი და კანონმდებლობა," №6, 2010, 33-38** გვ.

ვფიქრობ, საქართველოს მთავრობამ უნდა მიიღოს აგრარული პოლიტიკის ახალი სტრატეგია სწორად განსაზღვრული პრიორიტეტებით, რომელშიც არა უბრალოდ აგრარული, არამედ უფრო ფართო, – სოფლის კომპლექსური განვითარების პოლიტიკა იგულისხმება, ანუ შეახამოს ერთმანეთთან აგრარული, სოციალური და ყოფითი პრობლემების კომპლექსურად გადაჭრა. ამასთან ერთად, შეიმუშაოს აგროსასურსათო სექტორის განვითარების ხელშემწყობი და მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, რომელშიც პრაქტიკულად მოიაზრება ეკონომიკური მექანიზმის ყველა ელემენტის გააქტიურება.

სოფლის მეურნეობაში და მასთან დაკავშირებულ დარგებში სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით უნდა გააქტიურდეს საინვესტიციო პროცესები, ინოვაციური და მეცნიერულ-ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვა.

არსებითია, რომ ხელი შეეწყოს სახელმწიფოს გადაქცევას სოფლის მეურნეობის პროდუქციის არა მარტო მთავარ დამკვეთად, არამედ მთავარ მყიდველად და გამანაწილებლად, იმ შემთხვევაში, თუ საჭირო იქნება ბაზარზე მდგომარეობის სტაბილიზაცია.

საქართველოს წინაშე დღეს უკვე არსებული გლობალური გამოწვევები და მათი დაძლევის ობიექტური აუცილებლობის ამოცანები, რეალურად მოითხოვს, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის გადახედვას (პრიორიტეტული დარგებისა და კულტურების განსაზღვრა. სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი დაეთმობა სასურსათო ბალანსის ფორმირებისთვის საჭირო პროდუქტების წარმოებას. მრავალწლიანმა ნარგავებმა ძირითადად უნდა დაიკავოს მისთვის ტრადიციულად განკუთვნილი შედარებით მაღლობი ადგილები (სამხრეთის დაქანების ფერდობები), ხოლო ბარი დაეთმოს მარცვლოვნებს და სხვა ერთწლიან კულტურებს). ასევე თითოეული დარგის საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის დადგენას და გამოყენების სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრას. გასაგებია, რომ დღეს არსებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის მოდერნიზაცია შედარებითი უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ ამ მიმართულებით მოძრაობის დაწყება, მეტად საჭირო და გარდაუვალი აუცილებლობაა. დღეს საქართველოს არა იმდენად იმის ცოდნა სჭირდება, რომელ რაიონსა თუ მხარეში სასოფლო-სამეურნეო წარმოების როგორი სპეციალიზაცია უნდა ჰქონდეს, არამედ იმისა, სად როგორი უნდა იყოს ის მუდმივად ცვლად საბაზრო გარემოში. ბუნებაში მუდმივი არაფერია და ერთხელ დადგენილი სპეციალიზაციაც ვერ იქნება მუდმივი, მით უფრო, თუ მას ქვეყნის მასშტაბით საბჭოთა პერიოდში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგების საქონლიანობის დონე უდევს საფუძვლად.

რაც შეეხება დარგობრივ პრიორიტეტებს, აქ უპირველესად ყურადღება უნდა მიექცეს იმპორტჩანაცვლებადი და ძირითადი სასურსათო პროდუქტების წარმოებას (რისთვისაც შესამუშავებელია სპეციალური სახელმწიფო პროგრამები). მათ შორისაა: მარცვლეული (ხორბალი, სიმინდი, ქერი, შვრია, ჭვავი. შესაბამისი აგროტექნიკისა (მ.შ. მაღალი რეპროდუქციის თესლი) და ტექნოლოგიის პირობებში პირველ ეტაპზე (280000-300000 ჰა-ზე) შეიძლება ვაწარმოოთ 1,0–1,1 მლნ ტონა მარცვლეული, ხოლო მეორე ეტაპზე (370000-380000 ჰა-ზე) 1,4–1,5 მლნ ტონა, მ.შ. ხორბალი მოთხოვნილების 65-70%-ის ფარგლებში. მიწათმოქმედების ინსტიტუტის ტექნოლოგიურ რუკებზე დაყრდნობით შესრულებულმა გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ საქართველოში წარმოებული 1 ტონა ხორბალის ღირებულება 50 აშშ დოლარით ნაკლები იქნება დღეისთვის ქვეყანაში იმპორტირებულ ხორბალის ფასთან შედარებით,[3] მეცხოველეობა და მისი პროდუქცია, ზეთოვანი კულტურები (მზესუმზირა – 15000 ჰა, სიმინდი, სოია – 14000 ჰა). ასევე: ხეხილი ყველა სახეობის – 60000 ჰა, ციტრუსი –10000 ჰა, თხილი და კაკალი – 15000 ჰა, ვაზი – 60000 ჰა, ჩაი – 15000 ჰა, ბოსტნეული (თითქმის ყველა რაიონში) – 30000 ჰა, ბაღჩეული – 4000 ჰა, კარტოფილი – 20000 ჰა, შაქრის ჭარხალი – 3000 ჰა, კენკროვნები, ეთერზეთები, დაფნა – 10000 ჰა, სტევია (300 ჰა), ტუნგო, ევკალიპტი, აბრეშუმის პარკი, თაფლი (შეიძლება ვიყოლიოთ 600000 სკა) და მათი გადამუშავების პროდუქტები.

საქართველოს ძირითადად ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქციით შეუძლია შეაღწიოს და დამკვიდრდეს ევროპულ ბაზარზე. მან მისი მცირემიწიანობიდან გამომდინარე, აქცენტი უნდა გააკეთოს არა წარმოების მასშტაბსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, არამედ პროდუქციის უსაფრთხოებასა და

---

3 იხილეთ პ. კოღუაშვილისა და გ. ზიბზიბაძის ნაშრომი – „საქართველოს ქმედუნარიანი აგრარული პოლიტიკა ესაჭიროება“. საქართველოს ეკონომიკა, №5, 2008. 44-49 გვ.

ხარისხობრივ მახასიათებლებზე რისთვისაც ხელი უნდა შეეწყოს ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქციის წარმოების განვითარებას, რომლის საწარმოო ბაზა ქვეყნის მთელი მთიანეთია.

საქართველოს მთასა და მთისწინეთში მეცხოველეობის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სასიცოცხლო არტერიის – მთიანეთის აღორძინებისა და თავდაცვის უპირველესი პირობა იქნება. მეცხოველეობის საკვები ბაზისა და ჯოგის სტრუქტურის გაუმჯობესებისცგათვალისწინებით, ქვეყანაში შეიძლება ვიყოლიოთ 1,5–1,6 მლნ სული მრპ., ცხვარი და თხა – ზაფხულში 2,0 მლნ, ხოლო ზამთარში 1 მლნ სული. აქვე უნდა ითქვას, მატყლიის დამზადებისა და მისი პროდუქციის წარმოების (მ.შ.ხალხური რეწვის) ხელშეწყობის შესახებ, რომლის გარეშე მეცხვა- რეობის განვითარებაზე საუბარი მეტად რთული იქნება.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ისეთი სწრაფმწიფადი და მაღალი უკუგების დარგები, როგორიცაა მეფრინველეობა (შეიძლება ვიყოლიოთ 20 მლნ ფრთა და ვაწარმოოთ 1,350 მლნ. ცალი კვერცხი) და მეთევზეობა (სატბორე მეურნეობათა შესაძლებლობის გათვალისწინებით, თავისუფლად შეიძლება ვრეწოთ 75–80 ათასი ტონა ნედლი თევზი). აქ ყველა რეზერვია საკუთარი წარმოების პროდუქციით მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის.

დასასრულ, უფრო მეტად ვიდრე ეს აქამდე იყო შესაძლებელი, აუცილებელია საქართველოს აგრარული მეურნეობის გაუმჯობესება და განთავისუფლება ზედმეტი ხარჯებისგან. ჩვენ ჯერ კიდევ შემოგვაქვს საჭირო საკვები პროდუქტების თითქმის 80% და თუ საქართველოს ეკონომიკას სურს მიაღწიოს გაწონასწორებულ სავაჭრო ბალანსს, უნდა მნიშვნელოვნად გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რათა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შემცირდეს სურსათისათვის ვალუტის ზედმეტი ხარჯვა. ამ ბოლო ხანს საქართველოში გამოიკვეთა ერთი მეტად შემაშფოთებელი ტენდენცია, რადაც უნდა დაგვიჯდეს მოვიპოვოთ, რაც შეიძლება მეტი ვალუტა. ასეთი სტრატეგია იმთავითვე მცდარია. ვალუტის მოპოვება ყველა ნორმალური ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის ე.წ. მეორადი ამოცანაა და ასეც უნდა იყოს. თუ გვსურს რაიმე არსებითს მივაღწიოთ. ყველაზე არსებითი ის არის, რომ ავტონომიურ რეჟიმში ფუნქციონერებადი ქვეყნის ეკონომიკაც და მათ შორის სოფლის მეურნეობაც ისე უნდა წარიმართოს, რომ იგი უპირველეს ყოვლისა, საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის ყველა რგოლი მოვალეა განუხრელად ასრულებდეს მას.

დაბოლოს, ისევ ერის მოძღვარს ილია ჭავჭავაძეს მოვუსმინოთ: „მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავისი ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელ საჭიროებას დღემუდამ ჰგრძნობდეს, და მეორეს გზით — მზად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, საცა კერძო პირთა შეძლება ვერ გაწვდება.“

საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების კონცეპტუალური ხედვის სისტემა

I. აგროსექტორში შექმნილი თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი

1.1 არსებული მდგომარეობის სიტუაციური ანალიზი და შეფასება

1.2 1992-1997 წლებში ჩატარებული აგრარული რეფორმის შედეგები

1.3 აგროსექტორის განვითარების ძირითადი საწარმოო, ტექნიკური და ეკონომიკური პრობლემები

1.4 ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გამოყენების მდგომარეობა ეროვნული ბაზრის დაცვის სფეროში

II. აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიზნები და ამოცანები

2.1 სასურსათო ბაზრის მაქსიმალური უზრუნველყოფა ადგილობრივი წარმოების, მომხმარებლისთვის უვნებელი და ხარისხიანი პროდუქციით

2.2 სურსათის საჭირო მარაგების შექმნა მსოფლიო ბაზარზე მოსალოდნელი კრიზისული სიტუაციების გათვალისწინებით

2.3 მიწის რეფორმის დროული დასრულება და მიწის სრულყოფილი ბაზრის ფორმირება

2.4 სოფლად საქონელმწარმოებელთა შემოსავლების სტაბილური ზრდა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა

2.5 სოფლად საქონელმწარმოებელთა კონსოლიდაცია-კოოპერირება და გადამმუშავებელ საწარმოებთან ჰორიზონტალური (I ეტაპზე) და ვერტიკალური (II ეტაპზე) ინტეგრაცია

III. დარგობრივი პრიორიტეტები და მიმართულებები

3.1 აგრარული სექტორის ქვედარგებში ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრა

3.2 სურსათით თვითუზრუნველყოფაზე (იმპორტჩანაცვლებაზე) და ექსპორტზე ორიენტირებული მიწათმოქმედების და მეცხოველეობის დარგების განვითარებისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა

(მელიორაცია, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგება, კომუნიკაციები და სხვა საწარმოო თუ არა საწარმოო დანიშნულების ინფრასტრუქტურის შექმნის საფუძველზე)

3.3 სახელმწიფო ხარჯების გადიდება სამეცნიერო, სასელექციო, სანაშენე, ნიადაგის დაცვის, ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვის და სხვა საჭირო სფეროებში

IV აგროსექტორის საბაზრო რეგულირება და მართვის სისტემა

4.1 აგროსექტორის ადგილი და როლი ქვეყნის ერთიან მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში

4.2 ბაზრის დაცვა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წინაშე არებული ვალდებულებების გათვალისწინებით. ბაზრის სტაბილურობის მიღწევა, კონკურენტული გარემოს ფორმირება და შენარჩუნება

4.3 საქონლის მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით ბაზარზე სახელმწიფო ჩამრევი სამსახურების ფორმირება, ამ მიმართულებით სხვა ქვეყნებში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით

V. საინვესტიციო, საკადრო და ინოვაციური პოლიტიკა

5.1 რეგიონებზე და სექტორებზე ინვესტიციების განაწილების ორიენტირება აგრარულ სექტორზე, საერთო ინვესტიციებში აგრარული სექტორისათვის შესაბამისი ქვოტის განსაზღვრით

5.2 კვლევა-განათლებისა და ინოვაციების ევროპული მოდელის დანერგვა

5.3 ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებზე ორიენტირებული აგრარული სფეროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების აღდგენა ოპტიმიზაციის მოთხოვნების გათვალისწინებით

5.4 უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის კადრების მომზადება-გადამზადება წარმოების, მეცნიერებისა და განათლების რაციონალური შერწყმის საფუძველზე

5.5 აგროსექტორში ინოვაციური პროცესების და პროდუქტების ათვისების, ასევე მწარმოებლურობის ამაღლების მიზნით ადგილებზე კლასტერების, ტექნოპარკებისა და წარმოების სხვა ინტეგრირებული– ორგანიზაციული ფორმების დანერგვისათვის ხელშეწყობა

VI. ინსტიტუციონალური პოლიტიკა აგრარულ სექტორში

6.1 ახალი ტექნოლოგიების კვლევა-დანერგვის-სწავლებისა და კონსულტირების სისტემის ორგანიზაციული ფორმების შერჩევა და დანერგვა

6.2 აგროსექტორის განვითარებისთვის ადექვატური ინსტიტუტების (სტრუქტურების) ფორმირება

6.3 სექტორის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა (მელიორაცია, ლოჯისტიკა, მარცვლეულის და სხვა პროდუქტების საცავები, ტრანსპორტი, მარკეტინგი, შეღავათიანი საკრედიტო, საგადასახადო და სადაზღვევო გარემოს ფორმირება, სახელმწიფო შეკვეთების, მიწის დაცვის, მიწაზე მონიტორინგის შესაბამისი სტრუქტურის, პროგნოზირების(წინასწარი გაფრთხილების) და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მასტიმულირებელი სხვა სამსახურების ფორმირება)

6.4 მართვის თვალსაზრისით ეკონომიკურად ყველაზე უფრო მისაღები მეურნეობის (ფერმის) ოპტიმალური ზომის განსაზღვრა აგროსექტორის დარგების მიხედვით

6.5 სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეორგანიზაცია და ახალი სტრუქტურის ორიენტირება ძირითადად პროგრამულ დაფინანსებაზე. ადგილებზე შესაბამისი სტრუქტურის (3-4შტატით) ფორმირება აგრარული პოლიტიკით დასახული ამოცანების რეალიზაციის მიზნით

VII. აგროსექტორის განვითარების რეგიონული პოლიტიკა

7.1 ქვეყნის მხარეების ჭრილში ცალკეული პრიორიტეტული დარგების მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და განხორციელება

7.2 მთიან, აგრეთვე დეპრესიულ რაიონებში აგროსექტორის, აგრეთვე წარმოებისა და მომსახურების სხვადასხვა დარგების განვითარების მხარდამჭერი პროგრამების განხორციელება

7.3 გლობალური დათბობისა და სხვა მიმდინარე გამოწვევების გათვალისწინებით აგრარული სექტორის განვითარებაში ადექვატური კორექტივების შეტანა

7.4 კლიმატის ცვლილების ზეგავლენის ანალიზი აგროპროდუქციის წარმოებაზე ქვეყნის აგროკლიმატურ და მიკროკლიმატური ზონებში

7.5 შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციასა, დარგთა და კულტურათა გაადგილებაში

VIII აგროსექტორის განვითარების საკანონმდებლო უზრუნველყოფა

8.1 ნორმატიული აქტების შემუშავება:

– „საქართველოს სასურსათო უშიშროების შესახებ“;

– „სოფლის სტატუსის შესახებ“;

– „სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის შესახებ“;

– „მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის დაცვისა და მდგრადი განვითარე ბის შესახებ“;

– „მიწათმოქმედის სტატუსის შესახებ;“

–„სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ“;

– „სასოფლო-სამეურნეო მიწის კონსოლიდაციის შესახებ“;

– „აგრონედლეულისა და მისი აღწარმოებისათვის საჭირო საქონელზე (მომსახურებაზე) ფასების პარიტეტის დაცვის შესახებ“;

– „აგროსექტორში გამოყენებული მანქანა—მოწყობილობების, აგრეთვე აგრარული პროდუქციის აღწარმოებისთვის საჭირო სათესლე და სანაშენე საშუალებათა საბაჟო გადასახადისა და დღგ-გან გათავისუფლების შესახებ” და სხვა, რომლებმაც უნდა შექმნას საკანონმდებლო ბაზა ქვეყანაში აგროწარმოების აღორძინებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

IX. საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა

9.1 საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა ამ კონტექსტში ძირითადად გულისხმობს აგროსექტორში საგარეო ვაჭრობის პოლიტიკას, რომელიც განხორციელდება როგორც სახელმწიფო, ასევე ცალკეული საწარმოთა და კერძო სტრუქტურების დონეზე

9.2 საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები დაეფუძნება საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე სხვადასხვა ქვეყნებთან დადებულ შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს

9.3 მჭიდრო თანამშრომლობა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან

9.4 სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან

X. მოსალოდნელი სოციალური და ეკონომიკური შედეგები

10.1 სინერგიული ეფექტი სრულად აისახება სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის დარეგულირებაზე და ქვეყნის სასურსათო დამოუკიდებლობის დონისა და ხარისხის ამაღლებაზე

10.2 გაუმჯობესდება სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსი და სოციალური ფონი საზოგადოებაში

პაატა კოღუაშვილი,
ემდ, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის წევრი

SUMMARY

WHAT IS HAPPENING WITH GEORGIAN VILLAGE AND WHAT SHOULD IT DO

Paata Koguashvili, GTU full Professor, ESD

Based on agricultural characteristics and anticipated global challenges, the article presents innovative views on agricultural development that implies correction of rural economic policy, identification of priorities, supply of ideology to population, eradiation of shortage of knowledge and credit resources, development of systems for insurance of agricultural crops and procurement of products. The article outlines importance of creation of integrated cooperatives and societies, development of production service organizations, regulation of prices using market mechanisms, improvement of tax system and export stimulation.

The first step in overcoming the crisis is considered to be the creation of cooperatives specialized in production of one type of product that can be arranged with mutual endeavors of farmers, local self-governance bodies, eparchies and scientists.

The creation of highly productive rural economy must be recognized as the major task of government's economic policy and the subject of care of national welfare. This is the only way of saving Georgian village as the perspective of development of Georgia is impossible without its village.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი საქართველოში: მისი გაანგარიშება და პროგნოზირება

სამომხმარებლო ფასების ინდექსი ის ერთადერთი მაჩვენებელია, რომელიც ზომავს საქართველოში სამომხმარებლო ფასების საერთო დონის ცვლილებას.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) საერთაშორისო კლასიფიკატორის (COICOP) შესაბამისად მოიცავს 12 სასაქონლო ჯგუფს. ფასების ინდივიდუალური ინდექსების ბაზაზე გაიანგარიშება ფასების აგრეგირებული ინდექსები თითოეული სასაქონლო ჯგუფისთვის, როგორც თითოეული ქალაქისათვის, ასევე მთლიანად ქვეყნისათვის. [1]

სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების საფუძველია სამომხმარებლო კალათა. ეს არის ქვეყანაში ყველაზე ხშირად მოხმარებადი საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი და ასახავს ქვეყნის საშუალო მომხმარებლის ხარჯების სტრუქტურას. სამომხმარებლო კალათა შედგენილია შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან მიღებული მოხმარების სტრუქტურის საფუძველზე. მოხმარების პროპორციულად თითოეულ საქონელს და მომსახურებას მინიჭებული აქვს შესაბამისი ხვედრითი წონა. 2012 წლის იანვრიდან განახლებული სამომხმარებლო კალათა ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განსაზღვრულ მოხმარების სტრუქტურას დაეფუძნა. ეროვნული ანგარიშებიდან მიღებული წონების გამოყენება სამომხმარებლო კალათის ფორმირების პროცესში ერთ-ერთ არსებით რეკომენდაციას წარმოადგენს, რომელსაც ევროსტატი ევროკავშირის წევრ ქვეყნებს სთავაზობს.

2012 წელს განხორციელდა სამომხმარებლო კალათის განახლება. 2010 წლის სამომხმარებლო კალათასთან შედარებით განახლებულ სამომხმარებლო კალათაში ჩართულ იქნა 42 დასახელების საქონელი (მომსახურება). მათ შორის: გაყინული ქათმის ხორცი, პილმენი (ნახევარფაბრიკატი), შებოლილი ძეხვი, პასტერიზებული რძე, იოგურტი, კონიაკი, ძიძის მომსახურების ღირებულება, ახალი მსუბუქი ავტომობილი, გაზის საწვავი, ავტომობილის ზეთისა და ფილტრის შეცვლა და ა.შ. 2010 წლის სამომხმარებლო კალათიდან ამოღებულ იქნა 20 დასახელების საქონელი (მომსახურება). მათ შორის: ბალი და ალუბალი, ხალათი, ბინის გაყიდვის ღირებულება, სამშენებლო ბლოკი, მერქან-ბურბუშელის ფილა, საწოლი, ხალიჩა, ა.შ. ამჟამად სამომხმარებლო კალათა შედგება 288 სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურებისგან.

სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგია კვლავ ეფუძნება ლასპეირესის ინდექსს, რაც გულისხმობს მოსახლეობის ხარჯებისა და სამომხმარებლო კალათის 3 წელიწადში ერთხელ განახლებას.

როგორია ინფლაციის ოფიციალური სტატისტიკა საქართველოში?

2012 წლის მარტში 2011 წლის მარტთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში -2,2 პროცენტი შეადგინა. (იხ. ცხრილი 1) ინდექსის საშუალოწლიურმა მაჩვენებელმა 108,5%(წინა წელთან შედარებით გაიზარდა 1,4 პროცენტული პუნქტით), ხოლო წინა წლის დეკემბრის დონესთან შედარებით შემცირებული მაჩვენებელი 102,0% დაფიქსირდა.

	2006	2007	2008	2009	2010	2011
საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	109.2	109.2	110.0	101.7	107.1	108.5
დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან	108.8	111.0	105.5	103.0	111.2	102.0
წლიური ინფლაციის დონე	8.8	11.0	5.5	3.0	11.2	2.0

ცხრილი №1

1. ზოგადი განმარტებები ინფლაციის მეთოდოლოგიიასა და სამომხმარებლო კალათაზე. www.geostat.ge

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია)[2] სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილებისა და მთლიან ინფლაციის მაჩვენებელში შესაბამისი წვლილის ანალიზმა ცხადყო, რომ 12—თვიან პერიოდში აღნიშნული მაჩვენებლის ფორმირებაში ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: მოცემულ პერიოდში ფასები შემცირდა 7,5 პროცენტით და ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის საერთო მაჩვენებელში -3,6 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების კლების მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (34,3 პროცენტი), ბოსტნეული, ბაღჩეული, კარტოფილი და სხვა ბოლქვოვანები (17,8 პროცენტი), შაქარი და სხვა ტკბილეული (14,4 პროცენტი). ფასები გაიზარდა ხორცი და ხორცის პროდუქტების ქვეჯგუფზე (10,9 პროცენტი). ტრანსპორტი: ფასები გაიზარდა 11,9 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის მაჩვენებელში 1,2 პროცენტული პუნქტი შეადგინა. აღნიშნულ ჯგუფში ფასების მნიშვნელოვანი მატება დაფიქსირდა სატრანსპორტო ქვეჯგუფზე (19,3 პროცენტი) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის ქვეჯგუფზე (4,1 პროცენტი).

ზემოთთქმულიდან პოზიტიურია წინა წლის შესაბამის თვესთან სამომხმარებლო ფასების ინდექსების დინამიკა (2010-2012 წ.წ.)[3]



დიაგრამა 1

როგორია ინფლაციის პროგნოზული მაჩვენებლები?

ინფლაციის (სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილების ბაზაზე) დინამიკის მაჩვენებლები 1996 -2011 წლებისათვის წარმოვადგინოთ შემდეგი ცხრილის სახით:[4]

ცხრილში 2

ინფლაციის დინამიკა 1996 -2011 წლებისათვის

წლები	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003
	13.8	7.3	10.7	10.9	4.6	3.4	5.4	7
წლიური ინფლაციის დონე (%-ში)								
წლები	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
წლიური ინფლაციის დონე (%-ში)	7.5	6.2	8.8	11.0	5.5	3.0	11.2	2.0

2. www.geostat.ge

3 გრაფიკი აგებულია საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

4 ცხრილი შედგენილია საქსტატის მონაცემების საფუძველზე

ხოლო მისი გრაფიკული გამოსახულება და ჰისტოგრამა, გამოვსახოთ შესაბამისად, ნახ. 1-სა და ნახ. 2-ზე.



ნახ. 1. ინფლაციის დინამიკა 1996 -20011 წლებისათვის



ნახ. 2. ინფლაციის დინამიკის ჰისტოგრამა და სტატისტიკური მახასიათებლები (1996 -20011 წ.წ.)

როგორც ვხედავთ, ამ წლებში საქართველოში ინფლაციის საშუალო წლიური დონე 7,4 % იყო, მედიანა 7,2 ხოლო სტანდარტული გადახრა კი 3,4 %.

რაც შეეხება ინფლაციის დინამიკის მოდელირებისა და პროგნოზირების პრობლემას, ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ ამ შემთხვევაში წრფივი და კვადრატული ტრენდული მოდელები ძალიან ცუდ მიახლოებას იძლევა (ამ მოდელთა დეტერმინაციის კოეფიციენტი ძალზე დაბალი გამოდის). ასევე ცუდ მიახლოებას იძლევა ნახევრად ლოგარითმული მოდელიც.

ამ შემთხვევაში ყველაზე ზუსტ მოდელს წარმოადგენს ე.წ. ARIMA-ს ტიპის მოდელი, ტრენდული წევრით, რომელსაც აქვს სახე:

D(DCPI)=0.009294308876*(@TREND)+[AR(1)=0.1207304532,MA(1)=-2.365658667,INITMA=1997]

სადაც D(DCPI) აღნიშნავს ინფლაციის ნაზრდს წინა წელთან შედარებით, AR(1) წარმოადგენს პირველი რიგის ავტორეგრესიულ წევრს, ხოლო (1) პირველი რიგის მცოცავი საშუალოს სიდიდეს (როგორც ცნობილია, MA(1)=ut-1, სადაც ut-1 მოცემული განტოლების ცდომილებაა (ნაშთით წევრია წინა პერიოდისათვის).

ამ განტოლების პარამეტრთა სტატისტიკური მახასიათებლები მოყვანილია ცხრილში 2, ხოლო მისი სიზუსტის შესახებ წარმოდგენას იძლევა ნახ. 3-ზე ნაჩვენები გრაფიკები.

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, მისი დეტერმინაციის კოეფიციენტი 0.87-ს ტოლია, დარბინ-უოტსონის სტატისტიკა

2,45-ს ტოლი, ტ-სტატისტიკის მნიშვნელობებიც (პირველის გარდა) საკმაოდ მაღალია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოდელი საკმაოდ ზუსტია. თუმცა, როგორც ცნობილია, ასეთი ტიპის მოდელები საკმაოდ სწრაფად ჰკარგავენ პროგნოზირების სიზუსტეს, ამიტომ მათი გამოყენება გრძელვადიან პერიოდში პროგნოზირებისთვის არაა მიზანშეწონილი.

Dependent Variable: D(DCPI)				
Method: Least Squares				
Date: 04/21/12 Time: 20:58				
Sample(adjusted): 1997 2011				
Included observations: 15 after adjusting endpoints				
Convergence achieved after 296 iterations				
Backcast: OFF (Roots of MA process too large)				
Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
@TREND	0.009294	0.080252	0.115814	0.9097
AR(1)	0.120730	0.008755	13.79036	0.0000
MA(1)	-2.365659	0.786902	-3.006292	0.0109
R-squared	0.869005	Mean dependent var		-0.786667
Adjusted R-squared	0.847172	S.D. dependent var		4.583958
S.E. of regression	1.792015	Akaike info criterion		4.181415
Sum squared resid	38.53583	Schwarz criterion		4.323025
Log likelihood	-28.36061	Durbin-Watson stat		2.450396
Inverted AR Roots	.12			
Inverted MA Roots	2.37			
	Estimated MA process is noninvertible			

ცხრილი 2. ინფლაციის ARIMA-ს ტიპის მოდელის პარამეტრთა სტატისტიკური მახასიათებლები



ნახ. 3. ინფლაციის ARIMA-ს ტიპის მოდელის ცდომილების გრაფიკული წარმოდგენა

დაბოლოს, ცხრილის სახით გამოვსახოთ ზემოთ მოყვანილი მოდელიდან მიღებული პროგნოზული შეფასებები 2012-2016 წლებისათვის.

წლები	2012	2013	2014	2015	2016
წლიური ინფლაციის დონე (%-ში)	4,2	4,6	4,8	5,0	5,2

ცხრილი 3. ინფლაციის პროგნოზული შეფასებები 2012-2016 წლებისათვის

ინფლაციის დინამიკისა და პროგნოზული შეფასებების გრაფიკი ნაჩვენებია ნახ. 4-ზე



ნახ. 4. ინფლაციის დინამიკა და პროგნოზული შეფასებები

სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიის დახვეწისა და შემდგომი სრულყოფისათვის უდავოდ სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ სამომხმარებლო კალათის ყოველწლიურად განახლება, რაც 2012 წლის შემდეგ იგეგმება საქართველოში. საქსტატში მიმდინარე ზემოაღნიშნული პოზიტიური ცვლილებები, ცხადია, განაპირობებს საქართველოში ინფლაციის გაანგარიშების მეთოდიკის მიახლოებას ევროსტატის ძირითად რეკომენდაციებთან. როგორც იკვეთება ეს, არც თუ შორეული პერსპექტივაა.

ნინო აბესაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ინფლაციის გაანგარიშების მეთოდოლოგიური საკითხები, მიმოხილულია განახლებული სამომხმარებლო კალათა და ის პოზიტიური ძვრები, რაც განხორციელდა საქართველოში ინფლაციის გაანგარიშებისას 2012 წლის იანვრიდან. . ინფლაციის დინამიკის მოდელირებისა და პროგნოზირებისათვის გამოყენებულია ARIMA-ს ტიპის მოდელი და გაანგარიშებულია ინფლაციის პროგნოზული მაჩვენებლებიჩ 2012-2016 წლებისათვის. გაკეთებულია დასკვნები.

ლიტერატურა

1. ზოგადი განმარტებები ინფლაციის მეთოდოლოგიასა და სამომხმარებლო კალათაზე
2. www.geostat.ge

ფასების ზრდა და ინფლაცია

სტატიის სათაურში ინფლაციისა და ფასების ზრდის ერთმანეთისგან გამიჯვნა, შეიძლება, ვინმეს უცნაურად მოეჩვენოს, რადგან დღეს ინფლაცია და ფასების მატება სინონიმებია. თუმცა მეცხრამეტე საუკუნემდე, ტერმინი ინფლაცია მხოლოდ ფულის გაუფასურებას აღნიშნავდა. მისი ხარისხით იზომებოდა თუ რამდენად იყო ეკონომიკაში ფულის მასა გაზრდილი, „გაბერილი". ამ ლოგიკით, ფასების მატება ინფლაციის მამოძრავებელი ძალა არ იყო. ის ინფლაციას ასახავდა: ფასები იზრდებოდა არა პროდუქციაზე გაზრდილი მოთხოვნის, არამედ ზედმეტი ფულის გამო.

ფულის მასის ზრდას ეკონომიკაში ერთჯერადი ეფექტი მართლაც აქვს — ფულის მსყიდველუნარიანობა ეცემა: ჭარბი ფულის პირობებში მისი ერთეული უფასურდება. ფულის მასის ზრდას, კომერციულ ბანკებზე რეფინანსირების სესხების გაცემა და შემდეგ სახაზინო ვალდებულებების გამოშვება იწვევს. ეს ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებზე დაბალ პროცენტად გასცემს სესხებს — ისინი კი, თავის მხრივ, მთავრობაზე უფრო სარფიანად აპროცენტებენ. შედეგად, ხაზინაში გროვდება ზედმეტი ფული, რომელსაც კერძო სექტორთან კავშირი არ აქვს. ამ ფულზე მოთხოვნა არ არსებობს, რადგან ბაზრის ყველა მოთამაშეს იმდენივე აქვს, რაც ადრე ჰქონდა. მხოლოდ ხაზინას მოეპოვება მეტი. შესაბამისად, ფული უფასურდება — ინფლაცია იზრდება და ეს პირველ რიგში ღარიბ მოსახლეობას აზარალებს: შემოსავლის დიდი ნაწილი საკვების შეძენას ხმარდება, მათ ხელთ არსებული თანხა კი სულ უფრო ნაკლებ პროდუქტს ყიდულობს.

ალბათ არ მოიძებნება ქვეყანა, რომელსაც ინფლაცია არ შეხებოდეს. რასაკვირველია, ამ მხრივ არც ჩვენი ქვეყანაა გამონაკლისი. გადავხედოთ ინფლაციის ქართულ გამოცდილებას, კერძოდ, XX საუკუნის 90-იან წლებს. სსრკ-ს დაშლისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, რუსული მანეთი ეროვნულმა ვალუტამ – კუპონმა შეცვალა. თუმცა ომის, წარმოების შეჩერებისა და სხვა სირთულეების ფონზე მალევე განვითარდა ჰიპერინფლაცია.

1990 წლიდან საქართველოში ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების ტრანსფორმაცია განხორციელდა. რის შედეგადაც ეკონომიკა საბაზრო პრინციპებზე გადავიდა. დაიწყო ეკონომიკური და სოციალური კრიზისი, რომელიც ამა თუ იმ ფორმით დღესაც გრძელდება.

1992–1993 წლებში საქართველოს მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ დღის წესრიგში ჩააყენა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავების აუცილებლობა, რომლის ძირითადი მიზანი მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა იყო. 1994 წლიდან საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო აღნიშნული პროგრამის განხორციელება, რომელიც მხარდაჭერილი იყო საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ. რეფორმის ძირითად მიმართულებად განისაზღვრა ფულად-საკრედიტო და საფინანსო- საბიუჯეტო სფეროების გარდაქმნა.

მიმოქცევაში ფულის მასის ზრდის რეგულირების მიზნით, განისაზღვრა საბანკო სისტემის მიერ მთავრობისთვის გასაცემი წმინდა კრედიტების, აგრეთვე ეროვნული ბანკის წმინდა საშინაო და საერთაშორისო აქტივების ზღვრული ოდენობა. გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ეროვნული ბანკის აქტივების სტრუქტურა. ფულის მიწოდების კონტროლის განსახორციელე-

ბლად ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო ანგარიშები შეტანილ იქნა ეროვნულ ბანკში, ხოლო საერთაშორისო რეზერვები, რომელიც მანამადე ფინანსთა სამინისტროში იყო, გადაეცა ეროვნულ ბანკს. ამით ქვეყნის ცენტრალურ ბანკს შესაძლებლობა მიეცა გამოეყენებინა მიმოქცევაში არსებული ფულის მასის რეგულირების მოქმედი ღონისძიებები.

რეფორმების გატარების შედეგად გამოიკვეთა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის დადებითი ტენდენციები, რამაც საქართველოს ხელისუფლებას საშუალება მისცა შემოეღო ეროვნული ვალუტა და დაეძლია ჰიპერინფლაცია. მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას მოჰყვა ეკონომიკური აქტივობის ზრდაც. მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო ზრდის ტემპმა 1995-1997 წლებში შეადგინა დაახლოებით 10 პროცენტი. 1995 წელს წინა წლებთან წლებთან შედარებით ბიუჯეტის დეფიციტის ხვედრითი წილი მთლიანად შიდა პროდუქტთან მიმართებაში შემცირდა თითქმის სამჯერ.

პოსტრევოლუციურ (2003 წლის „ვარდების რევოლუცია“) საქართველოში პენსია 14 ლარიდან 80 ლარამდე გაიზარდა, ასევე მოიმატა ხელფასებმა საბიუჯეტო ორგანიზაციებში, თუმცა ამის პარალელურად გაძვირდა ყველაფერი, განსაკუთრებით კი საკვები და პირველადი მოხმარების საგნები, რომ არაფერი ვთქვათ კომუნალურ გადასახადებზე. ოფიციალური ინფორმაციით, 2003 წელთან შედარებით ახლა ფასები დაახლოებით 60-85%-ითაა მომატებული, თუმცა არაოფიციალური მონაცემებით, ეს ციფრი უფრო მაღალია და 300-400%-ს შეადგენს. 2010 წელს ელემენტარული არითმეტიკული გათვლებით, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ პროდუქტზე ფასი 100%-ით, ზოგზე კი 400%-ითაც კი არის მომატებული რევოლუციამდელი პერიოდის შემდეგ. მაგრამ ოფიციალური ინფორმაციით ეს ციფრი დაახლოებით 60%-ს აღწევს.

საქართველოში ინფლაციური პროცესების სწრაფ დინამიკას უკვე ყველა აღიარებს. ფაქტია, რომ 2010 წლის დეკემბერის დასაწყისში 100 ლარად გაცილებით დიდი მოცულობის ჩანთის შევსება შეეძლო საქართველოს მოქალაქეს, ვიდრე მიმდინარე წლის იანვარში, 1998 წელს კი 100 ლარის პროდუქტების შესაძენად შეუდარებლად დიდი ჩანთა დაგვჭირდებოდა, როგორც 2010 წელთან, ისე მიმდინარე პერიოდთან შედარებით.

100 ლარის შენაძენებისთვის „ჩანთების“ ზომების დაპატარავება წლების მატებასთან ერთად სრულიად ლოგიკურია, თუმცა, ლოგიკა ზომიერებაში უნდა ჯდებოდეს. გარკვეული, ზომიერი ინფლაცია ყოველთვის, ყველა ქვეყანაში არსებობს, თუმცა, როდესაც „ზომიერება“ ქრება, ჩნდება ტერმინები — სწრაფად მზარდი ინფლაცია და ჰიპერინფლაცია.

ძირითადი ეკონომიკური პრობლემები ქვეყანას უფრო აგვისტოს საომარი მოქმედებებისგან შეექმნა, ვიდრე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისგან: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გადაუჭრელი პრობლემა, შიდა პოლიტიკური დაძაბულობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, კერძო საკუთრების ხელყოფა, რუსეთის სავაჭრო ემბარგო (ალკოჰოლურ და მინერალურ სასმელებზე), განუვითარებელი საფონდო ბირჟა, ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმება, სუსტი ბიზნეს ასოციაციები და სხვა.

ეს ყველაფერი კი უარყოფით ზეგავლენას ახდენს საბაზრო პროცესებზე და ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

საქართველოს მოსახლეობამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ყველა ტიპის ინფლაცია გამოსცადა. საინტერესოა, ახლა რასთან გვაქვს საქმე?

არსებულ რეალობას შეუძლებელია, ზომიერი ინფლაცია დაარქვა, თუმცა, ქვეყანაში არსებული ინფლაცია არც სწრაფად მზარდია და, მით უმეტეს, შორს ვართ ჰიპერინფლაციის სიტუაციიდან. სინამდვილეში, ამჟამად საქართველოში არსებულ ინფლაციას, რეალობი-

დან გამომდინარე, მეტნაკლებად ზომიერი, თუმცა სწრაფად მზარდისკენ „მიდრეკილი“ ეთქმის. საქართველოში არსებული ინფლაციური ფონის შესახებ არაერთი დისკუსია შედგა, თუმცა ინფლაციის გამომწვევი ბევრი ფაქტორი კვლავ განუხილავი დარჩა. ქვეყანაში არსებული ინფლაციის მთავარ მიზეზად მთავრობისა და ეროვნული ბანკის წარმომადგენლები, ძირითადად, მსოფლიო ბაზრებზე არსებულ ვითარებას, ანუ გაზრდილ ფასებს ასახელებენ, თუმცა რეალურად ინფლაციის გამომწვევი სხვა უამრავი ფაქტორი არსებობს. ინფლაციის მასტიმულირებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი დაკავშირებულია ტერმინთან „ინფლაციური მოლოდინი“. კერძოდ, ინფლაციური მოლოდინი არის სიტუაცია, რომელიც გვიჩვენებს ადამიანების მოლოდინს ფასების საერთო დონის მოსალოდნელ ცვლილებაზე.

ეკონომისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ ინფლაციური მოლოდინი არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელსაც შეუძლია მოკლევადიან პერიოდში პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს.

რა თქმა უნდა, არასერიოზული იქნება იმის მტკიცება, რომ საქართველოში არსებულ ინფლაციას მხოლოდ ინფლაციური მოლოდინი განაპირობებს, თუმცა არსებულ ვითარებაში, როდესაც მთელ რიგ შემთხვევებში ქვეყანაში ცალკეულ სამომხმარებლო პროდუქტზე დეფიციტი დაფიქსირდა, მოსახლეობაში კი ფასების ზრდით გამოწვეული პანიკა შეინიშნებოდა, გვაფიქრებინებს, რომ ამოქმედებულია ინფლაციური მოლოდინის ფაქტორი, რომელიც მოკლევადიან პერიოდში საქართველოში არსებული ინფლაციის მასტიმულირებელ საშუალებად იქცა.

ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ინფლაციური მოლოდინი, როგორც ინფლაციის მასტიმულირებელი ფაქტორი ამოქმედდა, არის მოსახლეობის არასათანადო ინფორმირება ძირითად სამომხმარებლო პროდუქტებზე ფასების მოსალოდნელი ზრდის შესახებ.

ინფლაციური პროცესები განსაკუთრებულად საგრძნობი გახდა საქართველოს მოსახლეობისთვის. თუმცა სახელმწიფოს ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები, ერთის მხრივ, არასაკმარისად განმარტავდნენ ინფლაციის მიზეზებს, ხოლო, მეორე მხრივ, საკმაოდ ბუნდოვან სამომავლო პროგნოზებზე საუბრობდნენ. ცხადია, არსებული ვითარება რიგით მოქალაქეებში საფუძვლიან დაბნეულობას იწვევს და არასტაბილურობის განცდას ამკვიდრებს. კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” ორგანული კანონის შესაბამისად, „საქართველოს ეროვნული ბანკის“ ძირითადი ამოცანა ქვეყანაში ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა, საშუალოვადიან პერიოდში კი ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებას სამომხმარებლო ფასების საერთო დონის წლიური ზრდის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნება წარმოადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი დამოუკიდებლად ადგენს ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს, მომავალი სამი წლისათვის მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი აღინიშნება ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში, რომელსაც, შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონთან ერთად. გამომდინარე აღნიშნულიდან, ეროვნული ბანკის მონაცემების თანახმად, 2011-2013 წლებისათვის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი საქართველოში 6 პროცენტს შეადგენს. თუმცა მოცემული რეალობა ინფლაციის არსებულ დონესთან მიმართებაში სრულიად სხვაგვარია. გამომდინარე არსებული რეალობიდან, გარდა იმ ქმედებისა, რომელიც ეროვნულმა ბანკმა უნდა განახორციელოს ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად,

უმნიშვნელოვანესია, რომ სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან გაკეთდეს შესაბამისი გონივრული განმარტებები ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლებთან მიმართებაში. აღნიშნული განმარტებები, როგორც მინიმუმ, უზრუნველყოფს მოსახლეობაში არსებული ერთგვარი პანიკის, ანუ ინფლაციური მოლოდინის ანულირებას. ინფლაციური მოლოდინის განეიტრალებამ კი, თავის მხრივ, შესაძლებელია, მოკლევადიან პერიოდში მოსახლეობის მხრიდან სამომხმარებლო პროდუქტებზე ჭარბი მოთხოვნილების დასტაბილურება უზრუნველყოს.

2011 წლის აპრილის მდგომარეობით წლიურმა ინფლაციამ გადააჭარბა 13%-ს, ხოლო მაისის მდგომარეობით 14%-ზე მეტი იყო. პირველ რიგში, მოსახლეობისათვის ყველაზე მძიმეა ის, რომ ფასები გაიზარდა სასურსათო პროდუქციაზე 28%-ით, პურზე ფასმა მოიმატა დაახლოებით 25.8%-ით, მცენარეული ზეთი და ცხიმები - 34.5%, კარტოფილზე — 30-35%-ით, ხახვი თითქმის 50%-ით, რძის პროდუქტები - 15-20%-ით, ასევეა ნავთობპროდუქცია, რომლის ფასიც ყოველდღიურად იმატებს. ტრანსპორტზე ფასმა მოიმატა 8%-ით გასულ წელთან შედარებით.

ინფლაციის გამომწვევი შიდა ფაქტორები, პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ სამომხმარებლო ბაზრის 70-80% იმპორტზეა დამოკიდებული. საქართველოს აქვს ისეთი უარყოფითი სალდო და ისეთი ეკონომიკური დამოკიდებულება იმპორტზე, რომ ვერცერთი პოზიციით მის სასარგებლოდ ვერ განვითარდება ინფლაციის შედეგების გამოყენება. თუ ფასები იზრდება იმაზე რასაც ყიდულობ, იზრდება იმაზეც რასაც ყიდი. მაგრამ ქვეყანა თუ მხოლოდ ყიდულობს, ბუნებრივია ფასების მატება მასზე მხოლოდ უარყოფითად მოქმედებს და დადებითი მისთვის არაფერია. ამიტომ მიმაჩნია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხარდაჭერა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით 2012 წლის თებერვალში წინა თვესთან შედარებით საქართველოში ინფლაციის დონემ 0,2 პროცენტი შეადგინა. მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაში ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

• სასტუმროები, კაფეები და რესტორნების ჯგუფზე ფასები გაიზარდა 2,7 პროცენტით და მისმა წვლილმა თებერვლის თვის ინფლაციაში 0,12 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა საზოგადოებრივი კვების ქვეჯგუფზე (2,8 პროცენტი).

• ტრანსპორტის ჯგუფზე ფასები გაიზარდა 0,7 პროცენტით. შესაბამისად ჯგუფის წვლილმა თვის ინფლაციის მაჩვენებელში 0,09 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: საწვავ-საპოხი მასალები (1,9 პროცენტი) და სამოქალაქო საჰაერო ტრანსპორტი (1,3 პროცენტი).

2012 წლის თებერვალში 2011 წლის თებერვალთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში -2,1 პროცენტი შეადგინა.

თამარ გოგილაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

SUMMARY

In my opinion it is necessary to continue strict monetary politic, the supply of money should be in accordance with the rate of economic growth. The government's emissionary crediting needs to be limited maximally. The state has to accomplish minimization of budget deficit. The national bank should be able to maintain a level of the reserve requirements. The monetary politic should be based on freely floating exchange rate regime. It would be better if it was much more interested in declining of an interest rate in commercial banks. In long run period it is important to increase a lending rate in enterprises by these banks. The lack of credits is directly connected with the banks' inability – to rise deposits. Though, it is a result of society's distrust.

ლიტერატურა:

• http://www.radiotavisupleba.ge/ - "ახალი მეთოდით გამოანგარიშებული ინფლაცია";
• http://www.presage.tv/ - "თანამედროვე ინფლაციური პროცესები საქართველოში" ;
• http://www.nbg.gov.ge/ - ინფლაციის მიმოხილვა (2011);
• http://24saati.ge/ - "ინფლაცია — მთავარი გამოწვევა"

პარტნიორული ურთიერთობების მარკეტინგის ნიუანსები

პროდუქციის ასორტიმენტის ზრდის ჯვალობაზე სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება მარკეტინგული სტრატეგიები.

რა სახის მარკეტინგი აღარ არსებობს - კონტექსტური, ნეირო-, მიქს- თუ ივენტ- მარკეტინგი, ...პარტიზანული და ტერორისტულიც კი.

თუმცა, მომხმარებლებს მოსწყინდათ "მსხვერპლის" როლში ყოფნა. რა თქმა უნდა მარკეტინგული "ტერორიზმი" საშიში არ არის, მაგრამ მაინც არასასიმოვნოა, როდესაც მარკეტოლოგები სხვადასხვა ხრიკებით ცდილობენ "ტვინი გაგიბურღონ" ან შოკში ჩაგაგდონ.

ამიტომ სულ უფრო აქტუალური ხდება ნაკლებად გამღიზიანებელი ახალი მიმართულება — პარტნიორული ურთიერთობების მარკეტინგი.

ეს მეთოდი გულისხმობს ახალი ღირებულებების შექმნას მომხმარებლებთან ერთად.

პარტნიორული მარკეტინგი ტრადიციული მარკეტინგის პრინციპებიდან გამომდინარეობს, მაგრამ ამავდროულად მნიშვნელოვნად განსხვავდება მისგან. მარკეტინგი ზოგადად არის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს მომხმარებლების მოთხოვნების დადგენას და დაკმაყოფილებას უფრო უკეთესად, ვიდრე ეს კონკურენტებს გამოსდით.

მაგრამ ამ პროცესის ორგანიზება მრავალი მოდელით და ხერხით შეიძლება.

ტრადიციული მიდგომებისგან განსხვავებით პარტნიორული მარკეტინგი ითვალისწინებს კიდევ რამდენიმე პარამეტერს, რომლებიც მარკეტინგის სტრატეგიას ხარისხობრივად აუმჯობესებენ.

ეს პარამეტრები მნიშვნელოვნად ცვლიან კომპანიის ზოგად მიდგომებს მარკეტინგული სტრატეგიის მიმართ.

პარტნიორული მარკეტინგი ცდილობს შექმნას ახალი ღირებულება მომხმარებლისათვის მასთან ერთად და თან ისე, რომ ითვალისწინებს არა მხოლოდ მასობრივ ტენდენციებს, არამედ კომუნიკაციებს ცალკეულ მონაწილეებთან.

ეს კომუნიკაციები გულისხმობენ არა მხოლოდ კავშირს უშუალო მომხმარებლებთან, არამედ სანდო მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას ყველა სხვა შუალედურ რგოლებთან — როგორებიცაა მაგალითად დისტრიბუტორები, მომწოდებლები, აუდიტორული თუ საკონსულტაციო კომპანიები და ა.შ.

პარტნიორული მარკეტინგის ყველაზე მარტივი ფორმაა ე.წ. ქსელური მარკეტინგი, როდესაც პროდუქციის მომხმარებელი იმავდროულად გამყიდველიც ხდება და ამრიგად ერთვება კომპანიის საქმიანობაში.

მაგრამ პარტნიორული ურთიერთობების მარკეტინგი კომუნიკაციების უფრო ფართო სპექტრს მოიცავს.

მაგალითად, ცალკეული მომხმარებლების მოქმედებამ შეიძლება მოდის ტენდენციებიც კი შექმნას. შეიძლება ასეთმა "მოდურმა" კლიენტმა კომპანიის პროდუქცია უშუალოდ არ გაყიდოს, მაგრამ იგი ქმნის გარკვეულ იმიჯს, განწყობას და ამით ხდება კომპანიის პარტნიორი. დროთა განმავლობაში მისი მიმდევრებიც კომპანიის პარტნიორები ხდებიან და ხელს უწყობენ გაყიდვებს. ამრიგად ახალი ღირებულება იქმნება მომხმარებლებთან ერთად და არა წინასწარი განზრახვით, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება. ასე რომ პარტნიორული მარკეტინგი უფრო მეტად შინაგანი დინამიზმის ნაყოფია, ვიდრე წინასწარ დაგეგმილი შესწავლების თუ დანერგვების.

შესაბამისად კომპანია უნდა იყოს ორიენტირებული იმ მომხმარებლებზე, რომლებიც ამ დინამიკას ქმნიან. ასეთი კლიენტების რიცხვს არა მხ-

ოლოდ "ვარსკვლავები" და "სელებრიტები" განეკუთვნებიან. უმეტეს შემთხვევაში მოდას ნაკლებად ცნობილი ადამიანები ქმნიან თავიანთ სამეგობრო წრეებში.

არის კლიენტების მეორე კატეგორიაც, რომლებიც სხვადასხვა კომპანიების პროდუქციის გასინჯვებით და შედარებებით არიან დაკავებულნი. ასეთი მრავალფეროვნების მოყვარულები პარტნიორებად ნაკლებად გამოდგებიან.

პარტნიორი მომხმარებელი როგორც წესი ერთი კომპანიის ერთგულია და ცდილობს თავისი ფავორიტის უპირატესობებში დარწმუნდეს.

ამიტომ კომპანიამ უპირატესობები უნდა მიანიჭოს მუდმივი, ერთგული მომხმარებლების მოლოდინებს, რადგან ასეთები თავგამოდებით უმტკიცებენ სხვებს თავიანთი საყვარელი მარკების უპირატესობებს.

პარტნიორული ურთიერთობების მარკეტინგი რვა კომპონენტს მოიცავს: კულტურა, ლიდერობა, სტრატეგია, სტრუქტურა, ადამიანები, ტექნოლოგია, ცოდნა და პროცესი.

წარმატებული მარკეტინგისათვის აუცილებელია ყველა ამ რვა კომპონენტის ჰარმონიული ურთიერთქმედება.

1. კულტურა და ღირებულებები

პარტნიორულ ურთიერთობებში როგორც წესი განსხვავებული კულტურის და ღირებულებების კომპანიები მონაწილეობენ. ადვილი შესაძლებელია რომ ამ განსხვავებებმა ბარიერები შექმნან. ამიტომ ეს ფაქტორი თავიდანვე უნდა იყოს გათვალისწინებული და ყველა მონაწილე უნდა ეცადოს რომ მეორე შეახამოს ეს განსხვავებები.

თუ ერთი კომპანია უპირატესობას ანიჭებს ათასგვარ ხრიკებს, მაქინაციებს და მომხმარებლების განწყობებით მანიპულირებას, მეორე კი ორიენტირებულია კლიენტებთან პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე — ასეთ კომპანიებს ძალზედ გაუჭირდებათ მოქმედებების კოორდინაცია.

ამიტომ პარტნიორული სტრატეგიის ყველა მონაწილე უნდა შეთანხმდეს საერთო ღირებულებათა სისტემაზე.

2. ხელმძღვანელობა.

პარტნიორული ურთიერთობის მარკეტინგის სისტემაში ყველა რგოლი უნდა ეცადოს წავიდეს მაქსიმალურ დათმობებზე ურთიერთის მიმართ. ყოველი რგოლი არ უნდა ცდილობდეს, რომ საბანი თავისკენ გადაქაჩოს და მოგების უმეტესი წილი მიითვისოს.

ვითომდა "მოხერხებული" ხელმძღვანელები ცდილობენ რომ ყოველ ცალკეულ კლიენტს ის მაქსიმუმი აართვან, რამდენის გადახდაც მას შეუძლია.

ასეთი მძარცველური მიდგომა ნამდვილად არ უწყობს ხელს პარტნიორობის ჩამოყალიბებას. პირიქით — იგრძნობს რა მტაცებლურ დამოკიდებულებას, კლიენტი მაშინვე დაიწყებს სხვა პარტნიორის ძებნას. ასე რომ ერთჯერადი ზემოგება მრავალჯერად წაგებებს გამოიწვევს მომავალში.

3. სტრატეგია

გაყიდვების სტრატეგია მიზნად უნდა ისახავდეს მყიდველთან ხანგრძლივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ეს

მით უფრო აქტუალურია დღეს, როდესაც გამობრძმედილი კლიენტი უმნიშვნელო განსხვავებასაც კი ანიჭებს მნიშვნელობას.

ეს განსხვავება შესაძლებელია ადვილად გადაწონოს უბრალოდ კარგმა დამოკიდებულებამ მყიდველების მიმართ.

ასე რომ, სტრატეგია ფოკუსირებული უნდა იყოს არა საქონლის უმნიშვნელო თავისებურებებზე, არამედ კლიენტის განწყობაზე კომპანიის მიმართ.

უფრო ზუსტად თავისებურებებს უნდა ჰქონდეთ არა ტექნიკური, არამედ უფრო მენტალური დანიშნულება.

4.სტრუქტურა

კომპანიის სტრუქტურა უნდა ემსახურებოდეს მისი სტრატეგიების განხორციელებას.

ჩვეულებრივი სტრუქტურა აწყობილია საბაზრო თუ საქონლო ორიენტაციის პრინციპით, ბაზრის სეგმენტაციის საფუძველზე.

პარტნიორული ურთიერთობის მარკეტინგის განხორციელებას კი უფრო დინამიური და კომბინირებული სტრუქტურა სჭირდება.

ეს არ უნდა ნიშნავდეს მუდმივ რეორგანიზაციებს ან სხვადასხვა გადაჯგუფებებს. სტრუქტურა უნდა იყოს მოქნილი შინაგანად.

5.ადამიანები

ადამიანური ფაქტორი სულ უფრო წონადი და მნიშვნელოვანი ხდება.

უკვე დიდი ხანია წავიდა ის დრო, როდესაც ადამიანები სისტემის "ჭანჭიკები" იყვნენ.

ახლა პირიქითაა — თვითონ სისტემა წარმოადგენს დამხმარე კომპონენტს სოციალურ ურთიერთობებში.

ეს ცვლილებები მარკეტინგულ ტერმინოლოგიაშიდაც აისახა: ადრინდელი გამყიდველი დღეს უკვე კონსულტანტი გახდა. და ეს სიახლე ნამდვილად არ არის მხოლოდ მოდა.

ადრე გამყიდველის ფუნქცია შემოიფარგლებოდა უშუალოდ გაყიდვის ოპერაციით, კონსულტანტმა კი საქონელი არა უბრალოდ უნდა გაყიდოს, არამედ შესთავაზოს კიდეც, აუხსნას მისი უპირატესობები, თავისებურებანი და ა.შ. ასე რომ, წინა პლანზე გადმოდის კომუნიკაცია კლიენტთან, რაც უფრო "ჰუმანიტარულ" მიდგომებს მოითხოვს, ვიდრე ტექნოკრატიულს.

6. ტექნოლოგია

ტექნოლოგიას საკმაოდ ბევრი ფუნქციები აკისრია კლიენტსა და კომპანიას შორის ურთიერთობებში.

საყოველთაო კომპიუტერიზაციამ კიდევ უფრო გააფართოვა კომუნიკაციის შესაძლებლობები — სოციალური ქსელები, ვებ-გვერდები, ინტერნეტ-მაღაზიები, ჩათები თუ ფორუმები საშუალებას იძლევიან, რომ იყოს მუდმივი კონტაქტი კლიენტებთან და პარტნიორებთან.

ინტერაქტიური გამოკითხვები კი ძალზედ ოპერატიულად ავლენენ ცვლილებებს კლიენტების სამომხმარებლო განწყობებში. ფორუმები საშუალებას იძლევიან მოხდეს დაკვირვება მომაბეზრებელი დიალოგების თუ გამოკითხვების გარეშე: საკმარისია ფორუმზე რამე თემა წამოჭრა, რომ მომხმარებელი თავისი ნებით და თან ხალისით შეეცდება გამოთქვას საკუთარი აზრი.

7. ცოდნა

აღნიშნული ტექნოლოგიები საშუალებას იძლევიან, რომ კომპანიაში დაგროვდეს ცოდნა, არა მხოლოდ მენეჯერთა მეხსიერებაში, არამედ უმეტესად კომპიუტერების მონაცემთა ბაზებში, ანალიზის პროგრამებში და ა.შ.

თანამედროვე ანალიტიკურ პროგრამებს ცალკეული კლიენტების მოქმედების პროგნოზირებაც კი შეუძლიათ.

მაგრამ ამისთვის მარკე-

ტოლოგმა უნდა იცოდეს ამ პროგრამებთან მუშაობა — თუ რა ინფორმაცია მიაწოდოს და რა სახით.

8. პროცესი.

პარტნიორული ურთიერთობების მარკეტინგი მოითხოვს შეიცვალოს მომხმარებელთან ურთიერთობის მთელი პროცესი.

ჩვეულებრივ მარკეტინგის დროს კომპანია ავლენს გარკვეულ მოთხოვნას და შემდეგ ცდილობს მის დაკმაყოფილებას.

პარტნიორულ მარკეტინგის პროცესში კი კომპანია მომხმარებელთან ერთად აკონკრეტებს მოთხოვნის ნიუანსებს და მის ახალ ასპექტებს ქმნის.

ასე რომ, პარტნიორული მარკეტინგის პირობებში წარმოება და მოხმარება ეს არის ერთიანი პროცესი — შუალედური საბითუმო "წყვეტების" გარეშე. ამ პროცესში მომხმარებელი და მწარმოებელი დინამიურად ზემოქმედებენ ურთიერთზე. ეს გავლენა კი უნდა ხდებოდეს მომხმარებლებისათვის სასურველი კომუნიკაციის საშუალებებით.

როგორც ჩანს, აღნიშნული რვა კომპონენტის ურთიერთშეხამება არც ისე ადვილია, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ყველა ნიუანსის წინასწარ დაგეგმვა და ანალიზი.

მაგრამ თუ ნიუანსები დაკონკრეტდება თანმიმდევრობით, პრობლემების აღმოცენების კვალობაზე — მაშინ შეიძლება საკმაოდ მწყობრი სისტემა აიწყოს.

პარტნიორული მარკეტინგის თავისებურება — ეს არის შინაგანი დინამიურობა წინასწარი ხისტი სქემების გარეშე.

ასეთი სტრატეგიის ყველაზე წარმატებულ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს "უოლ-მარტი" — სუპერმარკეტების ყველაზე მსხვილი ქსელი მსოფლიოში.

სუპერმარკეტები არავის უკვირს, მაგრამ "უოლ-მარტმა" ზუსტად რომ პარტნიორული მარკეტინგის სტრატეგიით მოიპოვა ყველაზე მეტი მომხმარებლის ნდობა და სიმპატია.

პარტნიორული ურთიერთობების მარკეტინგის სტრატეგიას ასევე წარმატებით იყენებენ ისეთი კომპანიები როგორებიცაა General Motors, IBM და Western Digital.

მაია თეთრუაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ლიტერატურა:

http://modelmarketinga.ru/teoriya-marketinga/214-marketing-partnerskikh-vzaimootnosheni.html

http://www.topmi.ru/?Marketing_K-N:Marketing_partnerskih_otnoshenii

http://www.marketing.spb.ru/lib-comm/partner_relation.htm

РЕЗЮМЕ

Нюансы маркетинга партнерских отношений

Еще одна концепция, автором которой является Ян Х. Гордон называется маркетингом партнерских отношений. Важнейший тезис этой концепции заключается в том, что самым главным активом предприятия являются не основные фонды, не товары и товарные марки, патенты, ноу-хау, при безусловной важности каждого из них, а партнерские отношения, ибо в отличие от перечисленных выше, хорошие партнерские отношения гарантируют компании и долгий срок жизни, и низкий уровень риска, и возможность увеличения прибыли в долгосрочной перспективе.

В статье рассматриваются некоторые нюансы построения коммуникаций с потребителями и согласования корпоративных культур компаний-партнёров.

ინტერნეტ-სივრცის რეგულირება და შეზღუდვები

ცენზურის ფენომენი ისეთივე ძველია, როგორც ცივილიზაცია. იგი დიქტატურის დამახასიათებელი მოვლენაა. ინტერნეტი, როგორც ყველაზე დინამიურად განვითარებადი ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგია გახდა ცენზურის იმპულსი და რეგულირების ხელშემწყობი, როგორც საზოგადოების იდეების გამოხატვის, გენერირებისა და ინფორმაციის კონტროლის რესურსი. ინტერნეტ-ცენზურის მოტივი არ განსხვავდება სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცენზურის მოტივისგან.

ცენზურის თემა მრავალფეროვანია, რომელიც შეიძლება მოიცავდეს პოლიტიკურ, ეთნიკურ, შეიარაღებულ კონფლიქტს, სხვადასხვა მიმდინარეობებს, მორალურ მიზეზებს (როგორც ამორალური), მუსულმანურ ქვეყნებში აზარტულ თამაშებს, ნარკომანიას, რწმენის საკითხების განხილვას, ქალთა უფლებების დაცვას (ირანში), ავტორთა უფლებების დაცვას, დისკრიმინაციას და სხვა საკითხებს.

რეპრესიული რეჟიმების მიერ მომხმარებლებისთვის ინტერნეტში ინფორმაციასთან თავისუფალი წვდომის შემზღუდავი ტექნიკური და არატექნიკური ღონისძიებებია: ინტერნეტ-მომხმარებლის საქმიანობის მონიტორინგი, განსაზღვრულ ვებ-საიტებთან მომხმარებლის დაშვების უარყოფა (ბლოკირება), ინტერნეტ-მომხმარებლის თვალყურის დევნება და მონაცემთა ნაკადის ფილტრაცია, საიტის ოპერატორებისთვის ცენზურის წესების დაცვით კონტენტის ადაპტირების სწავლება, ინტერნეტ-ბლოკირება და ჩახშობა.

კიბერსივრცეში ცენზურისა და ინტერნეტ-მომხმარებლების კონტროლირებისთვის სახელმწიფოები იყენებენ IP-მისამართების ბლოკირებას, ვირუსებით ბლოკირებას, პროგრამების ინფექციით დაზიანებას, DNS გატაცება/გადამისამართებას, TCP კონტენტურ ფილტრაციას, პერსონალური ინფორმაციის შეგროვებას, წვდომის სიჩქარის შემცირებას, სოციალურ ზემოქმედებას, განსაზღვრული გვებ-გვერდების გადამისამართებას სამთავრობო პროპაგანდის ტრანსლირებისათვის, ელფოსტაზე შეღწევასა და გასუფთავებას, ყალბი ინტერნეტ-საიტების შექმნას და სხვა მეთოდებს.

ინტერნეტ-ცენზურა ზღუდავს საზოგადოების ფუნდამენტალურ უფლებას. ამ უფლების სრულ განხორციელებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირადი თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარებისთვის. ის არა მხოლოდ გადამწყვეტ როლს თამაშობს სიღარიბის მიზეზებთან ბრძოლაში, ასევე ყველაზე მძლავრი ძალაა მშვიდობის განმტკიცებისა და კონფლიქტის გადაჭრისთვის, ეკონომიკური წინსვლისა და ზრდისთვის.

ცენზურის იდეა შენიღბულია სამი ძირითადი სოციალური ინსტიტუტის - ოჯახის, ეკლესიისა და სახელმწიფოს დაცვის სახით.

ცენზურის კონტექსტში ძირითადია პოლიტიკური მოტივი, რომლის კონტექსტშიც სხვადასხვა ქვეყნის რეჟიმის მიერ მკაცრად კონტროლირდება, ან იბლოკება ოპოზიციური ჯგუფების, რისკ ჯგუფებისა და კრიტიკული იდეების საზოგადო წარმოდგენა, ინტერნეტ-ტრაფიკი, ქვეყნის საზღვრებს გარეთ მომუშავე „არასასურველი“ საიტების მუშაობა.1 მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ინტერნეტის

სახელმწიფო შეზღუდვა გამოიყენება ყოვლისმომცველი და შეუთავსებელი წესებით, რომელიც ხალხს იჭერს ავტონომიურ რეჟიმში და გაქრობით აშინებს პოლიტიკურ ოპოზიციას. ინტერნეტის რეგულირება დიქტატურის მსგავსია, რომლითაც რეჟიმი ახშობს, გმობს ან აშინებს თავისუფალ სიტყვას.ამიტომ ინტერნეტის რეგულირების პოლიტიკასთან კავშირში დღის წესრიგში ძირითადად დგას სიტყვის თავისუფლების საკითხი, როცა სიტყვის თავისუფლება იკარგება, ყველა დანარჩენის თავისუფლებაც ეცემა.

სახელმწიფოს პოლიტიკა ინტერნეტ-ცენზურის მიმართ შეიძლება დაჯგუფდეს 4 კატეგორიაში:

ინტერნეტ-ინდუსტრიის თვითრეგულაციასა და საბოლოო მომხმარებლის მიერ ფილტრაციის/ბლოკირების ტექნოლოგიის ნებაყოფლობითი გამოყენების პოლიტიკური ხელშეწყობა (კანადა, დასავლეთ ევროპის ქვეყნები);

სისხლის სამართლებრივი სასჯელები (ჯარიმები ან პატიმრობა), გამოყენებული კონტენტის პროვაიდერების მიმართ, რომლებიც ონლაინში ქმნიან და გენერირებენ „არასრულწლოვნებისათვის შეუფერებელ“ კონტენტს (აშშ);

კონტენტთან წვდომის ბლოკირების სამთავრობო მანდატი (სინგაპური);

ინტერნეტთან საჯარო წვდომის სახელისუფლებო აკრძალვა (ან რეგისტრაცია/ნებართვა). ასეთი ქვეყნების რაოდენობა ოფიციალურად სამ ათეულზე მეტია.

ცენზურა ხელს უშლის ვაჭრობას, მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს ინტერაქტიული მომსახურების წარდგენისათვის და ძლიერ ზეგავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებაზე (რადგან შეიძლება მონოპოლიურ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. მაგალითად, Baidu).

ინტერნეტ-ესკალაცია, ინტერნეტ-ფილტრაცია და სანქციები ანელებს e-კომერციის მუშაობას, ინტერნეტ-მომხმარებელთა აქტივობასა და ჩართულობას, ინტერნეტ-მომხმარებელს უკარგავს ქსელში ყოფნის სურვილს და არ ქმნის ხელსაყრელ ბიზნეს კლიმატს.

დღეისათვის საჯარო ფაქტს წარმოადგენს კორპორატიული სექტორის მიერ საძიებო შესაძლებლობებისა და ინფორმაციის მართვა, მომხმარებლის პირადი ინფორმაციის ნახვა და შეგროვება, დაშვების კონტროლი და მონიტორინგი.

Google, Yahoo, AOL, Microsoft აგროვებს კონფიდენციალურ ინფორმაციას, ახდენს მათ კლასიფიცირებას, სეგმენტირებას და ამ ინფორმაციას იყენებს მიზნობრივი რეკლამის დემონსტრირებისთვის. თუმცა, როგორც ამერიკელი პროფესორი ნისენბაუმი (Helen F. Nissenbaum) აღნიშნავს, ყველაფერი, რაც კეთდება, შემთხვევები რომელიც ხდება, ოპერაციები რომელსაც აქვს ადგილი, ხდება არა მხოლოდ განსაზღვრულ კონტექსტში, არამედ პოლიტიკის, კულტურისა და საერთო თანხმობის მოლოდინისაგან, ხოლო ტექნოლოგიების გამოყენების საკვანძო პრინციპს წარმოადგენს სოციალური გაგების დინამიკა და შეთანწყობისთვის მორგებული პოლიტიკა.

ინტერნეტ-ცენზურა შეიძლება განვიხილოთ როგორც არასაჭირო, ხელისუფლების არაკანონიერი, ირაციონალური მცდელობა აკონტროლოს, სამოქალაქო და კერძო სექტორის ინფორმაციის ნაკადი ინტერნეტში. რომელიც მორალურად დასაძრახისია, ქმნის დიდ შესაძლებლობებს შიდა სამთავრობო კორუფციისთვის,[10] იწვევს ქვეყნის ჰერმეტულობას, ქსელურ ვაკუუმსა და „დახურულ პროტექციონიზმს“.

საზოგადოება აღარ კონტროლირდება ექსკლუზიურად ცენტრალური დაზვერვის მიერ, არამედ მაკონტროლებელი მოწყობილობების გავრცელება და დაზვერვა ნაწილდება მრავალფეროვან ერთეულ ქმედებებში (პროცესებში). ამ ქმედებების კოორდინირება ჩართულია ინფორმაციის გაცვლისა და სხვა შესაბამისი რესურსების პარალელურ მოქმედებებში.

ინფორმაციის ნაკადის რეგულირებითა და მიდგომებით გამოყოფენ 4 ტიპის ქვეყანას:

ლიბერალური ქვეყნები, რომლებიც გამოდიან მონაცემების თვითრეგულირებისა და ნებაყოფლობითი ფილტრაციით. ამ ჯგუფის ქვეყნებში საბავშვო პონოგრაფიის, მასალების, ძალადობის პროპაგანდის, ნაციზმის და ა.შ. პუბლიკაცია, წარმოადგენს უკანონოს, თუმცა ინფორმაციასთან წვდომა ნებაყოფლობითი ხასიათის მატარებელია და ცენზურით არ იზღუდება (კანადა, დიდი ბრიტანეთი, დასავლეთ ევროპის ქვეყნები);

ქვეყნები, რომლებიც გამოდიან ონლაინ რეჟიმში ინფორმაციასთან თავისუფალი დაშვების წინააღმდეგ „მხოლოდ არასრულწლოვნებისათვის“ (ახალი ზელანდია, აშშ-ი, იაპონია, ტაივანი, ინდონეზია);

ქვეყნები, რომლებსაც ქსელში ინფორმაციასთან შეზღუდული წვდომა აქვთ. აკრძალულია უხამსი ხასიათის, პოლიტიკური, ახალი ამბების, „საფრთხის შემცველ“ ინფორმაციასთან და სხვა საინფორმაციო საიტებთან წვდომა (მალაიზია, ტაილანდი, თურქეთი, არაბთა გაერთიანებ-

ული ემირატები, ინდოეთი, ყაზახეთი, ტუნისი, ავსტრალია, შრილანკა, ბაჰრეინი და სხვა).

ქვეყნები, სადაც ინფორმაციასთან თავისუფალი წვდომა აკრძალულია. ასეთი „ინტერნეტის მტერი და რეპრესიული რეჟიმის ქვეყნებია“:13 მიანმარი, ჩინეთი, ირანი, კუბა, ჩრდილოეთ კორეა, საუდის არაბეთი, სირია, თურქმენეთი, უზბეკეთი, ვიეტნამი, ბელარუსია, ბაჰრეინი.

ქვეყნების უმრავლესობა აშკარად (მაგალითად, ვენესუელას ეროვნული კანონმდებლობით აქვთ დამტკიცებული) თუ ფარულად (ინფორმაციული დაბლოკვით) მიზანშეწონილად იყენებს ინტერნეტ-ცენზურას, როგორც სახელმწიფოს მართვის შემადგენელ კომპონენტს, სადაც რეგულირების სახელი და მექანიზმი რაციონალიზებულია.

საერთაშორისო ორგანიზაციის „ღeporters Without Borders“-ის ანგარიშით „ინტერნეტ-რეგულირების პრობლემების“ მქონე ქვეყნების 44%-ზე მეტი აზიის რეგიონიდანაა, 22% - შუა აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებია, აფრიკისა და ევროპის რეგონის ქვეყნების წილი შეადგენს 13%-ს (თითოეული), ხოლო ლათინური ამერიკის და ოკეანისპირა რეგიონების ქვეყნების წილი 4%-ს (თითოეული).13

The open net-ის ანგარიშით გარკვეული ხარისხის ინტერნეტ-ფილტრაციას აწარმოებს 59 ქვეყანა.[14] თავისუფალი პრესის ხელშემწყობი ორგანიზაციის (CPJ-Committee to Protect Journalists) კვლევით ცენზურის მქონე ქვეყნების ტოპ ათეულში ლიდერობს ერითრია, მეორე და მესამე ადგილებს ინაწილებს ჩრდილოეთ კორეა და სირია, ხუთეულში შედის ირანი და ეკვატორული გვინეა, მე-6 ადგილს იკავებს უზბეკეთი, მას მოსდევს ბირმა, საუდის არაბეთი, კუბა და ათეულს აბოლოებს ბელარუსი.

აღსანიშნავია, რომ ცენზორი სახელმწიფოების საერთო რაოდენობა არაოფიციალურად გაცილებით მეტია, რადგან ინტერნეტ-ცენზურა და კონტენტის ფილტრაცია არ აფიშირდება და გასაიდუმლოებულია, ამიტომ ცენზორი სახელმწიფოების სტატისტიკის სრული სურათის ასახვა რთულია.

noun
передача
радиопередача
радиовещание
телепередача
verb
вещать
распространять
передавать по радио
вести радиопередачу
передавать по телевидению
разбрасывать
adjective
радиовещательный
посеянный вразброс
разбросанный
рассеянный

თუმცა ცენზურას უარყოფითი კონტექსტის გარდა აქვს პოზიტიური მხარეც, კერძოდ: ინტერნეტ-რეგულირებას საჭიროებს არასრულწლოვნების უფლებების დაცვა, ექსტრემიზმის, ნაციზმის, რასიზმის, სიონიზიმს და რელიგიის პროპაგანდა, ასევე სხვა ფორმის შეუწყნარებლობა, ძალადობა, სისასტიკე, ანტისემიტიზმისა და ტერორიზმის პროპაგანდა, „ჩრდილოვანი სერვერის ეკონომიკის“ სტიმულირება და სხვა.

ინტერნეტ-რეგულირებისა და კონტროლის „ჯანსაღ“ საკანონმდებლო მოდელს იყენებს აშშ, რომლის „არასრულწლოვანთა კერძო ცხოვრების დაცვის აქტი“ ინტერნეტში ბავშვების (13 წლამდე) მუშაობის რეგულირებისა და ეფექტური კონტროლის უზრუნველყოფისთვის ახდენს წებ-რესურსების აუცილებელ კლასიფიკაციასა და ფილტრაციას.

სპეციალურ ფილტრებს იყენებს ევროპის საზოგადოება მავნე კონტენტის (საბავშო პორნოგრაფიის, რასიზმის, ტერორიზმის, სიძულვილის გაღვივების მიმართულებით) ცენტრალიზებული გაცხრილვის სახით. ფილტრაცია ხდება დიფამაციის კანონის საფუძველზეც. იფილტრება ისეთი სფეროები, როგორიცაა საავტორო უფლებების დაცვა, აზარტული თამაშები. ინტერნეტ-მომსახურების პროვაიდერების (IშS), საძიებო სისტემების და კონტენტ-პროვაიდერების ფილტრაცია, წარმოადგენს „ნებაყოფლობითს“ და ხორციელდება იმ შეგნებით, რომ სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობის უგულებელყოფა გამოიწვევს იძულებით საკანონმდებლო რეგულირების ღონისძიებებს.

ევროპაში არსებული ინტერნეტ-რეგულირების კანონმდებლობა არეგულირებს ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენებას სკოლებში და სტიმულირებს მომხმარებელთა ინფორმირებასა და თავდაცვის სწავლების პროგრამებს.[17]

თუმცა, ინტერნეტის სტრუქტურა განაპირობებს როგორც ინტერნეტ-ცენზურის, კონტროლისა და ბლოკადის, ისე მისი თავიდან აცილების შესაძლებლობას. ინტერნეტ-ცენზურის გვერდის ავლის პოპულარული ტექნოლოგიებია: Freenet, Freegate, GPass, FirePhoenix, Triangle Boy, Hotspot Shield Tor (The Onion Router), Garden, UltraSurf, DynaWeb, Psiphon, UltraReach და სხვა (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

ინტერნეტ-ცენზურის გვერდის ავლის გავლენიანი ტექნოლოგიები*

ექნოლოგია	მწარმოებელი	მახასიათებელი
reenet	შემუშავებულია იან კლარკის (IanClarke) მიერ 1991 წელს.	ტექნოლოგია მხარს უჭერს ანონიმური მასალების შენახვასა და ძიებას;
riangle Boy	შემუშავებულია SafeWeb-ის (www.safeweb.com) მიერ (2000 წელს).	ტექნოლოგია უზრუნველყოფს სერვერებიდან web-გვერდების შეუფერხებლად მიღებას, IP ბლოკირებისა და ინტერნეტ-ფილტრაციის თავიდან აცილებას. გავრცელებულია საუდის არაბეთსადა ჩინეთში.
arden	შემუშავებულია Garden-ქსელის მიერ (www.gardennetworks.com) (2001 წელს).	ანტი-ცენზურის სისტემა, როგორც პირველ ინტელექტუალური პროქსი სისტემა, რომელიც პოპულარულია ჩინეთში, რადგან გაიმარჯვა GFW ცენზურაზე. ტექნოლოგია მუდმივად ახლდება და იხვეწება მოხალისთა სპეციალური ჯგუფის მიერ.
ltraSurf	შემუშავებულია კომპანია UltraSurf-ის www.ultrareach.com მიერ. (2002 წლიდან)	ანტი-ცენზურის ფლაგმანი web-საიტის თავისუფლად დაათვალიერების, ე-ფოსტის (UltraMail) უსაფრთხოების მომსახურების, დატვირთვის ბალანსირებისა და დეფექტების შემთხვევაში მუშაობის შესაძლებლობას იძლევა.
ynaWeb	შემუშავებულია Dynamic Internet Technology Inc. (DIT) მიერ (2001 წელს).	ანტი-ცენზურის მომსახურების ნაკრები. 2002 წელს DIT-მა წარმოადგინა მომსახურება ცენზურის წინააღმდეგ DynaWeb-ის ჩარჩოებში. DynaWeb-ი წარმოადგენს web-ზე დაფუძნებულ ანტი-ცენზურის პორტალს. DIT-ს გამოქვეყნებული აქვს ინტერნეტ-ცენზურის ოპერაციების ტექნიკური ანალიზი და რეკომენდაციები (http://www.dit-inc.us/press.php);
or (The nion outer)	შემუშავებულია აშშ-ის Naval Research Laboratory-ის ხელშეწყობით. 2004 წელს მემკვიდრეობით გადაეცა Electronic Frontier Foundation-ს (EFF)	ანტი-ცენზურისადმი ბრძოლის არსენალის ტექნოლოგია;
Pass და irePhoenix	შემუშავებულია World's Gate Inc. (WG) მიერ. (2006 წლის ზაფხული)	ტექნოლოგია, მსხვილი და საიმედო ინტერნეტ-პლატფორმების აგებით საიმედო მომსახურებას სთავაზობს მომხმარებლებს. ძირითადად ფოკუსირებულია განსაკუთრებით რეპრესიული რეჟიმში მყოფ მომხმარებლებზე.
reegate	შემუშავებულია აშშ-ის The Global Internet Freedom Consortium-ის მიერ.	ირანში პოპულარულია ანტი-ცენზურის პროგრამა UltraReach და Freegate.
otspot hield	შემუშავებულია ინტერნეტ-კომპანია AnchorFree-ის მიერ .	უფასო და რეკლამის მხარდაჭერით ინტერნეტ-მომხმარებლების მონაცემების დაშიფვრისა და მათი იდენტურობის დამალვის შესაძლებლობას იძლევა (ამჟამად 7.5 მლნ მომხმარებელი ჰყავს მსოფლიოში).
siphon	შემუშავებულია ტორონტოს უნივერსიტეტის სამოქალაქო ლაბორატორიის მიერ.	ინტერნეტ-ცენზურასთან ბრძოლის ინსტრუმენტი, რომელიც ბლოკირებული საიტების აღდგენისა და ელექტრონული მოსმენის გაშიფვრის საშუალებას იძლევა.

*ცხრილი აგებულია სხვადასხვა წყაროს საფუძველზე

ასევე ცენზურის გვერდის ავლა შესაძლებელია ისეთი ტექნოლოგიური ინოვაციებით, როგორიცაა: პროქსი სერვერები, ვირტუალური კერძო ქსელები (VPNs), iPhones, BlackBerry და სხვა, რომელიც არ იძლევა ინტერნეტ-კონტროლის, მოსმენისა და ელექტრონულ რეჟიმში არსებული ინფორმაციის, პორტფოლიოს მონიტორინგის, მიმოწერის გაკონტროლების შესაძლებლობას.

დაბოლოს, ინტერნეტ-სივრცეში არსებული ცენზურიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

ცალკეულ ქვეყნებში ადგილი აქვს პრივატიზებულ ცენზურასა და ციფრულ მაკარტიზმს;[19]

ინტერნეტ-კონტროლის უზრუნველყოფისთვის ცენზორების სამართლებრივი ვარიანტები ფართოა;

დღეისათვის ავტორიტარული რეჟიმები ახორციელებენ ამბიციურ, კარგად დაგეგმილ სტრატეგიას საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში, რისთვისაც იყენებენ სამართლებრივ, ტექნიკურ და სოციალურ ღონისძიებებს ინტერნეტის მოხმარების განვითარების მოდელში (მაგალითად,

სინგაპური);[20]; [21]

ცალკეული ქვეყნის რეჟიმი „სტაბილურობის შენარჩუნებისთვის“ ატარებს მკაცრ ინტერნეტ-კონტენტის კონტროლსა და პრევენციას „გამანადგურებელი“ ინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ;

ინტერნეტ-ცენზურის შედეგად დემოკრატიზაციის პროცესი კარგავს იმპულსს, რომელიც ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ინტერნეტში საკუთარი შეხედულების თავისუფალ გამოხატვაზე;

ზოგადად ცენზურის სრული სურათის ასახვა და მისი დეტალიზების მონაცემის მოპოვება რთულია, რადგან კვლევის ნებისმიერი მონაცემი ეყრდნობა ადმინისტრაციულ, გაფილტრულ ინტერნეტ-მონაცემს.

ამრიგად, ინტერნეტ სივრცეში არსებული ცენზურის ტენდენციების საფუძველზე საზოგადოებრივი ხასიათის გასატარებელი ღონისძიებებია:

ინტერნეტის კულტურული გამოყენების, ინტერნეტ-საზოგადოების სიფხიზლისა და აგრესიული ინტერნეტ-კონტენტის პრობლემის გათვიცნობიერების დონის ამაღლებისთვის უნდა გატარდეს საგანმანათლებლო და სოციალური აქტივობა;

ფილტრაცია უნდა მოხდეს დიფამაციის კანონის საფუძველზე. უნდა შეიქმნას ინტერნეტის რეგულირების კანონპროექტები და მოხდეს მისი საერთაშორისო ექსპერტიზა;

ეროვნული და საერთშორისო კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს ბუნდოვანი განსხვავება ნებაყოფლობით და სავალდებულო ფილტრაციას შორის;

სახელმწიფოსთვის ეროვნული კანონდებლობით უნდა განისაზღვროს ინტერნეტ-კონტენტის რეგულირების წესები, თვირეგულირება და ერთობლივი რეგულირება, ინტერნეტ-მომხმარებლის ანონიმურობა, ინტერნეტის მეშვეობით მომსახურების წარდგენის თავისუფლება, ინფორმაციული კონტენტის სერვისის პროვაიდერებისთვის პასუხისმგებლობა, სახელმწიფო კონტროლის უქონლობა, მოქალაქეების ინფორმაციულ საზოგადოებაში ჩართვისათვის ბარიერების მოშორება და სხვა;19

კორპორაციული სექტორის მიერ ინტერნეტ-მომხმარებლებთან შეთანხმების გარეშე დაგროვილი ინფორმაციის გამოუყენებლობა უნდა გაკონ-

ტროლდეს კანონმდებლობით;

ინტერნეტ-გარემოს ცენზურისთვის უნდა შეიქმნას საერთაშორისო შეზღუდვის წესები, არსებული რეგულირების დასაშვები ფორმები, შესაბამისობაში უნდა იყოს როგორც ეროვნულ კანონებთან, ისე საერთაშორისო სამართლის ნორმებთან, რაც საბოლოოდ უნდა გაკონტროლდეს საერთაშორისო მონიტორინგის სისტემით. ის, რაც ერთ ქვეყანაში არალეგალურს წარმოადგენს და მიიჩნევა არასწორად, მეორე ქვეყანაში სავსებით კანონიერია. რაც წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფოების კანონმდებლობასთან;

მსოფლიო ქსელი არ უნდა განიცდიდეს ძალიან მკაცრ შეზღუდვას, სადაც ნებისმიერი ინტერნეტ-რეგულირება ქსელში შეიძლება იყოს მხოლოდ ნებაყოფლობითი, საზოგადოების მიერ შერჩეული კონტენტის ფილტრაციის სისტემის არჩევით. საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს ცენზორის ცენტრის/ცენტრებისა და მათ მიერ განსაზღვრული რეგულირების წესების შესახებ, რაც საზოგადოების ნდობას განამტკიცებს და მართველობის პროცესის ეფექტურობას ზრდის;

სახელმწიფო ინტერნეტ-წვდომას უნდა უდგებოდეს როგორც მოსახლეობის „ფუნდამენტალურ უფლებას“, ხოლო „ინტერნეტი უნდა იყოს ნდობის სივრცე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინტერნეტი მოქმედი ძალით გახდება შხამიანი და სახიფათო ვიდრე სასარგებლო;

ცენზურით ადამიანს ვერ გარდაქმნი, ის მხოლოდ გაჩუმდება. ამიტომ ცენზურა უნდა ეფუძნებოდეს კონსენსუს, ინტერნეტ-რეგულირებაში სამოქალაქო სექტორის ჩართულობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ინტერნეტ-მომხმარებლები გაბედული თვითორგანიზებით მოახდენენ ცენზურის გვერდის ავლას;

რასაკვირველია ყველა სახის ინტერნეტ-საიტის „კონტროლირება“ შეუძლებელია იგივე გზით, როგორც ტრადიციული მედიის, რადგან სამოქალაქო და კორპორაციული სექტორის შესაძლებლობები, რესურსები და განფენილობა ცვლის ურთიერთდამოკიდებულებას, კონტროლსა და რეგულირებას.

რატი აბულაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიტერატურა

1 Hindley B., Lee-Makiyama H. Protectionism Online: Internet Censorship and International Trade Law. ECIPE Working Paper. No. 12/2009. http://www.ecipe.org/publications/ecipe-working-papers/protectionism-online-internet-censorship-and-international-trade-law/PDF

2 Global Internet Freedom Consortium (GIFC). Defeat Internet Censorship: Overview of Advanced Technologies and Products. November 21, 2007. http://www.internetfreedom.org/archive/Defeat_Internet_Censorship_White_Paper.pdf

3 http://www.article19.org/data/files/pdfs/publications/iran-art-censorship.pdf

4 http://gilc.org/speech/osistudy/censorship/

5 http://www.reuters.com/article/idUSL2774335120070727

6 http://www.efa.org.au/Issues/Censor/cens3.html

7 http://www.newsland.ru/news/detail/id/432229/cat/69/

8 http://www.nytimes.com/2008/03/20/business/media/20adco.html?_r=1

9 The Office of the Commissioner of Canada. Social Network Site Privacy, A Comparative Analysis of Six Sites.February, 2009. http://www.priv.gc.ca/information/pub/sub_comp_200901_e.pdf

10 http://www.mannkal.org/downloads/scholars/internet-censorship-in-australia.pdf

11 Messner D., Meyer-Stamer J. Governance and Networks. Tools to Study the Dynamics of Clusters and Global Value Chains.IDS/INEF Project "The Impact of Global and Local Governance on Industrial Upgrading" Duisburg, February 2000.
http://home.furb.br/wilhelm/COMPETIV/JMS_governance_tools.pdf
12 http://ouin.ru/usa1/
13 www.rsf.org
14 http://www.gtnoise.net/papers/2010/burnett:usenixsec2010.pdf
15 http://cpj.org/reports/CPJ.Ten.Most.Censored.5.2.12.pdf
16 Лоскутов И. Сравнительный анализ международных норм законодательного регулирования Интернета в различных странах (2008 г.). International Foundation of speech Freedom Protection "Adil soz". http://www.adilsoz.kz/site.php?lan=russian&id=785
17 www.netpolice.ru/article/regul/regul_3.html
18 http://www.voanews.com/georgian/news/100687384.html
19 www.wikileaks.org
20Rodan G. `The Internet and Political Control in Singapore~, Political Science Quarterly, volume 113, number 1 (Spring), 1998. pp. 63-89.
21 Hwa Ang P. `How Countries Are Regulating Internet Content~, paper presented at the 1997 Annual Meeting of the Internet Society, Kuala Lumpur, Malaysia, 25-27 June 1997.

რეზიუმე
რ. აბულაძე

ქვეყნების უმრავლესობა აშკარად თუ ფარულად მიზანშეწონილად იყენებს ინტერნეტ-ცენზურას და აწარმოებს გარკვეული ხარისხის ინტერნეტ-ფილტრაციას, როგორც სახელმწიფოს მართვის შემადგენელ კომპონენტს.

სტატიაში ნაჩვენებია ცენზურის იდეა, რომლის მამოძრავებელია ინტერნეტი, როგორც ცენზურის იმპულსი, რეგულირების ხელშემწყობი და კონტროლის რესურსი, წარმოდგენილი ინფორმაციის შემზღუდავი ტექნიკური და არატექნიკური ღონისძიებებით და რომელიც შეიძლება შენიღბული იყოს სამი ძირითადი სოციალური ინსტიტუტის - ოჯახის, ეკლესიისა და სახელმწიფოს დაცვის სახით.

სტატიაში გაანალიზებული ცენზურის ჰორიზონტები, ნაკლოვანებები და მიმართულებები, განხილულია, როგორც არასაჭირო, ხელისუფლების არაკანონიერი, ირაციონალური მცდელობა აკონტროლოს, სამოქალაქო და კერძო სექტორის ინფორმაციის ნაკადი ინტერნეტში. იგი მორალურად დასაძრახისია, ქმნის დიდ შესაძლებლობებს შიდა სამთავრობო კორუფციისათვის, იწვევს ქვეყნის ჰერმეტულობას, ქსელურ ვაკუუმსა და „დახურულ პროტექციონიზმს".

ლიტერატურული მასალების განზოგადების საფუძველზე წარმოდგენილია ტექნოლოგიები, საკვანძო ფაქტორები და საზოგადოებრივი ხასიათის გასატარებელი ღონისძიებები, რომელიც ცენზურის გვერდის ავლისა და თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა.

REGULATION AND LIMITATIONS OF INTERNET SPACE
Rati Abuladze

Majority of the countries, obviously or secretly, are using Internet-censorship and are producing internet-filtration of the certain quality, as a compounding component of state administration.

The idea of censorship is shown in the article, the internet of circulating of which, as an impulse of censorship, supporting of regulation and control resource presented by technical and non-technical actions limiting the information and which may be masked in face of three main social institutions-protecting the family, church and state.

In the article there are analyzed the horizons, lacks and trends of censorship, it's reviewed as unnecessary, illegal from the party of authority, irrational attempt to control the flow of information in civil and private sector in internet. It's unfair from the point of view of moral, it's creating the great opportunity for internal governmental corruption, is resulting the hermecity of the country, network vacuum and "closed protectionalism".

The technologies, knot factors and the actions of social character to be made presented on the basis of literary materials, is giving the opportunity for avoiding the censorship.

ინოვაციათა მარკეტინგული მართვის ძირითადი მიმართულებები

ინოვაციათა მარკეტინგული მართვა გულისხმობს მარკეტინგული ღონისძიებების გამოყენებას პროდუქტის მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე და ორიენტირებულია ამ უკანასკნელის გახანგრძლივებაზე. მისი ძირითადი ამოცანებია: მიზნობრივი ბაზრის ახალი სეგმენტებისა და ზოგჯერ სრულიად ახალი ბაზრების დაპყრობა, გაყიდვათა მოცულობის გაზრდა, დიზაინის შემუშავება, რეკლამის გაფართოება.

ფირმის მარკეტინგულმა სამსახურმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს საბაზრო მოთხოვნა მოცემულ საქონელზე, შეაფასოს ბაზრის კონკრეტული სეგმენტებისთვის პროდუქტის მომავალი მოთხოვნის დინამიკა, გამოავლინოს იმ ბაზრების სეგმენტები (მომხმარებელთა ჯგუფები), სადაც (ვისთვისაც) მოცემულ პროდუქტზე შეიძლება არსებობდეს მოთხოვნა.

თანამედროვე მარკეტინგი არა მხოლოდ სწავლობს და აანალიზებს ბაზრებს, გარემო პირობების ფაქტორებსა და დღევანდელ მომხმარებლებს, არამედ ქმნის პოტენციურ მომხმარებლებსაც.

ცნობილია ახალი პროდუქციის ამთვისებელთა 5 ჯგუფი: ინოვატორები, ადრეული ამთვისებლები, ადრეული უმრავლესობა, გვიანი უმრავლესობა, ჩამორჩენილები. თითოეულ მათგანს განსხვავებული ფასეულობა გააჩნია. ინოვატორები (innovators) რისკიანები არიან — ისინი რისკზე მიდიან და ახალ იდეებს ცდიან. ადრეული ამთვისებლები (early adopters) არიან აზრის გამავრცელებლები თავიანთ საზოგადოებაში და ითვისებენ ახალ იდეებს ადვილად, მაგრამ ფრთხილად. ადრეული უმრავლესობა (early majority) ფრთხილია — მიუხედავად იმისა, რომ იშვიათად არიან ლიდერები, ისინი მეტად იზიარებენ ახალ იდეებს, ვიდრე საშუალოდ სხვა ადამიანები. გვიან უმრავლესობას (late majority) სკეპტიკოსები შეადგენენ — ისინი იზიარებენ ინოვაციებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას ხალხის უმრავლესობა გამოცდის. ბოლოს მოდიან ჩამორჩენილები (laggards) (ხატოვნად რომ ვთქვათ — მაჩანჩალები, ტრადიციათა მოყვარულნი). ისინი ეჭვის თვალით უყურებენ ცვლილებებს და სიახლეებს მხოლოდ მაშინ იღებენ, როდესაც ის რაღაც ტრადიციის მსგავსი ხდება. ამთვისებელთა ასეთი კლასიფიკაცია გულისხმობს, რომ კომპანიამ ინოვატორთა და ადრეულ ამთვისებელთა დამახასიათებელი თვისებები უნდა გამოიკვლიოს და მარკეტინგული ძალისხმევა წარმართოს მათკენ[1]. მომხმარებლის ინტერესების ყოველმხრივი გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს ინოვაციური საქონლის მიწოდება შესაბამისი რაოდენობით, განსაზღვრულ დროსა და ადგილზე.

კომპანიამ აუცილებლად უნდა მოახდინოს ახალი პროდუქტის ბაზარზე დამკვიდრების წარმატებისა და წარუმატებლობის ანალიზი. ბევრი კვლევა იმაზე მიუთითებს, რომ ახალი პროდუქტის წარმატება დამოკიდებულია უნიკალური პროდუქტის (unique superior product) განვითარებაზე, რომლის მთავარი მახასიათებელიც არის მაღალი ხარისხი, ახალი ნიშან-თვისებები და გამოყენების უფრო მაღალი ფასეულობა.

---

1 არმსტრონგი რ., კოტლერი ფ. მარკეტინგის საფუძვლები. ავტორიზებული თარგმანი ინგლისურენოვანი გამოცემიდან. ჭეარსონ Eდუცატიონ Iნც, 2005. გვ. 192.

წარმატების განმაპირობებელი ფაქტორი კი პროდუქტის კარგად განსაზღვრული კონცეფციაა (well-defined product concept), სადაც კომპანია ძალიან ფრთხილად და ზუსტად განსაზღვრავს თავის სამიზნე ბაზარს[2].

ცნობილია, რომ ინოვაციური საქმიანობა დაკავშირებულია დიდძალ ფინანსურ სახსრებთან და არსებობს მოსაზრება, რომ რაც უფრო უზარმაზარ ხარჯებს გაიღებს კომპანია ინოვაციებისთვის, მით უფრო დიდი მოგება ექნება მას. საინტერესოა, რომ ეს კონცეფცია ყოველთვის არ არის მართებული. ასე მაგალითად, ჟურნალ "Forbes"-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ტოპ-ინოვატორ ფირმათა ათეულში ვერ მოექცა ტოპ-მხარჯველი ფირმები. მაშინ რამ განაპირობა APPLE, Google, 3M, GE, Toyota-სა და სხვა ყველაზე ინოვაციური კომპანიების შემოსავლების ზრდა და ბრენდების ცნობადობა? მათ შეძლეს ისეთი ინოვაციების შემოღება, რომელიც კარგად დააკავშირეს ბიზნესის სტრატეგიებთან და სხვა შესაძლებლობებთან. როდესაც აღნიშნული კომპანიები იდეის ეტაპზე იდგნენ, ამ კომპანიებმა შეაღწიეს მომხმარებლის მოთხოვნილებების შიდა არეალში და გაიგეს პოტენციური დროული საჭიროება. პროდუქტის განვითარების ეტაპზე მათ ჩააბეს მომხმარებლები აქტივობებში, რათა დაემტკიცებინათ ახალი ინოვაციური პროდუქტის ღირებულება, ის, რომ ძვირფასია მოცემული ინოვაციური პროდუქტი და ღირს მისი შეძენა, შეაფასეს ბაზრის პოტენციალი და რისკი. კომერციალიზაციის ეტაპზე აჩვენეს შესაძლებლობა, რომ შეუძლიათ იმუშაონ მომხმარებლებთან. ყველა წარმატებული ფირმა ავლენს განსაკუთრებულ უნარსა და შესაძლებლობას, რომლითაც იგი გამორჩეულია და ირჩევს გარკვეულ სტრატეგიებს, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფს საკუთარი კომპანიის წარმატებას[3].



ბევრი კომპანიისთვის გრძელვადიანი განვითარების პროგრამის ძირითადი მიმართულება დიფერენცირებაა. პროდუქტებზე განსაკუთრებული თვისებების (საიმედოობის, ეკოლოგიურობის და სხვ.) მინიჭებით ფირმა იქმნის გარკვეულ დადებით რეპუტაციასა და იმიჯს ბაზარზე. თვისებრივი დიფერენციაციის გზის შერჩევით, ბევრმა კომპანიამ შეძლო არა მხოლოდ შეენარჩუნებინა, არამედ გაეუმჯობესებინა კიდევაც თავისი საბაზრო პოზიციები. მაგალითად, AVON-ი, კოსმეტიკური კომპანია, რომელმაც პირველმა მოახდინა ხილის ექსტრაქტების გამოყენება კანის მოვლის საშუალებებში (A new Perfecting Complex for Face), პარფიუმერულ პროდუქციასთან ერთად ქალბატონებს მიაწოდებს სამკაულებსა და აქსესუარებს, ხოლო ბავშვებსა და მამაკაცებს კი მათთვის განკუთვნილ სხვადასხვა პროდუქტს.

პროდუქციის ასეთი დიფერენციაცია კომპანიას საშუალებას აძლევს:

მიიღოს მეტი შემოსავალი და მოგება;

გახდეს პოპულარული;

მოიზიდოს და დააკმაყოფილოს უფრო მეტი მომხმარებლის მოთხოვნილებები.

ინოვაციური პროდუქტის კომერციალიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია პირდაპირი გაყიდვა, რაც გულისხმობს პროდუქტისა და/ან მომსახურების რეალიზაციას საბოლოო მომხარებელზე აღიარებული საცალო სავაჭრო ობიექტების მიღმა, პროდუქტის და/ან მომსახურების მომხმარებლისთვის ინდივიდუალური წარდგენის გზით.

პირდაპირი გაყიდვების ძირითადი მახასიათებლებია:

მომხარებელთან უშუალო კონტაქტი მისთვის მოსახერხებელ ადგილზე;

გამყიდველის მიერ დემონსტრაცია და ამომწურავი კონსულტაცია პროდუქტთან დაკავშირებით;

---

2 იგივე, გვ. 266.

3 http://www.forbes.com/2011/04/04/10-top-innovative-companies-apple-google-leadership-managing-how.html

პირდაპირი გაყიდვების ბიზნესის შესაძლებლობების შეთავაზება.

შუამავლის როლს მწარმოებელ კომპანიასა და საბოლოო მომხმარებელს შორის ასრულებენ: დამოუკიდებელი გამყიდველები, დისტრიბუტორები, კონსულტანტები, წარმომადგენლები და ა.შ. პროდუქციის შეძენის ამგვარი მეთოდი სულ უფროდაუფრო პოპულარული ხდება, რადგანაც გააჩნია არსებითი უპირატესობები მომხმარებლისათვის[4]:

დროის ეკონომია – პროდუქციის შეძენა მოსახერხებელ დროს;

ხელმისაწვდომობა ხარისხიანი პროდუქციის ფართო სპექტრთან;

გამყიდველთან უშუალო კონტაქტისა და ურთიერთობის შესაძლებლობა;

მომსახურების მაღალი დონე;

კონსულტაციის მიღება ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით;

პროდუქციის ტესტირების შესაძლებლობა მის შეძენამდე;

გათვალისწინებული დროის განმავლობაში პროდუქციის დაბრუნების საშუალება;

პერსონალური მიწოდება მომხმარებლისთვის მოსახერხებელ ადგილზე;

გარანტია პროდუქციაზე და შეძენის შემდგომი მომსახურება- ხარისხის 100%-იანი გარანტია;

კონსულტანტის სამუშაო მიმზიდველია იმით, რომ შესაძლებელია:

დამატებითი შემოსავლის მიღება და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება;

მოსახერხებელი სამუშაო გრაფიკი, ოჯახთან მეტი დროის გატარება;

საკუთარი ბიზნესის დაწყების შესაძლებლობა;

ადამიანებთან ურთიერთობის გაფართოება.

AVON-ი თავის პროდუქციას მხოლოდ საკუთარი მაღაზიების თაროებზე განალაგებს. მომხმარებელი ვერ ნახავს აღნიშნული მარკის პროდუქტს სხვა საცალო მოვაჭრე მაღაზიებსა თუ აფთიაქებში. ჩვეულებრივ, წარმომადგენლების, გაყიდვების აგენტების, საკუთარი დისტრიბუტორებისა და კონსულტანტების საშუალებით მომხმარებლებს საკუთარ სახლში ან ოფისში კარდაკარ მიტანით აწვდიან პროდუქციას. გარდა ამისა, ისინი საკმაოდ ეფექტიანად იყენებენ ინტერნეტ-გაყიდვებს და ასევე, სატელეფონო შეთავაზებებით ცდილობენ საკუთარი პროდუქციის რეალიზაციას.

კომპანია AVON-ი უნიკალურია თავის კონკურენტებს შორის პროდუქციის რეალიზაციის მხრივ. ის გახლავთ ყველაზე დიდი კომპანია, რომელიც იყენებს პირდაპირ გაყიდვებს და ამასთან, პირდაპირი მარკეტინგული არხების საშუალებით ახდენს პროდუქციის დისტრიბუციას, რაც გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე შუამავლების საშუალებით პროდუქციის რეალიზება და გაყიდვა. მიუხედავად ამისა, AVON-მა პროდუქციის გაყიდვა მაინც პირდაპირი მარკეტინგული არხების საშუალებით გადაწყვიტა. ამით მან შეძლო მომხმარებელთან დაახლოება და მაქსიმალურად მორგება საკუთარი პროდუქციისა მომხმარებლთა მოთხოვნებსა და საჭიროებებზე, რამაც უზრუნველყო კომპანიის წარმატება და გაყიდვების მაღალი მაჩვენებლები. გარდა ამისა, ზემოთ აღნიშნული სტრატეგიით, კომპანიამ დაამყარა გრძელვადიანი ურთიერთობები მომხმარებელთან.

კომპანია AVON-ი მომხმარებელთან კომუნიკაციის დასამყარებლად სხვადასხვა საშუალებას იყენებს. მათ შორისაა :

პერსონალური გაყიდვები – კომპანია გაყიდვების პრეზენტაციების, სავაჭრო ჩვენებებისა და სხვადასხვა წამახალისებელი პროგრამების სახით ახერხებს პროდუქციის გაცნობას მიზნობრივი მომხმარებლისთვის, რაც თავისთავად ეხმარება პროდუქციის პოპულარიზაციაში.

პირდაპირი მარკეტინგი – AVON-ი ახდენს პროდუქციის ფოსტით შეთავაზებას, კატალოგების გაყიდვას, სატელეფონო შეთავაზებებს, არიგებს სარეკლამო ბროშურებს.

რეკლამა მედია საშუალებებში – AVON-ის ნაწარმზე ინფორმაციას შეხვდებით ტელევიზორსა და

4 www.avon.ge

ჟურნალ-გაზეთებში.

უნდა აღინიშნოს, რომ AVON-ი ყველაზე დიდ ძალისხმევას პერსონალურ გაყიდვებს უთმობს, თუმცა საკმაოდ მრავლად აქვს სარეკლამო კლიპები მედია საშუალებებში.

მომხმარებელთან ახალი ურთიერთობების დასამყარებლად კომპანია სოციალურ ქსელებსაც მიმართავს. ეს უკანასკნელი ბიზნეს-სექტორის ახალი გამოწვევაა, რადგან ბევრი მომხმარებელი ჰყავს და საუკეთესო საშუალებაა საკუთარი პროდუქციის რეკლამირებასა და მომხმარებლებთან კომუნიკაციის დასამყარებლად. კომპანია AVON-ი Facebook-ისა და სხვა სოციალური ქსელების საშუალებით, მომხმარებელს ვებ-გვერდზე პირდაპირ სთავაზობს ახალ პროდუქციას, კატალოგებს, ინტერნეტ-შეკვეთებს სახლში მიტანით, ფასდაკლების აქციებსა და უახლეს შემოთავაზებებსაც აცნობს, რაც უზრუნველყოფს სწრაფ კავშირს მომხმარებელთან და თანაც, გაცილებით დაბალი დანახარჯებით ახერხებს ამას, ვიდრე მედია საშუალებებში სარეკლამო განაცხადების დახმარებით. გარდა ამისა, სოციალური ქსელები მას მომხმარებლებთან უკუკავშირის დამყარებაში ეხმარება, უფრო ეფექტიანს ხდის მის საქმიანობას და აისახება გაყიდვების ზრდაზე.

მომხმარებლებთან მჭიდრო და ხანგრძლივი ურთიერთობების დამყარებით, პერსონალური გაყიდვების უნიკალური მეთოდისა და პირდაპირი მარკეტინგული არხების გამოყენებით, კომპანია AVON-ი ყოველწლიურად 500 მილიონ დოლარ შემოსავალს (რომლის 95% პირდაპირ გაყიდვებზე მოდის) იღებს და დღეს იგი მსოფლიოს კოსმეტიკური კომპანიების საუკეთესო ოცეულში მეხუთე ადგილს იკავებს.

თანამედროვე პირობებში ყველაზე მეტად გამოირჩევა არაფასობრივი კონკურენციის ერთ-ერთი მეთოდი — კომპანიები ისწრაფვიან დაიმკვიდრონ საზოგადოებაზე მზრუნველი ფირმის იმიჯი. საზოგადოებისა და ბიზნესის ურთიერთდამოკიდებულება განაპირობებს ფირმების ობიექტურ არჩევანს სოციალურ პროექტებზე ორიენტირებული ეკონომიკური სტრატეგიის სასარგებლოდ. დღეს საყოველთაოდ მიღებულია აზრი, რომ ყოველი კომპანია, რომელიც აღწევს მაღალ ეკონომიკურ შედეგებს, ვალდებულია შეიტანოს პოზიტიური წვლილი სოციალური პრობლემების გადაჭრაში. ფირმის მიზნებში უნდა აისახოს საზოგადოებრივი მოლოდინი. ამიტომ არის, რომ მსოფლიოს წამყვანი ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ სოციალური მარკეტინგის ხერხებს, აწარმოებენ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს, რაც განაპირობებს მათ მიერ ბაზარზე უპირატესობის მოპოვებას. საზოგადოების ინტერესებზე ორიენტირება ზრდის კომპანიის სამომხმარებლო რეიტინგს და ხდება ფირმის გრძელვადიანი ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის გარანტია.

ამრიგად, ინოვაციათა მარკეტინგული მართვის ეფექტიანობისთვის აუცილებელია საფასო, სასაქონლო, სადისტრიბუციო და საკომუნიკაციო სტრატეგიების გონივრული შემუშავება, კომპანიის მიზნობრივი მომხმარებლის განსაზღვრა და სეგმენტირება, არსებული კლიენტების ანალიზი, პოტენციური მომხმარებლების შექმნა, ბაზრის გამოკვლევა, მოთხოვნის ანალიზი, კონკურენტების შესწავლა. ინოვაციური პროდუქტის რეალიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება პირდაპირ გაყიდვებზე, ინტერნეტ-რეკლამის განსაზღვრასა და განთავსებაზე, ინტერნეტ-შოპინგის განვითარებასა და მედია მენეჯმენტზე.

ოლღა ფაჩულია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

SUMMARY

Olga Pachulia – In the article “Aspects of Innovative Marketing Management” the author discusses matters of capturing the target markets or its segment, sales expansion and advertisements broadening. There is underlined, that modern marketing not only studies and analyses markets, factors of environmental conditions and consumers, but also it creates potential customers. Based on properly research, the author makes conclusion, that in oreder to sale innovative produt it is essential to highlight attention to dorect selling, internet advertising, internet shopping developement and media management.

საქართველოს სამშენებლო კომპანიების ფინანსური რეგულირების ზოგიერთი პრობლემა

საქართველოს სამშენებლო ბაზარზე დღეისათვის მოქმედებს 40 დეველოპერული, 66 - არქიტექტურული, პროექტირება და დიზაინი, 64 - სამშენებლო-სამონტაჟო, 53 - ინტერიერის დიზაინის, 6 - ხიდებისა და გზების პროექტირება მშნებელობის ჯომპანია და სხვ. [1, გვ. 130]. ამ ჯომპანიებიდან ზოგი მსხვილია, ზოგი საშუალო სიდიდის და ზოგიც - მცირე. მათი საქმიანობის ფინანსური რეგულირება სახელმწიფოს მხრიდან ხდება, ფინანსური მართვა ჯი - უშუალოდ შიდასაფირმო სტრუქტურიდან, რომელსაც საფინანსო სამსახური ეწოდება.

მოცემულ სტატიაში ვიხილავთ ფინანსური რეგულირების სახელმწიფო მექანიზმს და ვაფასებთ მის ქმედუნარიანობას. ისტორიულად, სახელმწიფოს როლმა ძლიერი ევოლუცია განიცადა და იგი სახელმწიფო – ჟანდარმიდან სახელმწიფო – მფარველად გადაიქცა. თანამედროვე სახელმწიფო წამყვან როლს ასრულებს ეკონომიკური ტრიადის სამივე პრობლემის – რა ვაწარმოოთ, როგორ ვაწარმოოთ და ვისთვის ვაწარმოოთ – ეფექტიან გადაჭრაში.საბაზო ეკონომიკას, უპირველეს ყოვლისა, მართავს საბაზრო ძალები. რაც შეეხება სახელმწიფო ძალას, იგი მაშინ გამოდის სცენაზე, როცა ბაზარი რომელიმე ზემოთაღნიშნული პრობლემის ან მისი ნაწილის გადაჭრის დროს ფიასკოს განიცდის [2, გვ. 179].

ეკონომიკის ფინანსური რეგულირების ხარისხი განსხვავებულია არა მხოლოდ საზოგადოების განვითარების თითოეულ საფეხურზე, არამედ ცალკეული ქვეყნის მიხედვითაც. ეს იმით აიხსნება, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების განვითარების დონე სხვადასხვაა. განსხვავებულია მათი ეკონომიკის კონცეტრაციის და ცენტრალიზაციის დონეც, დარგთა შორის თანაფარდობა, კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის თანაფარდობა და ა. შ.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, რომელთა შორისაა საქართველოც, დიდი როლი ენიჭება ანტიმონოპოლიურ რეგულირებას. მისი მთავარი დანიშნულებაა კონკურენციის დაცვა მონოპოლიებისგან. ამჟამად საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობს, ან შეზღუდულია თავისთავადი საბაზრო კონკურენცია [3, გვ. 81], რადგან სამომხმარებლო ბაზრის სხვადასხვა სეგმენტი მონოპოლიზებულია. ეს ეხება სამშენებლო ბიზნესსაც. სამშენებლო პროდუქციის ბაზრის 70%-ს აკონტროლებს რამდენიმე ფირმა – „დექსუსი“, ყოფილი „ცენტრ-პოინტი“, „არსი“, „აქსისი“, „კიდ-არქიტექტურა“, „მოდული“, „თბილისი ბესკო“, „იბერია“ [4]. კონკურენციის თვალსაზრისით ეს უარყოფითი

ფაქტია, რადგან ფასებზე მათი ურთიერთშეთანხმება ადვილად ხდება.

საქართველოს მშენებლობაშიც და სხვა დარგებშიც ასეთ მოვლენებს ხელი შეუწყო ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმებამ. მართალია, მის ნაცვლად მიიღეს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" და შექმნეს ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, მაგრამ ვერც ამ კანონმა შეცვალა ანტიმონოპოლიური კანონი და ვერც ამ სააგენტომ – ანტიმონოპოლიური სამსახური. ეს სააგენტო არეგულირებს სახელმწიფო დახმარებისა და მიზნობრივი პროგრამების საკითხებს და ნაკლებად ეხება ანტიმონოპოლიურ რეგულირებას და არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. მას არ გააჩნია რეალური ბერკეტები, რომ ბაზარზე შეზღუდოს ანტიმონოპოლიური საქმიანობა.ამ მდგომარეობიდან ერთ-ერთი გამოსავალია ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის და ადრე არსებული ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენა, რომელიც შეზღუდავს მონოპოლიურ სტრუქტურებს და შექმნის ჯანსაღი კონკურენციის პირობებს. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ფასებს და მრავალ პროდუქციას ხელმისაწვდომს გახდის ქართველი მომხმარებლებისთვის.

ანტიმონოპოლიური რეგულირების შემდეგ თავისი მნიშვნელობით მეორე ადგილზეა ბიზნესის რეგულირება გადასახადებით. საქართველოს სამშენებლო ბიზნესში მოქმედი კომპანიები, განურჩევლად მათი სიდიდისა, ერთნაირად იბეგრებიან. მსხვილი და საშუალო სიდიდის საწარმოები იბეგრებიან მოგების 15%-ით, მცირე სტატუსის მქონე საწარმოები კი, რომელთაც 2011 წლის საგადასახადო კოდექსით მიეკუთვნებიან წლიურად 100 000 ლარამდე ბრუნვის მქონე საწარმოები – ბრუნვის 5%-ით. ესენი არიან ინდივიდუალური მეწარმეები, რომელთაც არა ჰყავთ დაქირავებული მუშაკები.

2011 წლის საგადასახადო კოდექსის მიღებამდე ინდივიდუალური მეწარმეები, როგორც ფიზიკური პირები, იხდიდნენ საშემოსავლო გადასახადს – დასაბეგრი შემოსავლის 20%-ს. 100 000 ლარი ბრუნვის პირობებში და 15%-იანი საშუალო შემოსავლის პირობებში ისინი იხდიდნენ 2011 წლის კოდექსით, როცა ვითომ შეღავათიან განაკვეთად დაუდგინდათ ბრუნვის 5%, უკვე გადაიხდიან გადასახადს. მაშასადამე, სავარაუდოდ, ინდივიდუალურ მეწარმეებს მშენებლობაშიც და სხვა დარგებშიც, ახალი კოდექსით, უფრო მეტი გადასახადის გადახდა მოუწევთ, ვიდრე ადრე იხდიდნენ!

ასე რომ, ასეთი საგადასახადო კოდექსით ბიზნესის დარეგულირება, ეფექტიანობის თვალსაზრისით, არაფრის მომტანია. ამ კოდექსით მცირე მეწარმეებს უფრო ურთულდებათ საქმიანობა. ეს იმაშიც გამოიხატება, რომ ამ მარეგულირებელ დოკუმენტებში მრავლადაა ურთიერთგამომრიცხავი წინადადებები. მაგალითად, კოდექსის 91-ე მუხლის პირველი ნაწილით, მეწარმე ფიზიკურ პირს უფლება აქვს, არ აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები (გარდა ამ მუხლის მე-7 ნაწილის გათვალისწინებული შემთხვევისა). ამასთან, იგივე კოდექსი (მუხლი 90, პუნქტი 2-ა) მცირე მეწარმეს უფლებას აძლევს, დაიბეგროს ბრუნვის არა 5, არამედ 3%-ით, თუ დაასაბუთებს, რომ მას ერთობლივი შემოსავლების 60% აქვს ხარჯები. ისმის კითხვა: თუ მცირე მეწარმე არ აღრიცხავს ხარჯებს, როგორ შეძლებს იმის დასაბუთებას, რომ მის ერთობლივ შემოსავლებში ხარჯებს 60% ან მეტი უკავია?

ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩვენ აღნიშნულ კოდექსს არ ვთვლით ეფექტიან მარეგულირებელ დოკუმენტად და მიგვაჩნია, რომ მას ფუნდამენტალური სრულყოფა სჭირდება. მეტიც, ჩვენი გამოკვლევით დავადგინეთ, რომ რადიკალური გარდაქმნის პირველი წლების (1992-1996 წ.წ.) საგადასახადო რეჟიმები რეგულირების თვალსაზრისით უფრო ეფექტიანი იყო, ვიდრე იგი დღეს არის. მაგალითად, 1992 წელს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონის მიხედვით, მცირე საწარმოები მუშაობის პირველ წელს თავისუფლდებდნენ გადასახადებისგან, ხოლო მეორე წელს იხდიდნენ მის 50%-ს [5, გვ. 28-29].

2011 წლის ახალი საგადასახადო კოდექსით, მცირე საწარმოებს ეს შეღავათები მთლიანად მოესპოთ.

წინა წლების საგადასახადო რეჟიმები რეგულირების ეფექტიანობით სჯობდა მიმდინარეს გადასახადების დიფერენციაციითაც. მაგალითად, 1992 წლის

კანონით, საშემოსავლო გადასახადი დიფერენცირებული იყო 12-40%-მდე შემოსავლების სიდიდის მიხედვით (12, 15, 20, 30 და 40%). რაც მეტი იყო შემოსავლები, მეტი იყო გადასახადის განაკვეთიც. ახლა კი, 2011 წლის საგადასახადო კოდექსით, ყველა სიდიდის შემოსავლის მქონე გადამხდელი იხდის 20%-ს გადასახადს.

იგივე მდგომარეობაა მოგების გადასახადის განაკვეთშიც. ისიც ერთიანია ყველა სიდიდის მოგების მქონე კომპანიისთვის (15%). ეს მაშინ, როცა საზღვარგარეთ იგი დიფერენცირებულია.

ასე რომ, გადასახადები, როგორც ბიზნესის მარეგულირებელი ფინანსური ინსტრუმენტი, ჯერ-ჯერობით ვერ უწყობს ხელს საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას. იგი ასრულებს ფისკალურ, მაგრამ ვერ ასრულებს მასტიმულირებელ-მარეგულირებელ ფუნქციას.

გადასახადების რაოდენობა საქართველოში არ არის ბევრი, მაგრამ თვითონ საგადასახადო პოლიტიკა არის მოუქნელი. იგი არ არის სრულყოფილი და მისით დარეგულირებულ ეკონომიკას, მ. შ. სამშენებლო ბიზნესს, ჩვენი აზრით, პერსპექტივა არა აქვს.

რადგან გადასახადი არის სახელმწიფო მხრიდან ბიზნესის რეგულირების ინსტრუმენტი, იგი იყო და ყოველთვისაც იქნება. პრობლემა მხოლოდ იმაშია,რამდენი გადასახადი უნდა იყოს ქვეყანაში და თითოეული – რა სიდიდის? ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის სიდიდე იყოს დამოკიდებული გადასახადების სიდიდეზე თუ პირიქით – საგადასახადო განაკვეთების სიდიდე ბიუჯეტის საჭიროებაზე? ჩვენი აზრით, ჯერ უნდა ისაზღვრებოდეს გადასახადის განაკვეთები, დგინდებოდეს მათი ოპტიმალური სიდიდე და მხოლოდ ამის შემდეგ, მასზე დამოკიდებულებით, იგეგმებოდეს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი. საქართველოში ეს ნამდვილად ასე არ ხდება.

საქართველოს ხელისუფლების ინტერესებშია გადასახადების მაღალი განაკვეთები. ამჟამად მოქმედი გადასახადების განაკვეთები ევროპის ქვეყნებთან შედარებით მაღალი არ არის, მაგრამ ქართული ბიზნესის, მათ შორის, სამშენებლო ბიზნესის ეფექტიან დარეგულირებას ისინი ვერ ახდენენ. ამას გვიჩვენებს სტატისტიკა. ის გარემოება, რომ სამშენებლო ბიზნესის ხვ. წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში 2005-2009 წლებში 9,1%-დან 6,1%-მდე 3-ით შემცირდა [6] (ზრდის ნაცვლად), სწორედ იმას ნიშნავს, რომ რეგულირების ეს ფინანსური ინსტრუმენტი არ ასტიმულებს ამ დარგის განვითარებას.

გადასახადების გარდა, ბიზნესის რეგულირების ფინანსურ ინსტრუმენტებს მიეკუთვნებიან სახელმწიფო სესხები, სუბსიდიები და საკრედიტო განაკვეთები. არ არსებობს მათი გამოყენების და ამოქმედების საერთაშორისო, უნიფიცირებული სტანდარტი. ყველა ქვეყანა მათ საკუთარი საჭიროებების და შეხედულებების მიხედვით იყენებს. საქართველოს კერძო სამშენებლო კომპანიებზე სახელმწიფო კრედიტის გაცემის ერთი შემთხვევაც არ არის აღრიცხული. ასევეა სუბსიდიებიც. 52 მლნ ლარი, რომელიც „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლეს“ პროექტზე გამოეყოთ კონკურსში გამარჯვებულ ფირმებს, კომერციული კრედიტი იყო და არა – სახელმწიფო.

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ და არ აღვნიშნოთ, რომ სამშენებლო სექტორში ამ წლებში სახელმწიფოს მხრიდან ადგილი ჰქონდა რამდენიმე ფრაგმენტული ღონისძიებების გატარებას. მაგალითად, ტურისტული ინტენსივობის ზრდის გადასახადის შემცირება (K2), დემონტაჟის გადასახადის შემცირება და სხვ. მაგრამ ისიც ავღნიშნოთ, რომ ეს ღონისძიებები მხოლოდ ქ. თბილისში გატარდა, ანუ მათ ლოკალური ხასიათი ჰქონდათ და თანაც ეს იყო ეპიზოდური ხასიათის. იმისათვის, რომ ამ ღონისძიებებს, მართლაც, სამშენებლო ბიზნესის ფინანსური რეგულირების სტატუსი მიეცეთ, ისინი უნდა ჩაიდონ სამშენებლო კოდექსში და გავრცელდეს მთელი საქართველოს ტერიტორიაზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან კეთდება დასკვნა, რომ საქართველოს სამშენებლო სექტორს არა აქვს ეფექტური სახელმწიფო ფინანსური რეგულირების სისტემა.

ჩვენი აზრით, სამშენებლო ბიზნესი ეპიზოდური, ფრაგმენტული ღონისძიებებით კი არ უნდა იმართოს, არამედ წინასწარ უნდა იყოს ქვეყანაში შემუშავებული მათი მართვა-რეგულირების კომპლექსური გეგმა.სამშენებლო სექტორთან მიმართებაში საქართველოში ყურადღება უნდა მიექცეს პრიორიტეტული დარგების – ენერგეტიკის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის აღმშენებლობას, მათი უძრავი ქონების შექმნას. ამ პოლიტიკის წარმატება სწორ ფინანსურ რეგულირებაზეა დამოკიდებული.

სამწუხაროდ, დღეის მდგომარეობით საქართველოს მთავრობას ეკონომიკის რეგულირებას არც სადღეისო გეგმა აქვს და არც სამომავლო.

რუსუდან პაპასკირი
ტექნიკის აკადემიური
დოქტორი, პროფესორი

ლიტერატურა:

თ. ჟორჟოლიანი, გლობალიზაცია და სამშენებლო ბიზნესის განვითარება საქართველოში, თსუ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – „გლობალზიაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები“, 6-7/IV, 2012 წ., თბ., 2012.

ეკონომიკური თეორია (რედ. გ. ადეიშვილი), თბ., 1998.

ე. მეყანწიშვილი, ბიზნესის სახელმწიფო რეგულრიების თავისებურებები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, თსუ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები, 6-7/IV, 2012, თბ., 2012.

დ. ცინცაძე, სამშენებლო კრიზისი საქართველოში, თსუ შრომების კრებული, 2010.

ახალი საგადასახადო სისტემა საქართველოში, თბ., 1992.

www.geostat.ge

RESUME

Rusudan Papaskiri, Doctor in Technical Sciences, Professor

SEVERAL PROBLEMS OF FINANCIAL REGULATION OF BUILDING COMPANIES OF GEORGIA

In the article of Rusudan Papaskiri – “Several problems of financial regulation of building companies of Georgia” such instruments of state regulation of building sector are evaluated, such as taxes, state credit, subsidy and financial prawn.

The article denotes that when the market cannot regulate the business efficiently for the society, then this should be done by the government. Due to the fact that Georgia has just started to move on to market economy and has no perfect market, that’s why the Government should interfere more in the issues of developing the business.

The author has negative evaluation for the Georgian Tax Policy, because the taxes are not differentiated according to the incomes of tax payers. She even does not consider it right the fact that in necessary cases Government is not issuing not only subsidies but also the state credit to the businessmen.

The article gives the conclusion that state regulation of building business is inefficient and should be changed. Stimulus should be given to the establishment of main funds in advantageous fields – energy power, tourism, agriculture. The government is able to do this ranging the tax portions.

საქართველო საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე

ტურიზმი საქართველოში ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებადაა აღიარებული და ეს, შემთხვევითი არ არის. ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი და მაღალშემოსავლიანი დარგია. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) სტატისტიკური მონაცემებით 2011 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავალი ტრილიონს მიუახლოვდა და 919 მლრდ. აშშ დოლარზე (693 ევრო) მეტი შეადგინა. 2009-2010 წლებში დაფიქსირდა მოგზაურთა 4,5-5% ზრდა, რაც 2011 წელსაც შენარჩუნდა. ტურიზმის სფეროში მსოფლიოში არსებული სამუშაო ძალის 16%-ზე მეტია დასაქმებული. ამ დარგში იქმნება მსოფლიო შიდა პროდუქტის 9,2%, ხოლო საერთაშორისო ექსპორტის 4,3% და მსოფლიო ინვესტიციების 9,2% ხორციელდება, 2011 წლისთვის ის მიუახლოვდა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე არსებულ დონეს, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ დარგის განვითარება კვლავაც გრძელდება.

ჩვენი ქვეყანა ბოლო რამდენიმე წელია ცდილობს დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო ტურისტულ რუკაზე. საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო ბოლო სამი წელია ქვეყანაში ვიზიტორების მკვეთრ ზრდას აცხადებს, ხოლო 2011 წელი შეფასდა, როგორც ყველაზე დინამიკური ქვეყნის ტურიზმის განვითარებაში. ამ წელს საქართველოში 2.8 მილიონი უცხოელი მოგზაური ჩამოვიდა, რაც 39%-ით მეტია 2010 წელთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ტურიზმის ზოგიერთი ექსპერტი ფიქრობს, რომ დარგი არასწორად, ერთდროულად ყველა მიმართულებით, ქაოტურად ვითარდება და რომ არ არის გათვალისწინებული ამ სფეროში ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა.

დღეისათვის, როდესაც ტურისტული პროდუქტისა და ბაზრების მკვეთრი გამიჯვნის შედეგად ადგილობრივი ტურიზმი თავისი ფორმითა და შინაარსით შეიცვალა და იგი საბაზრო პრინციპებით ფუნქციონირებს, მოსაძებნია ქართული ტურისტული პროდუქტის რეალიზაციის ბაზრები. საქმეს ართულებს ისიც, რომ ქვეყანამ საბჭოთა საქართველოდან მიიღო უკვე დანგრეული საკურორტო და ტურისტული ინფრასტრუქტურა და ზემოთ ნახსენები 4 მილიონიდან 2,5 მილიონი აფხაზეთში ისვენებდა. საქართველოს თითქმის თავიდან უწევს ამ დარგის შენება. მაგრამ, რა დიდიც არ უნდა იყოს სურვილი სწრაფად მივაღწიოთ სასურველ შედეგს, ყოვლად დაუშვებელია არასწორი და ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება. ტურიზმის ქაოტურმა განვითარებამ რეგიონი შეიძლება დიდ ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემის წინაშე დააყენოს. იმისათვის, რომ ქართული ტურისტული პროდუქტი იყოს კონკურენტუნარიანი, საჭიროა, მსოფლიო ტურიზმში დღეს მიმდინარე პროცესების და ტენდენციების გათვალისწინებით მოხდეს ტურიზმის გრძელვადიანი დაგეგმვა და მისი განვითარების პოლიტიკის (კონცეფციის განსაზღვრა, რო-

მელიც უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის განვითარების ერთიან პოლიტიკას.

საქართველოს მთავრობა ბოლო პერიოდში ცდილობს ტურიზმის სპონტანური განვითარების მიმართულება შეცვალოს და აქცენტი კვლევაზე აიღოს. მაგრამ, სახელმწიფო სტრუქტურების მიერ კვლევის ჩატარების არასწორი მეთოდოლოგია და პრაქტიკა არის დამკვიდრებული. არასწორია ვილაპარაკოთ ქვეყნის საზღვრის გადამკვეთი ადამიანების რიცხვის ზრდის მიხედვით ტურიზმის, როგორც დარგის განვითარებაზე და ქვეყნისათვის მის სიკეთეზე. ტურისტების რიცხოვნობის ზრდა უნდა განიხილებოდეს მისგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელთან ერთად. ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე გამოიხატება კონკრეტულად შემდეგ მაჩვენებლებში: შემოსული, გასული და ადგილობრივი ტურისტების რიცხოვნობა; ერთი ტურისტის მიერ გაწეული ხარჯები; ტურიზმიდან და საკურორტო მეურნეობიდან მიღებული შემოსავლები; ტურიზმიდან და საკურორტო მეურნეობიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი ქვეყანაში შექმნილი საქონლისა და მომსახურების საერთო მოცულობაში; ტურიზმის ხვედრითი წილი ქვეყნის ექსპორტში და საგადამხდელო ბალანსში; ქვეყნის ბიუჯეტში ტურიზმიდან და საკურორტო მეურნეობიდან მიღებული შემოსავლები; ტურიზმის განვითარებით შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა და სხვა.

მსოფლიოში მოგზაურობისა და ტურიზმის (T&T) განვითარების ხელშეწყობის მიზნით მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი 2007 წლიდან აქვეყნებს მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ანგარიშს, სადაც ქვეყნების გრადაცია ეფუძნება კონკურენტუნარიანობის ინდექსს (Travel&Tourism Cometitiveness Index (TTCI)), ინდექსი აფასებს იმ ფაქტორებსა და პოლიტიკას, რომელიც მიმზიდველს ხდის მოგზაურობისა და ტურიზმის სექტორის განვითარებას სხვადასხვა ქვეყანაში.

ვინაიდან ტურიზმი გადახლართულია სახელმწიფო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სისტემებთან კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოანგარიშება ეფუძნება შემდეგ ფაქტორებს: 1) პოლიტიკის განმსაზღვრელი კანონები და რეგულირება; 2)გარემოს მარეგულირებელი წესები; 3) დაცულობა და უსაფრთხოება; 4)ჯანმრთელობა და ჰიგიენა; 5) მოგზაურობისა და ტურიზმის პრიორიტეტულობა; 6)საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა; 7)სახმელეთო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა; 8)ტურისტული ინფრასტრუქტურა; 9)საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა; 10) ფასის კონკურენტუნარიანობა; 11)ადამიანური რესურსები; 12)ტურიზმისადმი ეროვნული დამოკიდებულება; 13)ბუნებრივი რესურსები; 14)კულტურელი რესურსები. ასეთი მონაცემების ანალიზის საფუძველზე ტურისტული ქვეყნების მთავრობასა და ტურისტულ კომპანიებს კარგი შესაძლებლობა უჩნდებათ დაადგინონ დარგის განვითარების ხელშემშლელი მიზეზები და იპოვნონ პრობლემების ეფექტურად გადაჭრის გზები, ინდექსით ასევე შესაძლებელია შეფასდეს ის ფაქტორები და პოლიტიკა, რომელიც მიმზიდველს ხდის მოგზაურობისა და ტურიზმის სექტორს.

აღნიშნული გრადაციის მიხედვით, საქართველო 2007 წელს 134 ქვეყნიდან 66-ე პოზიციაზე იმყოფებოდა და უსწრებდა ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ქუვეითი, რუსეთის ფედერაცია, ჩინეთი, უკრაინა, რუმინეთი და სხვა. 2011 წელს გამოქვეყნებული კონკურენტუნარიანობის ინ-

დექსით (TTCI) ქვეყნების გრადაციაში საქართველო 139 ქვეყნიდან 2009-2011 წლებში უცვლელად 73-ე პოზიციას იკავებს. ამავე გამოკვლევით რეგიონში ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან კონკურენტს თურქეთს უჭირავს- 50-ე პოზიცია, ხოლო ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიცაა კვიპროსი 24-ე პოზიცია. ასევე საყურადღებოა ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ესტონეთის - 25-ე პოზიცია; ლატვიას 51-ე; ბულგარეთის 48-ე; პოლონეთს 49-ე, უნგრეთის 38-ე ადგილები კონკურენტუნარიანობის ინდექსით და ყურადსაღებია, რა უდევს საფუძვლად თითოეული მათგანის წარმატებას.

ამ თვალსაზრისით ზემოთ ნახსენები კონკურენტუნარიანობის შეფასების ინდექსით სტატისტიკა ცალკეულ კომპონენტში საინტერესოა. მასში გამოყენებული.

14 ფაქტორი მოიცავს 74 კომპონენტს, რომელთა ანალიზით იკვეთება საქართველოში ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები. მათ შორის ერთ-ერთ უმთავრესი პრობლემა ტურისტული ინფრასტრუქტურის არარსებობაა. ასე მაგალითად, საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის მიხედვით საქართველო 105-ე პოზიციაზეა, მასში შედის ისეთი კოეფიციენტები, როგორიცაა საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის ხარისხი (89-ე პოზიცია), ფრენების რაოდენობა 1000 კაცზე (91-ე), აეროპორტების სიმჭიდროვე(89-ე), საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ქსელი(103-ე) და სხვა. საქართველო ტურისტული ინფრასტრუქტურის მიხედვით 87-ე პოზიცია 139 ქვეყანას შორის. ტურისტული პროდუქტის ფასის კონკურენტუნარიანობის მიხედვით საქართველო 91-ე პოზიციაზეა, სასტუმროს ფასის კომპონენტით 109-ე, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სასტუმრო მომსახურების სიძვირით საქართველო საფრანგეთსაც (97-ე ადგილი) კი უსწრებს.

ზამთრის ტურიზმის მიმართულებით ევროპის ქვეყნებს, მაგალითად, იტალიას სასტუმროს ფასის კომპონენტით 89-ე და სასტუმრო ოთახების რაოდენობის მიხედვით მე-10 პოზიცია უჭირავს, ხილო ავსტრიას იგივე სასტუმროს ფასის კომპონენტით 71-ე და სასტუმრო ოთახების რაოდენობით 26-ე პოზიცია უჭირავთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქ ჩასულ ტურისტს უფრო დიდი არჩევანის საშუალება აქვს უფრო დაბალ ფასში. ამას ემატება საქართველოში მგზავრობასთან დაკავშირებული მაღალი ხარჯები (თვითმფრინავის ბილეთი, მოსაკრებელი და სხვა) და დაბალი ხარისხის მომსახურება. მაშინ ჩნდება კითხვა: რატომ უნდა ისარგებლონ ევროპელმა ტურისტებმა, რომელიც მიზნობრივ სეგმენტს წარმოადგენს, ჩვენს მიერ შეთავაზებული ზამთრის ტურებით, იმიტომ, ხომ არა, რომ ჩვენ ,,განსაკუთრებული თოვლი გვაქვს?", ეს არასერიოზულია.

ქართული ტურისტული კომპანიების მომსახურების დღიური ფასი 100-დან 180 აშშ დოლარამდე მერყეობს, მაშინ როდესაც თურქეთის და ეგვიპტის ტურისტული პაკეტის დღიური ფასი შედარებით იაფია (შესაბამისად დღეებში 100 და 120 აშშ დოლარი), ამასთან ეს კურორტები იდეალური სეზონურობით გამოირჩევიან და მომხმარებელს სთავაზობენ თვისობრივად და ხარისხობრივად უფრო მაღალი დონის სამოგზაურო ტურებს.

ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს, როგორიცაა: ბულგარეთი (48-ე), რუმინეთი(63-ე), ლიტვა(55-ე), ლატვია(51-ე), ესტონეთი(25-ე), პოლონეთი(49-ე), სლოვენია(33-ე), TTCI -ით ქვეყნების გრადაციაში უკავიათ გაცილებით მოწინავე პოზიციები და ამას ძირითადად კარგი ინფრასტრუქტურის და მომსახურების მაღალი ხარისხით აღწევენ. ასე მაგალითად: ეს-

ტონეთი ტურისტული ინფრასტრუქტურის მიხედვით მე-11, ხოლო სასტუმროების ფასის მე-14 პოზიციაზეა; ბულგარეთი სასტუმროების ფასის მიხედვით 24-ე, ხოლო სასტუმროთა რაოდენობის მიხედვით მე-13 პოზიციაზე და სხვა.

ქართული ტურისტული პროდუქტი მაღალი ფასისა და მომსახურების დაბალი დონის გამო, არაკონკურენტუნარიანია მეზობელი ქვეყნებისა და ზოგადად საერთაშორისო ბაზარზე. მომსახურების დაბალ ხარისხს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ სფეროში დასაქმებულთა არაპროფესიონალიზმი. იგივე TTCI -ის მონაცემებით, თუ საქართველოს დაწყებითი განათლების რეგისტრაციის მიხედვით მე-6, საშუალო განათლების რეგისტრაციის მიხედვით მე-11 პოზიცია უკავია, განათლების სისტემის ხარისხის მიხედვით 119-ე, კადრების მომზადების დონის მიხედვით 108-ე პოზიცია. საქართველოში ტურიზმში დასაქმებულთა დიდი ოდენობა დაბალკვალიფიციურია. ამასთან, ადგილობრივი მოსახლეობის სამენეჯერო გამოცდილების უქონლობა და ფინანსური შეზღუდვები განთავსების ადგილებში ძალიან ართულებს ტურისტთა მომსახურების დონის ამაღლებას.

საქართველოს ტურისტულ ბაზარზე შეინიშნება უცხოური ინვესტიციების ნაკლებობაც (TTCI-ის მონაცემებით, საქართველო 89-ე პოზიციაზეა). არსებობს გარკვეული ფაქტორებისა, რომლებიც ქვეყანაში ხელს უშლის სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნას. უპირველეს ყოვლისა ეს არის ბიზნესის არაპროგნოზირებულობა და მაღალი რისკი; ადგილობრივი და უცხოური ინვესტორების უფლებების დაცულობა და სხვა. (TTCI-ის მონაცემებით საქართველო საკუთრების უფლების მიხედვით 120-ე, ხოლო ორმხრივი საჰაერო ხელშეკრულების ღიაობის მიხედვით 121-ე ადგილზე). საერთაშორისო საჰაერო სატრანსპორტო ქსელის 103-ე ადგილზე, ამასთან ბორტის დატვირთვის საშუალო მაჩვენებელი არ აღემატება 56%-ს.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში ბევრი მაშტაბური ინვესტიცია განხორციელდა. საქართველოში შემოვიდა მსოფლიო სასატუმროების ქსელების: ,,ჰილტონის“ ,,ჰაიატის“, ,,რედისონის“, ,,ინტერკონტინენტალის“ ინვესტიციები. მაგრამ, როგორც ჩანს ეს არ არის საკმარისი. ამასთან საჭიროა არა მხოლოდ 5 და 4 ვარსკვლავიანი, არამედ 3 და 2 ვარსკვლავიანი სასტუმროები, მოტელები, ჰოსტელები, სასტუმრო სახლები და სხვა, რათა მოხდეს სასტუმროს ფასების შემცირება.

ყურადსაღები და გასათვალისწინებელია ასევე ის ფაქტი, რომ ტურისტული ბიზნესი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და განსაკუთრებით პატარა ქვეყნებში, ემყარება საშუალო, მცირე და საოჯახო ბიზნესს. საქართველოში კონკურენტუნარიანი ტურიზმის განვითარების სტრატეგიაში წარმოდგენილი უნდა იყოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების მიკროსტრსტეგიები, სადაც დიდი ადგილი დაეთმობა ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას ტურიზმის ინდუსტრიაში და მათთვის ხელშეწყობას, როგორც მატერიალური რესურსის განვითარების, ასევე ტურისტთა მომსახურების პროფესიული დონის ამაღლების მიმართულებით.

როგორც ზემოთ ავრნიშნეთ,





წყარო: მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ანგარიში 2011 © 2011 მსოფლიო საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი

ტურისტთა რიცხვის ზრდა მაშინ არის სახარბიელო, თუ მას თან სდევს მისგან მიღებული ეკონომიკური სარგებელი. საქართველოში ტურისტების რაოდენობის ზრდას მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლების ზრდა (იხ. გრაფიკი). ამიტომ საჭიროა ტურიზმის ისე განვითარება, რომ შესაძლებელი იყოს ტურისტების ნაკლები ნაკადიდან მივიღოთ მეტი შემოსავალი. ამ თვალსაზრისით ძალზე მომგებიანია საქმიანი ტურიზმი, საკონფერენციო ტურიზმი, ექსტრემალური ტურიზმი, რომლის განვითარების პოტენციალი საქართველოს აქვს.

ანგარიშგასაწევია აგრეთვე ის ფაქტი, რომ შეზღუდული რესურსების პირობებში გაუმართლებელია დარგის მრავალი მიმართულებით ერთდროული განვითარება და ეტაპობრივად დასახული უნდა იქნეს დარგის განვითარების პრიორიტეტები.

ამასთან, საქართველოს ტურიზმის კონკურენტუნარიანობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ტურისტული პროდუქტის დაბალი ფასები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რაც ასევე ასახული უნდა იქნეს ქვეყნის ტურიზმის განვითარების სტრატეგიაში.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ჩინოვნიკები ტურისტების რაოდენობის ზრდაზე დაყრდნობით ყოველწლიურად, ზარ-ზეიმით გვამცნობენ საქართველოში ტურიზმის განვითარების ზრდას, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის ოფიციალურ მონაცემების მიხედვით, თუ ვიმსჯელებთ, საქართველო საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე არც, თუ სახარბიელოდ გამოიყურება (საქართველოს TTCI-ის მიხედვით ბოლო სამი წელი 73-ე პოზიცია უკავია). ვინაიდან, ტურიზმი არის მეურნეობის განვითარების ერთობ რთული დარგი, რომელიც მოიცავს საზოგადოებისა და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებს, რასაც TTCI-ის ფაქტორთა სიმრავლე და მრავალფეროვნებაც გვიჩვენებს. აქედან გამომდინარე დარგის წარმატებულად განვითარების საფუძველს უნდა წარმოადგენს მისი წინასწარი დაგეგმვა, როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე. ქვეყნის ტურიზმის განვითარების პოლიტიკა (კონცეფცია) უნდა ფორმირდებოდეს ტურიზმის განვითარების არსებული მოდელების, ინფრასტრუქტურის, ღირსშესანიშნაობების, საქმიანობის სახეების, ტურიზმის ბაზრის კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, ასევე სოციალ-ეკონომიკური და ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით.

ნანა კაციტაძე,
სდასუ ასოცირებული
პროფესორი

ლიტერატურა:

მარინა მეტრეველი. ტურიზმისა და სტუმართმანსპიძლობის საფუძვლები

www.scribd.com/doc/.../Travel-Tourism-Competitiveness-Report-2011

www.turizm.gov.ge

სოციალური დაზღვევის სოციალურ - ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება

საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლამ მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი დიფერენციაცია გამოიწვია. საქართველოში სოციალური სტანდარტების შესაბამისი საშუალო ფენა ფაქტიურად გაქრა და სოციალური დეზინტეგრაციის შედეგად ორი სოციალური ფენა ჩამოყალიბდა: ღარიბი და მდიდარი.

საბაზრო ეკონომიკა უპირველესად თავისუფალი კონკურენციის ურთიერთობების ჩამოყალიბებას და საზოგადოების დემოკრატიზაციას უწყობს ხელს. მაშინ, როდესაც კონკურენციის შესაძლებლობა ქრება ბაზარზე, მას ანაცვლებს მონოპოლია, რაც არის სოციალური დეზინტეგრაციის საფუძველი: მონოპოლისტი მდიდრდება, ხოლო ყველა დანარჩენი ღარიბდება.

საქართველოში ეს პროცესი ზუსტად ასეთი კანონზომიერებით წარიმართა და მცირე მდიდარი ფენის პირისპირ აღმოჩნდა უზარმაზარი ღარიბთა ფენა. ასეთ შემთხვევაში თეორიულად ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის დიდი ნაწილი სოციალურ პოლიტიკას უჭირავს, რაც ერთის მხრივ, ემსახურება მოსახლეობის ცხოვრების მინიმალური სტანდარტებით დაკმაყოფილებას, ხოლო მეორეს მხრივ ზღუდავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობას.

გარდამავალი პერიოდიდან დაწყებული საქართველოში მოსახლეობის სოციალური დაცვა სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული ფინანსებით ხდებოდა, მაგრამ ცხოვრების მინიმალური სტანდარტებით დაკმაყოფილება ვერც ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში ვერ ხერხდება. ქვეყანაში ტარდება სოციალური პროგრამები, მოქმედებს სოციალური დახმარების სამსახური, სოციალური უზრუნველყოფის მექანიზმი, მაგრამ სახელმწიფოს მიერ გათვლილ ცხოვრების დონის სტანდარტს, აბათილებს სამომხმარებლო საქონლის ფასების ზრდა.

საბაზრო ეკონომიკის უნარი მოემსახუროს საზოგადოების ინტერესებს დაფუძნებულია მის ფუნქციაზე - ოპტიმალურად გადაანაწილოს შეზღუდული რესურსები. მაგრამ ბაზრის სუბიექტები სოციალური ფუნქციის რეალიზაციისას აწყდებიან ისეთ ბარიერებს, რომელთა გადალახვა სცილდება საკუთარ ძალას. ბაზრის პირობებში სოციალური ეფექტი ალბათური ხასიათისაა, მისი შედეგი განუსაზღვრელობის ნიშნით ხასიათდება, ამიტომ მისი დაძლევა სახელმწიფოს სოციალურ ფუნქციას წარმოადგენს. სოციალურ-ეკონომიკური სისტემა მთლიანობაში გულისხმობს რესურსების გადანაწილებით საზოგადოების ყველა წევრის სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას ანუ ინვესტირებას ადამიანურ კაპიტალში. ამ სისტემის, როგორც ერთი მთლიანის გამართულობას განაპირობებს სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გაატარების შედეგად სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება და ცხოვრების დონის მაღალი სტანდარტებით უზრუნველყოფა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ არსებობს წინააღმდეგობა განვითარების ეკონომიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ფორმებს შორის. ეკონომიკური განვითარება ხასიათდება სამეურნეო სუბიექტების შემოსავლების ზრდით, აქტივების კაპიტალიზაციის ამაღლებით და სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტით, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გულისხმობს სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკის აგებას. სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებით.

სოციალური დაზღვევის ინსტიტუტი სოციალური დაცვის ფუნქციის შესრულებით აყალი-

ბებს მოსახლეობის „სოციალურ საბაზრო“ მენტალიტეტს: ცალკეული ადამიანის პერსონალურ პასუხისმგებლობას და ამავე დროს, კოლექტიური ურთიერთდახმარების პრინციპებს. სოციალური დაზღვევის მექანიზმის გამოყენებით მიღებულ კეთილდღეობის ეფექტიანობის შეფასებაზე არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები. მ. ბლაუგის აზრით “... არც ერთ საბაზრო კრიტერიუმს არ შეუძლია გამოავლინოს ან განსაზღვროს აუცილებელი საზოგადოებრივი კეთილდღეობის რაოდენობა“, ითვალისწინებს ამ მოსაზრებას. კ. ვიქსელი ამტკიცებს, რომ “... მხოლოდ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს (კერძოდ არჩევნებს) შეუძლია განსაზღვროს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ის რაოდენობა, რომელიც უნდა აწარმოოს ქვეყანამ.”

ჩვენი აზრით, ორივე განსაზღვრება ატარებს ზოგად ხასიათს და კონკრეტული სფეროების განსაზღვრის გარეშე რთულია დადგინდეს კრიტერიუმი, რომლის მიხედვით გათვლილი კეთილდღეობის ნორმა მისაღები იქნება საზოგადოების ყველა ფენისთვის. ჩვენ ვთვლით, რომ სოციალური დაცვის ნებისმიერი მექანიზმის, როგორც სახელმწიფოს ხელში არსებული, ასევე კერძო დაზღვევის მექანიზმის საქმიანობა მიმართული უნდა იყოს ადამიანთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, მაგრამ ეს არ უნდა იწვევდეს სხვა ადამიანთა სოციალური მდგომარეობის გაუარესებას, ანუ ეს პირდაპირი მინიშნებაა, რომ ის ფინანსური ბერკეტი, რომლითაც უნდა მოხდეს სოციალური დაცვის უზრუნველყოფა, არ უნდა იყოს მძიმე ტვირთი საზოგადოების იმ ფენისთვის, რომელიც სავალდებულო თუ ნებაყოფლობითი ფორმით ჩართულია სოციალური დაცვის მექანიზმში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში თავისუფალი კონკურენციის არსებობისას ეფექტიანობის პირობების განსაზღვრა რაიმე სახის კრიტერიუმების განსაზღვრა - გაანგარიშებას არ მოითხოვს, რადგან საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიმწოდებელი ნებისმიერი მწარმოებელი, რომელსაც ექნება მაღალი დანახარჯები, ბაზრიდან ავტომატურად განიდევნება. მაგრამ თავისუფალი კონკურენციის არსებობა დღეს მთელ მსოფლიოში იშვიათობაა. ამიტომ საჭიროა განისაზღვროს ეკონომიკის ეფექტიანობის თავისებურებები ცალკეული სახის მომსახურების შეფასებით. სოციალური დაზღვევის დარგში მოსახლეობის ეფექტიანობის გაანალიზება უნდა დაიწყოს მისი ეკონომიკური საფუძვლის სამი სახის შინაარსის მიხედვით:

სოციალური დაზღვევა, როგორც ეკონომიკის ფინანსური სექტორის ნაწილი;

სოციალური დაზღვევა როგორც საზოგადოებრივი კეთილდღეობის ნაწილი;

სოციალური დაზღვევა როგორც განსაკუთრებული სახის მომსახურების მიმწოდებელი.

შესაბამისად სოციალური დაზღვევის ეფექტიანობა შეიძლება განისაზღვროს სამ გზის:

სოციალური დაზღვევის ეფექტიანობა, როგორც ეკონომიკის ფინანსური სექტორის ნაწილი, მოცემულ შემთხვევაში სადაზღვევო დაცვის მასშტაბს განსაზღვრავს: სადაზღვევო შენატანის დონე, დაზღვევის ფონდის მოცულობა, სადაზღვევო გადასახადელების და მიღებული შემოსავლების ზარალიანობის კოეფიცენტი. ამ დარგში გასათვალისწინებელია ისეთი უარყოფითი გარე ფაქტორები, როგორიცაა: პენსიაზე ნაადრევად გასვლა, დაზღვეულთა შრომითი აქტიურობის დაცემა. ე. ი. სოციალური დაზღვევის განვითარებაზე აისახება საერთო ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება;

სოციალური დაზღვევის, როგორც განსაკუთრებული კეთილდღეობის ეფექტიანობა: ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთები, პენსიის სიდიდე, დახმარების სიდიდე, მათი შესაბამისობა საარსებო მინიმუმების მაჩვენებლებთან. წინა განსაზღვრებისაგან განსხვავებით აქ ეფექტიანობა განიხილება მომხმარებლის ინტერესის პოზიციიდან, რომელიც განმსაზღვრელი მაჩვენებელი არის ერთ სულ მოსახლეზე სადაზღვევო გადასახადის თანხა.

სოციალური დაზღვევის ეფექტიანობა, როგორც განსაკუთრებული სახის სამომხმარებლო კეთილდღეობის წარმოება, როგორც ნებისმიერი სხვა სარგებელის ჩვენი აზრით, ამ კუთხით სოციალური დაზღვევის სფეროს ეფექტიანობის შესაფასებლად გამოყენებული უნდა იქნას საერთოდ მიღებული მაჩვენებლები: რენტაბელობა, ხარჯების დონე, მოგების დონე და სხვა.

სოციალური დაზღვევის თეორიული ეფექტიანობის შესაფასებლად ჩავთვალოთ, რომ ამგვარი სისტემა არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში იმისთვის, რომ დაქირავებული ადამიანების მიერ დამოუკიდებლად იქნას შექმნილი რეზერვები მოულოდნელი არასასურველი შემთხვევებისგან მიღებული ზარალის ასანაზღაურებლად, მაშინ დამქირავებლებს მოუხდებოდათ ბევრად მეტი ხელფასის გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში შემცირდებოდა მოთხოვნა სამუშაო ძალაზე. გამოსავალი სახელმწიფო სოციალური დაზღვევაა, თუმცა ეს უკავშირდება გადასახადების გადიდებას და ისევ მივყავართ სამუშაო ძალებზე მოთხოვნის შემცირებამდე, რადგან გადასახადების გადიდება ამცირებს ინვესტიციებს აქტივობას და შესაბამისად მცირდება მოთხოვნა სამუშაო ძალაზე. ეკონომიკის სხვა დანარჩენი სფეროს ეფექტიანობის ერთ-ერთი მიდგომა ხარჯების რაციონალურად განაწილება. სოციალური დაზღვევის შემთხვევაში კი ხარჯების შემცირება იწვევს პირიქით მოვლენას - კერძოდ ჯანმრთელობის დაცვაზე საჭიროზე ნაკლები კომპენსაციის გადახდა ვერ გაზრდის სოციალური დაზღვევის ეფექტიანობას, მხოლოდ მხოლოდ იმ მარტივი რეალობიდან გამომდინარე, რომ სადაზღვევო კომპანია დაკარგავს პოტენციურ კლიენტებს. სოციალური დაზღვევის ეფექტიანობა შეიძლება გაანგარიშდეს ერთი ადამიანის დაზღვევის ხარჯების მიხედვით, რაც შესაძლებლობას იძლევა ცალკეულმა ადამიანმა მიიღოს გადაწყვეტილება დაზღვევის შესახებ ამათუ იმ რისკებისაგან.

ერთი ადამიანის მიერ მიღებული დაზღვევის გადაწყვეტილების ეფექტიანობა ადამიანური კაპიტალის თეორიაზე დაყრდნობით წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიის მიერ ფაქტიურად ანაზღაურებული თანხის ფარდობას დაზღვევისათვის გაწეულ ხარჯებთან :

$$EF = \Sigma SK / \Sigma SX$$

სადაც, SK - არის სოციალური რისკის დადგომისას მიღებული ზარალის ანაზღაურების თანხა;

SX - დამზღვევის მიერ სადაზღვევო კომპანიაზე გადახდილი დაზღვევის პრემია.

საქართველოს ჯანმრთელობის დაზღვევის საშუალო ღირებულების სამედიცინო პაკეტი 25 ლარის ფარგლებშია, ერთი წლის განმავლობაში გადახდილი დაზღვევის პრემია იქნება 25*12=300 ლარი. ეფექტიანობის გამოსათვლელად ჩავთვალოთ, რომ დაზღვეულმა სულ ცოტა სამჯერ მიაკითხა სამედიცინო დაწესებულებას სამედიცინო მომსახურების მისაღებად და სადაზღვევო კომპანიის მიერ ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 1200 ლარი, მაშინ ეფექტიანობა:

EF = 1200 / 300 =4*100= 400%,

სადაზღვევო კომპანიის ეფექტიანობის შეფასებისთვის ავიღოთ სამედიცინო დაზღვევის ჯამური პრემია და ანაზღაურების ჯამური თანხა: (იხ. დანართი 1)

EF = 174 617 513 / 200 590 584 =0,87*100=87%

უბედური შემთხვევის დაზღვევისას ჯამური პრემია არის 2 952 506 ლარი, ხოლო ანაზღაურებული ზარალი 368 987 ლარი, სადაზღვევო კომპანიის ეფექტიანობა ტოლია (იხ. დანართი 1)

EF = 368 987 / 2952506 = 0,12*100=12%

ცალკეული სადაზღვევო პროდუქტის ეფექტიანობა განიხილება მასზე გადახდილი ანაზღაურების მოცულობით, ამიტომ მოცემულ შემთხვევაში ეფექტიანობა განიხილება არა სადაზღვევო კომპანიის, როგორც ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობა, არამედ მოსახლეობის რისკებისაგან დაცვის ეფექტიანობა, ანუ დაზღვევის ეფექტიანობა.

დაზღვევის ერთობლივი ხარჯების ეფექტიანობის განსაზღვრისთვის საჭიროა განსხვავებული მიდგომა იმ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე დაყრდნობით, როგორ პირობებშიც უწევთ ადამიანებს ცხოვრება. საქართველოში თუნდაც სოციალური რისკების რამდენიმე სახით ერთობლივად მოსახლეობა ვერ სარგებლობს, ამის მიზეზი დაბალ სადაზღვევო კულტურასთან ერთად დაბალი შემოსავლიანობაა.

კვლევა არასრულყოფილი იქნება თუ არ განვიხილავთ სადაზღვევო კომპანიის კორპორატიულ ეფექტიანობას, რომელიც ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებით უნდა შეფასდეს. სადაზღვევო კომპანიის ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება მიღებული ფინანსური შედეგის (მოგების) შეფარდებით გაწეულ ხარჯებთან. ე.ი. სადაზღვევო კომპანიების კორპორატიული ეფექტიანობა შეიძლება გამოითვალოს ფორმულით: $KE = \Sigma M / \Sigma X$, სადაც KE- არის კორპორატიული ეფექტიანობა, ΣM- კომპანიის მოგება, რომელიც მიიღება სადაზღვევო კომპანიის მიერ *i*-ური საქმიანობის შედეგად, ΣX- კომპანიის ხარჯი. რომელიც გაიწევა კომპანიის მიერ *i*-ური საქმიანობის განხორციელებისათვის. როგორც კომერციული ორგანიზაცია სადაზღვევო კომპანიაც ეწევა სამ სექტორში საქმიანობას: სადაზღვევო ოპერაციების წარმოება, საინვესტიციო საქმიანობის წარმოება და საკონსულტაციო საქმიანობის წარმოება. შესაბამისად მიღებული მოგება და გაწეული ხარჯებიც გადანაწილდება სამივე სექტორზე. მოცემული ფორმულის გამოყენებით შეიძლება შევაფასოთ საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის ეფექტიანობა.

2011 წლის მოგება-ზარალის ანგარიშის მიხედვით, არასიცოცხლის დაზღვევის საქმიანობაში მთელ ბაზარზე მიღებულმა მოგებამ შეადგინა 33 847 131 ლარი, ხოლო ამ საქმიანობისთვის გაწეულმა ხარჯებმა კი 326 630 374 ლარი, (იხ. დანართი 1) მაშინ სადაზღვე-

ვო კომპანიების ეკონომიკური ეფექტიანობა ტოლი იქნება: $_{З}E$ =33 847 131 /326 630 374=0,10. კომპანიის კომერციული ეფექტიანობს თეორიის თანახმად, კორპორატიული ეფექტიანობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

$_{З}E \geq 0$, $_{З}E$ " MAX.

ამ პირობის თანახმად საქართველოს სადაზღვევო ბაზარი რისკიანი დაზღვევის სახეებში აკმაყოფილებს ეფექტიანობის პირობას.

ამრიგად, სოციალური დაზღვევის ეფექტიანობისა და სადაზღვევო კომპანიის კორპორატიული ეფექტიანობს განსაზღვრის საფუძველზე სადაზღვევო დაცვის მიღების სხვადასხვა სუბიექტებს ეძლევათ შესაძლებლობა მიღებული მაჩვენებლების მიხედვით მიიღონ გადაწყვეტილება არასასურველი შემთხვევებისაგან დაცვისათვის გაიღონ ის ხარჯები, რომელიც ეფექტიანობის მომტანი იქნება და ასევე ზედამხედველობის ორგანოებს ეფექტიანობის ანალიზის საფუძველზე შეეძლებათ განსაზღვრონ დაზღვევის სისტემის სტრატეგია და შეიმუშავონ რეგულირების მექანიზმები, სადაზღვევო ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის, რითაც უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სამეურნეო სუბიექტების მდგრადი განვითარება.

ასიე ცინცაძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი.
ლილით მელოიანი-ფუტკარაძე,
დოქტორანტი

დანართი 1: სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა დაზღვევის სახეობების მიხედვით 2009 -2011 წლების მონაცემებით (პირდაპირი დაზღვევის საქმიანობა)

#	დაზღვევის სახეობა	მოზიდული პრემია	წილი ბაზარზე
2009 წელი			
1	უბედური შემთხვევის დაზღვევა	4 313 211	1,20%
2	სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა	247 255 530	68,60%
2010 წელი			
1	უბედური შემთხვევის დაზღვევა	3 017 069	0,83%
2	სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა	245 796 219	68,00%
2011 წელი			
1	უბედური შემთხვევის დაზღვევა	2 952 506	0,92%
2	სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა	200 590 584	62,46%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები (2009, 2010, 2011 წლები)

RESUME
SOCIAL-ECONOMIC EFFICIENCY EVALUATION OF SOCIAL INSURANCE
Batumi Shota Rustaveli State University
Associate Professor: Asie Tsintsadze
PhD Student: Lilit Meloyan-Phutkaradze
Social-economic system is the destitution of resources for satisfaction of the needs of all community members or investment in human capital. This system as one whole functionality provides as a result of correct economic policy by the household subjects received income fair distribution and providing quality of life with high standards. This is achievable in case, when every unit of social security system works properly, perfectly. Special emphasis is given to the efficient operation of the institute of social insurance. Social insurance institution with the performance of population's social security function forms "social market" mentality: personal responsibility of individuals and at the same time collective mutual assistance principles. For insurance joint costs effectiveness definition is required different approach based on such social-economic conditions, in which people have to live.

ლიტერატურა:

Блауг М. Экономическая мысль в ретроспективе. - М.: <Дело Лтд.>, 1994
Важенин С. Г. «Социальная инфраструктура национальной экономики», 2007, М.
Feigenbaum A. V. Quality and Productivity // Quality Progress. - 1977. - Nov. - pp. 18-21.

საბაზრო სტრუქტურის ტიპები

ბაზარი ეკონომიკური სივრცეა, სადაც ყალიბდება ურთიერთობა საქონლისა და მომსახურების მწარმოებლებს, მიმწოდებლებს, მომხმარებლებსა და შუამავლებს შორის.

საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია - კონკურენცია. ის მიმდინარეობს, როგორც ბრძოლა ორ ან მეტ მეტოქეს შორის: ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად, კლიენტურის მოსაზიდად, მაღალი მოგების მისაღებად. კონკურენცია წარმოიშობა მხოლოდ იქ, სადაც დოვლათის რაოდენობა შეზღუდულია. ასეთ გარემოს აყალიბებს: ბაზარზე უკვე დამკვიდრებულ ფირმებს შორის კონკურენცია; მომხმარებელთა შესაძლებლობები; ახალი კონკურენტების და ახალი ტექნოლოგიით დამზადებული შემცვლელი საქონლის გამოჩენა; ბაზარზე ფირმების რაოდენობა და პროდუქციის მრავალგვარობა განსაზღვრავს მის სტრუქტურას. ბაზრის სტრუქტურის ძირითადი ტიპებია: სრულყოფილი კონკურენციის, მონოპოლიური, მონოპოლისტური კონკურენციის და ოლიგოპოლიური.

კონკურენტულ ბაზარს, რომელსაც ზოგჯერ სრულყოფილად კონკურენტულ ბაზარსაც უწოდებენ, შემდეგი ორი თვისება აქვს: ბაზარზე მრავალი მყიდველი და გამყიდველი არსებობს; მათ თავისუფლად შეუძლიათ ბაზარზე შესვლა-გასვლა; სხვადასხვა გამყიდველის მიერ შეთავაზებული საქონელი ძირითადად ერთნაირია. ყოველთვის შეიძლება ზუსტად გავიგოთ, თუ რა ფასში იყიდება საქონელი ამა თუ იმ გამყიდველის მიერ; ამ პირობებიდან გამომდინარე ცალკეული სუბიექტის ქმედებები უმნიშვნელოდ ზემოქმედებს საბაზრო ფასზე.

სრულყოფილი კონკურენციის კარგი მაგალითია ფასიანი ქაღალდების ბაზარი, სოფლის მეურნეობის პროდუქტები: ხორბალი, სიმინდი, საქონლის ხორცი, ლობიო და ა. შ. ხშირად სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე იყიდება ასევე ისეთი წიაღისეული, როგორიცაა რკინის მადანი, სპილენძი, ნავთობი და ა. შ.

ფირმა მონოპოლიაა, თუ თავისი საქონლის ერთადერთი გამყიდველია; ამ საქონელს ახლო შემცვლელები არ აქვს; მონოპოლიის ძირითადი მიზეზია ბაზარზე შესვლის ბარიერები: მონოპოლია ერთადერთ გამყიდველად რჩება თავის ბაზარზე, ვინაიდან სხვა ფირმებს არ შეუძლიათ ბაზარზე შესვლა და მისთვის კონკურენციის გაწევა. გამოყოფენ ახალი კონკურენტების შეღწევისაგან თავდაცვის ექვს ბარიერს: 1. დარგში მუშაობის უპირატესობათა გამოყენება კონკურენტთათვის დამატებითი ხარჯების დასაკისრებლად; 2. განაწილების არხებზე კონტროლი; 3. წარმოების მასშტაბის ზრდისას ეკონომიის მიღება ერთეულ პროდუქციაზე დანახარჯების შემცირების გზით; 4. პროდუქციის დიფერენციაცია, წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება; 5. მომხმარებელთა მომსახურების სპეციფიკური ფორმების გამოყენებით კონკურენტების იძულება მსგავს ღონისძიებებში დააბანდონ დამატებითი შემოსავლები; 6. კონვერსიის დანახარჯები, რაშიც იგულისხმება მომწოდებლის შეცვლისას მომხმარებლის მიერ გაწეული დანახარჯები; აღნიშნული ბარიერების შექმნა მხოლოდ მაშინ არის ეფექტიანი, როდესაც ისინი რეალურ წინააღმდეგობებს ქმნიან. ამიტომ საჭიროა ჯერ განისაზღვროს რომელი ფირმისათვის რომელი ბარიერია უფრო ხელისშემშლელი და შემდეგ გატარდეს ესა თუ ის ღონისძიება. მრავალ შემთხვევაში მონოპოლია იმის შედეგად ჩნდება, რომ მთავრობა ერთ ფირმას ან პიროვნებას აძლევს ექსკლუზიურ

უფლებას რომელიმე საქონლისა თუ მომსახურების გაყიდვაზე. ზოგჯერ ეს ქმედება სასარგებლოა საზოგადოებისათვის. პატენტისა და საავტორო უფლების კანონები ერთ-ერთი მაგალითია იმისა, როგორ ქმნის მთავრობა მონოპოლიას საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. როდესაც ფარმაცევტული კომპანია ახალ წამალს აღმოაჩენს, შეუძლია მთავრობას მიმართოს პატენტის მისაღებად. ანალოგიურად, როდესაც მწერალი დაწერს წიგნს, მასზე საავტორო უფლების მიღებით ამ წიგნის დაბეჭდვას და გაყიდვას ავტორის ნებართვის გარეშე ვერავინ შეძლებს. ასეთი კანონების შედეგი კი ნათელია — ფასები უფრო მაღალია, ვიდრე კონკურენციის პირობებში იქნებოდა. ამდენად, ისინი ხასიათდებიან როგორც დანახარჯებით, ისე სარგებლიანობით, რომელიც შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირებაში გამოიხატება.

დარგი ბუნებრივი მონოპოლიაა, როდესაც ერთ ფირმას უფრო მცირე დანახარჯებით შეუძლია პროდუქციის წარმოება. ის ჩნდება მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს მასშტაბის ეკონომიურობასთან. ბუნებრივ მონოპოლიათა უმნიშვნელოვანესი მაგალითები მოიცავს წყლით, გაზით, ელექტროენერგიით მომსახურებას და ასევე ადგილობრივ კომუნიკაციებს. ქალაქის წყალმომარაგებისა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფისთვის კომპანიები (თბილისის შემთხვევაში ,,Georgian Water and Power" და ,,თელასი") ქმნიან წყალ და ელექტროგაყვანილობის ქსელს. წყლის (ელექტროენერგიის) მიწოდებას ორი ან მეტი ფირმა რომ ემსახურებოდეს, თითოეული მათგანი ქსელის აგების მუდმივ დანახარჯს გადაიხდიდა. ამრიგად, წყლის (ელექტროენერგიის) საშუალო მთლიანი დანახარჯი მინიმალურია, როდესაც ბაზარზე არსებობს ერთი ფირმა. კომუნალური მომსახურების ამ დარგებში მასშტაბის ეკონომიის არსებობა განაპირობებს მონოპოლიური მიმწოდებლის სურვილს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა სახელმწიფო ჩარევის აუცილებლობა, მონოპოლიური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად. ამის გათვალისწინებით აშშ-ში და სხვა ქვეყნების უმეტესობაში კომუნალური მომსახურების დარგები ან რეგულირებადია ან სახელმწიფოს საკუთრებაში იმყოფებიან და სახელმწიფოს მიერ იმართება. ორივე შემთხვევაში ფასები ხელისუფლების მიერ წესდება და არა მონოპოლისტი მწარმოებლის ნება-სურვილის მიხედვით.

კონკურენტულ ფირმასა და მონოპოლიას შორის უმთავრესი განსხვავება ამ უკანასკნელის მიერ საკუთარი პროდუქციის ფასზე ზემოქმედების უნარია. კონკურენტული ფირმა მცირეა იმ ბაზართან შედარებით, რომელშიც მოქმედებს, ამიტომ ფასს იღებს როგორც მოცემულს. ამის საპირისპიროდ, მონოპოლიას, როგორც ერთადერთ მწარმოებელს თავის ბაზარზე შეუძლია მიწოდების რაოდენობის რეგულირების გზით შეუძლია შეცვალოს საქონლის ფასი.

მონოპოლიების ეკონომიკური პოტენციალისა და გავლენის ზრდის კვალობაზე სულ უფრო მეტად იჩენს თავს მათთვის დამახასიათებელი ნეგატიური მხარეები. შესაბამისად ძლიერდება საზოგადოების ინტერესებისადმი მონოპოლიების დაპირისპირება. სრულყოფილი კონკურენციის მხარდაჭერის და მონოპოლიების ძალმომრეობისაგან მისი დაცვის მიზნით სახელმწიფო იძულებული ხდება ჩაერიოს სამეურნეო საქმიანობაში სხვადასხვა ღონისძიების გატარების გზით. ამ ღონისძიებათა ერთობლიობაში ვლინდება სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია, რომელიც შესაბამის სამართლებრივ ბაზას, ანუ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ინსტანციის მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ კანონებს ემყარება. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. ანტი-



მონოპოლიას და ანტიტრესტულ კანონებს, ნორმატიულ კანონებს, ნორმატიულ აქტებს და სხვა სამართლებრივ დოკუმენტებს. სახელმწიფო ანტიმონოპოლიური პრაქტიკის განვითარება დიდადაა დამოკიდებული ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობაზე. საქართველოში ის რეორგანიზებულია თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოდ. ანტიმონოპოლიური პოლიტიკა არ ნიშნავს საერთოდ მონოპოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. იგი მიმართულია იმ მონოპოლიის საპირისპიროდ, რომელიც



უარყოფით ზეგავლენას ახდენს საბაზრო სტრუქტურაზე. ამერიკასა და გერმანიაში მოქმედი სისტემა კრძალავს მონოპოლიურ პრაქტიკას. იაპონიასა და ევროპის თანამეგობრობის უმრავლეს ქვეყანაში ხორციელდება მონოპოლიური საქმიანობის კონტროლი და რეგულირება.

პოლიტიკოსებს მონოპოლიის პრობლემის გადაჭრა შემდეგნაირად შეუძლიათ:

მონოპოლიზებული დარგების უფრო კონკურენტულ დარგებად გადაქცევა;

მონოპოლიის ქცევის განმსაზღვრელი კანონების შემუშავება;

ზოგიერთი კერძო მონოპოლიის გადაქცევა საზოგადოებრივ საწარმოდ;

მონოპოლიური ძალების შემცირებას ემსახურება ანტიტრესტული კანონმდებლობა — საკანონმდებლო აქტების კრებული, რომლის მიზანია თავისუფალი და შეუზღუდავი კონკურენციის დამკვიდრება. ის ეწინააღმდეგება გიგანტი ფირმების ერთმანეთთან შერწყმას, თუმცა ზოგჯერ კომპანიები ერთიანდებიან იმისათვის, რათა უფრო ეფექტიანი ერთობლივი წარმოების გზით შეამცირონ დანახარჯები. ფირმათა შერწყმის ამ სარგებლობას სინერგიებს უწოდებენ.

როგორც აღინიშნა, ბუნებრივი მონოპოლიების შემთხვევაში, ფასებს აწესრიგებენ სამთავრობო სამსახურები. ბუნებრივად იბადება კითხვა — როგორი ფასი უნდა დააწესოს მთავრობამ? შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ფასი მონოპოლისტის ზღვრული დანახარჯის ტოლი უნდა იყოს. ამ ფასად საქონლის გაყიდვის ნაცვლად ფირმა გავა დარგიდან, რაც განპირობებულია შემდეგი მიზეზით. ცნობილია, რომ მონოპოლიურ ფირმას კლებადი საშუალო მთლიანი დანახარჯები ახასიათებს. როდესაც ეს უკანასკნელი კლებადია, მაშინ მასზე ნაკლები იქნება ზღვრული დანახარჯი და საქმიანობა დაკარგავს მომგებიანობას. ასეთი ფასის დაწესებასთან დაკავშირებული მეორე პრობლემა არის ის, რომ ფირმას არ გააჩნია ზღვრული დანახარჯების შემცირების სტიმული, რადგან ამ შემთხვევაში შემცირდება პროდუქციის ფასი.

რაც შეეხება კერძო მონოპოლიის საზოგადოებრივ საწარმოდ გარდაქმნას, ამ დროს მთავრობას შეუძლია თვითონ მართოს ფირმა.

ბუნებრივ მონოპოლიათა რეგულირების ან სახელმწიფო მართვის ვერც ერთმა მიდგომამ ვერ აიცდინა სერიოზული, სრულიად დამსახურებული კრიტიკა. მონოპოლიურ წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა მეტნაკლებად ადვილია სალექციო სწავლებისას, სადაც ცნობილია დანახარჯებისა და მოთხოვნის ყველა მრუდი, ხოლო მიზანი მაქსიმალური ეფექტიანობის მიღებაა. ბევრად უფრო რთულია მათი შესწავლა დღევანდელ დინამიურ გარემოში, რომლისათვისაც დამახასიათებელია განუსაზღვრელობა და მუდმივი ცვალებადობა.

არსებობს არასრულად კონკურენტული ბაზრების ორი ტიპი: მონოპოლისტური კონკურენცია და ოლიგოპოლია. მონოპოლისტური კონკურენცია კონკურენციისა და მონოპოლიის უკიდურეს შემთხვევებს შორის მდებარეობს. მისთვის დამახასიათებელია:

მრავალი გამყიდველი: არსებობს მრავალი ფირმა, რომელიც

ორიენტირებულია მომხმარებელთა ერთიდაიგივე ჯგუფებზე;

თავისუფალი შესვლა: ფირმებს ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე შეუძლიათ ბაზარზე შესვლა (გასვლა). ბაზარზე ფირმების რაოდენობა იცვლება მანამ, სანამ მათი ეკონომიკური მოგება ნულს გაუტოლდება;

პროდუქციის დიფერენციაცია: თითოეული ფირმა აწარმოებს პროდუქციას, რომელიც არის არა იდენტური, არამედ მსგავსი, ოდნავ მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან. ამიტომ, იმის ნაცვლად, რომ ფირმები ფასის მიმღებები იყვნენ, თითოეული მათგანი მოთხოვნის კლებად მრუდს იყენებს.

საბაზრო ეკონომიკაში აღნიშნული თვისებები დამახასიათებელია მრავალი სახის პროდუქციის ბაზრისთვის, მაგ.: წიგნები, ფილმები. კომპაქტ-დისკები, რესტორნები და ა.შ. როდესაც ასეთ ბაზარზე შედის ახალი ფირმა ახალი პროდუქტით, ის მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ფიქრობს, მაგრამ ამას ახლავს ორი გარეგანი ეფექტი:

პროდუქციის მრავალფეროვნების გარეგანი ეფექტი: მომხმარებლები ბაზარზე ახალი პროდუქტის გამოჩენით სამომხმარებლო დანაზოგს იღებენ — დადებითი ეფექტი;

ბიზნესის შეზღუდვის გარეგანი ეფექტი: ახალი ფირმის შესვლით სხვა ფირმები კარგავენ მომხმარებლებსა და მოგებას – უარყოფითი ეფექტი.

მონოპოლისტურ კონკურენციას არ ახასიათებს ყველა ის სასურველი თვისება, რომელიც გააჩნია სრულიად კონკურენტულ ბაზრებს.

ოლიგოპოლია ისეთი ბაზარია, რომელზეც მხოლოდ რამდენიმე გამყიდველია და თითოეული გამყიდველი ყიდის სხვათა მსგავს ან იდენტურ საქონელს. ოლიგოპოლია, რომელიც მხოლოდ ორი წევრისაგან შედგება დუოპოლია ეწოდება. ფუნქციონირების მექანიზმი ამ და უფრო დიდი ოლიგოპოლიის შემთხვევაში ერთნაირია. არის შემთხვევები, როდესაც ოლიგოპოლისტები თანხმდებიან თუ რა რაოდენობის პროდუქცია აწარმოონ და რა ფასად. ასეთ შეთანხმებას ფარულ გარიგებას უწოდებენ, ფირმათა ჯგუფს კი – კარტელს. სამეურნეო პრაქტიკაში კარტელი სცილდება კომერციული საქმიანობის საზღვრებს და მონაწილეები თანხმდებიან პროდუქციის ასორტიმენტზე, გავლენის სფეროთა დანაწილებაზე და სხვა. კარტელის მონაწილეები ინარჩუნებენ სამეურნეო, იურიდიულ და ფინანსურ დამოუკიდებლობას. მისი დაფუძნება შეიძლება გაფორმდეს სადამფუძნებლო ხელშეკრულებით ან ატარებდეს ჯენტლმენური შეთანხმების ფორმას. ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით კარტელი შეიძლება ხასიათდებოდეს როგორც პოზიტიურად, ისე ნეგატიურად. აშშ-ში კარტელები იკრძალება კანონით. მათ ფუნქციებს ასრულებს მეწარმეთა კავშირები და სავაჭრო-სამრეწველო ასოციაციები. ამ შემთხვევაში ფირმამ დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს ზემოთ ხსენებული საკითხები.

ცალკეულ ოლიგოპოლიებს შეუძლიათ ზეგავლენა თვითონვე მოახდინონ ფასზე ისე, როგორც მონოპოლიის პირობებში, მაგრამ ფასი განისაზღვრება ყველა გამყიდველთა მიერ მიღებული ქმედებით ისე, როგორც სრულყოფილი კონკურენციის დროს. ყოველ ფირმას უწევს გადაწყვეტილებათა გამომუშავება არა მხოლოდ იმის თაობაზე, თუ რა რეაგირებას მოახდენენ მყიდველები მის ქმედებაზე, არამედ იმის თაობაზეც, თუ

როგორ გამოეხმაურებიან ამას დარგის სხვა ფირმები. რამდენადაც მათი საპასუხო რეაქცია ზეგავლენას მოახდენს ფირმის მოგებაზე. რაც მეტია ბაზარზე გამყიდველების რაოდენობა, მით ნაკლებად ზრუნავს თითოეული მათგანი მის მიერ საბაზრო ფასზე მოხდენილ გავლენაზე. ფირმები წარმოების მოცულობას ზრდიან მანამ, სანამ ფასი მეტია ზღვრულ დანახარჯებზე.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოლიგოპოლიებს სურთ მონოპოლიების მსგავსად იმოქმედონ, მაგრამ საკუთარ ინტერესებზე ზრუნვა მათ უფრო კონკურენტულ ბაზართან აახლოებს. ამგვარად, ოლიგოპოლიამ საბოლოოდ მონოპოლიური ან კონკურენტული ბაზრის სახე შეიძლება მიიღოს. ეს კი დამოკიდებულია ოლიგოპოლიის წევრთა რაოდენობაზე და იმაზე, შეუძლიათ თუ არა ამ ფირმებს თანამშრომლობა. პოლიტიკოსები მათ ქცევას ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით არეგულირებენ.

ოლიგოპოლიის დროს, ისევე როგორც მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში, გამყიდველები ერთიდაიგივე ბაზრებზე ხშირად უზრუნველყოფენ მსგავსი პროდუქტების მრავალფეროვნებას და მათ გაძლიერებულ რეკლამას უწევენ.

აქვს თუ არა რეკლამას ფასეული მიზანი? რამდენად გონივრულია დღესდღეობით ფირმების მიერ რეკლამაზე გაწეული დანახარჯები? რეკლამის სოციალური ღირებულების საკითხი ეკონომისტთა შორის ცხარე კამათს იწვევს. ერთნი მხარს უჭერენ მას, სხვები კი უარყოფენ მის მნიშვნელობს ფირმის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაში.

კრიტიკოსების აზრით, კომერციული რეკლამები შექმნილია ადამიანთა გემოვნებით მანიპულირების მიზნით. მათი დიდი ნაწილი უფრო ფსიქოლოგიურია, ვიდრე ინფორმაციული, რადგან მომხმარებელს არაფერს ეუბნებიან პროდუქციის ხარისხსა და ფასზე. რეკლამის მიზანია მასში ასახულმა პოზიტიურმა განწყობამ ანალოგიურად განაწყოს მაყურებელი პროდუქციისადმი. მათი აზრით, რეკლამა აბრკოლებს კონკურენციას, ვინაიდან ის საქონელს მისი ანალოგიურისგან განსხვავებულად წარმოაჩენს. საწინააღმდეგოდ, რეკლამის მხარდამჭერები ხაზს უსვამენ მის ინფორმაციულ როლს. ის გვამცნობს გასაყიდი საქონლის ფასს, ახალი პროდუქტის გამოჩენას და სხვ. აქედან გამომდინარე მომხმარებელი ფლობს სრულ ინფორმაციას ბაზარზე არსებული ყველა ფირმის შესახებ და ეს საშუალებას აძლევს მის თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ფასებს შორის არსებული განსხვავებები.

საინტერესოა ის მოტივიც, რომლითაც ფირმები იღებენ გადაწყვეტილებას გამოიყენონ თუ არა რეკლამა. მომხმარებელი თავისებურად აღიქვამს რეკლამაზე ფულის გაღებით ფირმის მზადყოფნას. ადამიანები მიიჩნევენ, რომ რადგან რეკლამა დაკავშირებულია დამატებით დანახარჯებთან (რეკლამა ძვირია), ე. ი. ფირმა მართლაც ხარისხიან საქონელს აწარმოებს, რაკი სურს მისი ფართო მასებისათვის წარდგენა. ამის საწინააღმდეგოდ, იაფი რეკლამა ვერ იქნება ხარისხის ეფექტიანი სიგნალი. ამდენად, არსებობს მოსაზრება, რომ ინფორმაციას შეიცავს არა რეკლამის ტექსტი, არამედ თვით ამ რეკლამის არსებობა და ღირებულება.

ზემოთ განხილული საკითხის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბოლოო ანგარიშით საქმე გვაქვს შეჯიბრთან, რომლის მიზანია მოპოვებული იქნას საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება. მის შედეგებს კი განსაზღვრავს მომხმარებელი ამა თუ იმ პროდუქციის ყიდვაზე გადაწყვეტილების მიღებით. დემოკრატიული საზოგადოების არსებობის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღების დეცენტრალიზაცია. თავისუფალი კონკურენცია — არჩევანის თავისუფლების, მეწარმეობის თავისუფლების, ბაზარზე გასვლის თავისუფლების, ადამიანის კონსტიტუციურად განმტკიცებულ ეკონომიკურ თავისუფლებათა განუყოფელი ნაწილია.

კონკრეტულ ეკონომიკურ პირობებში ფირმები არსებობის შესანარჩუნებლად და მომავალი განვითარების უზრუნველსაყოფად ეძებენ მომხმარებელს და დაინტერესებულნი არიან მათი მოთხოვნილებების კონკურენტებთან შედარებით უკეთესად დაკმაყოფილებით. კონკურენცია უბიძგებს მეწარმეებს ბაზარზე ეფექტური მოქმედებისაკენ, აიძულებს რა მათ შესთავაზონ მომხმარებლებს საქონლის

მომსახურებათა უფრო ფართო ასორტიმენტი, უფრო დაბალი ფასებითა და მაღალი ხარისხით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ახალ ბაზრებზე გასვლის ბარიერები უმნიშვნელოა, სწორედ ეს უწყობს ხელს ეკონომიკის პროგრესს: წარმოების ეფექტიანობა მატულობს, იქმნება პირობები რესურსთა კონცენტრაციისათვის ეკონომიკის უფრო შედეგიან სექტორებში. კონკურენტული გარემო უბიძგებს მეწარმეებს აქტიურად დანერგონ ინოვაცია, სრულყონ ტექნოლოგია და რაციონალურად გამოიყენონ განსაზღვრული რესურსები. შედეგად იზრდება მომხმარებელთა კეთილდღეობა, კლებულობს ფასები პროდუქციისა და მომსახურებათა ტრადიციულ სახეობებზე, ბაზარზე მუდმივად ჩნდება ახალი საქონელი და ახალი მწარმოებლები. აძლევს რა მომხმარებელს არჩევანის საშუალებას, საბაზრო კონკურენცია უზრუნველყოფს ეკონომიკის გაჯანსაღებას, არ აძლევს მოქმედების საშუალებას არაეფექტურ საწარმოებს.

ამავე დროს, ნებისმიერი ეკონომიკური აგენტისათვის დამახასიათებელია მონოპოლიური მდგომარეობისაკენ, ბაზრიდან კონკურენტის გაძევებისადმი, თავისი საქმიანობის სფეროს გაფართოებისადმი სწრაფვა. იძენენ რა საბაზრო ძალაუფლებას, მეწარმეები მიისწრაფვიან დაამყარონ სრული კონტროლი ფასებზე და განსაზღვრონ ბაზარზე საწარმოს საქმიანობა. საბაზრო ძალაუფლებისა და ბაზარზე სიტუაციის კონტროლის შენარჩუნებისათვის, შეიძლება ხორციელდებოდეს მოქმედებები, რომლებიც ზღუდავენ კონკურენციას, იქმნებოდეს ხელოვნური ბარიერები ბაზარზე გასვლისათვის, მოქმედებდეს ანტიკონკურენტული შეთანხმებანი, მაგ: გაყიდვათა მოცულობის შეზღუდვის, ფასთა ფიქსაციის, ბაზრის გაყოფის შესახებ. თავის მხრივ, კონკურენციის შეზღუდვა მნიშვნელოვნად ამახინჯებს საბაზრო ძალათა მოქმედებას, იწვევს საზოგადოებრივ რესურსთა არარაციონალურ გადანაწილებას. ყოველივე ეს კი ნეგატიურად ვლინდება ბაზრის ყველა მონაწილის სამეურნეო საქმიანობასა და საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

კონკურენციის განვითარებისა და მისი შენარჩუნებისათვის 80-იან წლებში დაახლოებით ორმოცმა სახელმწიფომ მიიღო საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მიმართულია კონკურენციის დაცვისა და მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისაკენ.

დღეს საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის სხვადასხვა სეგმენტი მონოპოლიზირებულია მაღალკონტროლირებადი ფასებით ერთი ან ერთმანეთთან მორიგებული რამდენიმე კომპანიის მიერ. ფაქტობრივად არ არსებობს ან შეზღუდულია თავისუფალი კონკურენცია.

2005 წელს საქართველოს ხელისუფლებამ გააუქმა 1996 წელს შემუშავებული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა. ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმების შედეგად კანონმდებლობიდან ამოღებულ იქნა ანტიმონოპოლიური სამსახურის ფუნქციები, რის შედეგადაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო ფაქტობრივად უფუნქციოდ დარჩა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბოლოო ჯამში წაგებულია მოსახლეობა, რომელსაც უწევს უფრო მეტი თანხის გადახდა ხელოვნურად გაძვირებულ საქონელში. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვან ეკონომიკის ისეთ დარგებში არსებულ მდგომარეობას, როგორიცაა კომუნიკაციების სფერო (მობილური, ინტერნეტი), ფარმაცევტული ბაზარი და ა. შ.

ევროკომისიისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნა იყო საქართველოში ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენა, რომელსაც მთავრობის გადაწყვეტილებით ძველისგან განსხვავებით აღარ ექნებოდა საგამომძიებლო და სადამსჯელო ფუნქციები. კონკურენციის წესების დამრღვევს განაჩენს გამოუტანს სასამართლო.

დღესდღეობით თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენს ქვეყანაში მრავალი ფაქტი მეტყველებს შექმნილ არაჯანსაღ კონკურენციაზე. როგორც აღვნიშნე, ერთ-ერთია ფარმაცევტული ბაზარი, რომელზეც დომინირებს ორი ძირითადი კომპანია. მათი საბაზრო წილი 70%-ს აღწევს და ამითაა განპირობებული, რომ ბაზარი იძულებულია მიიღოს მათ მიერ ნაკარნახევი პირობები. პრობლემას ართულებს ის ფაქტიც, რომ მათ მფლობელობაშია, როგორც საცალო ვაჭრობის ერთეულები – აფთიაქები, ისე საავადმყოფოები. შედეგად მედიკამენტების მიწო-

დების მთელი ჯაჭვი კონტროლდება მათ მიერ. როგორც ზემოთ აღინიშნა, მონოპოლისტების უპირველესი სურვილია მაქსიმალური მოგების მიღება, რაც შესაძლებელია ფასების გაბერვის ხარჯზე. ბოლო წლებში საუბრობენ სამედიცინო სფეროში გამოკვეთილ შემდეგ ტენდენციაზე – ექიმისთვის პრიორიტეტული ხდება გასამრჯელოს მიღება წამლის დისტრიბუტორისაგან, რაც შესაძლებელია პაციენტისათვის მოცემული კონკრეტული მომწოდებლის პრეპარატის შეთავაზებით.

არანაკლებ საინტერესოა სატელეფონო ბაზარზე შექმნილი ვითარება. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში შეინიშნება სიტუაციის მკვეთრი გამოსწორება უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, რამდენიმე წლის წინ საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის პირველ, ხოლო მსოფლიოში 186 ქვეყანას შორის მესამე ადგილს იკავებდა მობილურზე მომსახურების სიძვირის მიხედვით. დღესდღეობით ბაზარზე წარმოდგენილია სამი მობილური ოპერატორი. მათ შორის კონკურენციის გამძაფრებაზე დადებითად იმოქმედა კომუნიკაციის ეროვნული კომისიის ინიციატივამ პორტირების სერვისის დანერგვაზე. მისი საშუალებით მოქალაქეს სურვილის შემთხვევაში შეუძლია შეიცვალოს ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია მობილურის ნომრის შენარჩუნების პირობებში.

თეონა გოგილაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი

რეზიუმე

განხილული საბაზრო სტრუქტურის ტიპებს შორის ყველაზე პრობლემატურად მიჩნეულია მონოპოლიური ბაზარი – შემთხვევა, რომლის დროსაც მომხმარებლებს არ აქვთ ფართო არჩევანი და შეზღუდული რესურსების განაწილება არარაციონალურია. ბაზრის ნაკლოვანებები მუდმივად ვლინდება რეალურ ცხოვრებაში. ამიტომ, სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნქციაა მათი აღმოფხვრა მარეგულირებელი ღონისძიებებით. ეს ტენდენცია ვრცელდება ჩვენს ქვეყანაშიც. ჯანსაღი საბაზრო ვითარების ჩამოსაყალიბებლად სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს ქვეყანაში არსებული საბაზრო ურთიერთობები, კონტროლს დაუქვემდებაროს ის კომპანიები, რომლებიც თავიანთი საქმიანობით საფრთხეს უქმნიან ან ანადგურებენ ნორმალურ საბაზრო სტრუქტურას. მნიშვნელოვანია ის, თუ რა გზით ახორციელებს სახელმწიფო მარეგულირებელ საქმიანობას და რამდენად ეფექტიანია იგი. საჭიროა მოიძებოს ოქროს შუალედი ჭარბ სახელმწიფოებრივ რეგულირებასა და დამოუკიდებელ სამეწარმეო საქმიანობას შორის.

Monopolist market is considered to be the most problematic one between the types of the market structures _ It is a case when consumers do not have a wide range of choices and using of the limited resources is not rational. Market defect always appear in real life. So, government's function is to eradicating them with the regulatory activities. This tendency is fair even in our country. The state should adjust internal market relations and control the companies which destroy or cause the damage for the normal market structures. It is important in which way does the government implement regulatory activities and how effective it is. It is necessary to find golden medium between the over regulatory and independent entrepreneur activities.

გამოყენებული ლიტერატურა:
გ. მენქიუს ,,ეკონომიკის პრინციპები"
კ. მაკონელი, ს. ბრიუ: ,,ეკონომიქსი" I-II ტომები
ს. ფიშერი, რ. დორნბუში, რ. შმალენზი: ,,ეკონომიკა" II ტომი
http://www.nplg.gov.ge
http://24saati.ge/

ბიზნეს-მაცნე

INOVATSIA PUBLISHING HOUSE

ივლისი, 2012

ოფიციალური დოკუმენტები

- *საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ* 2
- *საქართველოს კანონი ადმინისტრაციული სახდელისაგან განთავისუფლების შესახებ* 14
- *საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი* 14
- *საქართველოს კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის* 53

საქართველოს კანონი
ბუღალტრული აღრიცხვისა დაფინანსური
ანგარიშგების აუდიტის შესახებ
თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

1. ეს კანონი ადგენს საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადების, წარდგენის და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს.

2. ამ კანონის მიზანია:

ა) ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა;

ბ) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების პირობებისა და წესების განსაზღვრა.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბუღალტრული აღრიცხვა – სუბიექტის სამეურნეო ოპერაციების ცვლილებათა შესახებ ინფორმაციის შეგროვების, გაზომვის, დაჯგუფებისა და გადაცემის სისტემა ფულად გამოსახულებაში;

ბ) ბუღალტერი– ფიზიკური პირი, რომელიც უშუალოდ აწარმოებს ბუღალტრულ აღრიცხვას ან/და ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას;

გ) ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები – სამეურნეო მოვლენის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები, ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები და მათი გაგებისათვის აუცილებელი შიგა ინსტრუქციები;

დ) ფინანსური ანგარიშგება – სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურირებული ასახვა;

ე) სუბიექტი– ფიზიკური პირი (ინდივიდუალური მეწარმე), კერძო სამართლის იურიდიული პირი, საბიუჯეტო ორგანიზაცია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ვ) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (შემდგომ – აუდიტი)– აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის მიერ ჩატარებული სამუშაო, რომელიც მიმართულია:

ვ.ა) ფინანსური ანგარიშგების (მათ შორის, სპეციალური დანიშნულების ანგარიშგების) უტყუარობისა და სისრულის შესახებ აუდიტორის/ აუდიტორული (აუდიტური) ფირმის მოსაზრების გამოხატვისკენ;

ვ.ბ) ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვით აუდიტორის/ აუდიტორული (აუდიტური) ფირმის რწმუნების გამოხატვისკენ;

ვ.გ) სხვა დასაბუთებული ან/და შეზღუდული მარწმუნებელი გარიგების შესაბამისი მოსაზრების გამოხატვისკენ;

ზ) აუდიტორი– სერტიფიცირებული პირი, რომელიც არის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი, რეგისტრირებულია აუდიტორთა რეესტრში და ახორციელებს**პროფესიულ მომსახურებას;**

თ) აუდიტორული(აუდიტური)**ფირმა (შემდგომ – აუდიტორული ფირმა)**– საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირის საქართველოში არსებული ფილიალი, რომელიც არის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი, რეგისტრირებულია აუდიტორთა რეესტრში და ახორციელებს პროფესიულ მომსახურებას სერტიფიცირებული პირის (პირების) მეშვეობით;

ი) პროფესიული მომსახურება – მომსახურება, რომელიც მოითხოვს ბუღალტრულ და მასთან დაკავშირებულ უნარებს, როდესაც აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ახორციელებს მომსახურებას საბუღალტრო, აუდიტორული, საგადასახადო, ფინანსური მენეჯმენტის ან ბიზნესსაკონსულტაციო სფეროში;

კ) სერტიფიცირებული პირი– ფიზიკური პირი, რომელიც აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ აღიარებულია სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად ან სერტიფიცირებულ ბუღალტრად და რომელიც თავის კვალიფიკაციას ადასტურებს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ დადგენილი განგრძობითი განათლების სტანდარტის შესაბამისად;

ლ) სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი – ფიზიკური პირი, რომელიც სერტიფიცირებულია პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში (IFRS);

მ) სერტიფიცირებული ბუღალტერი – ფიზიკური პირი, რომელიც სერტიფიცირებულია პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში (IFRS for SMEs);

ნ) გარიგების პარტნიორი – აუდიტორი/ აუდიტორულ ფირმაში დასაქმებული სერტიფიცირებული პირი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტის ჩატარებისათვის და გაცემულ აუდიტორულ დასკვნაზე;

ო) აუდიტორული დასკვნა – აუდიტორის/ აუდიტორული ფირმის მიერ გაცემული დოკუმენტი ჩატარებული აუდიტის შედეგების შესახებ, რომელშიც აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ადასტურებს, რომ სუბიექტის

ინდივიდუალური ან/და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება/არ შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს და კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს;

პ) მარწმუნებელი გარიგება– გარიგება, როდესაც აუდიტორი/ აუდიტორული ფირმა გამოთქვამს მოსაზრებას განსახილველი საგნის შეფასების ან/ და გაზომვის შედეგის სათანადო კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ, რომლის მიზანია, აამაღლოს მესამე პირების ნდობის ხარისხი;

ჟ) პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი– აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებულ პირად აღიარებისათვის დადგენილი ნორმები, რომლებიც შეესაბამება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილ განათლების საერთაშორისო სტანდარტებს (IES);

რ) განგრძობითი განათლების სტანდარტი– აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებული პირის კვალიფიკაციისა და სტატუსის შენარჩუნებისათვის დადგენილი ნორმები;

ს) აკრედიტებულიპროფესიული ორგანიზაცია– ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობისშესაბამისადრეგისტრირებულია არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად და არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი ან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის ნამდვილი წევრი ან ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად აკრედიტებული პირი.

თავი II
ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება

მუხლი 3. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სამართლებრივი საფუძვლები

1. ბუღალტრული აღრიცხვა რეგულირდება ამ კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით. ბუღალტრული აღრიცხვა უნდა შეესაბამებოდეს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს.

2. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შედგება სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისაგან.

3. სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები არის საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წესები.

4. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია სახელმწიფო სექტორის ცალკეული კატეგორიების დაწესებულებებისთვის დაადგინოს კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების გამოყენების ვალდებულება, მათი საქმიანობის გათვალისწინებით.

5. სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

6. კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შედგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან (IFRS), მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (IFRS for SMEs) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების ადგილობრივი (ეროვნული) სტანდარტებისაგან.

7. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) არის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ მიღებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც მოიცავს:

ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს;

ბ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს;

გ) ინტერპრეტაციებს, რომლებიც მიღებულია ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (IFRIC) მიერ ან ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის (SIC) მიერ.

8. მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs) არის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.

9. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების ადგილობრივი (ეროვნული) სტანდარტები არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის რეკომენდებული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები, რომლებსაც ადგენს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გათვალისწინებით.

10. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (IFRS) და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) საქართველოს სახელმწიფო ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ისინი ქართულ ენაზე უნდა თარგმნოს და გამოსცეს იმ აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრია.

11. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია

ამ მუხლის მე-10 პუნქტში აღნიშნულ, ქართულ ენაზე თარგმნილ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებსა (IFRS) და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (IFRS for SMEs), აგრეთვე თავის მიერ დადგენილ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების ადგილობრივ (ეროვნულ) სტანდარტებს რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც ამ სტანდარტებს აქვეყნებს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ.

12. სავალდებულოა მხოლოდ შესაბამის პერიოდში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (IFRS) და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) ქართული თარგმანის გამოყენება, რომლებიც რეგისტრირებულია ამ მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად. პირს უფლება აქვს, გამოიყენოს ამ სტანდარტების ინგლისური ტექსტი.

მუხლი 4. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება

1. სუბიექტი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ამ მუხლის შესაბამისად.

2. კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების გამოყენების მიზნით მეწარმე სუბიექტი, ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი პირობების გათვალისწინებით, შეიძლება ჩაითვალოს მცირე და საშუალო საწარმოდ ან მიკროსაწარმოდ.

3. მეწარმე სუბიექტი ითვლება:

ა) მიკროსაწარმოდ, თუ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, იგი არის მიკრო ბიზნესის, მცირე ბიზნესის ან ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი მიკროსაწარმოდ ითვლება მხოლოდ შესაბამისი საქმიანობის ნაწილში;

ბ) მცირე და საშუალო საწარმოდ, თუ იგი არ აკმაყოფილებს მიკროსაწარმოსათვის დადგენილ კრიტერიუმებს.

4. ამ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სუბიექტები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

5. მცირე და საშუალო საწარმოები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად. ამასთანავე, მათ უფლება აქვთ, გამოიყენონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS).

6. მიკროსაწარმოს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არ ევალება.

7. მეწარმესუბიექტისგარდა,კერძოსამართლის სხვაიურიდიულიპირიბუღალტრულაღრიცხვასაწ

არმოებსარასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდ

იულიპირებისფინანსურიანგარიშგებისადგილობ

რივი(ეროვნული)სტანდარტების შესაბამისად,თუ

კანონმდებლობითსხვარამარარისგათვალისწინებ

ული.ამასთანავე,მასუფლებააქვს,გამოიყენოსფინა ნსურიანგარიშგებისსაერთაშორისოსტანდარტები (IFRS)ანმცირედასაშუალოსაწარმოებისფინანსური ანგარიშგებისსაერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs).

8. საბიუჯეტო ორგანიზაცია და საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

9. სუბიექტმა ბუღალტრული აღრიცხვა შეიძლება აწარმოოს პირადად, დაქირავებული პირის ან ბუღალტრული მომსახურების მიღების მეშვეობით. ბუღალტრულ მომსახურებად ითვლება პირის მიერ სუბიექტისთვის ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურების გაწევა.

10. ბუღალტერი შეიძლება იყოს როგორც სერტიფიცირებული, ისე არასერტიფიცირებული პირი.

11. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტი არ არის საჯარო დოკუმენტი. ეს დოკუმენტი, შესაბამისი სუბიექტის გარდა, ხელმისაწვდომია მ ა კ ო ნ ტ რ ო ლ ე ბ ე ლ ი / ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი ორგანოსთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ნებისმიერი სხვა პირისთვის – შესაბამისი სუბიექტის თანხმობით.

12. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტი სუბიექტთან ინახება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 6 წლის განმავლობაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

თავი III
აუდიტი

მუხლი 5. აუდიტის ჩატარების სამართლებრივი საფუძვლები

1. აუდიტის ჩატარების სამართლებრივი საფუძვლები განისაზღვრება ამ კანონით.

2. საქართველოში აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად.

3. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA) არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დამტკიცებული აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო ოფიციალური დოკუმენტების ცნობარი, რომლებიც ამ კანონის მიღების დღისთვის მიღებული და

ბიზნეს -ეპაცნე INOVATSIA PUBLISHING HOUSE

გამოცემულია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ და რომლებიც გადამუშავებული, შეცვლილი, დამტკიცებული და გამოცემული იქნება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ.

4. აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო ოფიციალური დოკუმენტების ცნობარიარის აუდიტისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების განსახორციელებლად ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ სახელმძღვანელოდ გამოცემული დოკუმენტების კრებული.

5. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) საქართველოს სახელმწიფო ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ისინი ქართულ ენაზე უნდა თარგმნოს და გამოსცეს იმ აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრია.

6. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნულ, ქართულ ენაზე თარგმნილ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA) რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც ამ სტანდარტებს აქვეყნებს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ.

7. სავალდებულოა მხოლოდ შესაბამის პერიოდში მოქმედი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) ქართული თარგმანის გამოყენება, რომლებიც რეგისტრირებულია ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად. პირს უფლება აქვს, გამოიყენოს ამ სტანდარტების ინგლისური ტექსტი.

მუხლი 6. აუდიტის ჩატარების უფლებამოსილების მინიჭება

1. საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალი და ფიზიკური პირი საქართველოში აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებას იძენენ აუდიტორთა რეესტრში (შემდგომ – რეესტრი) რეგისტრაციის შემდეგ.

2. რეესტრს აწარმოებს (აწარმოებენ) აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია (ორგანიზაციები).

3. საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალი ან ფიზიკური პირი რეესტრში რეგისტრაციისათვის განცხადებით მიმართავს იმ აკრედიტებულპროფესიულ ორგანიზაციას, რომელშიც გაწევრებულია იგი.

4. საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალის ან ფიზიკური პირის მიერ ამ მუხლის მე-6–მე-9 პუნქტებში აღნიშნული შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში აკრედიტებულიპროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია დაარეგისტრიროს იგი შესაბამის რეესტრში.

5. რეესტრი არის 2 ტიპის:

ა) სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრი, რომელშიც რეგისტრირებული არიან ის აუდიტორები/აუდიტორული ფირმები, რომლებსაც აქვთ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება;

ბ) სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრი, რომელშიც რეგისტრირებული არიან ის აუდიტორები/აუდიტორული ფირმები, რომლებსაც არ აქვთ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება.

6. სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) დასაქმებული ჰყავდეს სულ ცოტა 1 სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი;

ბ) იყოს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი;

გ) ჰქონდეს ხარისხის კონტროლის სისტემა;

დ) ხარისხის კონტროლის სისტემისმონიტორინგის გავლის შემდეგ მიღებული ჰქონდეს პირველი ან მეორე კატეგორიის დასკვნა;

ე) ჰქონდეს აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია, რომელიც შეესაბამება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA).

7. სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული ფიზიკური პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) იყოს სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი;

ბ) იყოს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი;

გ) ჰქონდეს ხარისხის კონტროლის სისტემა;

დ) ხარისხის კონტროლის სისტემისმონიტორინგის გავლის შემდეგ მიღებული ჰქონდეს პირველი ან მეორე კატეგორიის დასკვნა;

ე) ჰქონდეს აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია, რომელიც შეესაბამება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA).

8. სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული საქართველოში

რეგისტრირებული იურიდიული პირი ან უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) დასაქმებული ჰყავდეს სულ ცოტა 1 სერტიფიცირებული ბუღალტერი;

ბ) იყოს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი;

გ) ჰქონდეს ხარისხის კონტროლის სისტემა;

დ) ჰქონდეს აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია, რომელიც შეესაბამება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA).

9. სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული ფიზიკური პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) იყოს სერტიფიცირებული ბუღალტერი;

ბ) იყოს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი;

გ) ჰქონდეს ხარისხის კონტროლის სისტემა;

დ) ჰქონდეს აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია, რომელიც შეესაბამება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA).

10. აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას ეკრძალება საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირისათვის, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალისათვის ან ფიზიკური პირისათვის გაწევრებაზე უარის თქმა, თუ იგი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-6–მე-9 პუნქტებში აღნიშნულ შესაბამის მოთხოვნებს, გარდა აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრობისა.

11. აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას აქვს სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალის ან ფიზიკური პირის რეგისტრაციის უფლება, თუ იგი არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი ან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის ნამდვილი წევრი ან თუ აკრედიტაციიდან 1 წლის შემდეგ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ განხორციელებულ კონტროლს შენიშვნების გარეშე გაივლის.

12. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად აღიაროს ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყანაში არსებული ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი პროფესიული ორგანიზაციის ნამდვილი წევრი ფიზიკური პირი. სხვა შემთხვევაში აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას უფლება აქვს, მოითხოვოს ცოდნის დადასტურება.

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალი, რომელთა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი პროფესიული ორგანიზაციის ნამდვილი წევრობის შემთხვევაშიც აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ ფიზიკური პირი სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად უნდა აღიაროს.

14. თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო –აკრედიტაციის ცენტრი დაადასტურებს, რომ აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ დადგენილი პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი იგივეა, რაც სერტიფიცირების სტანდარტი, რომლითაც ეს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ახორციელებდა პირთა სერტიფიცირებას აკრედიტაციამდე, აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია თავის მიერ ამ სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად სერტიფიცირებული პირი სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად აღიაროს.

15. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც აღარ აკმაყოფილებს შესაბამის რეესტრში რეგისტრაციის პირობებს, ექვემდებარება ამ რეესტრიდან ამოღებას.

16. თუ აუდიტორი/აუდიტორული ფირმა აღარ აკმაყოფილებს შესაბამის რეესტრში რეგისტრაციის პირობებს, ის ვალდებულია ამის შესახებ ინფორმაცია 5 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს იმ აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას, რომელშიც გაწევრებულია. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას ეს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია დააკისრებს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

17. ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღების შემთხვევაში აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია აუდიტორი/აუდიტორული ფირმა 5 სამუშაო დღის ვადაში ამოიღოს შესაბამისი რეესტრიდან.

18. საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალის ან ფიზიკური პირის მიერ აუდიტის შესაბამის რეესტრში რეგისტრაციის გარეშე ჩატარების შემთხვევაში აუდიტი ჩატარებულად არ ჩაითვლება.

19. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიმართოს აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას მისი შესაბამისი რეესტრიდან ამოღების მოთხოვნით, გარდა ამ მუხლის მე-16 პუნქტით

გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 7. აუდიტის ჩატარება

1. სუბიექტის აუდიტი შეიძლება ჩაატაროს აუდიტორმა ან აუდიტორულმა ფირმამ.

2. აუდიტი შეიძლება ჩატარდეს სავალდებულო ან საინიციატივო წესით.

3. სავალდებულო აუდიტის ჩატარების ვალდებულება დადგენილია ამ კანონით ან საქართველოს სხვა ნორმატიული აქტით.

4. აუდიტის ჩატარება სავალდებულოა:

ა) საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტებისათვის, რომლებსაც ევალებათ ყოველწლიური აუდიტის ჩატარება;

ბ) იმ საწარმოებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;

გ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში, გარდა ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სუბიექტებისა.

5. სავალდებულო აუდიტი ტარდება ყოველწლიურად, კალენდარული წლის მომდევნო წლის 31 ოქტომბრამდე, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სუბიექტების მიერ ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პირი სუბიექტის ხარჯით დაიქირავებს აუდიტორს ამ სუბიექტისათვის აუდიტის ჩატარების მიზნით.

7. სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლებისმქონეპირთარეესტრშირეგისტრირებულ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. ამასთანავე, იგი უნდა ჩაატაროს ამ აუდიტორმა/აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულმა სერტიფიცირებულმა პროფესიონალმა ბუღალტერმა.

8. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სუბიექტები ვალდებული არიან, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით, გამოსაქვეყნებლად წარუდგინონ საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ პირს, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

9. საინიციატივო აუდიტი ტარდება უფლებამოსილი პირის (პირების) გადაწყვეტილებით ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. აუდიტორულ დასკვნას ხელმოწერით ადასტურებს შესაბამისად აუდიტორი, აუდიტორული ფირმა ან გარიგების პარტნიორი.

11. აუდიტორული ფირმის შიგა პროცედურით შესაძლებელი უნდა იყოს გარიგების პარტნიორის იდენტიფიცირება. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში აუდიტორულ ფირმას დისციპლინურ პასუხისმგებლობას დააკისრებს ის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრებულია იგი.

12. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც სუბიექტს უტარებს სავალდებულო აუდიტს, უნდა შეიცვალოს 7 წელიწადში ერთხელ მაინც.

მუხლი 8. აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფა

1. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა პასუხისმგებელია ხარისხის კონტროლის სისტემის სათანადო პოლიტიკისა და პროცედურების ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებისა და გამოყენებისათვის.

2. ხარისხის კონტროლის სისტემა არის ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის (ISQC) შესაბამისად აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების ერთობლიობა, რომლის მიზანია აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ აუდიტის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზნებისა და ზოგადი პრინციპების შესაბამისად ჩატარება.

3. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ISQC) არის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ მიღებული სტანდარტები და მითითებები იმ პირთა ხარისხის კონტროლის სისტემის შესახებ, რომლებიც ახორციელებენ აუდიტს და ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვას, ასევე სხვა სახის მარწმუნებელ და მასთან დაკავშირებულ მომსახურებებს.

4. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის (ISQC) საქართველოს სახელმწიფო ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ის ქართულ ენაზე უნდა თარგმნოს და გამოსცეს იმ აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრია.

5. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულ, ქართულ ენაზე თარგმნილ ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ISQC) რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც ამ სტანდარტს აქვეყნებს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ.

6. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს ახორციელებს ის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრებულია ეს აუდიტორი/აუდიტორული ფირმა. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს 3 წელიწადში ერთხელ მაინც.

7. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი არის აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ შემუშავებული ხარისხის კონტროლის სისტემის შეფასება აუდიტორული დასკვნებისა და ამ დასკვნების მომზადების პროცესის შემოწმებით.

8. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულების შესაბამისად, რომელსაც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს რეგისტრაციისათვის წარუდგენს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი – აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია.

9. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია აუდიტორის/ აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის კონტროლის შემმოწმებლის მეშვეობით.

10. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელებიდან 6 თვის ვადაში ხარისხის კონტროლის შემმოწმებელი ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის (ISQC) შესაბამისად ადგენს მონიტორინგის დასკვნას, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცემა აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას და აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას.

11. აუდიტორული ფირმა ვალდებულია მასში დასაქმებულ ყველა სერტიფიცირებულ პირს გააცნოს მონიტორინგის დასკვნა. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში აუდიტორულ ფირმას დისციპლინურ პასუხისმგებლობას დააკისრებს ის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრებულია იგი.

12. მონიტორინგის დასკვნა შეიძლება იყოს 4 კატეგორიის:

ა) პირველი კატეგორიის – როდესაც აუდიტორი/ აუდიტორული ფირმა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს შენიშვნების გარეშე გაივლის;

ბ) მეორე კატეგორიის – როდესაც აუდიტორი/ აუდიტორული ფირმა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს მცირე შენიშვნებით გაივლის;

გ) მესამე კატეგორიის – როდესაც აუდიტორი/ აუდიტორული ფირმა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს მნიშვნელოვანი შენიშვნებით გაივლის;

დ) მეოთხე კატეგორიის – როდესაც აუდიტორი/ აუდიტორული ფირმა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს ვერ გაივლის.

13. ხარისხის კონტროლის შემმოწმებელი ვალდებულია მონიტორინგის დასკვნაში შეიტანოს თავისი შენიშვნები ან/და მოსაზრებები როგორც აუდიტორის/აუდიტორული ფირმის, ისე აუდიტორულ ფირმაში დასაქმებული ყველა სერტიფიცირებული პირის შესახებ.

14. აუდიტორის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება აუდიტორს. აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება აუდიტორულ ფირმას ან/და ყოველ კონკრეტულ აუდიტორულ დასკვნაზე – შესაბამის გარიგების პარტნიორს.

15. მონიტორინგის დასკვნას იხილავს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია და იღებს ამ მუხლით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას როგორც აუდიტორის/ აუდიტორული ფირმის, ისე აუდიტორულ ფირმაში დასაქმებული ყველა სერტიფიცირებული პირის მიმართ.

16. როგორც აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, ისე აუდიტორულ ფირმაში დასაქმებული ყველა სერტიფიცირებული პირი **უფლებამოსილია პირადად ან/და წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა მის მიმართ შედგენილი მონიტორინგის დასკვნის განხილვაში და წარადგინოს ახსნა-განმარტება.**

17. თუ აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვერ გაივლის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს, შესაბამისი აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია ამოიღოს იგი შესაბამისი რეესტრიდან.

18. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ერთი ტიპის რეესტრიდან მეორე ტიპის რეესტრში გადაიყვანოს.

19. მონიტორინგის დასკვნის შედეგებიდან გამომდინარე, აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია სერტიფიცირებული პირის მიმართ იღებს გადაწყვეტილებას:

ა) სერტიფიკატის მოქმედების შენარჩუნების თაობაზე;

ბ) შეცდომების გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის თაობაზე;

გ) სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების თაობაზე.

20. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია სერტიფიცირებული პირის მიმართ მიიღოს ამ მუხლის მე-19 პუნქტით გათვალისწინებული ერთი ან მეტი გადაწყვეტილება.

21. აკრედიტებული პროფესიული

ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ ვადაში სერტიფიცირებული პირის მიერ შეცდომების გამოუსწორებლობის შემთხვევაში სერტიფიკატის მოქმედება შეჩერდება. შეცდომების გამოუსწორებლობისას აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია გამოაქვეყნოს სერტიფიცირებული პირის მიმართ არსებული შენიშვნები.

22. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებისას ფიზიკურ პირს სერტიფიკატის მოქმედების განახლების მოთხოვნით მიმართვა შეუძლია სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებიდან 1 წლის შემდეგ.

მუხლი 9. ეთიკის წესები

1. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია პროფესიული მომსახურების განხორციელებისას დაიცვას ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი, ქართულ ენაზე თარგმნილი და ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად რეგისტრირებული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code).

2. პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code) ქართულ ენაზე უნდა თარგმნოს და გამოსცეს იმ აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრია.

3. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ, ქართულ ენაზე თარგმნილ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსს (IESBA Code) რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც ამ კოდექსს აქვეყნებს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ.

4. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა იმ სუბიექტისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს, რომელსაც იგი აუდიტს უტარებს. ამასთანავე, იგი არ უნდა იყოს ჩართული ამ სუბიექტის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

5. აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უფლება არ აქვს, ჩაატაროს აუდიტი იმ შემთხვევაში, თუ:

ა) სუბიექტსა და აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას შორის არსებობს ფინანსური ან/და სხვა ინტერესი, რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს სუბიექტზე გაცემული აუდიტორული დასკვნის შინაარსზე;

ბ) სუბიექტი და აუდიტორი/აუდიტორული ფირმა არიან ურთიერთდამოკიდებული პირები საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით;

გ) სუბიექტსა და აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას შორის არსებობს შრომითი ურთიერთობა.

6. ამ მუხლის მიზნებისათვის ფინანსურ ინტერესად ჩაითვლება ინტერესი აქციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში, სესხებსა და სხვა სავალო ვალდებულებებში, ისეთი უფლებებისა და ვალდებულებების ჩათვლით, რომლებიც ითვალისწინებს ასეთი ინტერესის მოპოვებას, ასევე წარმოებულებს, პირდაპირ დაკავშირებულს ასეთი ინტერესის მოპოვებასთან.

7. ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არ შეიძლება გახდეს აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი.

8. ამ მუხლის პირველი, მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ა) აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას დისციპლინურ პასუხისმგებლობას დააკისრებს ის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრებულია იგი;

ბ) სავალდებულო აუდიტი ჩატარებულად არ ჩაითვლება.

9. ამ მუხლის მოქმედება აგრეთვე ვრცელდება ხარისხის კონტროლის შემმოწმებელსა და აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულ სერტიფიცირებულ პირზე, მათ მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისას.

მუხლი 10. ინფორმაციის კონფიდენციალურობა

1. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ პროფესიული მომსახურების განხორციელებისას მიღებული ინფორმაცია პროფესიული საიდუმლოებაა.

2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია:

ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, დროის გასვლისა და საქმიანობის შეცვლის მიუხედავად;

ბ) სუბიექტის თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს პროფესიული საიდუმლოება.

3. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის შეცვლის შემთხვევაში წინა აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უფლება აქვს, შემდეგ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას გადასცეს შესაბამისი ინფორმაცია იმ სუბიექტის შესახებ, რომელსაც აუდიტი ჩაუტარა.

4. აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უფლება აქვს, სუბიექტის თანხმობის შემთხვევაში პროფესიული მომსახურების განხორციელებისას მიღებული ინფორმაცია სხვა პირს გადასცეს.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას დისციპლინურ პასუხისმგებლობას დააკისრებს ის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრებულია იგი. დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აკრედიტებული პროფესიული

ორგანიზაციის წევრობის შეჩერებაც.

6. ამ მუხლის მოქმედება აგრეთვე ვრცელდება ხარისხის კონტროლის შემმოწმებელსა და აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულ სერტიფიცირებულ პირზე, მათ მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

თავი IV

აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია

მუხლი 11. პროფესიული ორგანიზაციის აკრედიტაცია

1. ამ კანონის მიზნებისათვის აკრედიტებული შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც რეგისტრირებულია არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად და აკმაყოფილებს ამ მუხლის მოთხოვნებს.

2. ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის აკრედიტაციას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო –აკრედიტაციის ცენტრი.

3. ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც არ არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი ან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის ნამდვილი წევრი, აკრედიტაციას იღებს იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მოთხოვნების შესაბამისი შიგა პოლიტიკა და პროცედურები ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით:

ა) თავისი წევრი აუდიტორების/აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის მექანიზმი;

ბ) მოთხოვნები სერტიფიცირებულ პირთა განათლების მიმართ და მათი სერტიფიცირების სისტემა;

გ) თავისი წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (IESBA Code) მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის სისტემა;

დ) დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების სისტემა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიულ ორგანიზაციას აკრედიტაცია ეძლევა 5 წლით. იგი უფლებამოსილია განმეორებითი აკრედიტაცია მოითხოვოს წინა აკრედიტაციის ვადის გასვლიდან 3 წლის შემდეგ.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიულ ორგანიზაციას აკრედიტაცია გაუხანგრძლივდება 1 წლით, თუ ის მიიღებს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ასოცირებული წევრის სტატუსს.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის აკრედიტაციის პირობებთან შესაბამისობის მონიტორინგს ყოველწლიურად ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო –აკრედიტაციის ცენტრი.

7. ამ კანონის მიზნებისათვისბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი ან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის ნამდვილი წევრი, აკრედიტებულად ითვლება მისი წევრობის განმავლობაში.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნული ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს –აკრედიტაციის ცენტრს პირველ წელსდაუდასტუროს შესაბამისად ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრობა ან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის წევრობა.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნული ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია შესაბამისად ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრობის ან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის წევრობის შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერებიდან 1 თვის განმავლობაში აცნობოს ეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრს.

10. ამ კანონის მიზნებისათვის, თუ ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის წევრების 50%-ზე მეტს შეადგენენ იმ ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის წევრები, რომლის აკრედიტაციის ვადაც გასულია, ითვლება, რომ ეს ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციები ერთი და იგივეა. შესაბამისად, აღნიშნულ ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიულ ორგანიზაციას საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოსთვის – აკრედიტაციის ცენტრისთვის აკრედიტაციის მიღების მოთხოვნით მიმართვის უფლება აქვს რეგისტრაციიდან 3 წლის შემდეგ.

11. აკრედიტაციის წესს, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი.

მუხლი 12. აკრედიტებული პროფესიული

ორგანიზაციის კომპეტენცია

1. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრია, ვალდებულია:

ა) ქართულ ენაზე თარგმნოს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგინოს და გამოსცეს:

ა.ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS);

ა.ბ) მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs);

ა.გ) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA);

ა.დ) ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ISQC);

ა.ე) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code);

ბ) დაადგინოს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგინოს და გამოსცეს:

ბ.ა) ხარისხის კონტროლის სისტემის შემმოწმებელთა სერტიფიცირების წესები;

ბ.ბ) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულება, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მოთხოვნების შესაბამისად.

2. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის ფუნქციებია:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების ადგილობრივი (ეროვნული) სტანდარტების შედგენა, გამოცემა და საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსთვის სარეგისტრაციოდ წარდგენა;

ბ) ბუღალტრული აღრიცხვის სარეკომენდაციო (სანიმუშო) ანგარიშთა გეგმის შემუშავება და გამოცემა;

გ) ბუღალტერთა საკვალიფიკაციო სწავლებების (ტრენინგების) განხორციელება;

დ) ფიზიკურ პირთა სერტიფიცირება, კერძოდ:

დ.ა) ბუღალტერთა (სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად და სერტიფიცირებულ ბუღალტრად) სერტიფიცირება;

დ.ბ) ხარისხის კონტროლის სისტემის შემმოწმებელთა სერტიფიცირება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული სერტიფიცირების წესების შესაბამისად;

დ.გ) ადმინისტრაციულ ორგანოსთან ან სხვა დაინტერესებულ პირთან შეთანხმებით სხვა სახის სერტიფიცირების განხორციელება;

ე) დისციპლინური საქმის წარმოება თავისი წევრი აუდიტორის/ აუდიტორული ფირმის და ამ აუდიტორულ ფირმაში დასაქმებული სერტიფიცირებული პირის მიმართ;

ვ) განგრძობითი განათლების სტანდარტის შემუშავება, დადგენა და გამოყენება;

ზ) თავისი წევრების მიერ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ეთიკის წესების მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის კონტროლი;

თ) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული დებულების შესაბამისად;

ი) თავის მიერ სერტიფიცირებულ პირთა სიის საკუთარ ვებგვერდზე გამოქვეყნება;

კ) თავისი წევრი აუდიტორების/აუდიტორული ფირმების რეესტრის წარმოება და მისი საჯაროობის უზრუნველყოფა.

3. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია, ამ მუხლით განსაზღვრული საქმიანობის გარდა, განახორციელოს სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული ან/და კანონით აუკრძალავი სხვა ნებისმიერი საქმიანობა.

4. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია პირთა სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად და სერტიფიცირებულ ბუღალტრად სერტიფიცირებას ახორციელებს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) განათლების საერთაშორისო სტანდარტების (IES) მოთხოვნების დაცვით.

5. პირთა სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად და სერტიფიცირებულ ბუღალტრად სერტიფიცირების პროგრამები საჯარო უნდა იყოს. ამასთანავე, ამ პროგრამებში მითითებული უნდა იყოს სერტიფიცირებულ პირად აღიარებისათვის საჭირო ცოდნის სავალდებულო მინიმალური მოთხოვნები.

6. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია გამოაქვეყნოს ინფორმაცია აუდიტორების/აუდიტორული ფირმების შემოსავლების მოცულობის შესახებ. ამასთანავე, იგი ვალდებულია აუდიტორების/ აუდიტორული ფირმების შემოსავლები დაყოს გაწეული მომსახურების სახეების მიხედვით.

7. აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ ამ მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული შემოსავლების შესახებ ინფორმაცია უნდა გამოაქვეყნოს ყოველწლიურად, შესაბამისი წლის მომდევნო წლის ბოლომდე.

8. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნოს ყოველწლიურად, საკუთარ ვებგვერდზე ან/და პრესაში, შესაბამისი წლის მომდევნო წლის 1 ივლისამდე. თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშის საკუთარ ვებგვერდზე

გამოქვეყნების შემთხვევაში აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია ეს ანგარიში ვებგვერდზე ჰქონდეს გამოქვეყნებიდან სულ ცოტა 3 წლის განმავლობაში.

თავი V

პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

მუხლი 13. პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის

1. ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევა გამოიწვევს ამ მუხლით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას, თუ შესაბამისი კანონმდებლობით ასეთი ქმედებისთვის (მოქმედებისთვის/უმოქმედობისთვის) სხვა პასუხისმგებლობა არ არის გათვალისწინებული.

2. ამ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სუბიექტების მიერ იმავე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს შესაბამისი სუბიექტის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით, რაც მას არ ათავისუფლებს აუდიტის ჩატარების ვალდებულებისაგან.

მუხლი 14. პასუხისმგებლობის დაკისრების წესი

1. სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების საფუძველია ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენა, რომლის შესახებაც დგება სამართალდარღვევის ოქმი. სამართალდარღვევის ოქმს ხელს აწერს მისი შედგენის უფლებამოსილების მქონე პირი.

2. ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენისას ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სუბიექტების მიმართ სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პირი, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. სამართალდარღვევის ოქმში აღინიშნება: ოქმის შედგენის თარიღი; შემდგენის თანამდებობა, სახელი და გვარი; მონაცემები დამრღვევი პირის შესახებ, მათ შორის, პირადი ნომერი ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი; სამართალდარღვევის შინაარსი; ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის.

4. სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე ეცნობება იმ პირს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს აღნიშნული საქმის წარმოება, და მას გადაეცემა სამართალდარღვევის ოქმის 1 ეგზემპლარი.

5. პირი უფლებამოსილია პირადად ან/და წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა მის მიმართ დაწყებული სამართალდარღვევის საქმის წარმოების პროცესში და წარადგინოს ახსნა-განმარტება.

6. ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენისას ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სუბიექტების მიმართ დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პირი, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7. სამართალდარღვევის საქმეზე გადაწყვეტილება მიიღება ოქმის შედგენიდან 1 თვის ვადაში. ამ გადაწყვეტილების 1 ეგზემპლარი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში გადაეცემა იმ პირს, რომლის მიმართაც მიმდინარეობდა აღნიშნული საქმის წარმოება.

8. სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში აღინიშნება: გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს/პირის დასახელება; საქმის განხილვის თარიღი; მონაცემები იმ პირის შესახებ, რომლის მიმართაც განიხილებოდა საქმე; საქმის განხილვისას დადგენილი გარემოებები; ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის; გადაწყვეტილების შინაარსი; გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და წესი.

9. ამ კანონის შესაბამისად დაკისრებულ ჯარიმას პირი იხდის დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში.

10. ამ კანონით დაწესებული ჯარიმა ირიცხება ბიუჯეტში, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 15. დავის გადაწყვეტა

1. ამ კანონიდან გამომდინარე დავა განიხილება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2. მონიტორინგის დასკვნა გასაჩივრდება აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის გადაწყვეტილებასთან ერთად.

3. მონიტორინგის დასკვნის თაობაზე აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის გადაწყვეტილება აუდიტორმა, აუდიტორულმა ფირმამ ან აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულმა სერტიფიცირებულმა პირმა შესაძლებელია გაასაჩივროს სასამართლოში, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში.

4. სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრდება სასამართლოში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

5. სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს ამ გადაწყვეტილების მოქმედებას.

თავი VI

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 16. გარდამავალი დებულებანი

1. საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის და საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილებებით მიღებული, აგრეთვე

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში 2013 წლის 1 იანვრისათვის მოქმედი ნორმატიული აქტები მოქმედებს ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სტანდარტების გამოყენების ვალდებულების ძალაში შესვლამდე.

2. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონში აღნიშნული ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტები მოქმედებს 2015 წლის 1 იანვრამდე.

3. საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული აუდიტორის საკვალიფიკაციო სერტიფიკატები, რომლებიც ძალაშია 2013 წლის 1 იანვრისათვის, მოქმედებს 2013 წლის 1 იანვრიდან 5 წლის განმავლობაში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ სერტიფიცირებულ პირს და აუდიტორულ ფირმას, რომელსაც დაქირავებული ჰყავს ასეთი სერტიფიცირებული პირი, უფლება აქვს, რეგისტრირებული იყოს მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრში.

5. აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ 2013 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყოს ბუღალტერთა (სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად და სერტიფიცირებულ ბუღალტრად) სერტიფიცირების პროგრამების შემუშავება.

6. აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრია, 2013 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ხარისხის კონტროლის შემმოწმებლის სერტიფიცირების პროგრამისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულების შემუშავება.

7. ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად მომზადება სავალდებულოა 2015 წლის 1 იანვრიდან, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთანავე, 2015 წლის 1 იანვრამდე სუბიექტს უფლება აქვს, გამოიყენოს ეს სტანდარტები.

8. ფინანსური ანგარიშგების მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად მომზადება სავალდებულოა 2015 წლის 1 იანვრიდან, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთანავე, 2015 წლის 1 იანვრამდე სუბიექტს უფლება აქვს, გამოიყენოს ეს სტანდარტები.

9.2013 წლის 1 იანვრის შემდეგ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარებიანსაქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული აუდიტორები/ აუდიტორული ფირმები.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული წესი მოქმედებს 2013 წლის 1 იანვრიდან 4 წლის განმავლობაში. ამასთანავე, აღნიშნულ პუნქტში მითითებული აუდიტორების/ აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი არ ხორციელდება 2013 წლის 1 იანვრიდან 3 წლის განმავლობაში.

11. 2013 წლის 1 იანვრიდან 3 წლის განმავლობაში ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სუბიექტებისთვის აუდიტის ჩატარების უფლება აქვს ნებისმიერ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ტიპის რეესტრშია რეგისტრირებული.

12. აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უფლება აქვს, ჩაატაროს ამ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტების 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ტიპის რეესტრშია რეგისტრირებული.

13.საჯარო სამართლის იურიდიულმაპირმა–აკრედიტაციის ერთიანმაეროვნულმაორგანომ–აკრედიტაციის ცენტრმა ამ კანონის მე-11 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული აკრედიტაციის წესი 2012 წლის 1 ნოემბრამდე წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

14. საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს საკუთრებაში მყოფი აქტივები 2013 წლის 1 იანვრამდე გადაეცეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებანი

1. 2013 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) საქართველოს 1995 წლის 7 თებერვლის კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994–1995, №№23–26, მუხ. 496);

ბ)საქართველოს 1999 წლის 5 თებერვლის კანონი„ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №4(11), 1999 წელი, მუხ. 18);

გ) საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 30 ივნისის დადგენილება „საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს შესახებ“ (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994–1995, №№27–30, მუხ. 656);

დ) საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 19 მარტის დადგენილება „საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №16(23),

1999 წელი, მუხ. 239).

2. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი–მე-15 მუხლებისა, მე-16 მუხლის პირველი–მე-4 და მე-7–მე-12 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. ამ კანონის პირველი–მე-15 მუხლები, მე-16 მუხლის პირველი–მე-4 და მე-7–მე–12 პუნქტები ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტიმ. სააკაშვილი
თბილისი,
2012 წლის 29 ივნისი.
№6598-რს

საქართველოს კანონი
ადმინისტრაციული სახდელისაგან
განთავისუფლების შესახებ

მუხლი 1

1. ამ კანონის მიზანია ერთჯერადი ხასიათის დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით იმ ფიზიკური პირების ადმინისტრაციული სახდელისაგან განთავისუფლება, რომელთაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) 96^1 მუხლით და 130-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ჩაიდინეს 2012 წლის 1 იანვრამდე და რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება ამ კანონის ამოქმედებამდე არ აღსრულებულა.

2. ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელისაგან თავისუფლდებიან:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რომლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი ტოლია ან ნაკლებია 70 000 ქულაზე;

ბ) სახდელდადებული ასაკით პენსიონერი (ქალი 60 წლის ასაკიდან, მამაკაცი 65 წლის ასაკიდან) ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი) ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის მშობელი;

გ) აბონენტი, რომლის მისამართზე 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებულია ასაკით პენსიონერი (ქალი 60 წლის ასაკიდან, მამაკაცი 65 წლის ასაკიდან) ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი, მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი).

მუხლი 2

1. ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელისაგან განთავისუფლება გულისხმობს ფიზიკური პირის განთავისუფლებას როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ადმინისტრაციული სახდელისაგან, აგრეთვე საურავისაგან.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელისაგან განთავისუფლება ვრცელდება როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ადმინისტრაციული სახდელის, აგრეთვე საურავის აღუსრულებელ ნაწილზე.

მუხლი 3

1. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის უფლებამოსილების მქონე ორგანოებმა და თანამდებობის პირებმა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე ადმინისტრაციული სახდელისაგან განთავისუფლების საკითხი გადაწყვიტონ ამ კანონის შესაბამისად.

2. ამ კანონის საფუძველზე საქართველოს სააღსრულებო დაწესებულებებმა შეწყვიტონ მათ წარმოებაში არსებული, ამ კანონის რეგულირების სფეროსათვის მიკუთვნებული საქმეების აღსრულება.

მუხლი 4

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი
თბილისი,
2012 წლის 5 ივნისი.
№6394-Iს

საქართველოს კანონი
პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი
მიმოქცევის კოდექსი
თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კოდექსის მიზანი

ამ კოდექსის მიზანია:

ა) ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს დაცვა;

ბ) უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე განთავსება და თავისუფალი მიმოქცევა;

გ) პროდუქტის გადაადგილების და ბაზარზე განთავსების პროცესში კონკურენციის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა;

დ) მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ექსპლუატაციის წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის გზით;

ე) რისკის ანალიზსა და შეფასებაზე დამყარებული ინსპექტირების სისტემის დანერგვა;

ვ) მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ტექნიკური ინსპექტირების სისტემის ჩამოყალიბება და ინსპექტირების ორგანოების საქმიანობისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნა;

ზ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს და ინსპექტირების ორგანოების უფლებამოსილებათა გამიჯვნა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ექსპლუატაციისა და კონტროლის სფეროებში;

თ) სამშენებლო საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა სამშენებლო სფეროს ტექნიკური რეგლამენტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით;

ი) სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის და შესაბამისობის შეფასების სფეროებში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება.

მუხლი 2. კოდექსის ზოგადი პრინციპები

1. ეს კოდექსი ეფუძნება შემდეგ ზოგად პრინციპებს:

ა) სახელმწიფოს მიერ დაწესებული უსაფრთხოების სავალდებულო მოთხოვნების მხოლოდ რეგულირებულ სფეროზე გავრცელებას. სხვა სფეროში მეწარმეს თავად აქვს უფლება, აირჩიოს და დააკმაყოფილოს უსაფრთხოების მოთხოვნები;

ბ) მინიმალურად საჭირო რეგულირებით უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე განთავსების უზრუნველყოფას;

გ) მსგავსი მახასიათებლების მქონე პროდუქტებისათვის ბაზარზე განთავსებისას ერთგვაროვან და არადისკრიმინაციულ მიდგომას;

დ) სტანდარტიზაციის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების უპირატესობას;

ე) ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დასაცავად დაშვებას ამავე კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში;

ვ) შესაბამისობის შეფასების საერთაშორისო სისტემასთან ჰარმონიზებული პროცედურების დადგენას;

ზ) ხარისხის ინფრასტრუქტურისა და ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის განვითარების ხელშეწყობას.

2. ამ კოდექსის რეგულირების მექანიზმებია: პროდუქტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ტექნიკური ნორმების ჰარმონიზაცია და ვაჭრობაში არასატარიფო ბარიერების შემცირება.

3. პროდუქტი, რომელიც წარმოებულია ევროკომისიის მიერ მიღებული/დამტკიცებული ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების მოთხოვნების დაცვით, ამ კოდექსის შესაბამისად აკმაყოფილებს უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებს.

4. ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება იმ პროდუქტზე, რომელიც სპეციალურად არის წარმოებული საპოლიციო ან/და სამხედრო მიზნებისათვის.

მუხლი 3. ბაზარზე პროდუქტის შეზღუდვის გარეშე დაშვება

1. რეგულირებული სფეროსთვის მიკუთვნებული პროდუქტი, რომელიც წარმოებულია პროდუქტის უსაფრთხოების სათანადო სტანდარტებისა და განვითარებული ხარისხის ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყანაში, მისი კანონმდებლობის შესაბამისად, ბაზარზე განთავსდება შეზღუდვის გარეშე. ასეთი ქვეყნების ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

2. თუ ტექნიკური რეგლამენტით არ რეგულირდება ბაზარზე განთავსებისათვის განკუთვნილი რომელიმე პროდუქტის უსაფრთხოების სპეციფიკური მოთხოვნები, ამ პროდუქტზე ვრცელდება ამ კოდექსის II და III თავებით დადგენილი მოთხოვნები.

3. რეგულირებულ სფეროში პროდუქტი, რომლის უსაფრთხოების მახასიათებლები არსებითად შეიცვლება, ჩაითვლება ახალ პროდუქტად და ის უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს ამ კოდექსის შესაბამისად ბაზარზე განთავსებისას ან/და ექსპლუატაციაში გაშვებისას, თუ ტექნიკური რეგლამენტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 4. ტერმინთა განმარტება

1. პროდუქტი – ყველა მოძრავი ნივთი და ამ ნივთთან დაკავშირებული მომსახურება, თუნდაც ეს ნივთი იყოს სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი. ამ კოდექსის მიზნებისათვის „ნივთი“ არ მოიცავს სურსათის პირველად პროდუქტს და ნადირობის შედეგად მოპოვებულ პროდუქტს. „პროდუქტი“ ასევე მოიცავს ბაზარზე განთავსებულ საქონელს, მიუხედავად იმისა, განკუთვნილია თუ არა იგი უშუალოდ საბოლოო მომხმარებლისათვის, რომელიც მიწოდებულია ან სხვაგვარად არის ხელმისაწვდომი კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის.

2. უსაფრთხო პროდუქტი – პროდუქტი, რომელიც დანიშნულებისამებრ, გონივრული გამოყენებისას და ვარგისობის ვადის დაცვისას არ შეიცავს რისკს, ან შეიცავს მხოლოდ ადამიანის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გათვალისწინებით დასაშვებად მიჩნეულ მინიმალურ რისკს. უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფის შესაძლებლობა ან ნაკლები რისკის შემცველი სხვა პროდუქტის

ხელმისაწვდომობა არ არის პროდუქტის სახიფათო პროდუქტად მიჩნევის საფუძველი.

3. სახიფათო პროდუქტი – პროდუქტი, რომელიც არ შეესაბამება ამ მუხლის მე-2 ნაწილში მოცემულ „უსაფრთხო პროდუქტის“ განმარტებას.

4. მწარმოებელი:

ა) დასრულებული პროდუქტის, ნედლი მასალის ან პროდუქტის შემადგენელი ნაწილის მწარმოებელი, პროდუქტის გადამკეთებელი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომლის სახელი, სავაჭრო ან სხვა განმასხვავებელი ნიშანი განთავსებულია პროდუქტზე და რომელიც თავს ამ პროდუქტის მწარმოებლად წარმოადგენს;

ბ) უცხოელი დამამზადებლის საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი წარმომადგენელი, ან/და პროდუქტის ბაზარზე განმათავსებელი, თუ უცხოელ დამამზადებელს საქართველოში არ ჰყავს წარმომადგენელი;

გ) პირი, რომელიც თავისი საქმიანობის ფარგლებში პროდუქტით უზრუნველყოფს ბაზარს და რომლის საქმიანობას შეუძლია გავლენა მოახდინოს ბაზარზე განთავსებული პროდუქტის უსაფრთხოების მახასიათებლებზე.

5. დისტრიბუტორი – პირი, რომელიც თავისი საქმიანობის ფარგლებში პროდუქტით უზრუნველყოფს ბაზარს და რომელიც პროდუქტის მიმართ სათანადო პირობების დაცვის შემთხვევაში გავლენას არ ახდენს პროდუქტის უსაფრთხოების მახასიათებლებზე.

6. ავტორიზებული წარმომადგენელი – მწარმოებლის მიერ ავტორიზებული პირი, რომელსაც მწარმოებლის ნაცვლად შეიძლება მიმართოს უფლებამოსილმა პირმა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

7. იმპორტიორი/პროდუქტის ბაზარზე განთავსებისათვის პასუხისმგებელი პირი – პირი, რომელიც პასუხისმგებელია სხვა ქვეყანაში წარმოებული პროდუქტის ბაზარზე განთავსებისათვის.

8. ბაზარზე განთავსება – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა, პროდუქტის ბაზარზე პირველადი მიწოდება წარმოების, იმპორტის, იჯარის, ლიზინგის ან სხვა გზით, კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის. პროდუქტის ყოველი მომდევნო მიწოდება არ ითვლება ბაზარზე განთავსებად.

9. ექსპლუატაციაში გაშვება – საქართველოში პროდუქტის პირველად გამოყენება. თუ პროდუქტის ექსპლუატაციის დაწყება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, ექსპლუატაციაში გაშვება შეიძლება დაექვემდებაროს დამატებით ტექნიკურ მოთხოვნებს.

10. ბაზარზე განთავსებად არ ითვლება შემთხვევა, როდესაც:

ა) მწარმოებელმა პროდუქტი საკუთარ წარმომადგენლობას მიაწოდა;

ბ) პროდუქტი მიწოდებულია შემდგომი დახვეწის (მაგალითად, აწყობის, შეფუთვის, გადამუშავების ან ეტიკეტირების) მიზნით;

გ) პროდუქტი არ არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;

დ) პროდუქტი წარმოებულია საქართველოში სხვა ქვეყანაში ექსპორტის მიზნით;

ე) პროდუქტი განკუთვნილია სადემონსტრაციოდ;

ვ) პროდუქტი განთავსებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დასაწყობების მიზნით და არ არის ხელმისაწვდომი მომხმარებლისათვის, თუ შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით დასაწყობებისათვის სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. ტექნიკური დოკუმენტაცია – ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული საჭირო ინფორმაცია პროდუქტის დაპროექტების, წარმოებისა და ექსპლუატაციის შესახებ.

12. შესაბამისობის შეფასება (შშ) – პროცედურები, რომლებითაც დგინდება, შესრულებულია თუ არა შესაბამისობის შეფასების ობიექტის მიმართ დადგენილი მოთხოვნები.

13. შესაბამისობის შეფასების ობიექტი – მასალა, პროდუქტი, მომსახურება, პროცესი, სისტემა, პირი, რომლის მიმართაც გამოიყენება შესაბამისობის შეფასება.

14. შესაბამისობის შემფასებელი პირი – პირი, რომელიც პროფესიული საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს შესაბამისობის შეფასებას. რეგულირებულ სფეროში შესაბამისობის შეფასებას ახორციელებს აკრედიტებული ან კანონით პირდაპირ განსაზღვრული სხვა პირი.

15. რეგულირებული სფერო – კანონით განსაზღვრული სფერო, რომელიც პირდაპირ ადგენს ობიექტებს, რომელთა შესაბამისობის შეფასება სავალდებულოა.

16. პროდუქტის გამოთხოვა – ქმედება, რომელიც მიმართულია სახიფათო პროდუქტის დაბრუნებისკენ, რომელიც მწარმოებლის ან დისტრიბუტორის მიერ უკვე მიწოდებულია ან სხვაგვარად არის ხელმისაწვდომი მომხმარებლისათვის.

17. პროდუქტის ამოღება – ქმედება, რომელიც მიმართულია სახიფათო პროდუქტის დისტრიბუციის, მომხმარებლისათვის შეთავაზების ან მიწოდების შეწყვეტისაკენ.

18. ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტი – ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც მიღებულია/დამტკიცებულია ევროკომისიის ახალი და გლობალური მიდგომის შესაბამისი დირექტივის საფუძველზე და რომელსაც აქვეყნებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო.

19. ერთეულთა საერთაშორისო სისტემა (SI) –

გაზომვის ერთეულთა საერთაშორისო სისტემა, რომელიც რეკომენდებული და მიღებულია მეტრული კონვენციის შესაბამისად ზომისა და წონის გენერალური კონფერენციის მიერ.

20. დაფასოებული საქონელი – შეფუთული საქონელი, რომლის შეფუთვაზე აღნიშნულია მისი რაოდენობა, რომელიც გარკვეული სიზუსტით შეესაბამება წინასწარ შერჩეულ ნომინალურ მნიშვნელობას და რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს შეფუთვის გახსნის ან ხილული დაზიანების გარეშე.

თავი II

პასუხისმგებლობა წუნდებული პროდუქტის ბაზარზე განთავსებისათვის

მუხლი 5. ტერმინთა განმარტება

ამ თავის მიზნებისათვის ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) წუნდებული პროდუქტი – პროდუქტი, რომელიც არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ისეთ მოთხოვნებს, რომლებსაც ელის მისგან პირი:

ა.ა) პროდუქტზე ზოგადი წარმოდგენის გათვალისწინებით;

ა.ბ) ჩვეულებრივი გამოყენების პირობებში;

ა.გ) იმ პერიოდისათვის არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით, როდესაც პროდუქტი ბაზარზე განთავსდა;

ბ) ზიანი – პროდუქტის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შეუსაბამობით დამდგარი შედეგი, რომელმაც გამოიწვია:

ბ.ა) ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაზიანება ან გარდაცვალება;

ბ.ბ) ქონების ნებისმიერი ნაწილის დაზიანება ან განადგურება, გარდა თავად წუნდებული პროდუქტისა, რომლის ღირებულება 300 ლარზე მეტია.

მუხლი 6. მწარმოებლის პასუხისმგებლობა

1. მწარმოებელი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია მის მიერ ბაზარზე განთავსებული წუნდებული პროდუქტით.

2. თუ მწარმოებლის მიკვლევა შეუძლებელია, თუნდაც პროდუქტზე მითითებული იყოს მისი სახელი, პროდუქტის ბაზარზე ფაქტობრივად განმათავსებელი ითვლება ამ პროდუქტის მწარმოებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი გონივრულ ვადაში ატყობინებს დაზარალებულს მწარმოებლის ან იმ პირის ადგილსამყოფელს, რომელმაც მას პროდუქტი მიაწოდა.

3. ზიანის დადგენის მტკიცების ტვირთი დაზარალებულს ეკისრება. დაზარალებული ასევე ვალდებულია დაამტკიცოს წუნდებულ პროდუქტსა და მიყენებულ ზიანს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი.

4. თუ ერთი და იმავე ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებელია ორი ან მეტი პირი, ისინი პასუხს აგებენ სოლიდარულად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებლობის წილობრივად დანაწილებით.

5. მწარმოებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ ის დაამტკიცებს, რომ აკმაყოფილებს ამ კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მოთხოვნებს.

6. წუნდებული პროდუქტი შეიძლება განთავსდეს ბაზარზე, თუ მიმწოდებელმა მკაფიოდ აცნობა მომხმარებელს, რომ იგი წუნდებულია.

7. მწარმოებელი პასუხისმგებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ზიანი ერთდროულად წუნდებული პროდუქტითა და მესამე პირის ქმედებით არის გამოწვეული.

8. მწარმოებლის პასუხისმგებლობა შეიძლება შემცირდეს ან გამოირიცხოს, თუ გარკვეული გარემოების არსებობისას ზიანი გამოიწვია როგორც პროდუქტის წუნმა, ისე დაზარალებულის არასწორმა ქმედებამ, ან იმ პირმა, რომელზედაც პასუხისმგებელია დაზარალებული.

მუხლი 7. ხანდაზმულობის ვადა ზიანის ანაზღაურებისათვის

1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ვადაა 3 წელი. ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა გაიგო ან უნდა გაეგო, რომ მიადგა ზიანი, და, ამასთანავე, მან მოახდინა ზიანის, წუნისა და მწარმოებლის იდენტიფიცირება.

2. დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ზიანის გამომწვევი პროდუქტის ნებისმიერ ბაზარზე განთავსების მომენტიდან 10 წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზარალებულმა ამ პერიოდში მწარმოებლის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

მუხლი 8. მწარმოებლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

1. მწარმოებლის პასუხისმგებლობა არ შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

2. მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი ზიანის მიყენებისთვის, თუ ის დაამტკიცებს, რომ:

ა) პროდუქტი ბაზარზე მას არ განუთავსებია;

ბ) წუნი, რომელმაც ზიანი გამოიწვია, პროდუქტის ბაზარზე განთავსების მომენტისათვის არ არსებობდა;

გ) პროდუქტი არ იყო გამიზნული ბაზარზე განთავსებისათვის, ან ნებისმიერი ფორმით დისტრიბუციისათვის, ან პროდუქტი არ ყოფილა წარმოებული/გავრცელებული მის მიერ მისი საწარმოო საქმიანობის პერიოდში;

დ) წუნი პროდუქტის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობამ გამოიწვია;

ე) მეცნიერული ან ტექნიკური ცოდნა პროდუქტის მიმოქცევაში გაშვების მომენტისათვის არ იყო იმგვარი, რომ მწარმოებელს წუნის აღმოჩენის საშუალება ჰქონოდა;

ვ) პროდუქტის შემადგენელი ნაწილის მწარმოებლის შემთხვევაში, წუნი გამოწვეულია პროდუქტის დიზაინით, რომელშიც ეს ნაწილია

მოთავსებული, ან მითითების საფუძველზე, რომელიც გაცემულია იმ მწარმოებლის მიერ, რომელიც თავის პროდუქტში იყენებს ამ ნაწილს.

3. მწარმოებელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა წუნდებული პროდუქტის ბაზარზე განთავსებისათვის, თუ ამ პროდუქტს ზიანი არ გამოუწვევია.

თავი III
პროდუქტის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები

მუხლი 9. ბაზარზე განთავსებული პროდუქტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

1. მწარმოებელი ვალდებულია ბაზარზე განათავსოს მხოლოდ უსაფრთხო პროდუქტი.

2. მწარმოებელი ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააფრთხილოს მომხმარებელი იმ თვალსაჩინო თუ არათვალსაჩინო რისკის შესახებ, რომელსაც შეიცავს პროდუქტი მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისას და წინასწარგანსაზღვრული ვადის განმავლობაში. თუ მწარმოებელს შეუძლია ასეთი რისკის თავიდან აცილება, იგი ვალდებულია განახორციელოს ყველა ღონისძიება ამგვარი რისკის თავიდან ასაცილებლად.

3. მწარმოებელი ვალდებულია იმოქმედოს სათანადო გულისხმიერებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროდუქტის უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობა.

4. მწარმოებელმა არ უნდა გაავრცელოს ისეთი პროდუქტი, რომელიც, მის ხელთ არსებული ინფორმაციისა და ცოდნის საფუძველზე, არ შეესაბამება უსაფრთხოების სავალდებულო მოთხოვნებს.

5. დისტრიბუტორმა თავისი საქმიანობის ფარგლებში ხელი უნდა შეუწყოს ბაზარზე განთავსებული პროდუქტის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

6. მწარმოებელი და დისტრიბუტორი ვალდებული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლონ უფლებამოსილ ორგანოებთან იმ პროდუქტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რომელიც განთავსდა ბაზარზე ან განკუთვნილია ბაზარზე განსათავსებლად.

7. ამ თავის მიზნებისათვის პროდუქტი არ არის ის მეორეული გამოყენების პროდუქტი, რომელიც მიწოდებულია, როგორც ანტიკვარიატი, ან პროდუქტი, რომელიც გამოყენებამდე უნდა შეკეთდეს ან გადაკეთდეს, თუ ამის შესახებ მიმწოდებელმა მკაფიოდ აცნობა მომხმარებელს.

მუხლი 10. პროდუქტის უსაფრთხოების შეფასება

1. პროდუქტის უსაფრთხოების შეფასებისას მხედველობაში მიიღება:

ა) პროდუქტის მახასიათებლები, კერძოდ, მისი შემადგენლობა, შეფუთვა, აწყობის და შესაბამის შემთხვევაში მონტაჟისა და შეკეთების ინსტრუქციები;

ბ) სხვა პროდუქტზე გავლენა, როდესაც გონივრული გამოყენების ფარგლებში სავარაუდოა მისი ამ პროდუქტთან ერთად გამოყენება;

გ) პროდუქტის პრეზენტირება, ეტიკეტირება, გაფრთხილება პროდუქტის შესახებ, ინსტრუქცია მისი გამოყენებისა და განადგურების შესახებ ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც ამ პროდუქტს შეეხება;

დ) მომხმარებელთა ასაკობრივი კატეგორიები, რომელთაც ამ პროდუქტის გამოყენებით შეიძლება ზიანი მიადგეს.

2. უსაფრთხო პროდუქტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სახიფათო პროდუქტად შესაბამის სფეროში უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის მიღწევის ან უფრო უსაფრთხო პროდუქტის არსებობის გამო.

მუხლი 11. ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტის განთავსება

1. მწარმოებელი ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააფრთხილოს მომხმარებელი იმ თვალსაჩინო თუ არათვალსაჩინო რისკის შესახებ, რომელსაც შეიცავს პროდუქტი მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისას და წინასწარგანსაზღვრული ვადის განმავლობაში, აგრეთვე იმ რისკის შესახებ, რომელიც შეიძლება დაუყოვნებლივ არ გამოვლინდეს.

2. გაფრთხილება არ ათავისუფლებს პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისაგან.

3. მწარმოებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა ითვალისწინებდეს პროდუქტის მიმართ ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს:

ა) გააანალიზოს რისკი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს პროდუქტმა;

ბ) მიიღოს შესაბამისი ზომები რისკის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის, გააფრთხილოს მომხმარებელი და გამოითხოვოს პროდუქტი მომხმარებლისაგან და ბაზრიდან.

4. მწარმოებელმა დისტრიბუტორს უნდა მიაწოდოს სრული ინფორმაცია პროდუქტთან დაკავშირებული რისკების შესახებ, რათა დისტრიბუტორმა შეძლოს ამ ინფორმაციის მესამე პირისათვის მიწოდება.

5. თუ მწარმოებელმა და დისტრიბუტორმა იციან ან მათ ხელთ არსებული ინფორმაციისა და პროფესიული ცოდნის საფუძველზე უნდა სცოდნოდათ, რომ მათ მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტი შეიცავს რისკს, რომელიც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებს, მათ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს და უნდა მიაწოდონ მას შემდეგი ინფორმაცია:

ა) მონაცემები პროდუქტის ან მისი პარტიის/ჯგუფის ზუსტი იდენტიფიცირებისათვის;

ბ) სრული ინფორმაცია იმ რისკების შესახებ, რომლებსაც შეიცავს პროდუქტი;

გ) სრული ინფორმაცია, რომელიც იძლევა პროდუქტის მიკვლევადობის საშუალებას;

დ) იმ ღონისძიებების აღწერა, რომლებიც საჭიროა რისკის თავიდან ასაცილებლად.

6. მწარმოებელი და დისტრიბუტორი ვალდებული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლონ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან იმ ღონისძიებების განხორციელებაში, რომლებიც უზრუნველყოფს ბაზარზე მათ მიერ მიწოდებული პროდუქტით გამოწვეული რისკის თავიდან აცილებას.

მუხლი 12. ინფორმაცია პროდუქტის შესახებ

1. მწარმოებელი/დისტრიბუტორი ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქტის შესახებ, რაც მას სწორი არჩევნის შესაძლებლობას მისცემს.

2. მომხმარებელს პროდუქტის შესახებ უნდა მიეწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) პროდუქტის დასახელება და სახე;

ბ) პროდუქტის დამამზადებლის საფირმო სახელწოდება და მისამართი, იმ ქვეყნის დასახელება, სადაც დამზადებულია პროდუქტი;

გ) შესაბამის შემთხვევაში – იმ პროდუქტის ვარგისობის ვადა (პროდუქტის გამოყენების ბოლო თარიღი ან დამზადების თარიღი და შენახვის ვადა), რომლის სამომხმარებლო თვისებები დროთა განმავლობაში უარესდება;

დ) შესაბამის შემთხვევაში – პროდუქტის წონა ან/და მოცულობა;

ე) შესაბამის შემთხვევაში – პროდუქტის ძირითადი სამომხმარებლო თვისებების ნუსხა;

ვ) შესაბამის შემთხვევაში – პროდუქტის შედეგიანი და უსაფრთხო გამოყენების წესები და პირობები, აგრეთვე შენახვის სპეციალური პირობები;

ზ) მწარმოებლის/დისტრიბუტორის მიერ დათქმის შემთხვევაში – საგარანტიო ვადა ან/და სხვა ვალდებულებები;

თ) პროდუქტის ვარგისობის ვადის გასვლის შემდეგ მომხმარებლის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები და მათი განუხორციელებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“–„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა იყოს ქართულ ენაზე.

4. თუ საქართველოს კანონმდებლობით მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დადგენილია დამატებითი ან განსხვავებული მოთხოვნები, მოქმედებს შესაბამისი აქტის მოთხოვნები.

5. მწარმოებელს/დისტრიბუტორს უფლება აქვს, თავისი სამეწარმეო მიზნებისათვის მომხმარებელს მიაწოდოს უფრო მეტი ინფორმაცია, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ამ მუხლით.

6. თუ მწარმოებელი პროდუქტს გარანტიით ყიდის, იგი ვალდებულია დაიცვას გარანტიის პირობები, ხოლო მყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს გარანტიის პირობების შესრულება. პროდუქტზე გარანტია არ ათავისუფლებს პირს ზიანის მიყენებისათვის ამ კოდექსით დადგენილი პასუხისმგებლობისაგან.

7. ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე პროდუქტის შემადგენელ ნაწილებზე.

მუხლი 13. ზოგადი მოთხოვნები
დამსაქმებლის, დასაქმებულისა და
მწარმოებლის მიმართ

1. დამსაქმებელმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა პროდუქტი, რომელიც სამუშაო ადგილას გამოიყენება, იყოს უსაფრთხო.

2. დამსაქმებლის მიერ გაცემული შესაბამისი მითითებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე დასაქმებულმა სწორად უნდა გამოიყენოს დანადგარები, მოწყობილობები, წარმოების სხვა საშუალებები და პერსონალური უსაფრთხოების საშუალებები.

3. დასაქმებული ზოგადად პასუხისმგებელია, სამუშაოს შესრულების პერიოდში იზრუნოს საკუთარ და სხვა პირთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე.

4. მწარმოებელი პასუხს აგებს საბოლოო პროდუქტის უსაფრთხოებისათვის იმ შემთხვევაშიც, თუ პროდუქტი ან მისი შემადგენელი ნაწილები წარმოებულია სხვა მწარმოებლის მიერ.

5. მწარმოებელი პასუხისმგებელია ავტორიზებული წარმომადგენლის მიერ პროდუქტის ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებული ქმედებებისათვის.

6. მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს მას პროდუქტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

7. მომხმარებელს უფლება აქვს, დაიცვას თავისი უფლებები სასამართლოში ან შესაბამის სახელმწიფო ორგანოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი IV
ტექნიკური საფრთხის კონტროლი

მუხლი 14. რეგულირების სფერო

1. ეს თავი არეგულირებს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებს და მათთან დაკავშირებულ პროცესებს, რომელთა წარმოება, მშენებლობა, მონტაჟი, შენახვა, ტრანსპორტირება, ბრუნვა, გამოყენება და განადგურება შეიცავს ნგრევის, აფეთქების, ემისიისა და ინტოქსიკაციის შესაძლებლობას და არის მომეტებული რისკი ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოსთვის.

2. სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სფეროში ამ თავის მოქმედება ვრცელდება:

ა) პირების, აგრეთვე ამხანაგობების

საქმიანობაზე, რომლის დროსაც ხორციელდება შენობა-ნაგებობის, მისი ელემენტების, კონსტრუქციული სისტემების ან კვანძების მშენებლობა, მონტაჟი, დემონტაჟი და სხვა სამშენებლო სამუშაოები;

ბ) დამკვეთზე, რომლის ქმედებამაც გამოიწვია დარღვევები სამშენებლო საქმიანობაში;

გ) სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეზე ან მოსარგებლეზე, თუ დაუდგენელია მშენებლობის მწარმოებელი პირი;

დ) შენობა-ნაგებობის მესაკუთრეზე ან მოსარგებლეზე, თუ დაუდგენელია მრავალბინიანი სახლის მშენებლობის მწარმოებელი პირი;

ე) მესაკუთრეზე, რომლის სარეკონსტრუქციო ან სადემონტაჟო ავარიული შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხი უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას.

3. ამ თავის მოქმედება არ ვრცელდება სპეციალური კანონმდებლობებით რეგულირებულ შემდეგ სფეროებზე:

ა) „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სფერო;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციისათვის მიკუთვნებული საქმიანობის, მათ შორის, ხანძრის თავიდან აცილებისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის, აგრეთვე საგანგებო სიტუაციის მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებების სფერო;

გ) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების უსაფრთხო წარმოების, ზედამხედველობისა და კონტროლის სფეროები;

დ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კომპეტენციისათვის მიკუთვნებული სფერო.

4. ამ თავით არ რეგულირდება:

ა) სამშენებლო საქმიანობა, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას;

ბ) საშიშ ობიექტებთან დაკავშირებული ის ობიექტები და საქმიანობა, რომელთა კონტროლს არ ითვალისწინებს ეს თავი.

მუხლი 15. ტერმინთა განმარტება

ამ თავის მიზნებისათვის ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტი (შემდგომ – ობიექტი) – ტექნიკური ნაკეთობა, დანადგარი, მოწყობილობა, მათი ნებისმიერი კომბინაცია, შენობა-ნაგებობა, მათ შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტი, შეზღუდულად ბრუნვადი ნივთიერება ან ისეთი საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტი და პროცესი, რომელიც შეიცავს პოტენციურ ტექნიკურ საფრთხეს და რომელსაც ავარიის ან არასწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებასა და გარემოს;

ბ) მომეტებული ტექნიკური საფრთხე – საფრთხე, რომელსაც შეიცავს სამოქალაქო ბრუნვაში არსებული ობიექტი, აგრეთვე მის შექმნასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული პროცესი, რომლის წარმოება, მშენებლობა, მონტაჟი, შენახვა, ტრანსპორტირება, ბრუნვა, გამოყენება და განადგურება შეიცავს ნგრევის, აფეთქების, ემისიისა და ინტოქსიკაციის საფრთხეს და არის მომეტებული რისკი ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოსთვის;

გ) ავარია – ობიექტის რღვევა, ნგრევა, აფეთქება ან ემისია, რომელიც იწვევს ადამიანის ინტოქსიკაციას ან სიკვდილს, ან ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას, გარემოს და მატერიალურ ფასეულობებს;

დ) შეუსაბამობა – ობიექტის დაზიანება, წუნი, სათანადო ტექნოლოგიური პროცესიდან გადახრა, რომელიც ზრდის საფრთხის რისკს, აგრეთვე უსაფრთხოების წესების დარღვევა, რომელიც შეიძლება განეკუთვნებოდეს არაარსებით, არსებით ან კრიტიკულ შეუსაბამობას:

დ.ა) არაარსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია ჩვეულებრივი საქმიანობის შეჩერების გარეშე, რომელიც არ უქმნის პირდაპირ საფრთხეს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან გარემოს და რომელიც უნდა აღმოფხვრას ობიექტის მფლობელმა;

დ.ბ) I ხარისხის არსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია და რომელიც მოცემული მომენტისათვის არ წარმოშობს სიცოცხლისათვის საშიშ საფრთხეს, თუმცა მომავალში მისი გამოუსწორებლობა მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის დარღვევის მქონე ობიექტთან უშუალოდ დაკავშირებული ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან გარემოს;

დ.გ) II ხარისხის არსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია და რომელიც მოცემული მომენტისათვის არ წარმოშობს სიცოცხლისათვის საშიშ საფრთხეს, თუმცა მომავალში მისი გამოუსწორებლობა მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის დარღვევის მქონე ობიექტთან უშუალოდ დაკავშირებული ადამიანისა და მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან გარემოს;

დ.დ) I ხარისხის კრიტიკული შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომელიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის დარღვევის მქონე ობიექტთან უშუალოდ დაკავშირებული ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან გარემოს და რომლის დაუყოვნებლივ გამოსწორება სავალდებულოა;

დ.ე) II ხარისხის კრიტიკული შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომელიც მნიშვნელოვან საფრთხეს

უქმნის დარღვევის მქონე ობიექტთან უშუალოდ დაკავშირებული ადამიანის და მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან გარემოს და რომლის დაუყოვნებლივ გამოსწორება სავალდებულოა;

ე) ინსპექტირება – ბაზარზე ზედამხედველობის მიზნით ობიექტის საქართველოს კანონმდებლობითა და ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების პროცესი, რომელიც ხორციელდება ტექნიკური ინსპექტირებისა და დოკუმენტური კონტროლის ფორმებით, პროფესიული შეფასების საფუძველზე. ინსპექტირების ფორმებია:

ე.ა) ტექნიკური ინსპექტირება – ინსპექტირების ორგანოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ ობიექტის ადგილზე შემოწმება, რომელიც მოიცავს ასევე ობიექტის ტექნიკურ დოკუმენტებთან შესაბამისობის დადგენას;

ე.ბ) დოკუმენტური კონტროლი – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ინსპექტირების ორგანოს მიერ განხორციელებული ტექნიკური ინსპექტირების მასალების ანალიზი, შეფასება და სათანადო რეაგირება;

ვ) ინსპექტირების ორგანო – ობიექტის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების განმახორციელებელი დამოუკიდებელი პირი, რომელიც რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აკრედიტებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე სხვა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო;

ზ) ობიექტის ტექნიკური სპეციფიკაცია – ობიექტის ტექნიკური სპეციფიკაცია მოიცავს:

ზ.ა) ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

ზ.ბ) ინფორმაციას ობიექტის მფლობელის შესახებ;

ზ.გ) ინფორმაციას ობიექტის მწარმოებლის/მშენებლის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ზ.დ) ობიექტის ძირითად ტექნიკურ მახასიათებლებს;

ზ.ე) ინფორმაციას ობიექტის ადგილმდებარეობის შესახებ;

ზ.ვ) ინფორმაციას ობიექტზე განხორციელებული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ;

ზ.ზ) ინფორმაციას ობიექტზე მომხდარი ავარიის შესახებ;

ზ.თ) საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ სხვა პარამეტრებს, ასეთების არსებობის შემთხვევაში;

ზ.ი) სანებართვო ობიექტის ნებართვის ნომერს ან შესაბამისი აქტის ნომერს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

თ) სამშენებლო საქმიანობა – ობიექტის მშენებლობის, მონტაჟის, რეკონსტრუქციისა და დემონტაჟის პროცესი;

ი) სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულებების სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის უფლებამოსილი ორგანოები;

კ) სიმტკიცე – სამშენებლო ნაკეთობისა და კონსტრუქციის, მათი შეერთების კვანძების, შენობა-ნაგებობის საძირკვლის, გრუნტის თვისება, რღვევის გარეშე აიტანოს დატვირთვების საანგარიშო მაჩვენებლები;

ლ) მდგრადობა – შენობა-ნაგებობის უნარი, შეინარჩუნოს მდგრადი წონასწორობა საანგარიშო დატვირთვების ზეგავლენისას;

მ) საიმედოობა – შენობა-ნაგებობის, მისი საინჟინრო სისტემების, მზიდი კონსტრუქციების ნორმებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება ექსპლუატაციის მთელ პერიოდში;

ნ) დამკვეთი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე კანონით განსაზღვრული სხვა ორგანიზაციული ფორმის მქონე პირი, რომელიც სამუშაოს სამშენებლო ორგანიზაციას უკვეთავს;

ო) მენარდე – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც დაკვეთის საფუძველზე ასრულებს საპროექტო-საძიებო ან/და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს;

პ) მოსარგებლე – ფიზიკური ან იურიდიული პირი (გარდა იმ ფიზიკური ან იურიდიული პირისა, რომელსაც სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე წარმოეშვა ნივთით დროებით სარგებლობის უფლება), რომელსაც „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აქვს საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი და სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის ამ უფლების რეგისტრაცია არ განუხორციელებია;

ჟ) მშენებლობის ნებართვა – უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფორმით, განსაზღვრული ვადით მინიჭებული უფლება, რომელიც მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია;

რ) სამშენებლო სამართალდარღვევა – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი მოთხოვნების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა, რისთვისაც პასუხისმგებლობა განსაზღვრულია ამ თავით;

ს) სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის

წარმოება – სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორების ან/და დამრღვევისთვის ამ თავით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით ჩატარებული საქმის წარმოება;

ტ) სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორება – სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მითითების ან/და დადგენილების საფუძველზე დამრღვევის მიერ განხორციელებული მშენებლობის სამშენებლო დოკუმენტის ან/და სამშენებლო რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას;

უ) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონა – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ტერიტორიები, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიები, აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები, საკურორტო-სარეკრეაციო და სხვა ზონები, სადაც მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის დადგენილია დამატებითი სპეციალური პირობები;

ფ) სამშენებლო დოკუმენტი – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ტექსტურ და გრაფიკულ ინფორმაციას და მშენებლობის ნებართვის გაცემისა და მშენებლობის განხორციელების საფუძველია;

ქ) განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონა – საქართველოს დედაქალაქის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქების, საკურორტო და სარეკრეაციო ზონების ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიების ის ნაწილები, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;

ღ) მითითება – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის მიმართ გაცემული შენიშვნა შეუსაბამობაზე და მოთხოვნა, რომელიც განსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელშიც დამრღვევმა უნდა შეასრულოს მითითებაში მოცემული პირობები სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსასწორებლად;

ყ) ინსპექტირების ოქმი – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ან სხვა ინსპექტირების ორგანოს მიერ განხორციელებული ტექნიკური ინსპექტირების შედეგების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს შემოწმების შედეგებს და შესაბამისობის შეფასების მონაცემებს;

შ) ტექნიკური სერტიფიკატი – ინსპექტირების ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ობიექტის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას;

ჩ) მონიტორინგის ნუსხა – კრიტიკული შეუსაბამობის მქონე ობიექტების ჩამონათვალი, რომელსაც ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო და რომელში შეტანილ ობიექტებზე მონიტორინგს ახორციელებს კრიტიკული შეუსაბამობის აღმოფხვრამდე;

ც) მსგავსი ტიპის შეუსაბამობა – ობიექტებზე არსებული მსგავსი ტიპის ელექტრულ და მექანიკურ მანქანა-დანადგარებზე, მექანიზმებსა და მოწყობილობებზე, აგრეთვე მსგავს ტექნოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებით არსებული დარღვევები.

მუხლი 16. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ფუნქციები და უფლებამოსილებები

1. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოა და ამ კოდექსით დადგენილი წესით ახორციელებს ობიექტების სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას.

2. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო:

ა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გასცემს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული და ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვას;

ბ) გასცემს სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვას;

გ) ახორციელებს ობიექტის რეგისტრაციას ობიექტების უწყებრივ რეესტრში;

დ) ახორციელებს ობიექტის სავალდებულო ინსპექტირებას აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს მეშვეობით ამ კოდექსის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ე) დამრღვევს აკისრებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას;

ვ) ახორციელებს ობიექტის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების ოქმების დოკუმენტურ კონტროლს ტექნიკური ინსპექტირების ოქმებისა და ინსპექტირების ორგანოების ანგარიშების ანალიზის მეშვეობით;

ზ) გასცემს მითითებას ან/და განსაზღვრავს გონივრულ ვადას შეუსაბამობის გამოსწორებისათვის;

თ) ხელს უწყობს ამ თავით განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას;

ი) ახორციელებს დასახლებათა და სხვა ტერიტორიულ ერთეულთა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების დოკუმენტების შემუშავების ხელშეწყობას, მათი განხილვის ორგანიზებას, მეთოდოლოგიურ

ბიზნეს -ეპოქა INOVATSIA PUBLISHING HOUSE

ხელმძღვანელობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

კ) აწარმოებს მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებას;

ლ) შეიმუშავებს სამშენებლო-საპროექტო ნორმებს, წესებს, ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ სფეროებში;

მ) ახორციელებს პერსონალის გადამზადებას, სწავლებას და ამ მიზნით ატარებს ტრენინგებსა და კურსებს.

3. სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვის მისაღებად, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების გარდა, ნებართვის მაძიებელი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დამატებით წარუდგენს:

ა) სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენებისას სამუშაოთა წარმოების სიტუაციურ გეგმას, პროექტს ან პასპორტს;

ბ) მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების შესახებ.

4. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი დაწესებულებები ახორციელებენ ობიექტების ზედამხედველობას, გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვის გაცემისადმი დაქვემდებარებული ობიექტებისა.

5. განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ზედამხედველობის დროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ფუნქციებია:

ა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განახორციელოს სახელმწიფო ზედამხედველობა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრულ შემთხვევაში – განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებში;

ბ) უზრუნველყოს მშენებლობის ნებართვის გაცემისა და მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღების პროცესში სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ჩართვა;

გ) განახორციელოს უფლებამოსილი ორგანოების მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა;

დ) ამ კოდექსის 25-ე და 26-ე მუხლებით დადგენილი წესით შეაჩეროს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე უნებართვო მშენებლობა ან უნებართვო დემონტაჟი. საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე უნებართვო მშენებლობის ან უნებართვო დემონტაჟის შეჩერების საფუძველი შეიძლება იყოს სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობა, მშენებლობის მონაწილეთა მიერ მშენებლობის უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობის საექსპლუატაციო საიმედოობის დაცვა;

ე) გააკონტროლოს მშენებლობის მონაწილეთა მიერ მშენებარე შენობა-ნაგებობების საპროექტო და ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის მოთხოვნების დაცვა.

6. განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ზედამხედველობის დროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო უფლებამოსილია:

ა) შეამოწმოს მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული სამშენებლო ობიექტები;

ბ) მშენებლობის მონაწილეებს მოსთხოვოს ყველა აუცილებელი საპროექტო, ნორმატიული, საშემსრულებლო და სამშენებლო მასალის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

გ) სამშენებლო საქმიანობაში დარღვევის არსებობის შემთხვევაში მშენებლობის მონაწილეთა მიმართ გასცეს მითითება მშენებლობის პროექტის, სამშენებლო ნორმებისა და წესების და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევათა გამოსწორების შესახებ. მითითება გაიცემა იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამშენებლო ობიექტზე არსებული (შემოტანილი) სამშენებლო მასალები, ნაკეთობები და კონსტრუქციები ვერ უპასუხებს დადგენილ მოთხოვნებს და მათი გამოყენება უნდა აიკრძალოს. მითითება გაიცემა აგრეთვე სამშენებლო საქმიანობაში დადგენილი საორგანიზაციო წესების დარღვევის შემთხვევაში;

დ) ამ კოდექსის 25-ე და 26-ე მუხლებით დადგენილი წესით შეაჩეროს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობა ან უნებართვო დემონტაჟი. საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის ან უნებართვო დემონტაჟის შეჩერების საფუძველი შეიძლება იყოს:

დ.ა) მშენებლობის ან დემონტაჟის სათანადო ნებართვის გარეშე განხორციელება;

დ.ბ) მშენებლობის პროექტის, სამშენებლო ნორმებისა და წესების და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გაუთვალისწინებლობა, რომლის გამოსწორება მშენებლობის შეჩერების გარეშე შეუძლებელია;

დ.გ) სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მითითების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა;

ე) დასაბუთებული ეჭვის შემთხვევაში დამკვეთს ან სამშენებლო ორგანიზაციას მოსთხოვოს დამატებითი ლაბორატორიული გამოცდებისა და გაზომვების ჩატარება. თუ დარღვევა დადასტურდა, ჩატარებული ლაბორატორიული გამოკვლევების ხარჯებს გაიღებს დამრღვევი; წინააღმდეგ შემთხვევაში ხარჯებს გაიღებს სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო;

ვ) მიიღოს დადგენილება საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული, აღდგენილი, რეკონსტრუირებული ან/და დამონტაჟებული შენობა-ნაგებობის მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის შესახებ. დადგენილების მიღების საფუძველი შეიძლება იყოს:

ვ.ა) უნებართვო მშენებლობის თაობაზე სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მითითების შეუსრულებლობა;

ვ.ბ) მშენებლობის პროექტის მნიშვნელოვანი დარღვევით განხორციელება, რის გამოც არ არის უზრუნველყოფილი კონსტრუქციული ელემენტების სიმტკიცე, მდგრადობა და საიმედოობა;

ვ.გ) შენობა-ნაგებობის მდგომარეობა, თუ იგი ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობებს, არ არის უზრუნველყოფილი კონსტრუქციული ელემენტების სიმტკიცე, მდგრადობა და საიმედოობა და ამ დარღვევების გამოსწორება ტექნიკურად შეუძლებელია.

7. ამ მუხლით, ამ კოდექსის 25-ე, 26-ე და 43-ე–54-ე მუხლებით გათვალისწინებულ ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებებს სხვა ობიექტების სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სფეროში ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილი ორგანოები.

8. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დაფინანსების წყაროებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) მიზნობრივი გრანტები;

გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული (შესასრულებელი) სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

დ) სააგენტოს მომსახურების საფასური;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

9. ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული სახსრები და შემოსავლები სრულად ხმარდება ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიზნების განხორციელებასა და ფუნქციების შესრულებას.

10. ამ მუხლის მე-8 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების სახეები და საფასური განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 17. ობიექტების უწყებრივი რეესტრი

1. ობიექტების უწყებრივ რეესტრს აწარმოებს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.

2. იმ ობიექტების ჩამონათვალს, რომლებიც შეიტანება ობიექტების უწყებრივ რეესტრში, და რეესტრის წარმოების წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

3. ობიექტების უწყებრივ რეესტრში ინფორმაცია შეიტანება ობიექტის ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით.

4. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების, გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვის გაცემისადმი დაქვემდებარებული ობიექტებისა, უწყებრივ რეესტრებს აწარმოებენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულებების ორგანოები.

მუხლი 18. ობიექტები და მათი ზედამხედველობა

1. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება ამ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული ობიექტების ზედამხედველობის წესი და მახასიათებლები/პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც ისინი მიეკუთვნება ობიექტებს.

2. ობიექტები ექვემდებარება ზედამხედველობას.

3. ობიექტების ზედამხედველობა ხორციელდება ორი სახით:

ა) ნებართვის გაცემითა და სანებართვო პირობების შესრულების კონტროლით;

ბ) პერიოდული ინსპექტირებით.

4. ნებართვის გაცემა და სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი ხორციელდება შემდეგ ობიექტებზე:

ა) სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენება;

ბ) განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული და ბირთვული ობიექტების) მშენებლობა.

5. ობიექტებია:

ა) კარიერი – სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შემთხვევაში. კარიერი არის წიაღისეულის მოპოვების მიზნით ნიადაგის ზედაპირზე გაკეთებული თხრილი ან ჭრილი, რომლის ზედაპირი ღიაა კარიერის ექსპლუატაციის მთელ პერიოდში და რომელსაც აქვს დატერასებული მისადგომი გზები მომსახურე ტრანსპორტის გადაადგილებისათვის;

ბ) მაღარო – სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შემთხვევაში. მაღარო არის სამთო საწარმო, სადაც მიწისქვეშა დამუშავების ხერხით მოიპოვება მადანი, სამთო-ქიმიური ნედლეული, საშენი მასალა;

გ) შახტი – სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შემთხვევაში. შახტი არის სამთო საწარმო, სადაც მიწისქვეშა სამთო სამუშაოებით

მოიპოვება ფენოვანი სასარგებლო წიაღისეული;

დ) ბუნებრივი გამოქვაბული და მღვიმე, სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზებული დაშვება;

ე) საშიში ნარჩენების ნაგავსაყრელი ან/და ტერაკონი;

ვ) სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელი;

ზ) ჟანგბადის წარმოება და მასთან დაკავშირებული სხვა აფეთქებასაფრთხიანი პროცესი;

თ) თხევადი ჟანგბადის წარმოება;

ი) რეზერვუარში/ცილინდრში ჟანგბადის ჩაჭირხვნა;

კ) სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებადი, ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარი;

ლ) ნავთობბაზა;

მ) მაგისტრალური ნავთობსადენი;

ნ) მაგისტრალური გაზსადენი;

ო) ამწე მოწყობილობა;

პ) ლიფტი;

ჟ) ესკალატორი;

რ) ფუნიკულიორი;

ს) საბაგირო გზა;

ტ) ატრაქციონი;

უ) საქვაბე დანადგარი;

ფ) წნევაზე მომუშავე ჭურჭელი;

ქ) ჰიდროენერგეტიკული ნაგებობების (ხელოვნური წყალსატევები, კაშხლები, სარეგულაციო ნაგებობები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები) კონსტრუქციული მდგრადობა;

ღ) ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული ობიექტები.

6. ამ თავის მიზნებისათვის ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ობიექტები არის რეგულირებული სფერო და მათ ზედამხედველობას ახორციელებს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტექნიკური რეგლამენტი ზედამხედველად სხვა ორგანოს ან/და პირს განსაზღვრავს.

7. ზღვრული ტექნიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც ობიექტები ჩაითვლებიან მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველად, დგინდება ტექნიკური რეგლამენტით.

8. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო ობიექტების ტექნიკურ ინსპექტირებას ახორციელებს იმ სფეროებში, სადაც არ არის ინსპექტირების ორგანო. ინსპექტირების ორგანოს აკრედიტებისა და ამოქმედებისთანავე ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო წყვეტს შესაბამის სფეროში ობიექტების ტექნიკურ ინსპექტირებას. იკრძალება ერთი და იმავე ობიექტის პარალელური ინსპექტირება ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს და ინსპექტირების ორგანოს მიერ. სამშენებლო საქმიანობაზე ტექნიკურ ინსპექტირებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 19. ობიექტის სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის ფორმები

1. ობიექტის ადგილზე კონტროლი ხორციელდება ინსპექტირებით.

2. დოკუმენტურ კონტროლს ახორციელებს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო ინსპექტირების ორგანოს მიერ განხორციელებული ტექნიკური ინსპექტირების დოკუმენტირებული შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე.

3. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო:

ა) არაარსებით შეუსაბამობას ინსპექტირების ორგანოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იღებს ცნობად და აკეთებს შესაბამის ჩანაწერს ობიექტების უწყებრივ რეესტრში;

ბ) არსებითი შეუსაბამობის შემთხვევაში აჯარიმებს ობიექტის მფლობელს, აკეთებს შესაბამის ჩანაწერს ობიექტების უწყებრივ რეესტრში, განუსაზღვრავს მას გონივრულ ვადას დარღვევის გამოსწორებისათვის და აკონტროლებს შეუსაბამობის გამოსწორებისათვის დათქმული ვადის დაცვას. არსებითი შეუსაბამობის დადგენილ ვადაში გამოუსწორებლობის შემთხვევაში შეუსაბამობა იძენს კრიტიკული შეუსაბამობის სტატუსს;

გ) კრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში გამოსცემს ობიექტის ექსპლუატაციის სრული ან ნაწილობრივი შეჩერების (მათ შორის, ობიექტზე ტექნოლოგიური პროცესის, ტექნიკური ნაკეთობის, მექანიზმის, დანადგარის, მოწყობილობის, მათი ნებისმიერი კომბინაციის შეჩერების) შესახებ აქტს, აჯარიმებს ობიექტის მფლობელს და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დარღვევის გამოსწორებისათვის, აკეთებს შესაბამის ჩანაწერს ობიექტების უწყებრივ რეესტრში, ობიექტი შეაქვს მონიტორინგის ნუსხაში, აკონტროლებს, რომ დაცულ იქნეს შეუსაბამობის გამოსწორებისათვის დათქმული ვადა და არ მოხდეს გაჩერებული ობიექტის ექსპლუატაცია, ხოლო ობიექტის ფარულად ექსპლუატაციის შემთხვევაში აჯარიმებს მის მფლობელს და აჩერებს ობიექტის ექსპლუატაციას (მათ შორის, ტექნოლოგიური პროცესის, ტექნიკური ნაკეთობის, მექანიზმის, დანადგარის, მოწყობილობის, მათი ნებისმიერი კომბინაციის ექსპლუატაციას);

დ) ობიექტზე არსებითი ან კრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში ობიექტის მფლობელს აჯარიმებს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით განსაზღვრული სრული საჯარიმო თანხით; ყველა დანარჩენი მსგავსი ტიპის კრიტიკული ან არსებითი შეუსაბამობის შემთხვევაში თითოეულ შეუსაბამობაზე ჯარიმის თანხა ამავე კოდექსის შესაბამისი მუხლით განსაზღვრული სრული

საჯარიმო თანხის ნახევარია.

4. შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

5. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო არ არის პასუხისმგებელი ობიექტზე მომხდარი დარღვევის ან/და უბედური შემთხვევის გამო, თუ დარღვევა ან/და უბედური შემთხვევა პირდაპირ არ არის გამოწვეული ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ქმედებით.

6. ობიექტის ინსპექტირება დასრულებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

7. ინსპექტირების ორგანოს მიერ ობიექტზე კრიტიკული შეუსაბამობის აღმოფხვრის დადასტურების საფუძველზე ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ექსპლუატაციის განახლების შესახებ და ამოიღებს მას მონიტორინგის ნუსხიდან.

8. კრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში ობიექტის ექსპლუატაციის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება არ მიიღება, თუ ობიექტის ექსპლუატაციის შეჩერებამ შეიძლება გაზარდოს საფრთხე, ან შეჩერება შეუძლებელია ტექნოლოგიური პროცესის ბუნებიდან გამომდინარე.

9. შეუსაბამობის შემთხვევაში, თუ ობიექტის ექსპლუატაციის შეჩერება უზრუნველყოფს საფრთხის აღმოფხვრას, ობიექტის მფლობელს უფლება აქვს, განუსაზღვრელი ვადით შეაჩეროს ობიექტის ექსპლუატაცია შეუსაბამობის გამოსწორების გარეშე და ამის შესახებ აცნობოს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს. ამ შემთხვევაში შეუსაბამობის გამოსწორების ვალდებულება უქმდება და ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ობიექტი შეაქვს მონიტორინგის ნუსხაში და აკონტროლებს, რომ არ მოხდეს გაჩერებული ობიექტის ექსპლუატაცია, ხოლო ობიექტის ფარულად ექსპლუატაციის შემთხვევაში აჯარიმებს მის მფლობელს და აჩერებს ობიექტის ექსპლუატაციას.

10. დადგენილ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობა იწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას.

11. დადგენილ ვადაში შეუსაბამობის გამოუსწორებლობის შემთხვევაში ობიექტის მფლობელს განესაზღვრება დამატებითი გონივრული ვადა შეუსაბამობის გამოსასწორებლად.

12. თუ შეუსაბამობა არ გამოსწორდება გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, დაკისრებული ჯარიმა გასამმაგდება.

13. მითითება ფორმდება აქტის სახით, რომლის ერთი ასლი გადაეცემა ობიექტის მფლობელს, ხოლო მეორე ინახება ინსპექტირების ორგანოში.

14. მითითების გაცნობად ჩაითვლება ინსპექტირების განმახორციელებელი პირის მიერ ობიექტის უსაფრთხოებისთვის პასუხისმგებელი პირისათვის მითითების შინაარსის გაცნობა და მითითების გადაცემა, რომლის მიღებას პირი ხელმოწერით ადასტურებს, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში – მითითების ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.

15. მითითება სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების საფუძველია და იგი გასაჩივრდება დადგენილებასთან ერთად.

16. მითითების დედანი და ერთი ასლი გადაეცემა ობიექტის მფლობელს (ან მის წარმომადგენელს) შემოწმების ჩატარებიდან 1 დღის ვადაში. ინსპექტირების ოქმის ერთი ასლი რჩება ინსპექტირების ორგანოში, ხოლო თუ ტექნიკურ ინსპექტირებას ახორციელებს აკრედიტებული ინსპექტირების ორგანო, ერთი ასლი წარედგინება ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს.

17. ობიექტზე არსებული შეუსაბამობა შეიძლება განეკუთვნებოდეს არაარსებით, არსებით ან კრიტიკულ შეუსაბამობას, რაც აღინიშნება ინსპექტირების ოქმში.

18. ობიექტის ადგილზე კონტროლის უფლება ასევე აქვთ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აკრედიტებულ ინსპექტირების ორგანოებს, რომლებიც ამ მიზნით რეგისტრირდებიან აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოში – აკრედიტაციის ცენტრში.

19. ინსპექტირების ჩაუტარებლობის (გარდა ინსპექტირების ორგანოს მიზეზით გამოწვეული ჩაუტარებლობისა) შემთხვევაში ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო აჯარიმებს ობიექტის მფლობელს და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას ინსპექტირების ჩატარებისათვის.

20. ინსპექტირების გონივრულ ვადაში განმეორებითი ჩაუტარებლობის შემთხვევაში ჯარიმა ორმაგდება.

21. ინსპექტირების ოქმის დედანი და ერთი ასლი გადაეცემა ობიექტის მფლობელს (ან მის წარმომადგენელს) შემოწმების ჩატარებიდან 1 დღის ვადაში. ინსპექტირების ოქმის ერთი ასლი რჩება ინსპექტირების ორგანოში, ხოლო თუ ტექნიკურ ინსპექტირებას ახორციელებს აკრედიტებული ინსპექტირების ორგანო, ერთი ასლი წარედგინება ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს.

22. ობიექტის მფლობელი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს წარუდგენს ობიექტის მიერ გავლილი

ინსპექტირებისა და მისი შედეგების შესახებ ინფორმაციას ინსპექტირების გავლიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

23. ცალკეული ობიექტებისათვის შეუსაბამობების ხარისხი დგინდება შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

მუხლი 20. ტექნიკური ინსპექტირების განხორციელების საფუძველი

1. ტექნიკური ინსპექტირება ეფუძნება რისკის ანალიზისა და შეფასების სისტემას.

2. ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი ადგენს რისკის კატეგორიებს და განსაზღვრავს გეგმური ტექნიკური ინსპექტირების პერიოდულობას.

3. დადგენილი პერიოდულობის გარდა, ტექნიკური ინსპექტირება ხორციელდება:

ა) საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, შესაძლო საფრთხის შესახებ შეტყობინების საფუძველზე, ორგანოლეპტიკური შეგრძნებების საფუძველზე;

ბ) ფორსმაჟორის შემთხვევაში;

გ) ავარიის შემთხვევაში;

დ) უბედური შემთხვევის დროს, რომელსაც მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დაზიანება ან სიკვდილი;

ე) სამშენებლო საქმიანობაზე სანებართვო პირობების შესრულების შემოწმებისას.

მუხლი 21. ინსპექტირების ორგანო და მისი უფლება-მოვალეობები

1. ტექნიკურ ინსპექტირებას ახორციელებს ინსპექტირების ორგანო ობიექტის ადგილზე შემოწმების ფორმით.

2. ობიექტზე არსებითი ან კრიტიკული შეუსაბამობის არსებობის შესახებ ინსპექტირების ორგანო დაუყოვნებლივ ატყობინებს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს. ასეთი შეუსაბამობა ფიქსირდება ტექნიკური ინსპექტირების ოქმში, რომლის ასლი სპეციალური შენიშვნებით/მითითებით (ასეთების არსებობის შემთხვევაში) 24 საათის განმავლობაში ეგზავნება ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს.

3. ინსპექტირების ორგანომ საქმიანობის დაწყებისათვის ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უნდა გაუგზავნოს შეტყობინება აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლთან ერთად.

4. ინსპექტირების ორგანო ტექნიკურ და სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელშესაბამისორგანოსწარუდგენს თავის მიერ ჩატარებული ინსპექტირებისა და მისი შედეგების შესახებ დოკუმენტებს ინსპექტირების ჩატარებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. ობიექტის უსაფრთხოების პერიოდული ინსპექტირების განმახორციელებელ აკრედიტებულ ინსპექტირების ორგანოს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პასუხისმგებლობის დაზღვევა, გარდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების ინსპექტირების ორგანოებისა, რომელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა საქართველოს ტერიტორიასაც ფარავს.

6. ტექნიკური ინსპექტირების განხორციელების დროს ინსპექტირების ორგანო შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში ადგენს ტექნიკური ინსპექტირების ოქმს, ხოლო დადგენილ მოთხოვნებთან ობიექტის სრული შესაბამისობის შემთხვევაში გასცემს ინსპექტირების სერტიფიკატს.

7. ტექნიკურ მოთხოვნებთან ობიექტის შესაბამისობის შემთხვევაში ინსპექტირების სერტიფიკატის ასლს ინსპექტირების ორგანო ინსპექტირების სერტიფიკატის გაცემიდან 5 დღის ვადაში უგზავნის ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს, რომელსაც მასში აღნიშნული ინფორმაცია შეაქვს ობიექტების უწყებრივ რეესტრში.

8. არსებითი ან კრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში ინსპექტირების ორგანო და ობიექტის მფლობელი (ან მისი წარმომადგენელი) თანხმდებიან შეუსაბამობის გამოსწორების გონივრულ ვადაზე, რაც ფიქსირდება ტექნიკური ინსპექტირების ოქმში, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

9. ამ მუხლის მე-8 ნაწილში აღნიშნულ საკითხზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში ინსპექტირების ორგანოს მიერ შეუსაბამობის გამოსწორებისათვის რეკომენდებული ვადა აისახება ტექნიკური ინსპექტირების ოქმში.

10. ტექნიკური ინსპექტირების ოქმისა და შენიშვნების/მითითების საფუძველზე ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას მათი ძალაში შესვლის შესახებ, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ობიექტის მფლობელს და ინსპექტირების ორგანოს, რის შემდეგაც მითითების შესრულება სავალდებულო ხდება.

11. ობიექტის მფლობელი ვალდებულია დადგენილ ვადაში შეუსაბამობის გამოსწორების დადასტურების მიზნით განმეორებით მოიწვიოს ინსპექტირების ორგანო.

12. კრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში ინსპექტირების ორგანო უფლებამოსილია:

ა) განუმარტოს ობიექტის მფლობელს შესაძლო შედეგები და გასცეს რეკომენდაცია ობიექტის ან მისი ცალკეული ნაწილების ექსპლუატაციის შეჩერების შესახებ ტექნიკური ინსპექტირების ოქმში მითითებით;

ბ) დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს და გაუგზავნოს ტექნიკური ინსპექტირების ოქმის ასლი;

გ) თუ ობიექტის ექსპლუატაციის შეჩერება

გამოიწვევს მეტ ზიანს, ვიდრე მისი ექსპლუატაციის გაგრძელება, ან არსობრივად შეუძლებელია პროცესის შეჩერება, ინსპექტირების ორგანო ვალდებულია ამის შესახებ გააკეთოს შენიშვნა ტექნიკური ინსპექტირების ოქმში და 24 საათის განმავლობაში გაუგზავნოს იგი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს.

13. ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის/დოკუმენტის გაგზავნა ასევე შესაძლებელია ელექტრონული ფორმით.

მუხლი 22. ინტერესთა კონფლიქტის
გამორიცხვა

1. ინსპექტირების ორგანო პროფესიულ საქმიანობაში, შეფასებასა და გადაწყვეტილების მიღებაში დამოუკიდებელია დაინტერესებული მხარეებისაგან.

2. ინსპექტირების ორგანო და მისი პერსონალი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ინსპექტირების ჩატარებისათვის, უშუალოდ არ უნდა მონაწილეობდნენ ობიექტის დაპროექტებაში, წარმოებაში, ექსპლუატაციაში, მიწოდებაში, მონტაჟსა და რემონტში და არ უნდა იყვნენ ზემოაღნიშნულ ფუნქციათა შემსრულებელი პირების უფლებამოსილი წარმომადგენლები.

3. ინსპექტირების ორგანო და მისი პერსონალი უშუალოდ არ უნდა მონაწილეობდნენ ურთიერთჩანაცვლებადი ობიექტების დაპროექტებაში, წარმოებაში, მონტაჟსა და მომსახურებაში. ინსპექტირების ორგანო და მისი პერსონალი არ უნდა იყვნენ ზემოაღნიშნულ ფუნქციათა შემსრულებელი პირების უფლებამოსილი წარმომადგენლები.

4. ინსპექტირების ორგანო არ უნდა ახორციელებდეს სხვა ისეთ საქმიანობას, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლობაზე და მის მიუკერძოებლობაზე.

5. ინსპექტირების ორგანოს და ობიექტის მფლობელს არ შეიძლება ჰქონდეთ საერთო ეკონომიკური ინტერესი.

მუხლი 23. ობიექტის მფლობელის
მოვალეობები

1. ობიექტის მფლობელი ვალდებულია:

ა) ობიექტების უწყებრივ რეესტრში რეგისტრაციის მიზნით წარადგინოს შესაბამისი ინფორმაცია;

ბ) უზრუნველყოს ობიექტის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა;

გ) უზრუნველყოს შრომის უსაფრთხო პირობები;

დ) უზრუნველყოს ობიექტის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება;

ე) არ განახორციელოს შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის არმქონე ობიექტის ექსპლუატაცია;

ვ) ინსპექტირების დოკუმენტები შეინახოს 6 წლის განმავლობაში, თუ ტექნიკური რეგლამენტით სხვა ვადა არ არის დადგენილი;

ზ) შეასრულოს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მითითებები;

თ) განსაზღვროს ობიექტის უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებელი პირი/ორგანო;

ი) განახორციელოს ღონისძიებები ავარიის/უბედური შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით;

კ) დაუყოვნებლივ შეატყობინოს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მომხდარი ავარიის შესახებ და მიიღოს ყველა ზომა ავარიის შედეგების აღმოსაფხვრელად.

2. ობიექტის მფლობელი ვალდებულია ავარიის/უბედური შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს. შეტყობინება დასაშვებია კომუნიკაციის ყველა საშუალებით.

მუხლი 24. ობიექტზე შრომის უსაფრთხოების
დაცვის უზრუნველყოფა

1. ობიექტზე შრომის უსაფრთხოების დაცვის წესები და პროცედურები, აგრეთვე მათი დაცვისათვის პასუხისმგებელ პირთა ვალდებულებები დგინდება შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით, შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

ა) დამსაქმებლის მიერ სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ბ) შრომის უსაფრთხოების დაცვის წესების დაცვისათვის პასუხისმგებელი პირის/ორგანოს განსაზღვრა;

გ) დასაქმებულის გარდაცვალების, მისი ჯანმრთელობის დაზიანების ან დაავადების თავიდან აცილების მიზნით პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა;

დ) დასაქმებულთა ინფორმირება ინსტრუქციების გამოკვრის, ობიექტების ნიშანდების, დასაქმებულთა ტრენინგის, რისკების შეფასებისა და მართვის მეშვეობით.

2. მშენებლობის პროცესში შრომის უსაფრთხოების პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

3. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულებს მიაწოდოს მომეტებულ ტექნიკურ საფრთხესთან დაკავშირებული ინფორმაცია.

4. დასაქმებულს, რომელიც იმყოფება სამუშაო ადგილზე, უფლება აქვს, იცოდეს:

ა) რა სახის მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ სამუშაოს ასრულებს;

ბ) რა შედეგებს გამოიწვევს შრომის უსაფრთხოების დაცვის წესების დაუცველობა როგორც პირადად მისთვის, ისე გარშემომყოფთათვის;

გ) რა ღონისძიებებია განსახორციელებელი უსაფრთხო სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 25. სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება

1. სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ხელმძღვანელობს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

2. სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს დამრღვევის მიმართ მითითების გაცემით, გარდა ამ მუხლის 23-ე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. თუ ვერ დგინდება უნებართვო მშენებლობის მწარმოებელი პირი და მიწის ნაკვეთი სახელმწიფო ან/და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაა, უფლებამოსილი ორგანო მითითების გაცემის გარეშე იღებს დადგენილებას უნებართვო მშენებლობის დემონტაჟის შესახებ, რომლის გასაჩივრებაც არ აჩერებს აღნიშნული დადგენილების მოქმედებას.

4. თუ უნებართვო მშენებლობის მწარმოებელი პირი დადგენილია და მიწის ნაკვეთი სახელმწიფო ან/და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაა, უფლებამოსილი ორგანო მითითების გაცემისა და შემოწმების აქტის შედგენის საფუძველზე იღებს დადგენილებას უნებართვო მშენებლობის დემონტაჟისა და დამრღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, რომლის გასაჩივრებაც არ აჩერებს აღნიშნული დადგენილების მოქმედებას დემონტაჟის ნაწილში.

5. მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამოწმებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ:

ა) მითითება შესრულდა;

ბ) მითითება არ შესრულდა;

გ) მითითება არადროულად სრულდება.

6. სამშენებლო სამართალდარღვევისას დამრღვევის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე შემოწმების აქტი შესაძლოა შედგეს მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლამდე. ეს უნდა აღინიშნოს შემოწმების აქტში.

7. თუ მითითება დროულად არ შესრულდა, მაგრამ სამართალდარღვევა გამოსწორდა დადგენილების მიღებამდე, დამრღვევი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, ხოლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება წყდება.

8. მითითებით განსაზღვრული ვადის დინება ჩერდება უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ წარმოების დაწყებიდან შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

9. თუ შემოწმების აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, აქტის საფუძველზე სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას:

ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ;

ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე უნებართვო მშენებლობისა და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ;

გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და დემონტაჟის შესახებ.

10. დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ.

11. სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ:

ა) დარღვევები გამოსწორებულია და მითითება შესრულდა;

ბ) საქმის განხილვისას გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევის გამომრიცხავი გარემოებები;

გ) პროექტის შემთანხმებელმა და მშენებლობის ნებართვის გამცემმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ;

დ) არ არსებობს ამ მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული დადგენილების მიღების საფუძველი.

12. თუ მშენებარე ობიექტზე არსებული დარღვევების გამოსწორება შეუძლებელია მშენებლობის შეჩერების გარეშე, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას მშენებლობის შეჩერების შესახებ. დადგენილების მიღების შემდეგ ეს ორგანო უფლებამოსილია გასცეს მითითება დარღვევების გამოსწორების შესახებ.

13. შემოწმების აქტის შედგენიდან 2 თვის ვადაში სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე მიიღოს დადგენილება. საქმის განმხილველი თანამდებობის პირი უფლებამოსილია მოტივირებული საფუძვლით გააგრძელოს მისი განხილვის ვადა. საქმის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 2 თვით. დამრღვევს უწყებით უნდა ეცნობოს საქმის განხილვის ადგილი, თარიღი, დრო და საქმის განმხილველი თანამდებობის პირის ვინაობა.

14. ამ თავით გათვალისწინებულ ვადაში დადგენილების მიუღებლობის შემთხვევაში

დამრღვევი თავისუფლდება ამ კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდის ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და დემონტაჟის შესახებ.

15. ამ მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული დადგენილება არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც აღსრულდება ამ კოდექსითა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით. სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილება დასაბუთებული უნდა იყოს და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ რეკვიზიტებთან ერთად უნდა შეიცავდეს იმ ორგანოს დასახელებასა და მისამართს, რომელშიც შეიძლება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, და გასაჩივრების ვადას.

16. ამ მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული დადგენილება აღსასრულებლად მიიქცევა მისი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან არა უმეტეს 6 თვის ვადაში.

17. სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მიღებული დადგენილება მიღებიდან 24 საათის განმავლობაში უნდა გაეცნოს დადგენილებაში მითითებულ მხარეს.

18. სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დაწესებული ჯარიმა ჩაირიცხება ბიუჯეტში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

19. თუ დადგენილებაში მითითებული მხარისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა (პირადად ჩაბარებით) ვერ ხერხდება, გაცნობად ჩაითვლება მისი განთავსება მითითებაში, შემოწმების აქტში, უწყებაში ან დადგენილებაში აღნიშნული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე. თვალსაჩინო ადგილად ჩაითვლება:

ა) საინფორმაციო დაფა;

ბ) მშენებლობის ტერიტორიაზე სამუშაოთა მწარმოებლისათვის დროებით განთავსებული შენობა;

გ) მშენებლობის ტერიტორიის შემომფარგ-ვლელი უსაფრთხოების ღობე.

20. ამ მუხლის მე-19 ნაწილით გათვალისწინებული თვალსაჩინო ადგილების არარსებობისას თვალსაჩინო ადგილად ჩაითვლება მშენებარე ობიექტის ფასადი, ხოლო თუ მშენებარე ობიექტი მრავალბინიანი სახლია – ბინის მთავარი შესასვლელი.

21. სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას მიღებული დადგენილების გასაჩივრების ვადა განისაზღვრება ამ კოდექსით.

22. სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მიღებული დადგენილება (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 15 დღის განმავლობაში. ამასთანავე, გასაჩივრება არ აჩერებს სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების აღსრულებას მშენებლობის ან დემონტაჟის შეჩერების ნაწილში.

23. სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება შემდეგ შემთხვევებში:

ა) მშენებლობის დემონტაჟის დაუყოვნებლივ შეჩერების შესახებ დადგენილების მიღებისას;

ბ) ამ კოდექსის 51-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას;

გ) დარღვევებისთვის საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების მიღებისას;

დ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

ე) საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას;

ვ) შესაბამის ორგანოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების წარუდგენლობისას, რომლის მშენებლობაც დამთავრებულია;

ზ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების მიღებას.

მუხლი 26. პასუხისმგებლობა სამშენებლო სამართალდარღვევისათვის

1. სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმა დამრღვევმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში.

2. დაკისრებული ჯარიმის (გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სამმაგი ოდენობის ჯარიმისა) გადაუხდელობის შემთხვევაში, ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ დამრღვევს დაერიცხება საურავი დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

3. სამშენებლო საქმიანობაში მონაწილე სუბიექტები (მათი სამართლებრივი ფორმის მიუხედავად), რომლებიც ითვლებიან დამკვეთად ან რომლებსაც შეთავსებული აქვთ დამკვეთისა და მენარდის ფუნქციები, ჯარიმდებიან:

ა) სამშენებლო საქმიანობაში დარღვევისათვის;

ბ) სამშენებლო საქმიანობაში დადგენილი საორგანიზაციო წესების დარღვევისათვის.

4. ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი 3 თვის შემდეგ, ამ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული პირები ჯარიმდებიან დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

5. მიწის ნაკვეთის გასხვისების შემთხვევაში დაჯარიმების შესახებ დადგენილება აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით, ხოლო დარღვევის გამოსწორების ვალდებულება ეკისრება ახალ მესაკუთრეს.

6. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილი ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მშენებარე ობიექტის მიწის ნაკვეთის რეალიზაცია აუქციონის ჩატარების გზით.

7. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილი ორგანო აუქციონს ატარებს ამ კოდექსით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონითა და შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესის მოთხოვნათა დაცვით.

8. მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება 2007 წლის 1 იანვრამდე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, გარდა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილების მოთხოვნებისა.

მუხლი 27. კარიერის, მაღაროს, შახტის, ნავთობბაზის, მაგისტრალური ნავთობსადენის, მაგისტრალური გაზსადენის, ჰიდროენერგეტიკული ნაგებობის ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების დარღვევა

1. კარიერის, მაღაროს, შახტის, ნავთობბაზის, მაგისტრალური ნავთობსადენის, მაგისტრალური გაზსადენის, ჰიდროენერგეტიკული ნაგებობის ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია I ხარისხის არსებითი შეუსაბამობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 150 ლარით.

2. კარიერის, მაღაროს, შახტის, ნავთობბაზის, მაგისტრალური ნავთობსადენის, მაგისტრალური გაზსადენის, ჰიდროენერგეტიკული ნაგებობის ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია II ხარისხის არსებითი შეუსაბამობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარით.

3. კარიერის, მაღაროს, შახტის, ნავთობბაზის, მაგისტრალური ნავთობსადენის, მაგისტრალური გაზსადენის, ჰიდროენერგეტიკული ნაგებობის ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია I ხარისხის კრიტიკული შეუსაბამობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარით.

4. კარიერის, მაღაროს, შახტის, ნავთობბაზის, მაგისტრალური ნავთობსადენის, მაგისტრალური გაზსადენის, ჰიდროენერგეტიკული ნაგებობის ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია II ხარისხის კრიტიკული შეუსაბამობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარით.

მუხლი 28. საშიში ნარჩენების ნაგავსაყრელის ან ტერაკონის, ჟანგბადის წარმოებისა და მასთან დაკავშირებული სხვა აფეთქებასაფრთხიანი პროცესის, თხევადი ჟანგბადის წარმოების, რეზერვუარში/ცილინდრში ჟანგბადის ჩაჭირხვნის, სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებადი, ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარის, ფუნიკულიორის, საბაგირო გზის, ატრაქციონის, საქვაბე დანადგარის, წნევაზე მომუშავე ჭურჭლის, მარცვლეულის შესანახი და გადამამუშავებელი საწარმოს (წისქვილკომბინატის) ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების დარღვევა

1. საშიში ნარჩენების ნაგავსაყრელის ან ტერაკონის, ჟანგბადის წარმოებისა და მასთან დაკავშირებული სხვა აფეთქებასაფრთხიანი პროცესის, თხევადი ჟანგბადის წარმოების, რეზერვუარში/ცილინდრში ჟანგბადის ჩაჭირხვნის, სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებადი, ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარის, ფუნიკულიორის, საბაგირო გზის, ატრაქციონის, საქვაბე დანადგარის, წნევაზე მომუშავე ჭურჭლის, მარცვლეულის შესანახი და გადამამუშავებელი საწარმოს (წისქვილკომბინატის) ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია არსებითი შეუსაბამობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარამდე.

2. საშიში ნარჩენების ნაგავსაყრელის ან ტერაკონის, ჟანგბადის წარმოებისა და მასთან დაკავშირებული სხვა აფეთქებასაფრთხიანი პროცესის, თხევადი ჟანგბადის წარმოების, რეზერვუარში/ცილინდრში ჟანგბადის ჩაჭირხვნის,

სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებადი, ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარის, ფუნიკულიორის, საბაგირო გზის, ატრაქციონის, საქვაბე დანადგარის, წნევაზე მომუშავე ჭურჭლის, მარცვლეულის გადამამუშავებელი და შესანახი საწარმოს (წისქვილკომბინატის) ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია კრიტიკული შეუსაბამობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარამდე.

მუხლი 29. ბუნებრივი გამოქვაბულის ან მღვიმის, სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზებული დაშვება, ამწე მოწყობილობის, ლიფტის, ესკალატორის, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელის ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების დარღვევა

1. ბუნებრივი გამოქვაბულის ან მღვიმის, სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზებული დაშვება, ამწე მოწყობილობის, ლიფტის, ესკალატორის, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელის ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია I ხარისხის არსებითი შეუსაბამობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარით.

2. ბუნებრივი გამოქვაბულის ან მღვიმის, სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზებული დაშვება, ამწე მოწყობილობის, ლიფტის, ესკალატორის, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელის ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია II ხარისხის არსებითი შეუსაბამობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარით.

3. ბუნებრივი გამოქვაბულის ან მღვიმის, სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზებული დაშვება, ამწე მოწყობილობის, ლიფტის, ესკალატორის, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელის ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია I ხარისხის კრიტიკული შეუსაბამობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარით.

4. ბუნებრივი გამოქვაბულის ან მღვიმის, სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზებული დაშვება, ამწე მოწყობილობის, ლიფტის, ესკალატორის, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელის ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია II ხარისხის კრიტიკული შეუსაბამობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარით.

მუხლი 30. კარიერის, მაღაროს, შახტის, ნავთობბაზის, მაგისტრალური ნავთობსადენის, მაგისტრალური გაზსადენის, ჰიდროენერგეტიკული ნაგებობის (მათ შორის, ტექნოლოგიური პროცესის, ტექნიკური ნაკეთობის, მექანიზმის, დანადგარის, მოწყობილობის, მათი ნებისმიერი კომბინაციის) ფარულად ექსპლუატაცია

1. კარიერის, მაღაროს, შახტის, ნავთობბაზის, მაგისტრალური ნავთობსადენის, მაგისტრალური გაზსადენის, ჰიდროენერგეტიკული ნაგებობის (მათ შორის, ტექნოლოგიური პროცესის, ტექნიკური ნაკეთობის, მექანიზმის, დანადგარის, მოწყობილობის, მათი ნებისმიერი კომბინაციის) ფარულად ექსპლუატაცია –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 4000 ლარით.

მუხლი 31. საშიში ნარჩენების ნაგავსაყრელის ან ტერაკონის, ჟანგბადის წარმოებისა და მასთან დაკავშირებული სხვა აფეთქებასაფრთხიანი პროცესის, თხევადი ჟანგბადის წარმოების, რეზერვუარში/ცილინდრში ჟანგბადის ჩაჭირხვნის, სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებადი, ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარის, ფუნიკულიორის, საბაგირო გზის, ატრაქციონის, საქვაბე დანადგარის, წნევაზე მომუშავე ჭურჭლის, მარცვლეულის შესანახი და გადამამუშავებელი საწარმოს (წისქვილკომბინატის) ფარულად ექსპლუატაცია

1. საშიში ნარჩენების ნაგავსაყრელის ან ტერაკონის, ჟანგბადის წარმოებისა და მასთან დაკავშირებული სხვა აფეთქებასაფრთხიანი პროცესის, თხევადი ჟანგბადის წარმოების, რეზერვუარში/ცილინდრშიჟანგბადისჩაჭირხვნის, სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებადი, ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარის, ფუნიკულიორის, საბაგირო გზის, ატრაქციონის, საქვაბე დანადგარის, წნევაზე მომუშავე ჭურჭლის, მარცვლეულის შესანახი და გადამამუშავებელი საწარმოს (წისქვილკომბინატის) ფარულად ექსპლუატაცია –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარით.

მუხლი 32. ბუნებრივი გამოქვაბულის ან მღვიმის, სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზებული დაშვება, ამწე მოწყობილობის, ლიფტის, ესკალატორის, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელის ფარულად ექსპლუატაცია

1. ბუნებრივი გამოქვაბულის ან მღვიმის, სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზებული დაშვება, ამწე მოწყობილობის, ლიფტის, ესკალატორის, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელის ფარულად ექსპლუატაცია –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარით.

მუხლი 33. კარიერის, მაღაროს, შახტის, ნავთობბაზის, მაგისტრალური ნავთობსადენის, მაგისტრალური გაზსადენის, ჰიდროენერგეტიკული ნაგებობის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ჩაუტარებლობა

1. კარიერის, მაღაროს, შახტის, ნავთობბაზის, მაგისტრალური ნავთობსადენის, მაგისტრალური გაზსადენის, ჰიდროენერგეტიკული ნაგებობის მფლობელის მიერ ობიექტის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ჩაუტარებლობა (გარდა ინსპექტირების ორგანოს მიზეზით გამოწვეული ჩაუტარებლობისა) –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 4000 ლარით.

მუხლი 34. საშიში ნარჩენების ნაგავსაყრელის ან ტერაკონის, ჟანგბადის წარმოებისა და მასთან დაკავშირებული სხვა აფეთქებასაფრთხიანი პროცესის, თხევადი ჟანგბადის წარმოების, რეზერვუარში/ცილინდრში ჟანგბადის ჩაჭირხვნის, სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებადი, ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარის, ფუნიკულიორის, საბაგირო გზის, ატრაქციონის, საქვაბე დანადგარის, წნევაზე მომუშავე ჭურჭლის, მარცვლეულის შესანახი და გადამამუშავებელი საწარმოს (წისქვილკომბინატის) პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ჩაუტარებლობა

1. საშიში ნარჩენების ნაგავსაყრელის ან ტერაკონის, ჟანგბადის წარმოებისა და მასთან დაკავშირებული სხვა აფეთქებასაფრთხიანი პროცესის, თხევადი ჟანგბადის წარმოების, რეზერვუარში/ცილინდრში ჟანგბადის ჩაჭირხვნის, სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებადი, ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარის, ფუნიკულიორის, საბაგირო გზის, ატრაქციონის, საქვაბე დანადგარის, წნევაზე მომუშავე ჭურჭლის, მარცვლეულის შესანახი და გადამამუშავებელი საწარმოს (წისქვილკომბინატის) მფლობელის მიერ ობიექტის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ჩაუტარებლობა (გარდა ინსპექტირების ორგანოს მიზეზით გამოწვეული ჩაუტარებლობისა) –

გამოიწვევს დაჯარიმებას 750 ლარით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარით.

მუხლი 35. ბუნებრივი გამოქვაბულის ან მღვიმის, სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზებული დაშვება, ამწე მოწყობილობის, ლიფტის, ესკალატორის, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ჩაუტარებლობა

1. ბუნებრივი გამოქვაბულის ან მღვიმის, სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზებული დაშვება, ამწე მოწყობილობის, ლიფტის, ესკალატორის, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელის მფლობელის მიერ ობიექტის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ჩაუტარებლობა (გარდა ინსპექტირების ორგანოს მიზეზით გამოწვეული ჩაუტარებლობისა) –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარით.

მუხლი 36. ობიექტის მფლობელის მიერ კარიერზე, მაღაროში, შახტაში, ნავთობბაზაზე, მაგისტრალურ ნავთობსადენზე, მაგისტრალურ გაზსადენზე, ჰიდროენერგეტიკულ ნაგებობაზე მომხდარი ავარიის/უბედური შემთხვევის შესახებ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის შეუტყობინებლობა

1. ობიექტის მფლობელის მიერ კარიერზე, მაღაროში, შახტაში, ნავთობბაზაზე, მაგისტრალურ ნავთობსადენზე, მაგისტრალურ გაზსადენზე, ჰიდროენერგეტიკულ ნაგებობაზე მომხდარი ავარიის/უბედური შემთხვევის შესახებ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის დაუყოვნებლივ (24 საათის განმავლობაში) შეუტყობინებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარით.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ობიექტის მფლობელის მიერ მომხდარი ავარიის/უბედური შემთხვევის შესახებ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის 72 საათის განმავლობაში შეუტყობინებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარით.

მუხლი 37. ობიექტის მფლობელის მიერ საშიში ნარჩენების ნაგავსაყრელზე ან ტერაკონზე, ჟანგბადის წარმოებისას და მასთან დაკავშირებული სხვა აფეთქებასაფრთხიანი პროცესის დროს, თხევადი ჟანგბადის წარმოებისას, რეზერვუარში/ცილინდრში ჟანგბადის ჩაჭირხვნისას, სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებად, ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარზე, ფუნიკულიორზე, საბაგირო გზაზე, ატრაქციონზე, საქვაბე დანადგარზე, წნევაზე მომუშავე ჭურჭელზე, მარცვლეულის შესანახ და გადამამუშავებელ საწარმოში (წისქვილკომბინატში) მომხდარი ავარიის/უბედური შემთხვევის შესახებ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის შეუტყობინებლობა

1. ობიექტის მფლობელის მიერ საშიში ნარჩენების ნაგავსაყრელზე ან ტერაკონზე, ჟანგბადის წარმოებისას და მასთან დაკავშირებული სხვა აფეთქებასაფრთხიანი პროცესის დროს, თხევადი ჟანგბადის წარმოებისას, რეზერვუარში/ცილინდრში ჟანგბადის ჩაჭირხვნისას, სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებად, ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარზე, ფუნიკულიორზე, საბაგირო გზაზე, ატრაქციონზე, საქვაბე დანადგარზე, წნევაზე მომუშავე ჭურჭელზე, მარცვლეულის შესანახ და გადამამუშავებელ საწარმოში (წისქვილკომბინატში) მომხდარი ავარიის/უბედური შემთხვევის შესახებ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის დაუყოვნებლივ (24 საათის განმავლობაში) შეუტყობინებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარით.

2. ობიექტის მფლობელის მიერ საშიში ნარჩენების ნაგავსაყრელზე ან ტერაკონზე, ჟანგბადის წარმოებისას და მასთან დაკავშირებული სხვა აფეთქებასაფრთხიანი პროცესის დროს, თხევადი ჟანგბადის წარმოებისას, რეზერვუარში/ცილინდრში ჟანგბადის ჩაჭირხვნისას, სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებად, ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარზე, ფუნიკულიორზე, საბაგირო გზაზე, ატრაქციონზე, საქვაბე დანადგარზე, წნევაზე მომუშავე ჭურჭელზე, მარცვლეულის შესანახ და გადამამუშავებელ საწარმოში (წისქვილკომბინატში) მომხდარი ავარიის/უბედური შემთხვევის შესახებ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის 72 საათის განმავლობაში შეუტყობინებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 750 ლარით.

მუხლი 38. ობიექტის მფლობელის მიერ ბუნებრივ გამოქვაბულში ან მღვიმეში, სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზებული დაშვება, ამწე მოწყობილობაზე, ლიფტზე, ესკალატორზე, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელზე მომხდარი ავარიის/უბედური შემთხვევის შესახებ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის შეუტყობინებლობა

1. ობიექტის მფლობელის მიერ ბუნებრივ გამოქვაბულში ან მღვიმეში, სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზებული დაშვება, ამწე მოწყობილობაზე, ლიფტზე, ესკალატორზე, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელზე მომხდარი ავარიის/უბედური შემთხვევის შესახებ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის დაუყოვნებლივ (24 საათის განმავლობაში) შეუტყობინებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარით.

2. ობიექტის მფლობელის მიერ ამწე მოწყობილობაზე, ლიფტზე, ესკალატორზე, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელზე მომხდარი ავარიის/უბედური შემთხვევის შესახებ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის 72 საათის განმავლობაში შეუტყობინებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარით.

მუხლი 39. სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების შესაბამისი ნებართვის გარეშე გამოყენება

სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების შესაბამისი ნებართვის გარეშე გამოყენება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარით.

მუხლი 40. სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების სანებართვო პირობების დარღვევა

სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების სანებართვო პირობების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარით.

მუხლი 41. შეუსაბამობის გამოსწორების ვადის დარღვევა

ობიექტის მფლობელის მიერ შეუსაბამობის გამოსწორების ვადის დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარით.

მუხლი 42. დამოუკიდებელი ინსპექტირების ორგანოს მიერ ინსპექტირების აკრედიტაციის გარეშე განხორციელება და ინსპექტირების ორგანოს მიერ მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევა

1. დამოუკიდებელი ინსპექტირების ორგანოს მიერ ინსპექტირების აკრედიტაციის გარეშე განხორციელება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 9 000 ლარით.

3. ინსპექტირების ორგანოს მიერ მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარით და აკრედიტაციის გაუქმებას.

მუხლი 43. უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება

უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება:

ა) თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ კოდექსის 44-ე მუხლში აღნიშნული ტერიტორიისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარით;

ბ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში – ქალაქში, გარდა ამ კოდექსის 44-ე მუხლში აღნიშნული ტერიტორიისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარით;

გ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში – დაბაში ან სოფელში, გარდა ამ კოდექსის 44-ე მუხლში აღნიშნული ტერიტორიისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარით.

მუხლი 44. უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე

1. უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, გამოიწვევს დაჯარიმებას:

ა) სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – 10 000 ლარით;

ბ) კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – 8 000 ლარით.

2. უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება შენობა-ნაგებობის გაბარიტების შეუცვლელად, ან საინჟინრო-კომუნალური ქსელების უნებართვო რეკონსტრუქცია –

გამოიწვევს დაჯარიმებას 4 000 ლარით.

შენიშვნა:

1. უნებართვო მშენებლობის წარმოება უძრავ ქონებაზე, რომელიც კერძო, სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის თანასაკუთრების ობიექტია, გამოიწვევს დაჯარიმებას ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

2. გაბარიტების ცვლილებად განიხილება ისეთი სამშენებლო საქმიანობა, რომლის დროსაც იცვლება შენობა-ნაგებობის საძირკვლის, გარე შემომზღუდავი კონსტრუქციების ან/და სახურავის პარამეტრები (მიშენება, დაშენება, შენობა-ნაგებობის სიმაღლის გაზრდა და ა. შ.), ხოლო მშენებლობის შედეგად წარმოქმნილი ობიექტი არის შენობა-ნაგებობის არსებითი შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევება შეუძლებელია მთლიანი შენობა-ნაგებობის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე.

მუხლი 45. სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა

1. სამშენებლო დოკუმენტაციითა და სამშენებლო რეგლამენტებით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას:

ა) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე:

ა.ა) მეორე კლასის შენობა-ნაგებობისათვის – 2 000 ლარით;

ა.ბ) მესამე კლასის შენობა-ნაგებობისათვის – 3 000 ლარით;

ა.გ) მეოთხე კლასის შენობა-ნაგებობისათვის – 4 000 ლარით;

ა.დ) მეხუთე კლასის (განსაკუთრებული მნიშვნელობის) შენობა-ნაგებობისათვის – 5 000 ლარით;

ბ) თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, – 1 000 ლარით;

გ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში – ქალაქში, გარდა ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, – 500 ლარით;

დ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში – დაბაში ან სოფელში, გარდა ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, – 200 ლარით.

2. თუ II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის (გარდა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლისა) მშენებლობისას ან რეკონსტრუქციისას სანებართვო პირობების დარღვევის ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში

დამრღვევი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყებამდე შეიტანს საპროექტო დოკუმენტაციაში სათანადო ცვლილებებს, მას არ დაეკისრება ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პასუხისმგებლობა.

3. II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის (გარდა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლისა) მშენებლობისას ან რეკონსტრუქციისას არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელი შესაბამისი ორგანო სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ მითითების გაცემამდე 45 კალენდარული დღით ადრე ატყობინებს დამრღვევს.

მუხლი 46. პასუხისმგებლობა
თვითმმართველი ერთეულის მიერ
განსაზღვრულ ზონაში (ზონებში)
სამშენებლო სამუშაოების ან
მშენებლობის ეტაპის მშენებლობის
ნებართვით დადგენილ ვადაში
დაუსრულებლობისთვის

1. თვითმმართველ ერთეულში საკრებულოს დადგენილებით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, სარეკრეაციო ტერიტორიების განვითარებისა და დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრულ ზონაში (ზონებში), ხოლო ქალაქ თბილისში – ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილებით განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში განსაზღვრულ ზონებში სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო დამრღვევის მიმართ გასცემს მითითებას, რომლითაც მას განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დარღვევის გამოსასწორებლად. მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ადგენს შემოწმების აქტს. თუ დარღვევა არ გამოსწორდა, შემოწმების აქტის შედგენის დღიდან დარღვევის გამოსწორების დღემდე პირს დაეკისრება ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შემოწმების აქტის შედგენის დღისთვის არსებული სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული ასაშენებელი (სადემონტაჟო) შენობა-ნაგებობის საერთო ფართობის თითოეულ კვადრატულ მეტრზე 0,1 ლარიდან 0,5 ლარის ფარგლებში, შესაბამისი ზონის (ზონების) მიხედვით, რაც განისაზღვრება თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი ორგანოს ნორმატიული აქტით. აღნიშნული ჯარიმა პირს დაერიცხება მშენებარე ობიექტის კონსერვაციის ვადაშიც.

2. პირი ვალდებულია სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს წერილობით შეატყობინოს დარღვევის გამოსწორების შესახებ. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის დარიცხვა წყდება აღნიშნული შეტყობინების სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოსთვის ჩაბარების დღეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვევის გამოსწორება ამ ორგანომ შემოწმების აქტით დაადასტურა.

3. სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ დარღვევის გამოსწორების დადასტურების შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას დარიცხული ჯარიმის ოდენობის შესახებ.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დადგენილება აღსრულდება ამ კოდექსის შესაბამისად და ექვემდებარება იძულებით აღსრულებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 47. პასუხისმგებლობა
თვითმმართველი ერთეულის მიერ
განსაზღვრულ ზონაში (ზონებში)
არსებული არაფუნქციონირებადი/
მიტოვებული შენობა-ნაგებობის
განვითარების მიზნით მშენებლობის
ნებართვის დადგენილ ვადაში
აუღებლობისთვის

1. თვითმმართველ ერთეულში საკრებულოს დადგენილებით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, საკურორტო-სარეკრეაციო ტერიტორიების განვითარებისა და დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრულ ზონაში (ზონებში), ხოლო ქალაქ თბილისში – ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილებით განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში განსაზღვრულ ზონებში არსებული არაფუნქციონირებადი/მიტოვებული შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, რომლებიც აღარ გამოიყენება საცხოვრებელი, კომერციული ან სხვა საზოგადოებრივი ფუნქციით და საჭიროებს სამშენებლო განვითარებას, ვალდებულია მიიღოს მშენებლობის ნებართვა შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან ან/და შენობის ფუნქციონირების შეწყვეტიდან 6 თვის განმავლობაში. ეს ვალდებულება ასევე ვრცელდება იმ შემთხვევაზე, თუ პირი შეიძენს მიწის ნაკვეთს, რომელზე მდგომ შენობა-ნაგებობასაც დაანგრევს. აღნიშნული შეზღუდვა ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოს მოთხოვნით რეგისტრირდება საჯარო რეესტრში.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის დინება არ შეწყდება და გაგრძელდება მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის გასხვისების შემთხვევაშიც და ქონების შემძენზე გადავა შესაბამისი ვალდებულებები.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით

გათვალისწინებულ ვადაში მშენებლობის ნებართვის აუღებლობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო დამრღვევის მიმართ გასცემს მითითებას, რომლითაც მას განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დარღვევის გამოსასწორებლად.

4. მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ადგენს შემოწმების აქტს. თუ დარღვევა არ გამოსწორდა, შემოწმების აქტის შედგენის დღიდან დარღვევის გამოსწორების დღემდე პირს დაეკისრება ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის საერთო ფართობის თითოეულ კვადრატულ მეტრზე 0,1 ლარიდან 0,5 ლარის ფარგლებში, შესაბამისი ქვეზონის (ქვეზონების) მიხედვით, რაც განისაზღვრება თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი ორგანოს ნორმატიული აქტით.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის დარიცხვა წყდება დამრღვევის მიერ მშენებლობის ნებართვის აღების დღეს, მაგრამ არა უგვიანეს მითითების გაცემიდან 6 თვისა.

6. სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ დარღვევის გამოსწორების დადასტურებიდან ან შემოწმების აქტის შედგენიდან 6 თვის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას დარიცხული ჯარიმის ოდენობის შესახებ, რომელიც აღსრულდება ამ კანონის შესაბამისად და ექვემდებარება იძულებით აღსრულებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

7. თუ შემოწმების აქტის შედგენიდან 6 თვის გასვლის შემდეგ დამრღვევს არ ექნება მიღებული მშენებლობის ნებართვა ან/და იგი არ გადაიხდის დაკისრებულ ჯარიმას, შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება ამ ქონების იძულებით რეალიზაციის შესახებ. აღნიშნული დადგენილება აღსრულდება დაუყოვნებლივ და ექვემდებარება იძულებით აღსრულებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

8. ამ მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად გასხვისებული უძრავი ქონების შემძენისთვის ამ მუხლით გათვალისწინებული ვადის ათვლა დაიწყება თავიდან, მის მიერ ქონების შეძენის დღიდან.

9. თუ ამ მუხლით გათვალისწინებულ ვადაში დამრღვევი მშენებლობის ნებართვის მიღების მიზნით მიმართავს მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს, ეს ორგანო ვალდებულია მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მაქსიმალურად შეუწყოს ხელი დამრღვევს ზონის შესაბამისი იერსახის არქიტექტურული პროექტის დამუშავებასა და მშენებლობის ნებართვის მიღებაში.

მუხლი 48. ობიექტზე საინფორმაციო დაფის განუთავსებლობა ან საინფორმაციო დაფაზე არასრული ინფორმაციის განთავსება

ობიექტზე საინფორმაციო დაფის განუთავსებლობა ან საინფორმაციო დაფაზე არასრული ინფორმაციის განთავსება:

ა) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარით;

ბ) თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარით;

გ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში – ქალაქში, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარით;

დ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში – დაბაში ან სოფელში, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარით.

მუხლი 49. მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა

მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა:

ა) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარით;

ბ) თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარით;

გ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში – ქალაქში, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარით;

დ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში – დაბაში ან სოფელში, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარით.

მუხლი 50. მშენებარე ობიექტის დადგენილი წესის დარღვევით მიტოვება

მშენებარე ობიექტის დადგენილი წესის დარღვევით მიტოვება:

ა) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარით;

ბ) თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარით;

გ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში – ქალაქში, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარით;

დ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში – დაბაში ან სოფელში, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარით.

მუხლი 51. მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობა

მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობა:

ა) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარით;

ბ) თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარით;

გ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში – ქალაქში, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარით;

დ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში – დაბაში ან სოფელში, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარით.

მუხლი 52. იმ ავარიული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის განუხორციელებლობა, რომლის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის გარეშე არსებობა უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას

იმ ავარიული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის განუხორციელებლობა, რომლის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის გარეშე არსებობა უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას:

ა) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარით;

ბ) თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარით;

გ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში – ქალაქში, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარით;

დ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში – დაბაში ან სოფელში, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარით.

შენიშვნა: თუ მესაკუთრისათვის ცნობილი გახდა, რომ მისი საკუთრება საფრთხეს უქმნის მესამე პირების სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, იგი ვალდებულია მიმართოს შესაბამის ორგანოებს და აცნობოს ასეთი საფრთხის შესახებ. მესაკუთრე ვალდებულია თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მიიღოს უსაფრთხოების ზომები საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მესაკუთრეს ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ განახორციელებს ამ შენიშვნით განსაზღვრულ ღონისძიებებს.

მუხლი 53. ზიანისა და ხარჯების ანაზღაურება

1. დაჯარიმება დამრღვევს არ ათავისუფლებს დარღვევის გამოსწორებისა და დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

2. სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს თანამდებობის პირი და სხვა მუშაკი მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ზიანის მიყენებისთვის პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. იმ პირებს, რომლებმაც ხარჯები გაიღეს მათ საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობის იერსახის შენარჩუნებისა და სამშენებლო მოედნის უსაფრთხოებისათვის, თუ ამ ხარჯების გაღება გამოწვეულია მომიჯნავე ნაკვეთში მშენებლობისას სამშენებლო ნორმებისა და კონსერვაციის რეჟიმის დაუცველობით, უფლება აქვთ, მოსთხოვონ დამრღვევს გაღებული ხარჯების ანაზღაურება. ხარჯების ანაზღაურებაზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს

სასამართლო.

4. დადგენილ ვადაში დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თუ დარღვევის დაუყოვნებლივ გამოუსწორებლობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს შეუძლია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მითითების პირობების თავის მიერ ან მესამე პირთა მეშვეობით ან/და საკუთარი ხარჯით შესრულების თაობაზე. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.

5. სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია მოსთხოვოს დამრღვევს ამ მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად გაღებული ხარჯების ანაზღაურება. დამრღვევის მიერ ხარჯების ნებაყოფლობით ანაზღაურებაზე უარის თქმის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს დამრღვევისათვის გაღებული ხარჯების დაკისრებისა და გადახდის მოთხოვნით.

მუხლი 54. საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მშენებარე ობიექტის მიწის ნაკვეთზე ყადაღის დადება და მისი რეალიზაცია

1. შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილი ორგანო დამრღვევის მიერ ამ კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მშენებარე ობიექტის მიწის ნაკვეთზე ყადაღის დადების მიზნით მიმართოს სასამართლოს.

2. შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილი ორგანოს მიერ სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველზე მიწის ნაკვეთზე დადებული ყადაღა უქმდება ჯარიმის თანხის სრულად დაფარვისთანავე.

3. დამრღვევის ყადაღადადებული მიწის ნაკვეთის რეალიზაციას ახორციელებს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილი ორგანო აუქციონის ჩატარების გზით.

4. აუქციონის ჩატარების დროსა და ადგილს განსაზღვრავს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილი ორგანო, რისთვისაც იგი აუქციონის ჩატარებამდე 30 დღით ადრე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ავრცელებს განცხადებას, რომელშიც უნდა აღინიშნოს:

ა) აუქციონის ჩატარების დრო და ადგილი;

ბ) მიწის ნაკვეთის მესაკუთრის რეკვიზიტები (სახელი და გვარი/დასახელება, მისამართი);

გ) გასაყიდი მიწის ნაკვეთის დასახელება (ქონების მოკლე აღწერა);

დ) მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი, რომელიც ყადაღის დადების აქტში მითითებული ყადაღადადებული ნივთის საბაზრო ფასია;

ე) რომ მესამე პირები, რომელთაც აქვთ უფლებები ამ მიწის ნაკვეთზე, ვალდებული არიან, ამ უფლებათა დამადასტურებელი საბუთები წარადგინონ აუქციონის დაწყებამდე;

ვ) აუქციონის პირობები.

5. აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადების გავრცელების შემდეგ ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება, წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ მიწის ნაკვეთს.

6. მიწის ნაკვეთის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლით პირველ რიგში დაიფარება:

ა) ყადაღის დადებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები;

ბ) ჯარიმის თანხა.

7. მიწის ნაკვეთის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლით პირველ რიგში დაფარული ხარჯებისა და თანხის შემდეგ დარჩენილი სახსრები დამრღვევს უბრუნდება.

8. ყადაღადადებული მიწის ნაკვეთის რეალიზაცია შეწყდება, თუ დამრღვევი აუქციონის ჩატარებამდე უზრუნველყოფს ჯარიმის თანხის, ყადაღის დადებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვას.

9. ყადაღადადებული მიწის ნაკვეთის აუქციონის ჩატარების გზით რეალიზაციის წესს ადგენს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო.

თავი V

ტექნიკური რეგლამენტი

მუხლი 55. ზოგადი დებულებები

1. ტექნიკური რეგლამენტი ხელს უნდა უწყობდეს ღია საბაზრო ეკონომიკას და თავისუფალ ვაჭრობას. ტექნიკური რეგლამენტის მიღება ან გამოყენება არ უნდა ქმნიდეს არაადეკვატურ ტექნიკურ ბარიერებს ვაჭრობაში/სამეწარმეო საქმიანობაში, მათ შორის, საერთაშორისო ვაჭრობაში, და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საფრთხის პროპორციული უნდა იყოს.

2. პროდუქტი, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა, უნდა შეესაბამებოდეს ამ მოთხოვნებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ბაზარზე განთავსებისას და ექსპლუატაციის პერიოდში.

3. არ შეიძლება აიკრძალოს, შეიზღუდოს ან ხელი შეეშალოს იმ პროდუქტის ბაზარზე განთავსებას, რომელიც აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

4. მწარმოებელი ვალდებულია ტექნიკური რეგლამენტით რეგულირებული პროდუქტი დააპროექტოს და აწარმოოს ტექნიკური

რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 56. ტექნიკური რეგლამენტი

1. ტექნიკური ნორმის შემცველი, შესასრულებლად სავალდებულო ყველა აქტი მიღებული უნდა იქნეს ტექნიკური რეგლამენტის ფორმით.

2. ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს ძირითად პრინციპებს, რომლებიც იცავს ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, საკუთრებასა და გარემოს.

3. ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები შეიძლება გავრცელდეს პროდუქტზე ამ პროდუქტის ბაზარზე განთავსებისას, ასევე პროცესზე, მომსახურებაზე, პირსა და ობიექტებზე და შეიძლება მოიცავდეს მათი ექსპლუატაციის დაწყების და ექსპლუატაციის პერიოდს, თუ ამის თაობაზე მითითებულია ტექნიკურ რეგლამენტში.

4. ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმები საფრთხის პროპორციული უნდა იყოს.

5. თუ მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებიდან რამდენიმე ალტერნატიულად არეგულირებს ერთსა და იმავე პროდუქტს ან/და პროცესს, საკმარისია ნებისმიერ მათგანთან შესაბამისობა.

6. თუ მიღებულ, აღიარებულ ან ეკვივალენტად ცნობილ ალტერნატიულ ტექნიკურ რეგლამენტებს შორის განსხვავებაა, ეს არ განიხილება მათ შორის წინააღმდეგობად და ყველა თანაბრად გამოიყენება.

7. თუ ერთი და იმავე პროდუქტის ან/და პროცესის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს რამდენიმე ალტერნატიული ტექნიკური რეგლამენტის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი მახასიათებლები, გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ერთ-ერთი, შერჩეული ტექნიკური რეგლამენტი. დაუშვებელია ერთი და იმავე პროდუქტის ან/და პროცესის მიმართ სხვადასხვა ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მახასიათებლების აღრევა/კომბინაცია.

8. თუ ერთსა და იმავე პროდუქტზე ერთდროულად სავალდებულოდ ვრცელდება ერთზე მეტი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები, პროდუქტი ერთდროულად უნდა აკმაყოფილებდეს ყველა ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

9. ტექნიკური რეგლამენტი ძალადაკარგულად ითვლება, თუ აღარ არსებობს ის გარემოებები ან მიზნები, რომლებიც მისი მიღების საფუძველი იყო. ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი დაინტერესებული პირი უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს მთავრობას ტექნიკური რეგლამენტის გაუქმების მოთხოვნით.

10. ტექნიკური რეგლამენტის მიღების საფუძვლის ცვლილება განაპირობებს თავად ტექნიკური რეგლამენტის ცვლილებას ან გაუქმებას.

11. რეგულირებულ სფეროებში საქართველო აღიარებს ევროკავშირის ტექნიკურ რეგლამენტებს.

12. თუ გაჩნდება ტექნიკური რეგლამენტის შემოღების აუცილებლობა და არსებობს საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტები ან მათი შემუშავება დასრულების სტადიაშია, საქართველო ვალდებულია საფუძვლად გამოიყენოს ისინი ან მათი შესაბამისი ნაწილები.

13. ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც ვაჭრობაში საფრთხის არაადეკვატურ ტექნიკურ ბარიერებს ქმნის, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

14. დაინტერესებულ პირს შეუძლია მოქმედი ტექნიკური რეგლამენტი გაასაჩივროს სასამართლოში, თუ იგი ადგენს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაში არსებულ მოთხოვნებზე მკაცრ მოთხოვნებს.

მუხლი 57. ტექნიკური რეგლამენტის არსი

1. ტექნიკური რეგლამენტი უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად დებულებებს:

ა) მისი გამოყენების სფერო და ტექნიკური რეგულირების ობიექტი;

ბ) ძირითადი ცნებები და განმარტებები;

გ) პროდუქტის ბაზარზე განთავსების ძირითადი პირობები;

დ) მოთხოვნები ტექნიკური რეგულირების ობიექტის მიმართ;

ე) შესაბამისობის შეფასების პროცედურები.

2. ტექნიკური რეგლამენტი მოქმედებს ტექნიკური რეგლამენტების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

3. ტექნიკურმა რეგლამენტმა კონკრეტული სპეციფიკაციის გათვალისწინებით შეიძლება დაადგინოს პროდუქტის/პროცესის/ მომსახურების სავალდებულო:

ა) მახასიათებლები/პარამეტრები;

ბ) უსაფრთხოების/უვნებლობის კრიტერიუმები;

გ) შრომის ან/და მომხმარებლის უსაფრთხოების წესები;

დ) უსაფრთხოების/უვნებლობის მოთხოვნებთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის, სიმბოლოების, შეფუთვის, ნიშანდების, ეტიკეტირების, პროდუქტთან დაკავშირებული პროცესის ან წარმოების მეთოდი;

ე) შესაბამისობის შეფასების პროცედურები და პერიოდულობა;

ვ) ადმინისტრაციული პროცედურები;

ზ) შესაბამის შემთხვევებში, ინსპექტირების წესი და პერიოდულობა;

თ) ზედამხედველობის განმახორციელებელი უფლებამოსილი ორგანო;

ი) მითითებები სტანდარტების გამოყენების თაობაზე (შესაბამისობის პრეზუმფცია);

კ) ექსპლუატაციის პირობები;

ლ) გარდამავალი და დასკვნითი დებულებები.

მუხლი 58. ტექნიკური რეგლამენტის მიღება

1. ტექნიკური რეგლამენტი მიიღება მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში,

რომელიც ადგენს ტექნიკური რეგლამენტის მიზანს და მოქმედების სფეროს.

2. ტექნიკური რეგლამენტი მიიღება/გამოიცემა მხოლოდ კანონით, საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ნორმატიული აქტით ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

3. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს იმ ტექნიკური რეგლამენტის ან სტანდარტის გაუქმება ან საქართველოში აღიარებულ პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, რომელიც არ შეესაბამება მათ;

ბ) მიმართოს საქართველოს მთავრობას ტექნიკური რეგლამენტის გაუქმების მოთხოვნით.

4. საქართველოს მთავრობა დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში შუამდგომლობით მიმართავს შესაბამის ორგანოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუსაბამოს ტექნიკური რეგლამენტი ან სტანდარტი საქართველოში აღიარებულ პრინციპებს ან გააუქმოს ტექნიკური რეგლამენტი ან დასაბუთებული უარი აცნობოს დაინტერესებულ პირს.

5. საქართველოს მთავრობის დასაბუთებული უარი ტექნიკური რეგლამენტის ან სტანდარტის გაუქმების ან საქართველოში აღიარებულ პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. სასამართლოში მტკიცების ტვირთი გადადის მოსარჩელეზე.

მუხლი 59. აღიარებული ტექნიკური რეგლამენტი

1. ტექნიკური რეგლამენტის აღიარება ხორციელდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ან საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე და გულისხმობს საქართველოს მთავრობის მიერ გარკვეული ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ დაშვებას.

2. უცხოური ტექნიკური რეგლამენტის ტექნიკური რეგლამენტების რეესტრში რეგისტრაცია სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით საქართველოში იწარმოება კონკრეტული პროდუქტი.

3. საქართველოს მთავრობა აღიარებს უცხოური ტექნიკური რეგლამენტის მხოლოდ ტექნიკურ პარამეტრებს და შეიძლება აღიაროს მისი ადმინისტრაციული პროცედურები.

4. აღიარებული ტექნიკური რეგლამენტის ან მისი ნაწილის მოქმედება შეიძლება აიკრძალოს ან შეიზღუდოს კანონის საფუძველზე, შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში.

5. აღიარებული ტექნიკური რეგლამენტი საქართველოს კანონმდებლობის ნაწილია.

მუხლი 60. ეკვივალენტად ცნობილი ტექნიკური რეგლამენტი

საქართველოს მთავრობის ერთჯერადი აქტის საფუძველზე შესაძლებელია ეკვივალენტად ცნობილ იქნეს გარკვეული უცხოური ტექნიკური რეგლამენტები და ისინი დაშვებულ იქნეს სამოქმედოდ, რაც ადასტურებს, რომ აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტები მოცემული კონკრეტული შემთხვევისათვის ადეკვატურად ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უსაფრთხოების მიზნებს.

მუხლი 61. ტექნიკური რეგლამენტების რეესტრი

1. მიღებული ტექნიკური რეგლამენტი რეგისტრირებული უნდა იქნეს ტექნიკური რეგლამენტების რეესტრში, რომელსაც აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

2. ტექნიკური რეგლამენტების რეესტრში უნდა დარეგისტრირდეს საქართველოს ყველა ნორმატიული აქტი, რომლებიც შეიცავს ტექნიკურ ნორმას. აღნიშნული ნორმატიული აქტის მიმღები/გამომცემი ორგანო/ თანამდებობის პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს შესაბამისი ნორმატიული აქტის რეგისტრაცია ტექნიკური რეგლამენტების რეესტრში.

3. ნებისმიერ პირს შეუძლია მოითხოვოს მიღებული ტექნიკური რეგლამენტის რეგისტრაცია.

მუხლი 62. სავარაუდო საფრთხის შემცველი პროდუქტის ბაზარზე განთავსება

1. კანონით განისაზღვრება ის პროდუქტი/ პროცესი/მომსახურება (რეგულირებული სფერო), რომელსაც ბაზარზე განთავსებისას ესაჭიროება შესაბამისობის შეფასება.

2. მიღებული, აღიარებული ან ეკვივალენტად ცნობილი ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი პროდუქტის ბაზარზე განთავსება შესაძლებელია პროდუქტის წარმოშობის ქვეყანაში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილი უნდა იქნეს ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

3. აღიარებული ტექნიკური რეგლამენტის საფუძველზე წარმოებული ან იმპორტირებული პროდუქტის ბაზარზე განთავსებისას შესაბამისობის შეფასება ხორციელდება იმავე ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

4. სასამართლო დავის შემთხვევაში აღიარებულ ტექნიკურ რეგლამენტს დაინტერესებული მხარე თარგმნის ქართულ ენაზე.

მუხლი 63. საქართველოს მთავრობის უფლება ნიშანდების ეკვივალენტად ცნობის შესახებ

1. საქართველოს მთავრობა ადგენს იმ ქვეყნებისა და იურისდიქციების ნუსხას, რომელთა შესაბამისი

ნიშანდების მქონე პროდუქტი საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების გარეშე დაიშვება.

2. საქართველოში მოქმედი ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების დაკმაყოფილებად ჩაითვლება სხვა ქვეყნის შესაბამისი ნიშანდება, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილ, ნიშანდებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

თავი VI
სტანდარტიზაცია

მუხლი 64. ზოგადი დებულებები

1. სტანდარტი უნდა ემყარებოდეს პრაქტიკული გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის განზოგადებულ შედეგებს და მიზნად უნდა ისახავდეს წარმოების ეფექტიანობის და თავსებადობის ზრდას.

2. სტანდარტი არის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალება. სტანდარტის გამოყენება ნებაყოფლობითია. მწარმოებელს შეუძლია შეიმუშაოს და გამოიყენოს სხვა ტექნიკური მიდგომები ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტექნიკურ რეგლამენტში კონკრეტული სტანდარტის გამოყენების შესახებ პირდაპირ არის მითითებული.

მუხლი 65. ტერმინთა განმარტება

ამ თავის მიზნებისათვის ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სტანდარტი – კონსენსუსის საფუძველზე შემუშავებული და სტანდარტების ორგანოს მიერ რეგისტრირებული დოკუმენტი, რომელიც საყოველთაოდამრავალჯერადიგამოყენებისათვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს ან მახასიათებლებს სხვადასხვა საქმიანობისათვის/მოქმედებისათვის ან მისი შედეგებისათვის გარკვეულ სფეროში ოპტიმიზაციის მიზნით;

ბ) საერთაშორისო სტანდარტი – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული სტანდარტი;

გ) რეგიონალური სტანდარტი – სტანდარტების საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაციის მიერ მიღებული სტანდარტი;

დ) საქართველოს სტანდარტი (სსტ) – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებული სტანდარტი, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც საერთაშორისო ან რეგიონალური სტანდარტის საფუძველზე, ისე შესაბამისი ტექნიკური კომიტეტის მიერ;

ე) საწარმოს შიდა სტანდარტი – მეწარმის მიერ შემუშავებული სტანდარტი, რომელშიც მოცემულია სპეციფიკური ტექნიკური მოთხოვნები, რომლებსაც აკმაყოფილებს პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება. საწარმოს შიდა სტანდარტი სხვა პირებისათვის სტანდარტად არ განიხილება, რეგისტრაციას არ საჭიროებს და მასზე არ ვრცელდება ამ კოდექსის მოქმედება;

ვ) დეკლარირებული სტანდარტი – სტანდარტი, რომელსაც მწარმოებელი იყენებს და რომლის გამოყენების შესახებაც მიუთითებს, მათ შორის, საწარმოს შიდა სტანდარტზე.

მუხლი 66. სტანდარტიზაციის ძირითადი პრინციპები

1. სტანდარტიზაციის პროცესში ყველა დაინტერესებულ მხარეს (მწარმოებლები, მომსახურების მიმწოდებლები, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სასწავლო და კვლევითი დაწესებულებები, მომხმარებლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა) შეუძლია ნებაყოფლობით და პარიტეტულ საფუძველზე მონაწილეობა.

2. სტანდარტის შემუშავება და მიღება ხდება კონსენსუსის საფუძველზე.

3. სტანდარტის გამოყენება ნებაყოფლობითია.

4. შესაბამის სფეროში უპირატესობა ენიჭება საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს.

5. სტანდარტის შემუშავებისას გამოიყენება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების თანამედროვე შესაძლებლობები.

მუხლი 67. სტანდარტის მიღების პრინციპები

1. საქართველოში სტანდარტი მიიღება საქართველოს სტანდარტის სახით და რეგისტრირდება ამ თავის შესაბამისად.

2. საქართველოში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სტანდარტები რეგისტრაციის გარეშე.

3. სტანდარტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობას.

4. საქართველოს სტანდარტად შეიძლება მიღებულ იქნეს:

ა) საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებისათვის საჭირო სტანდარტი. მის მიღებას უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (შემდგომ – სააგენტო);

ბ) საერთაშორისო ან რეგიონალური სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის ტექსტის ქართულ ვერსიას განიხილავს ტექნიკური კომიტეტი;

გ) სტანდარტი – ამ კოდექსის 68-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

5. საქართველოს სტანდარტად უნდა დარეგისტრირდეს ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სტანდარტი, რომელსაც მეწარმე გამოიყენებს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. ამასთანავე, დაინტერესებული მხარის მოთხოვნით, ნებაყოფლობით შეიძლება დარეგისტრირდეს სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული სტანდარტი.

6. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სტანდარტების რეგისტრაციას ახორციელებს სააგენტო.

7. ტექნიკური კომიტეტი არ განიხილავს საქართველოში შემუშავებულ სტანდარტს:

ა) იმ სფეროში, სადაც არსებობს საერთაშორისო სტანდარტი;

ბ) იმ სფეროში, სადაც არ არის ფართო მოთხოვნა სტანდარტზე.

8. საქართველოს სტანდარტად საერთაშორისო ან უცხოური სტანდარტი მიიღება სტანდარტის „თავფურცლის" თარგმნის მეთოდითაც.

მუხლი 68. სტანდარტის შემუშავება და მიღება

1. საქართველოში სტანდარტის პროექტი შეიძლება შეიმუშაოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა. თუ პირს სურს მის მიერ შემუშავებული სტანდარტის საქართველოს სტანდარტად რეგისტრაცია, მან უნდა მიმართოს სააგენტოს დასაბუთებით, რომ მის მიერ წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრულ სფეროში არის ფართო მოთხოვნა სტანდარტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტანდარტი გამიზნულია ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.

2. სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი ტექნიკური კომიტეტის მიერ საკითხის განხილვის მიზანშეწონილობის შესახებ.

3. სააგენტოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უთანხმებს შესაბამისი ტექნიკური კომიტეტის მიერ საკითხის განხილვას.

4. ტექნიკური კომიტეტი კონსენსუსით იღებს გადაწყვეტილებას სტანდარტის მიღების მიზანშეწონილობის შესახებ. საქართველოში შემუშავებული სტანდარტის მიღების შემთხვევაში მისი სამოქმედოდ დაშვების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა ტექნიკური კომიტეტის შუამდგომლობის საფუძველზე.

5. სტანდარტს სამართლებრივი სტატუსი ენიჭება სააგენტოს მიერ ამ სტანდარტის სტანდარტების რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. სტანდარტების რეესტრის წარმოებისა და სტანდარტის რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს სააგენტოს გენერალური დირექტორი.

6. სტანდარტების რეესტრში სტანდარტის რეგისტრაციის ნომერი დგება საერთაშორისო კოდიფიკაციის შესაბამისად. რეგისტრაციის ნომრის პირველი სამი ასო (სსტ) აღნიშნავს საქართველოს სტანდარტს, მომდევნო ორი ან სამი ასო აღნიშნავს იმ საერთაშორისო ან რეგიონალური ორგანიზაციის დასახელებას, რომლის სტანდარტიც მიიღება საქართველოს სტანდარტად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო შემდეგ მითითებულია სტანდარტის რიგითი ნომერი სტანდარტების რეესტრის წარმოებისა და სტანდარტის რეგისტრაციის წესის შესაბამისად.

7. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში განმცხადებელს უფლება აქვს, გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში.

8. სხვა ქვეყანაში ნიშანდების განმსაზღვრელი აქტები (სტანდარტები, რეგლამენტები და სხვა) საქართველოში უნდა დარეგისტრირდეს სტანდარტებად, თუ პროდუქტი იწარმოება საქართველოში საქართველოს ბაზრისათვის.

მუხლი 69. სტანდარტის ნებაყოფლობითობა და ხელმისაწვდომობა

1. ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სტანდარტის, მათ შორის, მეთოდის, შერჩევა ნებაყოფლობითია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტექნიკურ რეგლამენტში მითითებულია კონკრეტული სტანდარტის შესრულების სავალდებულოობა.

2. პირს შეუძლია გამოიყენოს საწარმოს შიდა სტანდარტი ან სხვა სტანდარტი, თუ ამით დაკმაყოფილდება ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები. ასეთ შემთხვევაში ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მტკიცების ტვირთი გადადის მწარმოებელზე.

3. დეკლარირებული სტანდარტის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

4. რეგისტრირებული სტანდარტი შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

მუხლი 70. ტექნიკური კომიტეტი

1. სააგენტო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით ქმნის ტექნიკურ კომიტეტებს, სტანდარტიზაციის შესაბამისი სფეროების მიხედვით. ტექნიკური კომიტეტის მუშაობაში დაინტერესებული მხარეები მონაწილეობენ ნებაყოფლობით და პარიტეტულ საფუძველზე.

2. ტექნიკური კომიტეტის ფუნქციაა საქართველოს სტანდარტების მიღება კონსენსუსის საფუძველზე.

3. ტექნიკური კომიტეტის შექმნის პროცედურა დგინდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

მუხლი 71. სააგენტო

ამ თავით და ამავე კოდექსის VII თავით განსაზღვრულ საქმიანობას ახორციელებს სააგენტო, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, სააგენტოს დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში. სააგენტოს დებულებას ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

მუხლი 72. სააგენტოს ძირითადი ფუნქციები

სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) სტანდარტების რეესტრის წარმოება და მათი ნუსხის საჯაროობის უზრუნველყოფა;

ბ) დაკანონებული გაზომვის საშუალებების ტიპების რეესტრის წარმოება;

გ) დაკანონებული გაზომვის საშუალებების ტიპების დამტკიცება/ აღიარება და დამოწმება;

დ) რეგისტრირებული სტანდარტების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ე) საქართველოში რეგისტრირებული სტანდარტებისა და ტექნიკური რეგლამენტების თაობაზე ინფორმაციის შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან გაცვლის უზრუნველყოფა;

ვ) სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში მოქმედ საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებში საქართველოს წარმოდგენა – თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ზ) სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში დადებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა;

თ) სახელმწიფო ეტალონების შენახვა, ფიზიკური სიდიდეების ერთეულების ზომების აღწარმოება, გადაცემა და მათი მიკვლევადობის უზრუნველყოფა დაკალიბრების მეშვეობით;

ი) სააგენტოს მომსახურებისათვის საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავება;

კ) საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული სხვა უფლებების განხორციელება და ვალდებულებების შესრულება.

მუხლი 73. სააგენტოს ხელმძღვანელი და მისი სამართლებრივი აქტები

1. სააგენტოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

2. სააგენტოს გენერალური დირექტორი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კანონის მიზნების განსახორციელებლად გამოსცემს ნორმატიულ აქტებს – ბრძანებებს და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს – განკარგულებებს.

3. სააგენტოს გენერალური დირექტორი წარმართავს სააგენტოს ყოველდღიურ საქმიანობას.

მუხლი 74. სააგენტოს ანგარიში

1. სააგენტო ვალდებულია თავის მიერ განხორციელებული უფლებამოსილებისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიში წარუდგინოს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს.

2. სააგენტოს ყოველწლიური ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი პირისათვის.

მუხლი 75. მეტროლოგიის ინსტიტუტი

1. სააგენტოში არსებობს სტრუქტურული ერთეული – მეტროლოგიის ინსტიტუტი, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კოდექსით.

2. მეტროლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს სააგენტოს გენერალური დირექტორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

მუხლი 76. სააგენტოს ქონება და დაფინანსება

1. დასახული მიზნების განსახორციელებლად და დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად სააგენტოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა შესაბამისი ქონება.

2. სააგენტოს დაფინანსების წყაროებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი;

ბ) სტანდარტების რეგისტრაციიდან და სააგენტოში რეგისტრირებული სტანდარტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები;

გ) მეტროლოგიური საქმიანობიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა შემოსავლები.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობების საფასურების გაანგარიშების წესს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

4. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განხორციელებული საქმიანობის საფასური დგინდება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით.

მუხლი 77. სააგენტოს სახელმწიფო კონტროლი

1. სააგენტოს სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

2. სააგენტოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგებას ყოველწლიურად ამოწმებს დამოუკიდებელი აუდიტორი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უფლებამოსილია შეამოწმოს სააგენტოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა და მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერება, მიზანშეწონილობა და ეფექტიანობა.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი უფლებამოსილია შეაჩეროს ან/და გააუქმოს სააგენტოს გენერალური დირექტორის არამართლზომიერი სამართლებრივი აქტი.

თავი VII

გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფა

მუხლი 78. ზოგადი დებულებები

ეს თავი ადგენს საქართველოში გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს, აგრეთვე მოთხოვნებს იმ გაზომვის საშუალებებისადმი:

ა) რომლებიც გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და სასამართლო ექსპერტიზის მიზნებისათვის;

ბ) რომელთა გაზომვის შედეგებიც გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციული დაჯარიმებისათვის.

მუხლი 79. ტერმინთა განმარტება

ამ თავის მიზნებისათვის ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) გაზომვის ერთეული – ფიზიკური სიდიდის სპეციფიკური მნიშვნელობა, რომელიც მიღებულია მეტრული კონვენციის შესაბამისად და რომლითაც ერთგვაროვანი სხვა ერთეულების სიდიდეები შეედარება ერთმანეთს ამ სპეციფიკური სიდიდის მიმართ მათი მნიშვნელობის დამოკიდებულების გამოსახატავად;

ბ) გაზომვის საშუალება – ტექნიკური საშუალება, რომელიც გამოიყენება გაზომვისათვის და რომელსაც აქვს ნორმირებული მეტროლოგიური მახასიათებლები;

გ) დაკანონებული გაზომვის საშუალება – გაზომვის საშუალება, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო შესაბამისობის შეფასებას ან მეტროლოგიურ კონტროლს;

დ) გაზომვის საშუალების ტიპი – დოკუმენტაციის შესაბამისი კონკრეტული კონსტრუქციის გაზომვის საშუალების დასრულებული/ სრულფასოვანი მოდელი;

ე) გაზომვის ერთეულის ეტალონი – გაზომვის საშუალება, რომელიც განკუთვნილია ფიზიკური სიდიდის ერთეულის ზომის აღწარმოებისათვის, შენახვისა და გადაცემისათვის;

ვ) დაკალიბრება – განსაზღვრულ პირობებში შესრულებული პროცედურა, რომელიც პირველ ეტაპზე ადგენს დამოკიდებულებას გაზომვის ეტალონებით/სტანდარტებით უზრუნველყოფილ სიდიდეთა მნიშვნელობებსა (გაზომვის განუსაზღვრელობებით) და შესაბამის ჩვენებებს შორის (მათთან დაკავშირებული გაზომვის განუსაზღვრელობებით) და მეორე ეტაპზე იყენებს ამ ინფორმაციას დამოკიდებულების დადგენის საშუალებით ჩვენებიდან გაზომვის შედეგის მისაღებად.

შენიშვნა: დაკალიბრება ნებაყოფლობითია და დაკალიბრების ხარჯები ეკისრება შემკვეთს. დაკალიბრებული ხელსაწყოთი ჩატარებული გაზომვები არ გამოიყენება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დასაკისრებლად;

ზ) გაზომვის საშუალების მიკვლევადობა – კონკრეტული გაზომვის საშუალების შესახებ ინფორმაცია, რომლითაც დგინდება ამ გაზომვის საშუალების კავშირი შესაბამის გაზომვის ერთეულის ეტალონთან შედარებების/ დაკალიბრების უწყვეტი ჯაჭვის მეშვეობით, რომელთაგან თითოეულს აქვს ცნობილი განუსაზღვრელობა;

თ) დაკანონებული გაზომვის საშუალების გამოსაყენებლად დაშვება – საქართველოს ბაზარზე გაზომვის საშუალების პირველადი განთავსება, მათ შორის, იმპორტი, გაზომვის საშუალების გავრცელების ან გამოყენების მიზნით;

ი) პირველადი დამოწმება – დაკანონებული გაზომვის საშუალების დამოწმება, რომელიც მანამდე არ ყოფილა დამოწმებული, მისი ექსპლუატაციაში პირველად გაშვებამდე, ასევე შეკეთებული გაზომვის საშუალების დამოწმება შეკეთების შემდეგ ექსპლუატაციაში გაშვებამდე;

კ) დამოწმება – პროცედურა, რომელიც მოიცავს გაზომვის საშუალების გარეგან დათვალიერებას, დამოწმების ნიშნის დატანას ან/და დამოწმების მოწმობის გაცემას, რომელიც ადასტურებს, რომ გაზომვის საშუალება შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 80. დაკანონებული გაზომვის საშუალებები

1. დაკანონებული გაზომვის საშუალებებია ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი გაზომვის საშუალებები, რომლებიც გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის ან/და სასამართლო ექსპერტიზის მიზნებისათვის, აგრეთვე რომელთა გაზომვის შედეგებიც გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციული დაჯარიმებისათვის.

2. დაკანონებული გაზომვის საშუალებების სავალდებულო დამოწმებისათვის განისაზღვრება შემდეგი პერიოდულობა:

ა) ალკომეტრებისათვის, რომლებიც გამოიყენება სუნთქვის დროს ალკოჰოლის ანალიზისთვის, – 6 თვე;

ბ) წყლის ხარჯმზომებისათვის:

ბ.ა) ცივი წყლის – 6 წელი;

ბ.ბ) ცხელი წყლის – 4 წელი;

ბ.გ) ცივი და ცხელი წყლის – 4 წელი;

გ) ავტომატური სასწორებისათვის – 18 თვე;

დ) არაავტომატური სასწორებისა და მათთან გამოყენებული საწონებისათვის – 18 თვე;

ე) ხარჯის საზომი საშუალებებისათვის, რომლებიც გამოიყენება სითხეებისთვის (წყლის გარდა), – 1 წელი;

ვ) ხარჯის საზომი საშუალებებისათვის – ავტოგასამართ სადგურებში მარიგებელი სვეტების მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმებისათვის, რომლებიც გამოიყენება გაზებისთვის, – 1 წელი;

ზ) გაზის მრიცხველებისათვის:

ზ.ა) მაქსიმალური ხარჯით $Q_{MAX} \leq 10 მ^3$/სთ – 10 წელი;

ზ.ბ) მაქსიმალური ხარჯით $Q_{MAX} > 10 მ^3$/სთ – 4

წელი;

თ) ჭურჭელში (ცისტერნა, ავზი და სხვა) სითხის დონის მზომებისათვის – 2 წელი;

ი) ხმაურმზომებისათვის – 18 თვე;

კ) სიჩქარის მზომებისათვის – 1 წელი;

ლ) ელექტროენერგიის მრიცხველებისათვის – 12 წელი;

მ) მინის შუქგამტარობის განმსაზღვრელი ხელსაწყოებისათვის – 1 წელი.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი დაკანონებული გაზომვის საშუალების პირველადი დამოწმებისა და სავალდებულო პერიოდული დამოწმების ხარჯების ანაზღაურება ეკისრება პირს, რომელიც გაზომვის საშუალებას იყენებს ადმინისტრაციული დაჯარიმების, საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და სასამართლო ექსპერტიზის მიზნებისათვის. არაპერიოდული დამოწმების ჩატარება შეიძლება მოითხოვოს გაზომვის საშუალების მომხმარებელმა. ამ შემთხვევაში დამოწმების ხარჯების ანაზღაურება ეკისრება თავად მომხმარებელს.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სფეროში განხორციელებული გაზომვების შედეგების დაფიქსირებისას გამოყენებული უნდა იქნეს ერთეულთა საერთაშორისო სისტემის ერთეულები.

5. დაფასოებული საქონლის ნიშანდებისათვის ერთეულთა საერთაშორისო სისტემის ერთეულებთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამატებითი აღნიშვნები, გამოსახული ერთეულთა საერთაშორისო სისტემის ერთეულებისაგან განსხვავებულ ერთეულებში.

6. დაკანონებული გაზომვის საშუალებისადმი მოთხოვნები და მისი შენახვის წესი დგინდება ტექნიკური რეგლამენტით. ასევე ტექნიკური რეგლამენტით დგინდება დაკანონებულ გაზომვის საშუალებათა კლასიფიკაცია ცდომილებათა ხარისხის გათვალისწინებით.

7. საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოყენებული დაკანონებული გაზომვის საშუალების დამოწმების ჩატარება არ უნდა იწვევდეს მისი მომხმარებლისათვის წყლის, ელექტროენერგიის ან გაზის მიწოდების შეფერხებას, თუ დამოწმების ჩატარება მას არ მოუთხოვია.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების მოქმედება არ ვრცელდება საცალო და საბითუმო ვაჭრობაში გამოყენებულ სასწორებსა და საწონებზე.

მუხლი 81. სახელმწიფო (ეროვნული) ეტალონი

1. სახელმწიფო (ეროვნული) ეტალონი უმაღლესი სიზუსტით ახდენს გაზომვის ერთეულის მნიშვნელობის აღწარმოებას, ინახავს მას და არის გაზომვების ერთიანობისა და სისწორის საფუძველი საქართველოში.

2. სახელმწიფო (ეროვნული) ეტალონი უნდა იყოს საერთაშორისო ან სხვა ქვეყნების სახელმწიფო ეტალონების მიმართ შედარებადი ან ერთგვაროვანი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოსა და სხვა ქვეყნებში ჩატარებული გაზომვების თავსებადობა (შესაბამისობა).

3. სახელმწიფო (ეროვნული) ეტალონის შენახვას უზრუნველყოფს სააგენტო.

4. სააგენტო ვალდებულია გამოაქვეყნოს ინფორმაცია სახელმწიფო (ეროვნული) ეტალონის გაუქმების თაობაზე.

მუხლი 82. გაზომვის საშუალების ტიპის დამტკიცება და დამოწმება

1. დაკანონებული გაზომვის საშუალება (გარდა ნიმუშის სახით წარმოებული ან/და ნიმუშის სახით იმპორტირებული გაზომვის საშუალებისა) საჭიროებს ტიპის დამტკიცებას და ექვემდებარება პირველად და პერიოდულ დამოწმებას.

2. განსაკუთრებული დანიშნულებით ერთეულ ეგზემპლარად შემოტანილი გაზომვის საშუალება არ საჭიროებს ტიპის დამტკიცებას და ექვემდებარება პირველად და პერიოდულ დამოწმებას.

3. დაკანონებული გაზომვის საშუალების ტიპს ამტკიცებს სააგენტო.

4. დაკანონებული გაზომვის საშუალების პირველად და პერიოდულ დამოწმებას ახორციელებს სააგენტო ან დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამამოწმებელი აკრედიტებული პირი. დამოწმება ხორციელდება ტექნიკური რეგლამენტის საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების, შეცვლისა და გაუქმების მექანიზმებს.

5. სააგენტო ვალდებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე აღიაროს სხვა ქვეყანაში დამტკიცებული ტიპი და პირველადი დამოწმება (შესაბამისობის შეფასება). ასეთი ქვეყნების ნუსხას ადგენს საქართველოს მთავრობა.

6. სააგენტო უფლებამოსილია ტიპის დამტკიცებისას ან განსაკუთრებული დანიშნულებით ერთეულ ეგზემპლარად დამზადებული გაზომვის საშუალების პირველადი დამოწმებისას მოითხოვოს გაზომვის საშუალების ტექნიკური დოკუმენტაცია ქართულ ენაზე.

7. დაკანონებული გაზომვის საშუალებების ტიპების რეესტრში რეგისტრირდება აგრეთვე ის გაზომვის საშუალებები, რომელთა ტიპის დამტკიცების დოკუმენტაციაში ან მწარმოებლის დოკუმენტაციაში მითითებული დამოწმებათაშორისი ინტერვალი ამ კოდექსის მე-80 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ პერიოდზე ნაკლებია. ამ შემთხვევაში დამოწმებათაშორისი ინტერვალი ამ კოდექსის მე-80 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი პერიოდია.

მუხლი 83. ტიპის დამტკიცების ნიშანი

1. ტიპის დამტკიცების შემდეგ მწარმოებელი ან იმპორტიორი ვალდებულია ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშანი დაიტანოს დაკანონებულ

გაზომვის საშუალებაზე ან თანდართულ დოკუმენტზე.

2. თუ გაზომვის საშუალება არ საჭიროებს ტიპის დამტკიცებას, მწარმოებელს ან იმპორტიორს, საკუთარი პასუხისმგებლობით, შეუძლია საკუთარი ნიშანი დაიტანოს გაზომვის საშუალებაზე. ამ შემთხვევაში ასეთი ნიშანი მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშნისაგან.

3. ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშანი დატანილი უნდა იქნეს დაკანონებული გაზომვის საშუალების გამოსაჩენ ადგილას. ტიპის დამტკიცების ნიშანი მკაფიო უნდა იყოს და არ უნდა იშლებოდეს.

4. ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშანი და მის დატანასთან დაკავშირებული მოთხოვნები დგინდება ტექნიკური რეგლამენტით.

მუხლი 84. დაკანონებული გაზომვის საშუალების დამოწმება

1. დაკანონებული გაზომვის საშუალების დამოწმება მოიცავს გარეგან დათვალიერებას, მეტროლოგიური მახასიათებლების დადგენას, დამტკიცებულ ტიპთან მისი შესაბამისობის შეფასებასა და დადასტურებას.

2. დაკანონებული გაზომვის საშუალების პერიოდული დამოწმება ტარდება პირველადი დამოწმების შემდეგ, ამ კოდექსის მე-80 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი პერიოდულობით.

3. თუ სააგენტო ან აკრედიტებული პირი დამოწმებას ატარებს თავისი სამუშაო ადგილის გარეთ, ის უფლებამოსილია განმცხადებელს მოსთხოვოს გაზომვის საშუალების დამოწმების ჩასატარებლად აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა.

4. დამოწმების დადებითი შედეგების შემთხვევაში გაიცემა დამოწმების მოწმობა ან/და დაკანონებულ გაზომვის საშუალებაზე დაიტანება დამოწმების ნიშანი. დაკანონებულ გაზომვის საშუალებაზე დამოწმების ნიშნის დატანასთან დაკავშირებული მოთხოვნები დგინდება ტექნიკური რეგლამენტით.

5. დაკანონებული გაზომვის საშუალების დამოწმების მოქმედების ვადის ათვლა იწყება დამოწმების თარიღიდან, რომელიც მითითებული უნდა იყოს დამოწმების მოწმობაში.

6. დაკანონებული გაზომვის საშუალების დამოწმება უქმდება, თუ:

ა) დამოწმების მოქმედების ვადა გავიდა;

ბ) გაზომვის საშუალებამ განიცადა ისეთი ცვლილება ან მოდიფიკაცია, რომელიც გავლენას ახდენს მის მეტროლოგიურ მახასიათებლებზე;

გ) გაზომვის საშუალება ისე დაზიანდა, რომ შესაძლებელი გახდა მისი მეტროლოგიური მახასიათებლის შეცვლა.

7. დაკანონებული გაზომვის საშუალების დამოწმების პროცედურები დგინდება ტექნიკური რეგლამენტით.

მუხლი 85. საექსპერტო (ოფიციალური) გაზომვა

1. საექსპერტო (ოფიციალური) გაზომვა ტარდება გაზომვის შედეგების თაობაზე დავის წარმოშობის შემთხვევაში, დაინტერესებული მხარის ან სახელმწიფო ორგანოს მოთხოვნით.

2. საექსპერტო (ოფიციალური) გაზომვის ჩატარების წესი დგინდება ტექნიკური რეგლამენტით.

მუხლი 86. სახელმწიფო რეესტრი

1. სახელმწიფო (ეროვნული) ეტალონები და დაკანონებული გაზომვის საშუალებების ტიპები რეგისტრირებული უნდა იქნეს სახელმწიფო რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სააგენტო.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული რეესტრის ფორმასა და წარმოების წესს ადგენს სააგენტო.

3. სააგენტო ვალდებულია უზრუნველყოს სახელმწიფო რეესტრში არსებული ინფორმაციის მუდმივი განახლება და საჯაროობა.

თავი VIII
შესაბამისობის შეფასება

მუხლი 87. მოქმედების სფერო

1. ეს კოდექსი ადგენს შესაბამისობის შეფასების ობიექტის – მასალის, პროდუქტის, მომსახურების, პროცესის, სისტემის, პირის – შესაბამისობის შეფასების სამართლებრივ საფუძვლებს.

2. ამ კოდექსის შესაბამისად ხორციელდება შესაბამისობის შეფასების ობიექტის ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

3. შესაბამისობის შეფასების სავალდებულოობა დგინდება კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში ან შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის საფუძველზე, რომლის მიზანია ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოსათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილება.

4. დაუშვებელია პროდუქტის შესაბამისობის შეფასების მოთხოვნა ბაზარზე განთავსებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი მოთხოვნა უშუალოდ ტექნიკური რეგლამენტიდან გამომდინარეობს.

5. პროდუქტი, რომელიც შეკეთდა ბაზარზე განთავსების დროს, თავდაპირველი ფუნქციის, ტიპის და მიზნის ცვლილების გარეშე, არ ექვემდებარება ხელახალ შესაბამისობის შეფასებას, თუ ტექნიკური რეგლამენტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6.რეგულირებულისფეროსგარდა,სხვასფეროში შესაბამისობის შეფასება ნებაყოფლობითია, მათ შორის, პროდუქტის ბაზარზე განთავსებისათვის, და ხორციელდება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 88. ტერმინთა განმარტება

ამ თავის მიზნებისათვის ტერმინებს აქვს

შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აღიარება – სხვა პირის მიერ დადგენილი შესაბამისობის შეფასების შედეგების აღიარება უფლებამოსილი პირის მიერ;

ბ) ცალმხრივი აღიარება – აღიარება, რომლის მიხედვით ერთი მხარე იღებს ან აღიარებს მეორე მხარის შესაბამისობის შეფასების შედეგებს;

გ) ორმხრივი აღიარება – აღიარება, რომლის მიხედვით თითოეული მხარე იღებს ან აღიარებს მეორე მხარის შესაბამისობის შეფასების შედეგებს;

დ) მრავალმხრივი აღიარება – აღიარება, რომლის მიხედვით ორზე მეტი მხარე აღიარებს ან იღებს თითოეული მხარის შესაბამისობის შეფასების შედეგებს;

ე) სერტიფიკაცია – სერტიფიკაციის ორგანოს მიერ ჩატარებული, განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების ატესტაცია ობიექტის შესაბამისობის დადასტურების მიზნით;

ვ) შესაბამისობის დეკლარაცია – დოკუმენტი, რომლითაც მწარმოებელი ადასტურებს წარმოებული ან/და ბაზარზე განთავსებული პროდუქტის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას;

ზ) ტესტირება (გამოცდა) – შესაბამისობის შეფასების ობიექტის ერთი ან მეტი მახასიათებლის განსაზღვრა პროცედურების შესაბამისად;

თ) ინსპექტირება – პროდუქტის საპროექტო დოკუმენტაციის შემოწმება, პროდუქტის, პროცესის ან მონტაჟის დადგენილ მოთხოვნებთან ან, პროფესიული განსჯის საფუძველზე, ზოგად მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრა. პროცესის ინსპექტირება შეიძლება მოიცავდეს პირის, მოწყობილობის, ტექნოლოგიისა და მეთოდოლოგიის შემოწმებას.

მუხლი 89. რეგულირებულ სფეროში
შესაბამისობის შეფასების მოდულები და ქვემოდულები

1. რეგულირებულ სფეროში შესაბამისობის შეფასება შეიძლება განხორციელდეს მოდულებით (ქვემოდულებად).

2. რეგულირებულ სფეროში შესაბამისობის შეფასების მოდულებია:

ა) მოდული A – შიდა საწარმოო კონტროლი – შესაბამისობის შეფასება, რომელსაც ახორციელებს მწარმოებელი;

ბ) მოდული B – პროდუქტის ნიმუშის (პროტოტიპის) შესაბამისობის შეფასება, რომელსაც ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო;

გ) მოდული C – ტიპთან შესაბამისობა, დაფუძნებული შიდა საწარმოო კონტროლზე – შესაბამისობის შეფასება, როდესაც უფლებამოსილი ორგანო გამოცდის პროდუქტის კონკრეტულ მახასიათებლებს და შერჩევით ამოწმებს დადგენილ მოთხოვნებთან პროდუქტის შესაბამისობას;

დ) მოდული D – ტიპთან შესაბამისობა, დაფუძნებული წარმოების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფაზე – შესაბამისობის შეფასება, როდესაც უფლებამოსილი ორგანო საწარმოში ამოწმებს წარმოების ხარისხის სისტემას ან მის ნაწილებს და ზედამხედველობს სისტემის სათანადო ფუნქციონირებას;

ე) მოდული E – ტიპთან შესაბამისობა, დაფუძნებული პროდუქტის ხარისხის უზრუნველყოფაზე – შესაბამისობის შეფასება, როდესაც უფლებამოსილი ორგანო საწარმოში ამოწმებს პროდუქტის ხარისხის სისტემას ან მის ნაწილებს და ზედამხედველობს სისტემის სათანადო ფუნქციონირებას;

ვ) მოდული F – შესაბამისობა, დაფუძნებული პროდუქტის შემოწმებაზე – სერტიფიცირებულ ტიპთან ან დადგენილ მოთხოვნებთან პროდუქტის შესაბამისობის შემოწმება, რომელსაც ახორციელებს მწარმოებელი, იმპორტიორი, აკრედიტებული ან უფლებამოსილი ორგანო თითოეულ პროდუქტზე ან სტატისტიკურად შერჩეულ ნიმუშზე;

ზ) მოდული G – შესაბამისობა, დაფუძნებული თითოეული პროდუქტის შემოწმებაზე – უფლებამოსილი ორგანოს მიერ თითოეული პროდუქტის ყველა დადგენილ მოთხოვნასთან შესაბამისობის შემოწმება;

თ) მოდული H – შესაბამისობა, დაფუძნებული ხარისხის სრულ უზრუნველყოფაზე – უფლებამოსილი ორგანოს მიერ საწარმოში ხარისხის სისტემის სათანადო ფუნქციონირების ზედამხედველობა და, საჭიროების შემთხვევაში, დაპროექტების ეტაპზე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებთან პროდუქტის შესაბამისობის შეფასება.

3. შესაბამისობის შეფასების მოდულები და ქვემოდულები და მათთან დაკავშირებული პროცედურები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

4. კონკრეტული ტექნიკური რეგლამენტით განისაზღვრება შესაბამისობის შეფასების ის მოდული (ქვემოდული) ან მათი კომბინაცია, რომელიც ადგენს მოქმედებათა თანამიმდევრობას შესაბამისობის შეფასებისას, რომლის შედეგები განიხილება, როგორც შესაბამისობის შეფასების ობიექტის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის მტკიცებულება, და რომლის საფუძველზედაც გაიცემა შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. რეგულირებულ სფეროში დაუშვებელია შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე შესაბამისობის შეფასების ობიექტის ბაზარზე განთავსება ან ფუნქციონირება, თუ ეს ტექნიკური რეგლამენტით არის გათვალისწინებული.

6. რეგულირებულ სფეროში შესაბამისობის შეფასების ობიექტის ბაზარზე განმათავსებელი ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს წარუდგინოს დადგენილ მოთხოვნებთან ობიექტის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 90. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო

რეგულირებულ სფეროში შესაბამისობის შეფასების განხორციელების უფლება აქვს დადგენილი წესით აკრედიტებულ ან სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილ სხვა ორგანოს, ასევე საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ქვეყნების შესაბამისობის შემფასებელ ორგანოებს, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 91. შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები

შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტებია:

ა) შესაბამისობის დეკლარაცია – დოკუმენტი, რომლითაც მწარმოებელი ადასტურებს შესაბამისობის შეფასების ობიექტის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას;

ბ) შესაბამისობის სერტიფიკატი – დოკუმენტი, რომლითაც სერტიფიკაციის ორგანო ადასტურებს შესაბამისობის შეფასების ობიექტის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას;

გ) ინსპექტირების სერტიფიკატი ან/და ოქმი – დოკუმენტი, რომლითაც ინსპექტირების ორგანო ადასტურებს ან არ ადასტურებს შესაბამისობის შეფასების ობიექტის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

მუხლი 92. საზღვარგარეთ გაცემული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი

1. პროდუქტის უსაფრთხოების სათანადო სტანდარტებისა და განვითარებული ხარისხის ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნებში დადგენილი წესით გაცემული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები აღიარებულად ითვლება დამატებითი პროცედურების გარეშე. ასეთ შემთხვევაში შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე ან ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანით. ასეთი ქვეყნების ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

2. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში შესაბამისობის შეფასებას ახორციელებს საქართველოში ან MRA-ის (ურთიერთაღიარების შეთანხმება)/ MLA-ის (მრავალმხრივი აღიარების შეთანხმება), ILAC-ის (საერთაშორისო თანამშრომლობა ლაბორატორიების აკრედიტაციაში), IAF (აკრედიტაციის საერთაშორისო ფორუმი), EA-ის (ევროპული თანამშრომლობა აკრედიტაციაში) ხელმომწერ სახელმწიფოში აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი პირი.

მუხლი 93. შესაბამისობის ნიშანი

1. შესაბამისობის ნიშანი მიუთითებს, რომ პროდუქტის შესაბამისობის შეფასება განხორციელებულია და პროდუქტი შეესაბამება მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

2. შესაბამისობის ნიშანი პროდუქტზე დაიტანება ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევაში და გათვალისწინებული სახით/ წესით.

3. შესაბამისობის ნიშანს პროდუქტზე მის ბაზარზე განთავსებამდე დაიტანს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირი.

4. პროდუქტზე შეიძლება დატანილ იქნეს სხვა ნიშანიც, თუ იგი არ გამოიწვევს შესაბამისობის ნიშანთან აღრევას და არ შეამცირებს მის აღქმადობას.

მუხლი 94. პროდუქტის ნიშანდება

1. პროდუქტის ნიშანდება არის პასუხისმგებელი პირის მიერ იმის დეკლარირება, რომ:

ა) პროდუქტი შეესაბამება ახალი მიდგომის ტექნიკურ რეგლამენტებს და საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას;

ბ) პროდუქტს გავლილი აქვს შესაბამისობის შეფასების პროცედურები.

2. ნიშანი პროდუქტზე დატანილი უნდა იქნეს ნათლად, ადვილად უნდა იკითხებოდეს და მარტივად არ უნდა იშლებოდეს პროდუქტზე ან მის მონაცემების ნაწილზე. თუ პროდუქტი არ იძლევა ამის საშუალებას, ნიშანი დატანილი უნდა იქნეს პროდუქტის შეფუთვაზე და თანმხლებ დოკუმენტებზე, თუ ეს ტექნიკური რეგლამენტით არის მოთხოვნილი.

3. საქართველოში საქართველოს ბაზრისთვის წარმოებული პროდუქტი, რომელიც ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტებით რეგულირდება, წარმოებული უნდა იყოს ამ რეგლამენტების შესაბამისად. ასეთ პროდუქტზე დაიტანება GE ნიშანი.

4. პროდუქტის ნიშანდების წესი და ნიშნის ფორმა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

5. ევროკავშირში მოქმედი მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი CE ნიშნის მქონე პროდუქტი საქართველოში დაიშვება დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე.

მუხლი 95. ხანდაზმულობის ვადა

შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ინახება პროდუქტის წარმოების ბოლო დღიდან 6 წლის განმავლობაში მაინც, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტექნიკური რეგლამენტით ან კანონით სხვა ვადაა დადგენილი.

თავი IX
აკრედიტაცია

მუხლი 96. აკრედიტაციის ეროვნული სისტემა

1. აკრედიტაცია არის ოფიციალური საექსპერტო შეფასება, რომლის საფუძველზედაც საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის

ცენტრი (შემდგომ – აკრედიტაციის ცენტრი) აკრედიტაციის მოწმობის გაცემით ოფიციალურად აღიარებს შესაბამისობის შემფასებელი პირის კომპეტენტურობას შესაბამისობის შეფასების სფეროში განსაზღვრული (სპეციფიკური) საქმიანობის განხორციელებისათვის. აკრედიტაციის ცენტრი არ არის შესაბამისობის შემფასებელი ორგანო.

2. აკრედიტაცია ნებაყოფლობითია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონით პირდაპირ არის განსაზღვრული აკრედიტაციის სავალდებულოობა.

3. აკრედიტაციის ეროვნული სისტემა ემყარება ერთიან წესებსა და პრინციპებს.

4. აკრედიტაციის ცენტრი ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიების, სერტიფიკაციის ორგანოების (მათ შორის, ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატის გამცემი პირების), ინსპექტირების ორგანოების (მათ შორის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრების, დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამამოწმებელი პირის) აკრედიტაციას როგორც საქართველოში, ისე მისი ფარგლების გარეთ, დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში.

მუხლი 97. აკრედიტაციის საფუძველი

1. სხვადასხვა ტიპის შესაბამისობის შემფასებელ პირთა აკრედიტაცია ხორციელდება აკრედიტაციის ცენტრის მიერ მიღებული იმ წესებისა და პროცედურების საფუძველზე, რომლებიც ეფუძნება შესაბამის, აკრედიტაციის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაციების მიერ მიღებულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტებს.

2. აკრედიტაციის წესები და პროცედურები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

3. აკრედიტაციის ცენტრი აკრედიტაციას ახორციელებს დაინტერესებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

4. პირისათვის აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში გაიცემა აკრედიტაციის მოწმობა.

მუხლი 98. აკრედიტაციის მოწმობა და ვადა

1. აკრედიტაციის მოწმობა არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი. იგი გაიცემა აკრედიტაციის ცენტრის მიერ განსაზღვრული ვადით, რომელიც საერთოა ერთი ტიპის აკრედიტებული პირებისათვის. აკრედიტაციის მოწმობა არის აკრედიტაციის დამადასტურებელი მტკიცებულება.

2. აკრედიტაციის ვადის განმავლობაში აკრედიტებული პირი უნდა აკმაყოფილებდეს აკრედიტაციის პირობებს.

მუხლი 99. აკრედიტაციის ცენტრი

1. აკრედიტაციის ცენტრის დებულებას, სტრუქტურას და საშტატო ნუსხას ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

2. აკრედიტაციის ცენტრს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის წარდგინებით.

3. აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კანონის მიზნების განსახორციელებლად გამოსცემს ნორმატიულ აქტებს – ბრძანებებს და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს – განკარგულებებს.

4. აკრედიტაციის ცენტრი ახორციელებს შესაბამისობის შემფასებელ პირთა აკრედიტაციის, აკრედიტებული პირების მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგსა და ზედამხედველობას, აგრეთვე შეიმუშავებს აკრედიტაციის წესებსა და პროცედურებს.

5. აკრედიტაციის ცენტრი აკრედიტაციასა და მონიტორინგს ახორციელებს დაინტერესებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, დადგენილი საფასურის სანაცვლოდ, რომლის ოდენობასა და განსაზღვრის წესს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

6. აკრედიტაციის ცენტრი, საჭიროების შემთხვევაში, ქმნის სექტორულ ტექნიკურ კომიტეტებს, რომლებიც აკრედიტაციის ცენტრს უწევენ კონსულტაციას სპეციფიკური ტექნიკური საკითხების გადაწყვეტაში.

7. აკრედიტაციის ცენტრი დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე განიხილავს აკრედიტებულ პირთან დაკავშირებულ საჩივარს და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ პრეტენზიას.

8. აკრედიტაციის ცენტრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელსაც უფლება აქვს, მოითხოვოს ამისთვის საჭირო მასალები და ინფორმაცია.

9. აკრედიტაციის ცენტრი თავისი საქმიანობის შესახებ ადგენს ყოველწლიურ ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს აკრედიტაციის ეროვნულ საბჭოს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. აკრედიტაციის ცენტრი უზრუნველყოფს ამ ანგარიშის დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობას.

10. აკრედიტაციის ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებში;

ბ) ამყარებს ურთიერთობებს სხვადასხვა ორგანიზაციასთან, პირთან და სხვა ქვეყნის აკრედიტებულ ორგანოებთან.

11. დასახული მიზნების განსახორციელებლად

და დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად აკრედიტაციის ცენტრს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა შესაბამისი ქონება.

12. აკრედიტაციის ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი;

ბ) აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის სახით მიღებული შემოსავალი. ამ საფასურის განსაზღვრის წესს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა, მათ შორის:

ბ.ა) აკრედიტაციისა და მონიტორინგის განხორციელებით მიღებული შემოსავალი;

ბ.ბ) ხელშეკრულების საფუძველზე დაინტერესებული პირისთვის ჩატარებული სწავლებებიდან მიღებული შემოსავალი;

ბ.გ) კონფერენციების ორგანიზებიდან მიღებული შემოსავალი;

გ) ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა შემოსავლები.

მუხლი 100. აკრედიტაციის ეროვნული საბჭო

1. აკრედიტაციის ეროვნული საბჭო არის სხვადასხვა დაინტერესებული მხარისაგან პარიტეტულ საწყისებზე შემდგარი, აკრედიტაციის ცენტრის საკონსულტაციო ორგანო, რომელიც მონაწილეობს აკრედიტაციის სფეროს პოლიტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციების განხილვასა და შემუშავებაში.

2. აკრედიტაციის ეროვნული საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესს ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

მუხლი 101. აკრედიტებულ პირთა რეესტრი

1. აკრედიტაციის ცენტრი აწარმოებს და მუდმივად აახლებს აკრედიტებულ პირთა რეესტრს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას.

2. აკრედიტებულ პირთა რეესტრის ფორმასა და წარმოების წესს ამტკიცებს აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი.

მუხლი 102. აკრედიტაციის ეროვნული ნიშანი (ლოგო)

1. აკრედიტაციის ეროვნული ნიშანი (ლოგო) არის აკრედიტაციის ცენტრის საიდენტიფიკაციო ნიშანი, რომლის გამოყენების წესს ადგენს აკრედიტაციის ცენტრი.

2. აკრედიტაციის ეროვნული ნიშნის (ლოგოს) გამოყენებით შესაბამისობის შემფასებელი ორგანო აცხადებს, რომ მისი კომპეტენტურობა დაადასტურა აკრედიტაციის ცენტრმა და იგი აკმაყოფილებს აკრედიტაციის ცენტრის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

თავი X

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 103. გარდამავალი დებულებები

1. შესაბამისმა უწყებებმა 2012 წლის 31 დეკემბრამდე საქართველოს მთავრობას წარუდგინონ მისაღები ტექნიკური რეგლამენტების პროექტები მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების (ნორმების, წესების, ინსტრუქციების, მოთხოვნების) რევიზიის შედეგად.

2. ამ კოდექსის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში საქართველოს მთავრობამ დადგენილებით დაამტკიცოს და გამოაქვეყნოს საქართველოში მოქმედი/რეგისტრირებული ტექნიკური რეგლამენტების ნუსხა.

3. საქართველოს მთავრობამ წელიწადში ერთხელ გამოაქვეყნოს ტექნიკური რეგლამენტების რეესტრში რეგისტრირებული, მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების განახლებული სია.

4. ამ კოდექსის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს იმ ქვეყნების ნუსხა, რომელთა ტექნიკური რეგლამენტები საქართველოში სამოქმედოდ არის დაშვებული.

5. ამ კოდექსის ამოქმედებამდე სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი, რომელიც შინაარსობრივად ტექნიკური რეგლამენტია, ექვემდებარება ამ კოდექსის 57-ე მუხლით დადგენილი შესაბამისი ფორმით გამოცემას და ტექნიკური რეგლამენტების რეესტრში რეგისტრაციას.

6. ამ კოდექსის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ განსაზღვროს მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტების უწყებრივი რეესტრის წარმოების წესი.

7. ამ კოდექსის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ დაადგინოს ამავე კოდექსის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შესაბამისი პასუხისმგებლობის დაზღვევისათვის სადაზღვევო კომპანიების შერჩევის კრიტერიუმები და დაზღვევის წესი.

8. ამ კოდექსის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – აკრედიტაციის ერთიანმა ეროვნულმა ორგანომ – აკრედიტაციის ცენტრმა უზრუნველყოს ამავე კოდექსის მოთხოვნათა თავის ნორმატიულ აქტებში ასახვა.

9. 2013 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ამ კოდექსის მე-18 მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტის შემუშავება და დადგენილი წესით მიღება.

10. ამ კოდექსის ამოქმედებიდან 4 თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ამ კოდექსის ამოქმედებიდან 4 თვის

ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ჩამოყალიბების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

12. ამ კოდექსის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დაამტკიცოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულება და საშტატო ნუსხა.

13. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო ჩაითვალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის უფლებამონაცვლედ, გარდა ამ მუხლის მე-14 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისისა.

14. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის უფლებამონაცვლედ 1998–2003 წლებში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების (შრომის ანაზღაურების, სხვა საქონლისა და მომსახურების) ნაწილში ჩაითვალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

15. ამ კოდექსის ამოქმედებიდან 4 თვის ვადაში შესაბამისმა უწყებებმა უზრუნველყონ ამავე კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადებული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტების კოდექსთან შესაბამისობა.

16. ამ მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელებამდე მოქმედებს ამ კოდექსის 104-ე მუხლით გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტები.

17. ამ კოდექსის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში შესაბამისმა უწყებებმა უზრუნველყონ მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში სათანადო ცვლილებების შეტანა არაარსებითი, არსებითი და კრიტიკული შეუსაბამობების განსაზღვრის მიზნით.

18. ამ კოდექსის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს იმ ქვეყნების ნუსხა, რომელთა შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიერ გაცემული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები აღიარებულია საქართველოში.

19. ამ კოდექსის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს იმ ქვეყნებიდან იმპორტირებული, შესაბამისობისშეფასებისადმიდაქვემდებარებული ობიექტების მიერ შესაბამისობის შეფასების პროცედურის გავლის წესი, რომლებიც არ არის განსაზღვრული ამ მუხლის მე-18 ნაწილში აღნიშნულ დადგენილებაში.

20. ამ კოდექსის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ განსაზღვროს იმ ქვეყნების ნუსხა, რომლებშიც წარმოებულია რეგულირებული სფეროსთვის მიკუთვნებული პროდუქტი, რომელიც საქართველოს ბაზარზე განთავსდება შეზღუდვის გარეშე.

21. ამ კოდექსის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ განსაზღვროს შესაბამისობის შეფასების მოდულები და ქვემოდულები და მათთან დაკავშირებული პროცედურები.

22. ამ კოდექსის 89-ე მუხლით დადგენილი მოდულების შესაბამისად ქვემოდულები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

23. საქართველოს მთავრობა ადგენს იმ ქვეყნებისა და იურისდიქციების ნუსხას, რომელთა შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტი საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაიშვება.

24. ამ კოდექსთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის მიზნით საქართველოს მთავრობამ ამავე კოდექსის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს პარლამენტისთვის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პროექტების წარდგენა.

25. განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე 2012 წლამდე არ განხორციელდეს ამ კოდექსით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი.

26. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება ამავე კოდექსის ამოქმედებამდე არსებულ ყველა არაფუნქციონირებად/მიტოვებულ, დანგრეულ შენობა-ნაგებობაზე, რომლებიც მოექცევა ამავე კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ ზონაში, ხოლო 6-თვიანი ვადის დინება დაიწყება შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის მიერ იმავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ზონის განსაზღვრის შესახებ მიღებული აქტის ამოქმედების დღიდან.

27. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება ამავე კოდექსის 46-ე და 47-ე მუხლებით გათვალისწინებულ იმ სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებაზედაც, რომლებიც მის ამოქმედებამდე დაიწყო.

28. ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებული, „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება, რომელზედაც გადაწყვეტილება არ არის

მიღებული, დასრულდეს ამავე კოდექსის 44-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

29. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სამართალმემკვიდრე.

30. ამ კოდექსის ამოქმედებისთანავე მეწარმე სუბიექტის სტანდარტი (მსტ) ჩაითვალოს საწარმოს შიდა სტანდარტად. იგი რეგისტრაციას არ საჭიროებს.

მუხლი 104. დასკვნითი დებულებები

1. ამ კოდექსის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) საქართველოს 1996 წლის 20 მარტის კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ (პარლამენტის უწყებანი, №007, 30.04.96, გვ. 7);

ბ) საქართველოს 1999 წლის 25 ივნისის კანონი „სტანდარტიზაციის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №30(37), 1999 წელი, მუხ. 162);

გ) საქართველოს 1996 წლის 6 სექტემბრის კანონი „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ (პარლამენტის უწყებანი, №22-23, 17 ოქტომბერი, 1996, გვ. 25);

დ) საქართველოს 1996 წლის 6 სექტემბრის კანონი „გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“ (პარლამენტის უწყებანი, №22-23, 17 ოქტომბერი, 1996, გვ. 36);

ე) საქართველოს 2010 წლის 8 აპრილის კანონი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №20, 19.04.2010, მუხ. 112).

2. 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა ტექნიკური რეგლამენტი (ნორმები, წესები, ინსტრუქციები, მოთხოვნები), რომლებიც სათანადო წესით არ იქნება მიღებული, ძალადაკარგულად ჩაითვლება.

3. ეს კოდექსი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი

თბილისი,
2012 წლის 8 მაისი.
№6157-Iს

საქართველოს კანონი
თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის
შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი ადგენს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპებს, რაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

2. ამ კანონით განისაზღვრება თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის არამართლზომიერად შემზღუდველი ქმედებები, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის დარღვევის თავიდან აცილებისა და აღკვეთის სამართლებრივი საფუძვლები და უფლებამოსილი ორგანოს კომპეტენცია.

3. ეს კანონი ვრცელდება:

ა) ისეთ ქმედებაზე, რომელიც ხორციელდება შესაბამის ბაზარზე და არამართლზომიერად ზღუდავს საქართველოს საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე არსებულ თავისუფალ ვაჭრობასა და კონკურენციას;

ბ) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს იმ ქმედებაზე ან/და გადაწყვეტილებაზე, ან იმ სამართლებრივ ნორმაზე, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს ან შეუძლია მნიშვნელოვნად შეზღუდოს კონკურენტული გარემო და თავისუფალი ვაჭრობა.

4. ეს კანონი არ ვრცელდება:

ა) ინტელექტუალური საკუთრების უფლებაზე;

ბ) „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ურთიერთობაზე;

გ) თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში მოქმედი ეკონომიკური აგენტის საქმიანობაზე;

დ) ქვეყნის უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტზე;

ე) შრომით ურთიერთობაზე;

ვ) ბაზარზე, რომლის საბაზრო ბრუნვა არ აღემატება მთლიანი შიდა პროდუქტის 0,25 პროცენტს;

ზ) თავდაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის საჭირო საქონელსა და მომსახურებაზე.

5. ამ კანონის რეგულირების სფერო არ არის ფასწარმოქმნა.

მუხლი 2. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, კერძოდ:

ა) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა;

ბ) ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა;

გ) ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა;

დ) ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა;

ე) დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა;

ვ) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობა, რომელიც იწვევს კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდვას;

ზ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალური საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

მუხლი 3. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ეკონომიკური აგენტი – პირი, რომელიც, განურჩევლად რეზიდენტობისა, საწარმოს სამართლებრივი ფორმისა, ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და სხვა გაერთიანება, რომლებიც არიან ბაზრის მონაწილეები ან/და ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას;

ბ) კონკურენცია – შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად;

გ) კონკურენტი ეკონომიკური აგენტი – შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი;

დ) პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი – დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შესაბამის ბაზარზე შესასვლელად;

ე) არაკონკურენტი ეკონომიკური აგენტი – ეკონომიკური აგენტი, რომელიც არ არის კონკურენტი ეკონომიკური აგენტი;

ვ) ურთიერთჩანაცვლებადი საქონელი და მომსახურება – საქონელი ან საქონელთა ჯგუფი ან/და მომსახურება ან მომსახურებათა ჯგუფი, რომელთაგან ერთ-ერთი ფუნქციური დანიშნულების, გამოყენების, მოთხოვნის არსებითად დაკმაყოფილების ან სხვა მახასიათებლების მიხედვით შეიძლება მეორით ჩანაცვლდეს მოხმარების ან/და საწარმოო პროცესში;

ზ) შესაბამისი ბაზარი – არეალი, სადაც ხდება ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან/და მომსახურების მიმოქცევა და რომელიც მოიცავს საქართველოს საბაჟო საზღვარს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში აღემატება კიდეც მას. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დაუკვირვებადი ეკონომიკური საქმიანობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში შესაბამისი ბაზარი განისაზღვრება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით;

თ) დაუკვირვებადი ეკონომიკური საქმიანობა – წარმოება, რომელიც არ ექვემდებარება სტატისტიკურ აღრიცხვას, მათ შორის: წარმოება საკუთარი მოხმარების მიზნით ან შინამეურნეობის არაორგანიზებული წარმოება გაყიდვის მიზნით, რომლის ერთობლივმა საბაზრო წილმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს შესაბამის ბაზარზე. დაუკვირვებადი ეკონომიკური საქმიანობა ასევე შეიძლება მოიცავდეს ორგანიზებულ წარმოებას, რომელიც არ ექვემდებარება სტატისტიკურ აღრიცხვას, თუ სექტორის სტრუქტურული მახასიათებლების გამო რთულია მისი სტატისტიკური კლასიფიკაცია შესაბამისი ბაზრისათვის მიკუთვნების მიზნით;

ი) დომინირებული მდგომარეობა – შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, როდესაც მის/მათ მოქმედებასა და ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე არსებით გავლენას ვერ ახდენენ კონკურენტი ეკონომიკური აგენტები (მათ შორის, პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტები), მიმწოდებლები და მყიდველები და იგი/ისინი ფლობს/ფლობენ მნიშვნელოვან საბაზრო წილს. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში დომინირებული მდგომარეობა განისაზღვრება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით, როგორც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება;

კ) მნიშვნელოვანი საბაზრო წილი – შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის ან ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტების მიერ შესაბამისი ბაზრის (საბაზრო ბრუნვის) არანაკლებ 40 პროცენტის ფლობა;

ლ) ურთიერთდამოკიდებული პირები – ურთიერთდამოკიდებულიპირებიგანისაზღვრება, როგორც:

ლ.ა) პირი, რომელიც არის ერთი ეკონომიკური აგენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და ამავე დროს სხვა ეკონომიკური აგენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია, რაც მას საშუალებას აძლევს, განახორციელოს ამ ეკონომიკური აგენტის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლი;

ლ.ბ) პირი, რომელიც არის ერთი ეკონომიკური აგენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და ამავე დროს ფლობს სხვა ეკონომიკური აგენტის ხმის უფლების მქონე აქციების/წილის ისეთ ოდენობას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, განახორციელოს ამ ეკონომიკური აგენტის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლი;

ლ.გ) პირი, რომელიც ფლობს მნიშვნელოვანი

ხმის უფლებას და ამავე დროს სხვა ეკონომიკური აგენტის მნიშვნელოვანი ხმის უფლებას, რაც მას საშუალებას აძლევს, განახორციელოს ამ ეკონომიკური აგენტის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლი;

მ) კონტროლი – ისეთი მდგომარეობა, როდესაც პირს შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს ეკონომიკური აგენტის გადაწყვეტილებაზე და ამავე დროს:

მ.ა) პირი ფლობს ეკონომიკური აგენტის ხმის უფლების მქონე აქციების/წილის ისეთ ოდენობას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, დანიშნოს მმართველი ორგანოს წევრთა უმრავლესობა;

მ.ბ) პირი ფლობს საოპერაციო აქტივებს მთლიანად ან მათ მნიშვნელოვან ნაწილს;

მ.გ) პირი არის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი;

მ.დ) პირს აქვს მნიშვნელოვანი ხმის უფლება გარიგებებზე;

ნ) განმცხადებელი – პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია ან მტკიცებულება, რომ ირღვევა კონკურენციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა, თუმცა ამის შედეგად მას უშუალოდ არ ადგება ქონებრივი ზიანი, რაზედაც განცხადებით მიმართავს კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს;

ო) მომჩივანი – ეკონომიკური აგენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ კონკურენციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მას უშუალოდ მიადგა ქონებრივი ზიანი, რაზედაც საჩივრით მიმართავს კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს;

პ) ჰორიზონტალური შეთანხმება – კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებული შეთანხმება, რომლის საგანია საქონლის ან/და მომსახურების მიწოდების პირობები;

ჟ) ვერტიკალური შეთანხმება – იმ არაკონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებული შეთანხმება, რომლებიც მონაწილეობენ საქონლის ან/და მომსახურების წარმოების ან/და მიწოდების მთლიანი ციკლის სხვადასხვა ეტაპზე, რომლის საგანია საქონლის ან/და მომსახურების მიწოდების პირობები და რომელიც გავლენას ახდენს საბოლოო პროდუქტის მიწოდებაზე;

რ) სატარიფო რეგულირების მქონე ეკონომიკური სფეროები – „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, „მაუწყებლობის შესახებ“ და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილი სფეროები, რომლებშიც დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს სატარიფო პოლიტიკა;

ს) სახელმწიფო დახმარება (სუბსიდია) – ეკონომიკური აგენტის მიმართ მიღებული ინდივიდუალური გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს გადასახადისაგან განთავისუფლებას, გადასახადის შემცირებას ან გადავადებას, ვალის ჩამოწერას, რესტრუქტურიზაციას, სესხის ხელსაყრელი პირობებით გაცემას, საოპერაციო აქტივების გადაცემას, ფულადი დახმარების გაწევას, მოგების მიღების გარანტიას და სხვა ექსკლუზიური უფლებების მინიჭებას. სახელმწიფო დახმარება არ გულისხმობს პრივატიზებას, ლიცენზიების ან/და ნებართვების გაცემას, ასევე საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და ქალაქ თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების დახარჯვას;

ტ) სახელმწიფო დახმარების გამცემი – სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სახელმწიფოს 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმო ან სახელმწიფოს სახელით მოქმედი შუამავალი ეკონომიკური აგენტი, რომელიც სახელმწიფო დახმარების გაცემის მიზნით პირდაპირ ან არაპირდაპირ იყენებს უფლებამოსილებას;

უ) ქვეყნის უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი ობიექტი – ობიექტი, რომლის მეშვეობითაც ხდება არათავისუფლად ბრუნვადი საქონლის წარმოება ან/და მიწოდება და რომელიც ფუნქციური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქვეყნის უსაფრთხოებისათვის და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების უზრუნველყოფისათვის;

ფ) არათავისუფლად ბრუნვადი საქონელი – საქონელი, რომლის წარმოება, იმპორტი, მიწოდება და მოხმარება ხდება შეზღუდული (სპეციფიკური), განსაკუთრებული პირობებით, რაც შეიძლება განპირობებული იყოს, მათ შორის, ამოწურვადი რესურსებით ან/და მიწოდების საშუალებების შეზღუდვით.

მუხლი 4. უფლებამოსილი ორგანო

1. ამ კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად უფლებამოსილი ორგანოა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომ – სააგენტო).

2. სააგენტოს თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

3. სააგენტოს სტრუქტურასა და დებულებას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

4. სააგენტო თავისი საქმიანობის განხორციელებისა და გადაწყვეტილების მიღების დროს დამოუკიდებელია.

5. სააგენტოს საქმიანობის სახელმწიფო

კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობა.

თავი II
ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შეზღუდვა და კონცენტრაცია

მუხლი 5. დომინირებული მდგომარეობა

1. ეკონომიკური აგენტის/აგენტების მიერ შესაბამის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ფლობა დასაშვებია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური აგენტი/აგენტები ბოროტად იყენებს/იყენებენ აღნიშნულ მდგომარეობას ამ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

2. ეკონომიკური აგენტის მიერ შესაბამის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების განსაზღვრისას მნიშვნელოვანი საბაზრო წილის ფლობა აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი წინაპირობაა.

3. მნიშვნელოვანი საბაზრო წილი განისაზღვრება ეკონომიკური აგენტის მიერ შესაბამის ბაზარზე, როგორც წესი, წინა 3 ფინანსური წლის განმავლობაში გაყიდვების რაოდენობის წილის მიხედვით, სააგენტოს მიერ შემუშავებული მნიშვნელოვანი საბაზრო წილის გამოთვლის მეთოდოლოგიის საფუძველზე.

4. გარკვეულ შემთხვევებში სააგენტომ შესაბამის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრისას სათანადო დასაბუთების საფუძველზე, ამ ბაზრის ციკლურობის გამო შეიძლება გაითვალისწინოს 3 ფინანსურ წელზე მეტი ან 3 ფინანსურ წელზე ნაკლები პერიოდი.

5. თუ მნიშვნელოვანი საბაზრო წილის განსაზღვრისათვის აღებული ფინანსური წლის შემდეგ, საქმის განხილვის პერიოდისათვის ეკონომიკური აგენტის საბაზრო მდგომარეობა შეიცვალა, სააგენტომ უნდა გაითვალისწინოს ეკონომიკური აგენტის საქმის განხილვის პერიოდისათვის არსებული საბაზრო მდგომარეობა.

6. მნიშვნელოვანი საბაზრო წილის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დაუკვირვებადი ეკონომიკური საქმიანობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

7. სააგენტოს უფლება აქვს, შესაბამის ბაზარზე დაუკვირვებადი ეკონომიკური საქმიანობის წილის განსაზღვრისათვის აწარმოოს კვლევა, ასევე გამოიყენოს არსებული კვლევა ან/და საექსპერტო შეფასება.

8. დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი.

მუხლი 6. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

1. ეკონომიკური აგენტის მიერ შესაბამის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია.

2. ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება გულისხმობს:

ა) სავაჭრო პირობების არსებით და მიზანმიმართულ ცვლილებას, რაზედაც გავლენას ვერ ახდენენ კონკურენტი ეკონომიკური აგენტები და რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მომხმარებელს;

ბ) წარმოების, საქონლისა და მომსახურების ბაზრების ან ტექნოლოგიების განვითარების მიზანმიმართულ შეზღუდვას ან/და კონტროლს, რომლის მიზანია სხვა ეკონომიკური აგენტების კონკურენტუნარიანობის შეზღუდვა;

გ) გარკვეულ სავაჭრო პარტნიორებთან მიმართებით მიზანმიმართულად დისკრიმინაციული პირობების დაწესებას იდენტურ ტრანზაქციებზე, რითაც ხდება აღნიშნული სავაჭრო პარტნიორების არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) მიზანმიმართულად გარიგების ისეთი პირობის დაწესებას, რომელიც გარიგების სხვა მხარეს დამატებით ისეთ ვალდებულებას აკისრებს, რომელიც დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სავაჭრო პირობების არსებით და მიზანმიმართულ ცვლილებად არ განიხილება ისეთი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია საბაზრო პირობებთან ადაპტაციით (შესაბამის ბაზარზე არსებული მოთხოვნით, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, წარმოების პირობების ცვლილებით ან სხვა გარემოებებით, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამისი ბაზრის ფუნქციონირებასთან).

მუხლი 7. კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება

აკრძალულია ეკონომიკურ აგენტებს შორის დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება (შემდგომ – ხელშეკრულება), რომელიც მიზანმიმართულად და არამართლზომიერად ზღუდავს კონკურენციას, კერძოდ:

ა) მიზანმიმართულად აწესებს შეთანხმებულ ფასს, რაზედაც გავლენას ვერ ახდენენ კონკურენტი ეკონომიკური აგენტები და რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მომხმარებელს;

ბ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პროცედურებში მონაწილეობისას წინასწარ, მიზანმიმართულად აწესებს სატენდერო წინადადების შეთანხმებულ პირობებს შესყიდვებში მონაწილე ურთიერთშეთანხმებული ეკონომიკური აგენტებისთვის ან სხვისთვის მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა

გამოიწვია;

გ) სხვა ეკონომიკური აგენტის კონკურენტუნარიანობის შესაზღუდავად მიზანმიმართულად ზღუდავს წარმოებას, საქონლისა და მომსახურების ბაზრებს ან ტექნოლოგიების განვითარებას;

დ) გარკვეულ სავაჭრო პარტნიორებთან მიმართებით მიზანმიმართულად აწესებს დისკრიმინაციულ პირობებს იდენტურ ტრანზაქციებზე, რითაც ხდება აღნიშნული სავაჭრო პარტნიორების არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

ე) მიზანმიმართულად აწესებს გარიგების ისეთ პირობას, რომელიც გარიგების სხვა მხარეს დამატებით ისეთ ვალდებულებას აკისრებს, რომელიც დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან.

მუხლი 8. კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი ხელშეკრულება

ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე, თუ:

ა) ჰორიზონტალური ხელშეკრულების მხარეთა ერთობლივი საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე არ აღემატება 25 პროცენტს;

ბ) ვერტიკალური ხელშეკრულების თითოეული მხარის საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე არ აღემატება 40 პროცენტს;

გ) ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებული ხელშეკრულება მოიცავს როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური ხელშეკრულების მახასიათებლებს, რის გამოც რთულია მისი კლასიფიკაცია ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ ხელშეკრულებად, და ამ ხელშეკრულების მხარეთა ერთობლივი საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე არ აღემატება 40 პროცენტს.

მუხლი 9. კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისები

1. ამ კანონის მე-7 მუხლი არ ვრცელდება იმ კატეგორიის ხელშეკრულებაზე, რომელიც ზღუდავს შესაბამის ბაზარზე კონკურენციას, მაგრამ მომხმარებელი იღებს სარგებელს ასეთი ხელშეკრულების შედეგიდან, რადგან ეს ხელშეკრულება მიზნად ისახავს:

ა) წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებას;

ბ) ტექნიკური და ეკონომიკური პროგრესის ხელშეწყობას.

2. ამ კანონის მე-7 მუხლი არ ვრცელდება ინფრასტრუქტურის სფეროში არსებულ იმ კატეგორიის ხელშეკრულებასა და გადაწყვეტილებაზე, რომლებიც, შესაბამისი ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიძლება განიხილებოდეს კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებად, მაგრამ რომელიც მიზნად ისახავს:

ა) წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებას;

ბ) ტექნიკური და ეკონომიკური პროგრესის ხელშეწყობას.

3. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე განსაზღვროს კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისები.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისები შეიძლება განისაზღვროს გარკვეული ვადით და პერიოდულად გადაიხედოს.

მუხლი 10. სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობა

დაუშვებელია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ:

ა) ეკონომიკური აგენტისათვის დააწესოს ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათები, რომლებიც კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს მას და იწვევს კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდვას, გარდა ამ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) აკრძალოს, შეაჩეროს ან სხვაგვარად შეაფერხოს ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობა და დამოუკიდებლობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა;

გ) მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტის დომინირებულ მდგომარეობაში ჩაყენებას, თუ ამით არსებითად იზღუდება კონკურენცია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა.

მუხლი 11. კონცენტრაცია

1. კონცენტრაცია გულისხმობს:

ა) ორი ან ორზე მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის შერწყმას, რომლის დროსაც ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტი უერთდება მეორეს ან ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტი ერთიანდება ერთ ეკონომიკურ აგენტად;

ბ) შემთხვევას, როდესაც პირი, რომელიც აკონტროლებს სულ მცირე ერთ ეკონომიკურ აგენტს, გარიგების საფუძველზე მოიპოვებს სხვა ეკონომიკურ აგენტზე პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონცენტრაცია არის კონცენტრაცია, რომლის შედეგად იქმნება ან ძლიერდება დომინირებული მდგომარეობა.

3. კონცენტრაცია არ იკრძალება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი იწვევს შესაბამის ბაზარზე კონკურენციის მნიშვნელოვნად

შეზღუდვას და ხდება დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

4. კონცენტრაციად არ განიხილება შემთხვევა, როცა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედებები ხორციელდება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად და ლიკვიდაციის პროცესში, ასევე არასამეწარმეო და სამეწარმეო იურიდიული პირების შერწყმის ან ერთ-ერთის მიერ მეორეზე კონტროლის მოპოვების შემთხვევაში.

5. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ეკონომიკური აგენტების შერწყმასა და წილის შეძენასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით.

6. ეკონომიკურ აგენტს, რომელიც კონცენტრაციის შედეგად მოიპოვებს შესაბამის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის განმსაზღვრელ საბაზრო წილს, ან კონცენტრაციის შედეგად შესაბამის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს, თუ იგი მოიპოვებს სხვა ეკონომიკურ აგენტზე პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლს, შეუძლია სააგენტოს წარუდგინოს წერილობითი შეტყობინება დაგეგმილი ან არსებული კონცენტრაციის შესახებ.

7. სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს, რომელიც კონცენტრაციის შედეგად მოიპოვებს დომინირებულ მდგომარეობას, მოსთხოვოს იმ გარიგების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება გარკვეული პერიოდულობით, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეზღუდოს შესაბამის ბაზარზე არსებული კონკურენცია.

თავი III
სახელმწიფო დახმარება

მუხლი 12. სახელმწიფო დახმარება

1. სააგენტოსთან შეთანხმებით შეიძლება დაშვებულ იქნეს სახელმწიფო დახმარება, რომელიც მნიშვნელოვნად არ ზღუდავს კონკურენციას ან არ ქმნის მისი მნიშვნელოვნად შეზღუდვის საშიშროებას და რომელიც გაიცემა შემდეგი მიზნით:

ა) გარკვეული ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისათვის;

ბ) გარკვეული ეკონომიკური სექტორის განვითარებისათვის.

2. დასაშვებია და სააგენტოსთან შეთანხმებას არ საჭიროებს:

ა) სახელმწიფო დახმარება, რომელიც გაიცემა ფორსმაჟორულ შემთხვევაში;

ბ) სოციალური დახმარება, რომელიც გაიცემა ინდივიდისათვის;

გ) ქვეყნის რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება;

დ) კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება;

ე) ქვეყნის უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება;

ვ) სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება;

ზ) ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარება, რომელიც გაიცემა უმნიშვნელო ოდენობით. ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

თ) გადასახადის შემცირებისა და რესტრუქტურიზაციის შემთხვევები, თუ აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა;

ი) საგადასახადო დავალიანების გადახდევინების, უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერებისა და საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შემთხვევები.

მუხლი 13. სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურის ზოგადი წესი

1. სააგენტო შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურის ზოგად წესს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული წესის საფუძველზე სახელმწიფო დახმარების გამცემი სააგენტოს წარუდგენს განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სახელმწიფო დახმარების გაცემის მიზნის, სახელმწიფო დახმარების ფორმისა და სახელმწიფო დახმარების მიმღების თაობაზე.

3. სახელმწიფო დახმარების გამცემმა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებასთან ერთად სააგენტოს უნდა წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება, რომ გასაცემი სახელმწიფო დახმარება მნიშვნელოვნად არ ზღუდავს კონკურენციას.

4. სახელმწიფო დახმარების გამცემმა სააგენტოს უნდა აცნობოს სახელმწიფო დახმარების გაცემის პირობების არსებითი ცვლილების თაობაზე.

მუხლი 14. სახელმწიფო დახმარების შეთანხმება

1. სააგენტო მისთვის წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ადგენს გასაცემი სახელმწიფო დახმარების შესაბამისობას ამ კანონის დებულებებთან და არა უგვიანეს 30 სამუშაო დღისა ამზადებს სამართლებრივ დასკვნას, თუ აღნიშნული სახელმწიფო დახმარება არ შეესაბამება ამ კანონის დებულებებს. სამართლებრივი დასკვნის გაუცემლობა ჩაითვლება თანხმობად.

2. სახელმწიფო დახმარების გამცემის ქმედების ამ კანონის დებულებებთან წინააღმდეგობის გამოვლენის შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია სახელმწიფო დახმარების გამცემს მოსთხოვოს დამატებითი დასაბუთება ან/და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაცია.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით

გათვალისწინებულ სამართლებრივ დასკვნას და რეკომენდაციას სააგენტო წარუდგენს საქართველოს მთავრობას და სახელმწიფო დახმარების გამცემს.

4. საქართველოს მთავრობა, რომელსაც წარედგინა ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული სამართლებრივი დასკვნა და რეკომენდაცია, იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე.

მუხლი 15. გაცემული სახელმწიფო დახმარების გასაჩივრება

თუ გაცემული სახელმწიფო დახმარება მნიშვნელოვნად ზღუდავს შესაბამის ბაზარზე კონკურენციას ან/და დარღვეულია კონკურენციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურასთან დაკავშირებით, პირს, რომელსაც უშუალოდ მიადგა ზიანი, შეუძლია სასამართლოში გაასაჩივროს გაცემული სახელმწიფო დახმარება.

თავი IV
სააგენტო

მუხლი 16. სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) ეკონომიკის ყველა სექტორში კონკურენციის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენციის დარღვევის ფაქტების გამოვლენა;

გ) სახელმწიფოს მიერ კონკურენციის შემზღუდველი ქმედებებისა და გადაწყვეტილებების გამოვლენის შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება;

დ) კონკურენციის შემზღუდველ სახელმწიფო დახმარებასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ე) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება;

ვ) სახელმწიფო ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საქართველოში თავისუფალი კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 17. სააგენტოს საქმიანობის პრინციპები

1. სააგენტოს საქმიანობის პრინციპებია: დამოუკიდებლობა, არადისკრიმინაციულობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

2. სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მისი გადაწყვეტილება საჯარო უნდა იყოს.

მუხლი 18. სააგენტოს უფლებამოსილებები

1. სააგენტო ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით უფლებამოსილია:

ა) აწარმოოს საქმის მოკვლევა წარდგენილი განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე;

ბ) კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით შესაბამის ეკონომიკურ აგენტს და სხვა დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მიუღებლობის შემთხვევაში მოკვლევის მიზნით სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა ეკონომიკური აგენტის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე;

დ) საჩივრის არსებობის შემთხვევაში მოიწვიოს მხარეები მათგან ზეპირი ახსნა-განმარტების მისაღებად და, საჭიროების შემთხვევაში, მოაწყოს შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან;

ე) მოკვლევის მიზნით, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე, ადგილზე შეამოწმოს საქმეში ჩართული ეკონომიკური აგენტი;

ვ) საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტს დაუწესოს ადმინისტრაციული ჯარიმა;

ზ) ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს განხორციელებული ქმედების ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

თ) მიმართოს სასამართლოს ეკონომიკური აგენტის მიერ ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით განხორციელებული ქმედების ან მიღებული გადაწყვეტილების შეჩერების თაობაზე, ხოლო მიღებული გადაწყვეტილების ან დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში – მისი ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე;

ი) საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ექსპერტები საქმის მოკვლევის პროცესში;

კ) მიზანშეწონილობის შემთხვევაში აწარმოოს კვლევა დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების დასადგენად შესაბამის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის განმსაზღვრელი საბაზრო წილის განსაზღვრის მიზნით.

2. სააგენტო სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან მიმართებით უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ამ კანონის დებულებათა შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) ამ კანონის დამრღვევ სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარუდგინოს წერილობითი დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაცია მის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების თაობაზე;

გ) საქართველოს მთავრობას მიმართოს რეკომენდაციით შესაბამის ბაზარზე შესვლის საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და დისკრიმინაციული ბარიერების არსებობის და

მათი აღმოფხვრის საჭიროების თაობაზე;

დ) საქართველოს მთავრობას მიმართოს რეკომენდაციით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების გაუქმების თაობაზე, თუ ისინი ზღუდავს კონკურენციას;

ე) საქართველოს მთავრობას მიმართოს სამართლებრივი დასკვნით და, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციით, თუ გაცემული სახელმწიფო დახმარება მნიშვნელოვნად ზღუდავს კონკურენციას;

ვ) უზრუნველყოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება;

ზ) უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია;

თ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე საგადასახადო ორგანოსაგან გამოითხოვოს და მიიღოს ცალკეულ გადასახადის გადამხდელთა თაობაზე იდენტიფიცირებული ინფორმაცია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 19. სააგენტოს საქმიანობის
პრიორიტეტული მიმართულებები

1. სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს პერიოდულად ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

2. სააგენტო განცხადებას ან/და საჩივარს განიხილავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად.

3. სააგენტო არ არის პასუხისმგებელი იმ შედეგზე, რომელიც შეიძლება დადგეს სააგენტოს მიერ განცხადების ან/და საჩივრის განხილვაზე უარის თქმის გამო, თუ განცხადება ან/და საჩივარი არ შეესაბამება სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, ან სხვა დასაბუთებული საფუძვლის გამო.

4. სააგენტო არ არის პასუხისმგებელი იმ შედეგზე, რომელიც შეიძლება დადგეს შესაბამის ბაზარზე, მიუხედავად იმისა, მიმართა თუ არა განმცხადებელმა ან/და მომჩივანმა აღნიშნულ საკითხზე სააგენტოს.

მუხლი 20. ინფორმაციის
კონფიდენციალურობის დაცვა

1. სააგენტო ვალდებულია:

ა) დაიცვას ეკონომიკური აგენტის თაობაზე ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც შეიცავს კომერციულ ან/და საგადასახადო საიდუმლოებას;

ბ) დაიცვას იმ პირის პირადი მონაცემების კონფიდენციალურობა, რომელიც არის ინფორმაციის მიმწოდებელი და სააგენტოს მიმართავს მისი პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის თხოვნით;

გ) უზრუნველყოს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა და გაუვრცელებლობა.

2. დაუშვებელია კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა და გავრცელება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

3. დაუშვებელია სააგენტოში დასაქმებულთა მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება და გავრცელება, მათ შორის, პირადი, აკადემიური, სამეცნიერო და სხვა საქმიანობის განსახორციელებლად.

4. სააგენტოში დასაქმებულთა მიერ ამ მუხლის დებულებათა დარღვევა გამოიწვევს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.

5. განზოგადებული ინფორმაცია შესაბამისი ბაზრის შესახებ, ასევე მონაცემები ეკონომიკური აგენტების რაოდენობის, მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების თაობაზე არ შეიძლება კონფიდენციალური იყოს.

მუხლი 21. ინტერესთა კონფლიქტი

1. სააგენტოს უფლებამოსილი პირი უნდა იყოს დაინტერესებულ მხარეთაგან დამოუკიდებელი პროფესიულ საქმიანობაში, შეფასებასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

2. თუ, ამ კანონის თავისებურებათა გათვალისწინებით, არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით განსაზღვრული ურთიერთობები სააგენტოს უფლებამოსილ პირსა და იმ ეკონომიკურ აგენტს შორის, რომლის მიმართაც სააგენტო ახორციელებს საქმის მოკვლევას, სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

3. სააგენტოს უფლებამოსილი პირი არ უნდა ახორციელებდეს სხვა ისეთ საქმიანობას, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის მიუკერძოებლობაზე და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დამოუკიდებლობაზე.

4. სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.

თავი V
აღსრულება

მუხლი 22. განცხადების ან/და საჩივრის
წარდგენის უფლების მქონე პირები

1. სააგენტოში განცხადების წარდგენის უფლება აქვს განმცხადებელს. განმცხადებელი მხარედ არ განიხილება.

2. სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები. მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება მტკიცების

ტვირთი.

მუხლი 23. განცხადების ან/და საჩივრის მიღების წესი და მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ დაცვის უფლების განხორციელება

1. სააგენტო განცხადების ან/და საჩივრის მიღებიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სწავლობს განცხადების ან/და საჩივრის დასაშვებობის საკითხს.

2. თუ განცხადება აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტო უფლებამოსილია თავად განსაზღვროს განცხადების განხილვაში შესაბამისი ეკონომიკური აგენტის მონაწილეობა და მისცეს მას განცხადების თაობაზე საკუთარი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობა.

3. თუ საჩივარი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტო ვალდებულია საჩივარი აცნობოს მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს. მოპასუხე ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია სააგენტოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში წარუდგინოს საჩივრის თაობაზე საკუთარი შენიშვნები და მოსაზრებები.

4. თუ მოპასუხე ეკონომიკური აგენტი სააგენტოს წარუდგენს საჩივრის თაობაზე საკუთარ შენიშვნებსა და მოსაზრებებს, სააგენტო საქმის მოკვლევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის და მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

5. სააგენტო განმცხადებელს ან/და მომჩივანს აცნობებს განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების ან მის დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე.

6. სააგენტოს უფლება აქვს, მოსთხოვოს განმცხადებელს ან/და მომჩივანს დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარდგენა და განუსაზღვროს მისი წარდგენის ვადა, რაც ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის შეჩერების საფუძველია.

7. განცხადებისა და საჩივრის ფორმებს, მათი წარდგენის წესს და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებულ პროცედურებსა და ვადებს შეიმუშავებს და ამტკიცებს სააგენტო.

8. განმცხადებელი ან მომჩივანი იხდის სააგენტოს მიერ განცხადების ან საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურს (შემდგომ – საფასური) განცხადების ან საჩივრის წარდგენასთან ერთად. საფასური განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

9. საფასური გადაიხდება სააგენტოს საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 24. საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლები

1. განცხადება ან/და საჩივარი არ მიიღება, თუ წარმოდგენილი არ არის ამ კანონის 23-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. სააგენტო უარს ამბობს განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, თუ:

ა) საჩივარი არ წარმოუდგენია უფლებამოსილ პირს;

ბ) არ არსებობს ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი;

გ) ამ კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, განსაზღვრულ ვადაში არ არის წარმოდგენილი გამოთხოვილი ინფორმაცია ან/და მტკიცებულება;

დ) წარმოდგენილი განცხადება ან/და საჩივარი არ შეესაბამება ამ კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებულ სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს;

ე) მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიმართ დაწყებულია გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას მომჩივანს უფლება აქვს, კონკურენციის დარღვევასთან დაკავშირებით მიმართოს სასამართლოს.

4. სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შემთხვევაში ამ კანონის 23-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული საფასური არ ბრუნდება.

მუხლი 25. საქმის მოკვლევის წესი

1. სააგენტო მის მიერ საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყებს საქმის მოკვლევას და იღებს გადაწყვეტილებას არა უმეტეს 6 თვის ვადაში.

2. საქმის მოკვლევა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებელია გაგრძელდეს სააგენტოს მიერ განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 15 თვისა.

3. სააგენტო განმცხადებელს ან/და მომჩივანს გადაწყვეტილების მიღებისათვის დადგენილი ვადის ამოწურვამდე არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე ატყობინებს საქმის მოკვლევის გაგრძელების თაობაზე.

4. სააგენტოს უფლება აქვს, საქმის მოკვლევის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, დაინტერესებული მხარისაგან გამოითხოვოს ინფორმაცია და დოკუმენტები.

5. სააგენტოს უფლება აქვს, საქმის მოკვლევის პროცესში შესაბამისი ეკონომიკური აგენტისაგან გამოითხოვოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და დოკუმენტები.

6. საქმის მოკვლევის პროცესში სააგენტო იწვევს დაინტერესებულ მხარეებს მათგან ახსნა-

განმარტების მისაღებად.

7. სააგენტოს უფლება აქვს, ადგილზე შეამოწმოს ეკონომიკური აგენტი, რომლის მიმართაც არსებობს განცხადება ან/და საჩივარი.

8. სააგენტო უფლებამოსილია მოტივირებული შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმების მიზნით, თუ:

ა) ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული საშუალებით შეუძლებელია საქმის მოკვლევისათვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტების მიღება;

ბ) არსებობს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის განადგურების ან/და დამალვის საშიშროება;

გ) მხარეები არ ასრულებენ ინფორმაციისა და დოკუმენტების მიწოდების ვალდებულებას;

დ) საჭიროა მატერიალური აქტივების ვიზუალური დათვალიერება.

9. მხარის მიერ მიზანმიმართულად არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად მიწოდება ითვლება ინფორმაციის მიუწოდებლობად.

10. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემოწმება მოიცავს:

ა) ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების, მათ შორის, ფინანსურ-ეკონომიკური დოკუმენტების, გაცნობას, მათი კონფიდენციალურობის მიუხედავად;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ასლების გადაღებას;

გ) ადგილზე ახსნა-განმარტებების მიღებას;

დ) ეკონომიკური აგენტის იურიდიული და ფაქტობრივი საქმიანობის ადგილზე დაშვებას.

11. თუ საქმის მოკვლევის დაწყების შემდეგ მომჩივანმა უარი განაცხადა საჩივარზე, საქმის მოკვლევა წყდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს დასაბუთებული მტკიცებულება, რომ კონკურენცია მნიშვნელოვნად იზღუდება.

12. თუ მომჩივანი არ ეთანხმება სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას, ეს გადაწყვეტილება მას შეუძლია გაასაჩივროს სასამართლოში.

13. საქმის მოკვლევის წესსა და პროცედურას შეიმუშავებს სააგენტო და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

მუხლი 26. კონკურენციის შეზღუდვის
წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები

1. სააგენტო უფლებამოსილია:

ა) სასამართლოს მიმართოს მოთხოვნით ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე, თუ არსებობს აშკარა მტკიცებულება, რომ ეს ქმედება იწვევს ამ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული კონკურენციის მნიშვნელოვნად შეზღუდვას;

ბ) მოსთხოვოს ეკონომიკურ აგენტს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენა სააგენტოს მიერ დადგენილი პერიოდულობით.

2. სააგენტო არ მიმართავს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, თუ შესაბამისი ეკონომიკური აგენტი აღიარებს საქმის მოკვლევის შედეგად გამოვლენილ კონკურენციის დარღვევას და სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე წყვეტს კონკურენციის შემზღუდველ ქმედებას. ამ შემთხვევაში სააგენტოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტო, კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველი ქმედების აკრძალვასთან ერთად, შესაბამის ეკონომიკურ აგენტს აკისრებს ამ კანონის 33-ე მუხლით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ჯარიმას.

მუხლი 27. დავის ხანდაზმულობის ვადა

ამ კანონის დარღვევის თაობაზე დავის ხანდაზმულობის ვადაა დარღვევის ჩადენიდან არა უმეტეს 3 წელი.

მუხლი 28. უფლებამოსილი სასამართლო

1. პირს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ამ კანონის დარღვევის თაობაზე სააგენტოსათვის მიმართვის გარეშე.

2. ამ კანონის დარღვევის თაობაზე დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

3. მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიმართ სასამართლოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება არის ამ კანონის დარღვევისათვის ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული სასამართლოს მიერ საქმის განხილვაზე უარის თქმის ან მისი შეწყვეტის საფუძველი.

მუხლი 29. სასამართლოსათვის საქმის
გადაცემა

1. თუ საქმის მოკვლევის შედეგად გამოვლინდა ამ კანონის დებულებების დარღვევა, სააგენტო საქმეს გადასცემს სასამართლოს შემდგომი განხილვისათვის და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტოს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს მოთხოვნით ეკონომიკური აგენტის მიმართ გამოსაყენებელი ჯარიმის თაობაზე.

3. სააგენტო სასამართლოში საქმის განხილვისას გამოდის, როგორც მოსარჩელე.

4. პირი, რომლის საჩივრის საფუძველზედაც სააგენტომ განახორციელა საქმის მოკვლევა, სასამართლოში გამოდის, როგორც მესამე პირი, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

5. მესამე პირს უფლება აქვს, სასამართლოს

მიერ სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში იდავოს ზიანის ანაზღაურებაზე სამოქალაქო საქმის განხილვის წესის შესაბამისად.

6. ამ კანონის VII თავით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

თავი VI

სააგენტოს და დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების თანამშრომლობა

მუხლი 30. თანამშრომლობა სატარიფო რეგულირების მქონე ეკონომიკურ სფეროში კონკურენციის დარღვევის შემთხვევათა შესწავლისას

სააგენტო და შესაბამისი დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო თანამშრომლობენ სატარიფო რეგულირების მქონე ეკონომიკურ სფეროში კონკურენციის დარღვევის შემთხვევათა შესწავლის პროცესში.

მუხლი 31. თანამშრომლობის ფორმები

1. თუ სააგენტოში წარდგენილ იქნა საჩივარი სატარიფო რეგულირების მქონე ეკონომიკურ სფეროში კონკურენციის შესაძლო დარღვევის თაობაზე, ეს საჩივარი სააგენტომ უნდა გადაუგზავნოს შესაბამის დამოუკიდებელ ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს.

2. დამოუკიდებელმა ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანომ სატარიფო რეგულირების მქონე ეკონომიკურ სფეროში კონკურენციის დარღვევის შემთხვევის შესწავლისათვის საქმის დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სააგენტოს.

3. სააგენტო უფლებამოსილია დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე შეიმუშაოს საექსპერტო მოსაზრებები სატარიფო რეგულირების მქონე ეკონომიკურ სფეროში კონკურენციის დარღვევის შემთხვევების თაობაზე დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოსათვის წარსადგენად.

4. დამოუკიდებელ ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს შეუძლია კონკურენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციისათვის მიმართოს სააგენტოს.

5. სატარიფო რეგულირების მქონე ეკონომიკურ სფეროში კონკურენციის დარღვევის შემთხვევათა შესწავლისათვის შესაძლებელია შეიქმნას სააგენტოს და შესაბამისი დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს თანამშრომლებით დაკომპლექტებული ერთობლივი სამუშაო ჯგუფი.

6. დამოუკიდებელმა ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანომ შესაძლოა მიმართოს სააგენტოს სატარიფო რეგულირების მქონე ეკონომიკურ სფეროში კონკურენციის დარღვევის შემთხვევის შესწავლის პროცესში სააგენტოს მიერ მონაწილეობის მიღების მიზნით.

7. სატარიფო რეგულირების მქონე ეკონომიკურ სფეროში მესამე მხარის ქსელში დაშვებასა და ურთიერთჩართვასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით და არ არის ამ კანონის რეგულირების სფერო.

8. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროშიწინასწარ რეგულირებას, ასევე ავტორიზებულ პირთა მიერ მათთვის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დაკისრებულ სპეციფიკურ ვალდებულებათა შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს და მათ აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. კომისია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით არეგულირებს, განიხილავს და წყვეტს ავტორიზებულ პირთა შორის წარმოშობილ, მათ შორის, ავტორიზებული პირებისათვის დაკისრებულ შესაბამის სპეციფიკურ ვალდებულებათა შესრულებასთან დაკავშირებულ დავებს.

თავი VII

სანქციები

მუხლი 32. სააგენტოსათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა

სააგენტოსათვის ამ კანონით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე.

მუხლი 33. ჯარიმა

1. ამ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ეკონომიკურ აგენტს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის მიერ მიღებული მოგების 10 პროცენტს.

2. ამ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ეკონომიკურ აგენტს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის ბრუნვის 2 პროცენტს, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტს იმავე ფინანსურ წელს მოგება არ მიუღია.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და მოცულობა.

თავი VIII

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 34. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

1. 2016 წლის 1 იანვრიდან ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში დომინირებული

მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე (გარდა ამ კანონითა და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილებებისა) და კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებაზე, გადაწყვეტილებასა და შეთანხმებულ ქმედებაზე გავრცელდება „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი და მის აღსრულებაზე ზედამხედველობასა და კონტროლს განახორციელებს სააგენტო.

2. ეს კანონი არ ვრცელდება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში არსებულ იმ ხელშეკრულებასა და გადაწყვეტილებაზე, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს იმ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც შესაბამისად დადებულია და მიღებულია 2016 წლის 1 იანვრამდე.

3. ეს კანონი არ ვრცელდება ენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სფეროში 2018 წლის 31 დეკემბრამდე დადებულ ხელშეკრულებაზე და მიღებულ გადაწყვეტილებაზე, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

4. ეს კანონი არ ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემულ სახელმწიფო დახმარებაზე და აღნიშნული სახელმწიფო დახმარების პირობების ცვლილება არ საჭიროებს სააგენტოსთან შეთანხმებას.

5. საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს ამ კანონით გათვალისწინებული შემდეგი სამართლებრივი აქტები:

ა) ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობის განსაზღვრის შესახებ – 2012 წლის 30 ივნისამდე;

ბ) სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ – 2012 წლის 1 დეკემბრამდე.

6. სააგენტომ შეიმუშაოს ამ კანონით გათვალისწინებული შემდეგი სამართლებრივი აქტები:

ა) სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურის ზოგადი წესის შესახებ – 2012 წლის 30 ივნისამდე;

ბ) საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის შესახებ – 2012 წლის 1 ნოემბრამდე;

გ) განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესისა და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების შესახებ – 2012 წლის 1 დეკემბრამდე.

7. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №31, 27.06.2005, მუხ. 188).

8. სააგენტოს ის უფლებამოსილება, რომლის აღსასრულებლადაც აუცილებელია ამ კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტის მიღება, სრულად ამოქმედდეს შესაბამისი კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტის მიღებისთანავე.

9. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი

თბილისი,

2012 წლის 8 მაისი.

№6148-Iს